

ზ. სოჭავაძე

განწყობის შეცვლის ძირითადი
კანონი დ. უზნაძის განწყობის
თეორიაში

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს ექსპერიმენტულად იქნას დადგენილი განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის გაერთელების არე გამღიზიანებელთა სიდიდის ცვალებადობის პირობებში.

წ ი ნ ა ს ი ტ ე ვ ა ო ბ ა

წინამდებარე გამოკვლევის საჭიროება შემდეგმა გარემოებამ დაბადა. „განწყობის შეცვლის კანონს“ დ. უზნაძის თეორიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ კანონით ავტორი იძლევა აზრს ანუ გაგებას იმისას, თუ რატომ ჩნდება „კონტრასტული ილუზია“ იმ დროს, როცა განწყობა, როგორც სწორედ განწყობა, მხოლოდ ასიმილაციურად შეიძლება მოქმედებდეს და. მაშასადამე, ასიმილაციურ ილუზიას უნდა აჩენდეს. კანონი გულისხმობს, რომ კონტრასტული ილუზია, რომელიც ერთი განწყობის მეორე საწინააღმდეგო განწყობით შეცვლის შედეგად ჩნდება, არსებითად ასიმილაციურ ილუზიას წარმოადგენს. კონტრასტული ილუზიის ასეთი გაგება (ე. ი. რომ იგი ასიმილაციური ილუზიაა!) ასაბუთებს განწყობის ექსპერიმენტული კვლევის დღემდე ცნობილ მეთოდს. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კონტრასტს განწყობის ასიმილაციურ ილუზიად არ ვიგულისხმებდით, იგი რალაც სხვა არაგანწყობისეულ ფაქტად უნდა გვეგულა და მაშინ კი აღნიშნული მეთოდიც განწყობის კვლევის მეთოდი აღარ იქნებოდა. ერთი სიტყვით. განწყობის შეცვლის კანონი მთელი თეორიისათვის ფუნდამენტალური მნიშვნელობის ცნებაა.

მაგრამ არსებობს შეხედულება, რომელიც ამ კანონის საჭიროებას არ ცნობს: იგი უარყოფს რაოდენობრივი სიდიდეებით შემუშავებული განწყობის ასიმილაციურ მოქმედებას — განწყობის ასიმილაციური ილუზიის არსებობას, რომელსაც აღნიშნული კანონი ემყარება, — და ცნობს მხოლოდ კონტრასტულ ილუზიას, როგორც თავისთავადს, ასიმილაციურ ილუზიაზე დაუყვანებადს და ერთადერთ ეფექტს ამ განწყობისას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფაქტი, რომელსაც საერთოდ მეცნიერული თეორია ემყარება, მისი „პატივი და ღირსებაა“. შეიძლება თეო-

რია განვითარდეს, შეიცვალოს ან სრულიად მოიხსნას—და ასეც ხდება,—მაგრამ ის ფაქტები, რომელთაც იგი ემყარებოდა, სხვანაირად გაგებულნი და ახსნილი, ახალი, უკეთესი თეორიისთვისაც ფაქტებად უნდა დარჩეს; ამაშია „განვლილი თეორიების“ ღირსება და დამსახურება მეცნიერების წინაშე. მაგრამ ძალიან ცუდია, როცა ასე არ ხდება და თეორიის მოხსნას თვითონ მის მიერვე ფაქტად მიჩნეული სინამდვილის „არანამდვილობა“, სიყალბე „არტეფაქტობა“ საზღვრავს; მაშინ თეორია არაფერს არ ტოვებს მეცნიერებაში და უკვალოდ ისპობა. ასიმილაციური ილუზიის არსებობის საკითხს, — საკითხს, ფაქტია თუ არა იგი, — ჩვენ ამ თვალსაზრისით შევხედეთ და, ვინაიდან მისი უარყოფა განწყობის თეორიის საწინააღმდეგოდ დებულებად გვეჩვენა, გადავწყვიტეთ ექსპერიმენტულად შეგვემოწმებინა იგი. წინამდებარე გამოკვლევა ამ შემოწმების შედეგებს იხილავს.

I. განწყობის შეცვლის კანონი დ. უსნაძის განწყობის თეორიაში

§ 1. განწყობის ცნება დ. უსნაძის პრობებში

დ. უსნაძის კონცეპტია განწყობის შესახებ ხანგრძლივი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგია. გაფორმებულ ფსიქოლოგიური თეორიის სახით მას იგი მოცემული აქვს 1949 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“¹. ამ მონოგრაფიის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „წინამდებარე შრომის ძირითადი იდეა — იდეა განწყობის შესახებ — პირველად ამ ოცდახუთი წლის წინათ იყო ჩემ მიერ ფორმულირებული“-ო, და იმომებს 1923 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევას *Impersonalia*². ჩვენი საკვლევო პრობლემის თვალსაზრისით აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რას გულისხმობდა იგი ამ „წინათ ფორმულირებულ ძირითად იდეაში“.

Impersonalia-ს მიზანია გაარკვიოს ე. წ. უსუბიექტო წინადადებათა ფსიქოლოგიური ბუნება. სათანადო ფაქტებისა და ძირითადათ კი „მეტეოროლოგიური იმპერსონალიების“ ფსიქოლოგიური ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის: „მეტეოროლოგიური მოვლენების სპეციფიკურობა მათ უსუბსტრატობაშია“. და რადგან „იმპერსონალიები ასეთ მოვლენათა აღქმის და არა მსჭვლოდის შინაარსს აძლევენ სიტყვიერ გამოხატულებას, ამიტომ მათი სუბიექტის ძიება უნაყოფო საქმედ უნდა ჩაითვალოს“. არსებობს მოვლენები, რომელთაც „უსუბსტრატოდ“ ვგულისხმობთ, და სწორედ ამ

¹ ფსიქოლოგია, VI, 1949.

² ჩვენი მუცნიერება, კრება, 1923.

უსუბსტრატო მოვლენების აღქმაა ის, რის აღნიშვნასაც ენა ახერხებს მხოლოდ იმპერსონალიების სახით: „წვიმს“, „თოვს“, „ელავს“, „ქექავს“ და სხვ.

მაგრამ აქ ავტორი მეორე პრობლემის წინაშე დგება: მას უნდა გაარკვიოს, თუ როგორ ჩნდება თვითონ ამ მოვლენების აღქმა — აღქმა, რომელიც ენაში უსუბიექტო წინადადებებს ბადებს და, როგორც ცნობიერების ფაქტი, სრულიად გარკვეულ ობიექტურ ვითარებას უთითებს.

როცა წვიმს, თოვს, ელავს, ქექავს, „ჩვენს წინაშე განსაზღვრული ობიექტური პროცესი ხდება, ხოლო ჩვენს ცნობიერებაში შესაბამის შეგრძნებათა ნაკადი იწყებს მოძრაობას...“ „თავისთავად ეს შეგრძნებანი უფორმო მასალას წარმოადგენენ, და მათ ურთიერთთან არავითარი კავშირი არა აქვთ. მაგრამ ისინი მყის ერთმანეთისაკენ შევებიან პირს და მრავალ წარმოდგენებთან ერთად განსაზღვრული ფორმის მთლიან კომპლექსში შესარწყმელად ურთიერთს უკავშირდებიან“. ისმის საკითხი: რა უდევს საფუძვლად ამ შეკავშირების პროცესს? რა ქმნის შეგრძნებებიდან საგნობრივ აღქმას?

ავტორი კრიტიკულად არჩევს და უარყოფს საკითხის გადაწყვეტის ყველა არსებულ თვალსაზრისს („შეგრძნების თავისებურება“, გამოცდილება, არაცნობიერის ცნება) და საკუთარ შეხედულებას გვაწვდის. ეს შეხედულება, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთია:

„ფსიქიური მასალის აღქმის განსაზღვრულ კომპლექსებად შერწყმას. კომპლექსებად, რომელიც თავისი დასრულებული ფორმით ერთბაშად ცნობიერების ფარგლებს გადალმა ნაგულისხმევ ობიექტურ არეში თავსდება, ვითარცა ამა თუ იმ ობიექტური საგნის მდგომარეობის ან მოვლენის აღქმის შინაარსი, — ამ კომპლექსად შერწყმას ის, ჯერ კიდევ უცნობი ქვეფსიქიური არე განსაზღვრავს, რომელიც ობიექტურსა და სუბიექტურს, შეგრძნებასა და ობიექტს შუამავლობს და წმინდა ფსიქიურში (შეგრძნებათა კომპლექსში) ტრანსსუბიექტურის ვითარებას წარმოადგენს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ობიექტისადმი ინტენციია, რომელიც ყოველი აღქმის განცდაში მარხია. შესაძლოა მხოლოდ ამ უცნობ ქვეფსიქიურ არეს ემყარებოდეს“.

ჯერ დავკმაყოფილდეთ ამ გამოთქმით. „ქვეფსიქიური“ სახელით, რომლის შესახებაც აქ ლაპარაკია, ნაგულისხმევია რაღაც ისეთი სინამდვილე, რომელიც სუბიექტის მდგომარეობის სახით გარეგამლიზიანებლის (გარემოს) ზემოქმედების შედეგად ჩნდება, „სუბიექტურსა და ობიექტურს შუამავლობს და წმინდა ფსიქიურში ტრანსსუბიექტურ ვითარებას წარმოკვიდგენს“; ქვეფსიქიურის მუშაობა წინ უსწრებს და შესაძლებლად ხდის ცნობიერების მოქმედებას, საზღვრავს მის ფენომენალურ შინაარსს და საზღვრავს სწორედ ისე, რომ ყველაფერი, რაც კი ფსიქიკაში ხდება, წინასწარ ამ ქვეფსიქიურის არეშია შემზადებული და ცნობიერება მხოლოდ რეალიზაციაა მისი.

ამ დახასიათებიდან ჩანს, რომ „ქვეფსიქიური“ უთუოდ ჰგავს განწყობას, რადგან, თანახმად მერმინდელი „განწყობის თეორიისა“, იგიც დახასიათებულია როგორც „სუბიექტის მდგომარეობა“. რომელიც წინ უსწრებს ცნობიერების მუშაობას და ანტიციპაციაა იმის, რაც მასში უნდა მოხდეს. და უთუოდ ეს მსგავსება ჰქონდა ავტორს მსედველობაში, როცა Jmpersonalia-ზე მითითებით წერდა: „იდეა განწყობის შესახებ პირველად ამ 25 წლის წინათ იყო ჩემ მიერ ფორმულირებული“.

მაგრამ მსგავსება მხოლოდ მსგავსებაა და, რა თქმა უნდა, ავტორის განცხადებაც ამ ცნებების იგივეობას არ გულისხმობს!.

საქმე ისაა. რომ „ადრიდანვე მიგნებულ“ ქვეფსიქიურს თვითონ ავტორი „ჯერ კიდევ უცნობ სინამდვილედ“ თვლიდა. რომელიც სანგრძლივ დადებით მეცნიერულ კვლევას უნდა გაეხადა ცნობილად; და რა გასაკვირია, რომ ამ ხანგრძლივი ძიების პროცესში მას შინაარსეული ცვლილებაც განეცადა — ზოგი რამ გამოკლებოდა, ზოგიც დამატებოდა — და „განწყობის ძირითადი იდეის“ შემონარჩუნებით განსხვავებული ცნების სახით გაფორმებულიყო!“. ეს ცვლილებები მოკლედ ასეთია:

1. 1925 წელს გამოცემულ წიგნში — „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (ტ. I) — „ქვეფსიქიურის“ გვერდით ნახმარია სხვა სიტყვებიც: „სიტუაცია“, „ბიოსფერო“. მაგრამ სამივე ეს ტერმინი გამოყენებულია ერთი სინამდვილის სხვადასხვა მხრივ დასახასიათებლად, სახელდობრ:

ა. სიტუაცია არის ცოცხალი არსების მდგომარეობა, რომელიც მოთხოვნილებისა და გარემოს ზემოქმედებით იქმნება და ქცევას

საზღვრავს; მასში, როგორც ასეთში, მოხსნილია „სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირება“; იგი „სუბიექტური და ობიექტური ვითარების ერთ გაუნაწევრებელ მთლიანს“ წარმოადგენს, — „გაერთმთიანებულ განწყობილებას“, რომელშიც in pace-ა მოცემული ყველაფერი ის, რაც შემდეგ ქცევის თუ ცნობიერების მუშაობის სახით უნდა შესრულდეს.

ბ. სიტყვა „ბ ი ო ს ფ ე რ ო“ გეოლოგიური ტერმინია (ნიოსტერა). თავიდანვე იგი მეცნიერებაში შემოვიდა და დამკვიდრდა, როგორც სწორედ ასეთი და აღნიშნავს სიცოცხლის გავრცელების სფეროებს დედამიწაზე (ლიტოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო). მაგრამ დ. უზნაძესთან იგი, რა თქმა უნდა, სხვას აღნიშნავს: იგი ნიშნავს არა „სიცოცხლის განფენილობას“ დედამიწის სფეროში, არამედ თავად სიცოცხლის სპეციფიკას ყველგან, სადაც კი აქვს მას ადგილი, — ე. ი. იმას, რაც საერთოდ ცოცხალ არსებას არა-ცოცხლისაგან ასხვავებს. სიცოცხლის ეს სპეციფიკა, თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ცოცხალი არსება, მიზანშეწონილად მოქმედებს, ანუ: — რომ სიცოცხლე, როგორც ასეთი, მიზანშეწონილ რეაქციებში ვლინდება. მაგრამ რეაქციის მიზანშეწონილებას ხომ ს ი ტ უ ა ც ი ა ანუ „ობიექტურისა და სუბიექტურის გაერთმთლიანების განწყობილება უდევს საფუძვლად“. მაშასადამე, გამოდის, რომ „სიტუაცია“ ანუ გაერთმთლიანების განწყობილება „თვითონ სიცოცხლის სფეროში მიმდინარე ცვლილება“ ყოფილა. იგი სიცოცხლის დახასიათებაა. და აი, სწორედ ამ დახასიათების აღსანიშნავად, ავტორს შემოაქვს ტერმინი „ბიოსფერო“. ერთი სიტყვით, აღნიშნული ტერმინი დ. უზნაძემ გამოიყენა იმ მნიშვნელობით, რომ „სუბიექტურისა და ობიექტურის გაერთმთლიანებელი განწყობილება“, როგორც რეაქციის მიზანშეწონილობის პირობა. არა-ცოცხალ ბუნებაში არასოდეს არ გვხვდება და მხოლოდ სიცოცხლისათვის არის სპეციფიკური (იხ. გვ. 177—178).

გ. ბიოსფეროში მიმდინარე ცვლილება „სიტუაციის“ ანუ „გაერთმთლიანებული განწყობილებების“ სახით ადამიანთან საფუძვლად ედება ცნობიერების მუშაობას, მაგრამ თვითონ არ არის ცნობიერების ფაქტი, რომელიმე მოვლენა ანუ განცდა. ამიტომ, როცა საკითხი ისმის ბიოსფეროს ცნობიერებასთან დამოკიდებულების შესახებ, ავტორი მას „ქ ვ ე ფ ს ი ქ ი უ რ ს ა ც“ უწოდებს; ცნობიერებასთან

მიმართებაში ბიოსფერო, მისი აზრით, ქვეფსიქიური სინამდვილეა (გვ. 179).

შენიშვნა: აქ საგულისხმოა შემდეგი დეტალი: თითქოს უფრო მართებული იქნებოდა, რომ ცნობიერებასთან მიმართებაში ბიოსფეროს დასახასიათებლად ავტორს ეხმარა ტერმინი „არაცნობიერი“, ან „ქვეცნობიერი“: მაგრამ იგი ასე არ მოიქცა და აღნიშნულ ცნობილ ტერმინებს „ქვეფსიქიური“ ამკობინა. — რატომ? ქვეფსიქიურიც ხომ ბოლოსდაბოლოს არაცნობიერია.

როგორც ცნობილია, არაცნობიერის ანუ ქვეცნობიერის გავრცელებულ თეორიების თანახმად ფსიქიკურის ორი სფერო არსებობს: ა. ფსიქიკური, რომელსაც ცნობიერი განცდები ქმნიან, — ე. ი. ცნობიერი ფსიქიკის სფერო, და ბ. ისეთი ფსიქიკური, რომელიც არაცნობიერ განცდებს შეიცავს. — ე. ი. არაცნობიერი ფსიქიკის სფერო. იმ პერიოდში, როცა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები იწერებოდა, დ. უზნაძე არ ეთანხმებოდა ამ დაყოფას: იგი გულისხმობდა, რომ ფსიქიკურს მხოლოდ ცნობიერი განცდის სახით შეუძლია არსებობდეს. — რომ ყოველი ფსიქიკური, როგორც განცდა, უთუოდ ცნობიერია და. მაშასადამე, არაცნობიერი ფსიქიკური განცდა შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნებაა, რაც შეეხება ბიოსფეროს, მართალია, როგორც „სუბიექტურის და ობიექტურის გაერთმთლიანებული განწყობილება“, იგივე არაცნობიერი მდგომარეობაა, მაგრამ ეს არაცნობიერი მდგომარეობა იმავე დროს არაა განცდა, ანუ არაფსიქიკურია: ფსიქიკასთან მიმართებაში იგი ქვეფსიქიურია და ცნობიერი ფსიქიკის მუშაობასაც, როგორც სწორედ ასეთი, ქვეფსიქიური არაცნობიერი მდგომარეობა საზღვრავს. ერთი სიტყვით, ბიოსფეროს დასახასიათებლად „ქვეფსიქიურის“ ტერმინით ავტორმა ხაზი გაესვა იმ მომენტს, რომ „არაცნობიერის“ (resp. ქვეცნობიერის) თეორიებისგან განსხვავებულთ. ბიოსფერო არა მარტო არაცნობიერი, არამედ ამის გამო, არც ფსიქიკური განცდაა ე. ი. „ქვეფსიქიურია“.

ამრიგად, Jmpersonalia-ში მითითებული ქვეფსიქიური „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლებშიც“ დარჩა და ახალი მხოლოდ ის იყო, რომ იმავე სინამდვილის დასახასიათებლად ავტორმა სხვა ტერმინებიც შემოიღო: სინამდვილეს, რომელშიც „სუბიექტურისა და ობიექტურის“ გაერთმთლიანების განწყობილება ჩნდება. „ბიოსფერო“ ეწოდა. თვითონ ამ „გაერთმთლიანების განწყობილებას“ — „სიტუაციას“ და „ქვეფსიქიურით“ აღინიშნა მხოლოდ მისი არაგანცდადი, არაფსიქიკური ხასიათი.

2. 1926 წელს ავტორმა გამოაქვეყნა თეორიული ხასიათის შრომა „აღქმა და წარმოდგენა“. მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილება არც ამ შრომაში შეიმჩნევა: ტერმინები — „ქვეფსიქიური“ და „ბიოსფერო“ დატოვებულია სავსებით წინანდელის მნიშვნელობით. ხოლო ნაცვლად „სიტუაციისა“ პირველად ნახმარია „განწყობა“, როგორც ქვეფსიქიურ-ბიოსფერული ცვლილების (ანუ: „სუ-

ბიექტურისა და ობიექტურის გაერთმთლიანებული მდგომარეობის“) აღმნიშვნელი ტერმინი. იგივე მდგომარეობაა 1927 წ. VIII საერთაშორისო ფსიქოლოგიურ კონგრესზე წარდგენილ მოხსენებაშიც: „მნიშვნელობის წვდომის პრობლემისათვის“ (Zum Problem der Bedeutungserfassung).

3. მნიშვნელოვანი და არსებითი ცვლილება განიცადა დ. უზნაძის კონცეპციამ იმ მომენტიდან, როცა მან საკითხების სისტემატური ექსპერიმენტული კვლევა იწყო. 1926--1928 წლებში ცდები ჩატარდა წნეხის ილუზიებზე³ და „განწყობის მოცულობის ილუზიებზე“⁴ პაპტური და ოპტიური აღქმის სფეროში. ამ ცდების საფუძველზე ავტორმა დაადგინა „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი“, რამაც, თამამად შეიძლება ითქვას, მთლიანად და არსებითად განსაზღვრა ავტორის მომავალი მუშაობის გეზი და განწყობის თეორიასაც მტკიცე ექსპერიმენტული დასაყრდენი მისცა. ავტორი მას იმდენად დიდი მნიშვნელობის ფაქტად თვლიდა, რომ საჭიროდ ჩათვალა დაუყოვნებლივ გამოექვეყნებინა იგი უცხო ენებზე: სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ მან იგი მოხსენების სახით წარუდგინა IX საერთაშორისო ფსიქოლოგიურ კონგრესს (Einstellungsanschlag als Grundlage der Kontrasttäuschungen. in: Ninth International Congr. of Psychology, 1929),—1930 წელს უფრო ვრცლად გამოაქვეყნა რუსულ ჟურნალში „Психология“ (т. III, в. 3) „к вопросу об основном законе смены установки“, შემდეგ გერმანულად: Über Gewichtstäusch. u. ihre Analoga (Psychol. Forsch. B. 14, 1931) და დასასრულ, 1938 წელს ქართულადაც: „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი“ (მასალები: ფსიქ. საზოგ. გაზოცემა, 1938).

დასახელებულ შრომებში „ქვეფსიქიური“ და „ბიოსფერო“ აღარ გვხვდება; ყველგან ნახმარია მხოლოდ ტერმინი „განწყობა“. თუმცა გადაჭრით არც ის ჩანს, უარყო ავტორმა თავისი წინანდელი შეხედულებები ქვეფსიქიურისა და ბიოსფეროს შესახებ. თუ უბრალოდ შემდეგისათვის გადასდო მათ შესახებ მსჯელობა და აქ

³ ა. ბოკორიშვილი, სიმძიმის ილუზიის ანალიზი ნოლის არეში, უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927.

⁴ გ. ხმალაძე, მოცულობის ილუზია, მასალები, I, 1938.

მხოლოდ განწყობის შეცვლის ექსპერიმენტული ფაქტების აღწერით დაკმაყოფილდა.

ვინაიდან საკითხი მართლაც სპეციალური ხასიათის იყო, შეიძლებოდა უფრო სარწმუნოდ მიგვეჩინა უკანასკნელი ვარაუდი, მაგრამ ამას არ ეთანხმება ავტორის სხვა შრომა: **Об актуальных задачах и теоретических основах психологии профессии**, რომელიც 1931 წელს დაიწერა და 1933 წ. გამოიცა. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, შრომა წარმოადგენს თეორიული ხასიათის გამოკვლევას და მიზნად ისახავს მოგვეცეს პროფესიის ანუ შრომის ფსიქოლოგიური კვლევის მეცნიერული დასაბუთება და ხერხები. ამიტომ, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, რომ აქ განსხვავებით ზემოთ დასახელებულ თავის ექსპერიმენტულ შრომებისგან, ავტორის აუცილებლად ესარგებლა თავისი ადრინდელი კონცეპციის ძირითადი ცნებებით და. პროფესიის ფსიქოლოგიის საკითხებზე მიყენებით, მათი შინაარსის სრული დახასიათება მოეცა. მაგრამ ნამდვილად ვითარება ასეთია: „ქვეფსიქიური“ და „ბიოსფერო“ არც აქ იხსენიება და საქმე ეხება მხოლოდ განწყობას, როგორც პროფესიის ფსიქოლოგიის ფუნდამენტალურ ცნებას, რომლის საფუძველზეც, ავტორის აზრით, პროფესიული კონსულტაციის, პროფესიული ორიენტაციის და პროფესიული შერჩევის ყველა ძირეული საკითხი უნდა გადაწყდეს; და საფულისძმო კიდევ ისიცაა. რომ განწყობის თეორიის თითქმის ყველა ძირითადი დებულება პირველად სწორედ ამ ნაშრომშია ფორმულირებული, მაგალითად: განწყობა როგორც „სუბიექტის მთლიანი მოდიფიკაცია“, რომელიც სიტუაციის გაუნაწევრებელ ასახვას წარმოადგენს. — როგორც „მოქმედებისათვის მზაობა“, როგორც „არარეალიზებული პოტენციალური გადაწყვეტა ამოცანისა“. როგორც „ფსიქოფიზიკურ ფუნქციათა აქტივაციის საფუძველი“; ქცევა, როგორც „განწყობის რეალიზაცია“. — ობიექტური სიტუაცია და მოთხოვნილება, როგორც განწყობის წარმოშობის აუცილებელი პირობები, — სოციალურად განსაზღვრული მოთხოვნილებები ადამიანთან, ვიტალური მოთხოვნილებები ცხოველთან და სხვ. (იხ. გვ. 27—41).

ამრიგად, დასტურდება შემდეგი: 1929—31 წლების განმავლობაში დაწერილ და გამოქვეყნებულ შრომებში ავტორი უკვე სხვა შეხედულებებისაა შედარებით იმასთან, რაც უკანასკნელად 1926 წლის შრომაში („აღქმა და წარმოდგენა“) ჰქონდა გამოთქმული:

განწყობის სახელწოდებით აღნიშნული სინამდევალე აღარაა მიჩნეული ქვეფსიქიურად და ბიოსფეროდ.

4. შემდეგ წლებში ავტორს არ შეუცვლია ეს შეხედულება: თუმცა კი კარგა ხანს არც იმის დადებითი დახასიათება მოუცია, თუ რა კატეგორიის ფაქტია განწყობა, როგორც ისეთი რამ, რომელიც არაა „ქვეფსიქიური“ და სუბიექტის „მთლიან მოდიფიკაციას“ წარმოადგენს! „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის“ მიგნების შემდეგ, თითქმის ათეული წლის განმავლობაში იგი დაინტერესებულ იყო მხოლოდ ფაქტის ექსპერიმენტული შესწავლით, რომელსაც მრავალი სხვა კანონზომიერებაც უნდა ემხილა. ამ მუშაობის შედეგია სამი შრომა: 1. „განწყობის ფსიქოლოგიისათვის“⁵, რომელიც შემდეგ, უფრო გავრცელებული სახით, გერმანულადაც გამოქვეყნდა⁶, — 2. „განწყობის ფსიქოლოგია“, რომელიც სპეციალური თავის სახით შეტანილ იქნა სახელმძღვანელოდ დაწერილ წიგნში — „ზოგადი ფსიქოლოგია“ (1940 წ.), და 3. „განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები“⁷.

5. კანონიერად გაჩენილ საკითხს, თუ რა კატეგორიის ფაქტია განწყობა, დ. უზნაძემ პასუხი გასცა ორ უკანასკნელ მონოგრაფიაში⁸.

5 თ. ს. უ. შრომები. VII, 1938, იგივე შრომა შემოკლებით დაიბეჭდა კრებაში „მასალები“, I. 1938.

⁶ Acta Psychologica, Vol. 4. №3. 1939.

7 თ. ს. უ. შრომები. XIX, 1941. — აღნიშნულ „შრომებში“ მოცემულია განწყობის მოქმედების დახასიათება: მისი ირადიაცია, ინტერმოდალური ერთიანობა, გენერალიზაცია, ფაზური მოქმედება და მისი ტიპები და ცვლილებები ფსიქიკური დაავადების შემთხვევებში. განწყობის შემუშავება ჰიპნოზის მდგომარეობაში, განწყობის ფიქსაცია წარმოდგენის საფუძველზე და სხვ.

8 განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, 1949, Основные положения теории установки.

განწყობის თეორიის ზოგად-ფსიქოლოგიური კონცეფციის სახით გაფორმებაში, რომელიც ავტორმა აღნიშნულ ნაშრომებში მოგვცა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორი შემდეგი ფაქტის აღმოჩენას: ა. განწყობის მხოლოდ და მხოლოდ ასიმილაციურ მოქმედებას რომელობითი ხასიათის გამლიზიანებელთა სიტუაციებში, რამაც ერთგვარი დასაბუთება მისცა „განწყობის შეცვლის ძირითად კანონს“. და ბ. ობიექტივაციას, — ფაქტს, რომელიც საფუძვლად დაედო მოძღვრებას ფსიქიკის მუშაობის ორი პლანის შესახებ და რომელმაც საშუალება მისცა განწყობის თეორიას ცხოველის ფსიქიკაც თავის გამგებლობის სფეროში მოექცია.

როგორც ვიცით, ნაცვლად „ქვეფსიქიკურისა“, რომლის თანახმად განწყობა არაცნობიერ, არაგანცდისეულ და ამიტომ, არაფსიქიკურ სინამდვილედ უნდა ყოფილიყო მიჩნეული, ავტორმა ახლა იგი ფსიქიკური კატეგორიის ფაქტად სცნო. განწყობა არაა რომელიმე სახის განცდა: ან შემეცნებითი, ან გრძნობითი ან ვოლტიური, მაგრამ, როგორც სუბიექტის მთლიანი მოდიფიკაცია, როგორც ტენდენცია ანუ „სამოქმედო მზაობა“, იგი მაინც ფსიქიკურია; ანუ სხვანაირად: განწყობა არ განიცდება, ამიტომ, იგი არაცნობიერი სინამდვილეა; მაგრამ სამაგიეროდ იგი ხომ განცდის, ამ ფსიქიკური აქტივობის მზაობაა, ე. ი. სუბიექტის ისეთი მდგომარეობა, საიდანაც და რის ძალითაც მისი ცნობიერი ფსიქიკური მოქმედება უნდა გაიშალოს, — და სწორედ ისე, როგორც ამას ეს „წინა-მდგომარეობა“ გულისხმობს. მაშასადამე, როგორც სწორედ ფსიქიკურ აქტივობისთვის მზაობა და არა სხვა რამ, განწყობაც ფსიქიკური კატეგორიის ფაქტია.

ამრიგად, აქ შეგვიძლია დავასკვნათ: დ. უზნაძის კონცეპცია განწყობის შესახებ ხანგრძლივი თეორიულ-ექსპერიმენტული მუშაობის შედეგია. „ქვეფსიქიკურის“ აღრინდელ ცნებიდან მას შერჩა მხოლოდ იდეა ცოცხალი არსების ისეთი „მდგომარეობისა“, რომელიც, როგორც „სუბიექტურისა და ობიექტურის გაერთმობიანებული განწყობილება“, გარემოს ზემოქმედების შედეგად იქმნება და მის ქცევებს საზღვრავს. ავტორმა ექსპერიმენტულად იკვლია ეს „მდგომარეობა“ და ბუნებრივი იყო, რომ ფრიად მდიდარი და მანამდე გაუთვალისწინებელი ფაქტების საფუძველზე მან იგი სხვანაირად გაიგო და სხვანაირადაც დაახასიათა. განწყობის თეორია „ქვეფსიქიკურის“ ცნების უარყოფაა და არა მისი განვითარება.

§ 2. ექსპერიმენტული ფაქტები და განწყობის შიგვლის ძირითადი კანონი

1. განწყობის ილუზიები. დ. უზნაძის განწყობის ზოგად-ფსიქოლოგიურ თეორიაში აღნიშნულ კანონს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი მისი კონსტიტუციური ნაწილია და არ შეიძლება მოწყდეს მას ისი. რომ მთლიანად თეორიაც არ შეიცვა-

ლოს. ვნახოთ ახლა, რატომაა იგი ასეთ განუყრელ კავშირში განწყობის თეორიასთან საერთოდ.

გამოსანახი იყო განწყობის კვლევის ექსპერიმენტული მეთოდი! იმის თანახმად, რასაც განწყობის ჩვეულებრივი, ჯერ კიდევ არაცნებითი შინაარსი გულისხმობს (ქცევის მიმართ რაღაც მდგომარეობის უწინარესობა და მისი გავლენა ქცევის მიმდინარეობაზე), მეთოდად შეიძლება გამომდგარიყო ადამიანის აქტივობის მხოლოდ ისეთი შემთხვევები, სადაც ადგილი ექნებოდა ერთი მოქმედების გავლენას მეორეზე. ამ თვალსაზრისით დ. უზნაძეს არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია იმ ფაქტებისათვის, რომელნიც ფსიქოლოგიაში კარგა ხანია განწყობის მოვლენებად იყვნენ ცნობილი. ასეთი იყო ფეხნერის და შარპანტიეს მიერ აღწერილი „სიმძიმისა“ და „მოცულობა-წონის ილუზიები“, რომელთაც მიუღერისა და შუმანის გამოკვლევების შემდეგ „მოტორული განწყობის ილუზიები“ ეწოდა. განწყობა, როგორც რაღაც ისეთი „წინმსწრობი“ „ანტიციპაციის მდგომარეობა“, რომელიც მომდევნო ქცევას საზღვრავს, ამ ილუზიებში სრულიად გარკვევით ჩანდა; მაგრამ, თანახმად „მოტორული განწყობის თეორიისა“, აქ იგი კერძობითის და ისიც მხოლოდ ერთი მოდალობით შემოსაზღვრულის, მხოლოდ კინესთეტიკურ-მოტორული მგრძობელობის მოვლენად გამოიყურებოდა და არა სუბიექტის მთლიან-პიროვნულ მდგომარეობად, არა ისეთ განწყობად (ცენტრალური ხასიათის ცვლილებად), როგორც ეს დ. უზნაძეს ესმოდა. მაშასადამე, იმისათვის, რომ აღწერილი ილუზიები ნამდვილი განწყობის (როგორც მთლიანი პიროვნული მდგომარეობის) საკვლევ მეთოდად გამომდგარიყო, პირველ რიგში ავტორს უნდა ეჩვენებინა მოტორული განწყობის ცნების უკმარობა, ე. ი. ის, რომ, თუმცა ფეხნერისა და შარპანტიეს „ილუზიებს“ განწყობა აჩენს, მაგრამ თვითონ ეს განწყობა არაა მოტორული, კუნთური მოვლენა და ნამდვილად სუბიექტის, როგორც მთელის. მოლიფიკაციას წარმოადგენს. დ. უზნაძემ რიგი ექსპერიმენტებით დაამტკიცა, რომ ეს მართლაც ასეა, და ამის საფუძველზე სათანადო მეთოდის — განწყობის, როგორც მთლიანი მდგომარეობის შემსწავლელი მეთოდის — შემუშავებაც შესძლო. გავიხსენოთ მოკლედ ეს ცდები.

ფეხნერის ცდა ასეთია: ცდ. პირი მრავალჯერ სწევს ხელით ორ საგანს: ჯერ მსუბუქს, შემდეგ მძიმეს, და ყოველთვის ადასტურებს, რომ მეორე უფრო მძიმეა. შემდეგ მას ეძლევა ორი თანაბარი სიმძიმის საგანი, მაგრამ როცა მათ ადარებს, თანასწორობას ვეღარ გრძნობს და წესისამებრ მეორე საგანი უფრო მჩატედ ეჩვენება, ვიდრე პირველი.

შარპანტიეს ცდა: როცა ორს, მოცულობით განსხვავებულს, მაგრამ სიმძიმისა და მასალის მხრივ ერთნაირ საგანს ურთიერთს ვადარებთ, წესისამებრ დიდი მოცულობის საგანი მჩატედ გვეჩვენება და პატარა — მძიმედ.

მიულერ-შუმანის თეორიის თანახმად სიმძიმის ილუზიის მიზეზი მოტორულ იმპულსშია: ყოველი საგნის თუ სიმძიმის ასაწევად გარკვეული „ოდენობის მოტორული იმპულსი იხარჯება, მაგრამ როცა ეს „ამწევი“ იმპულსი დიდი, საგანი ადვილად „მიფრენს ზევით“ (in die Luft Fliegen) და „მჩატედ“ გვეჩვენება, ხოლო როცა იგი საჭიროზე უფრო მცირეა, მაშინ საგანი თითქოს „საყრდენს ეწებება“ (an der Unterlage Kleben) და, პირიქით, „მძიმედ“ განიცდება: და სწორედ ამავე ფაქტთან გვაქვს საქმე ფეხნერისა და შარპანტიეს ცდებშიც: ა. ცდ. პირს ორი თანაბარი სიმძიმის საგნიდან უფრო მსუბუქად ეჩვენება მეორე, იმიტომ რომ წინა ცდების გავლენით მას უფრო მეტი იმპულსით წევს ზემოთ, ვიდრე პირველს; ბ. დიდი მოცულობის საგანი ცდ. პირს მჩატედ ეჩვენებდა და პატარა — უფრო მძიმედ, იმიტომ, რომ მათი აწევისას იგი გამოცდილებით ხელმძღვანელობს, ე. ი. დიდი საგნის ასაწევად, რომელიც გამოცდილების ანუ მოლოდინის თანახმად მძიმეც უნდა იყოს, ცდ. პირი მეტ იმპულსს ხარჯავს, ვიდრე პატარის ასაწევად, რის გამო პირველი (დიდი) უფრო ადვილად „მიფრენს ზევით“ და უფრო მსუბუქად განიცდება, ვიდრე მეორე (პატარა).

ასეთია მიულერ-შუმანის თეორია; სიმძიმის აღწერილი ილუზიები განწყობის ეფექტია, მაგრამ ისეთი განწყობის, რომელიც მთლიანად კუნთური წარმოშობისაა და მის ფარგლებს არ სცილდება.

დ. უზნაძეს ექვი შეაქვს განწყობის ასეთ გაგებაში. მისი აზრით, თუ განწყობა წმინდა მოტორული ხასიათის მოვლენაა, თუ მისი მოქმედების არე მხოლოდ კუნთებით განისაზღვრება, მაშინ ფეხნე-

რისა და შარპანტიეს ილუზიები „უნიკალურად“ უნდა იქნან მიჩნეული და. სადაც კი კუნთურ იმპულსებს და მათთან დაკავშირებულ „აფრენისა“ და „მიწებების“ მოვლენებს არ ექნებოდათ ადგილი, იქ არც ამ ილუზიების მსგავსი შემთხვევები უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. მაგრამ სინამდვილე სხვას გვიჩვენებს, და ავტორს საბუთად მოაქვს შემდეგი ექსპერიმენტული ფაქტები:

1. მოცულობა-წნევის ილუზია⁹ და წონა-მოცულობის ილუზია¹⁰, რომლებიც შარპანტიეს მოცულობა-წონის ილუზიის ანალოგებს წარმოადგენენ, მაგრამ გენეტიკურად არაერთად კავშირში არ არიან „აფრენისა“ და „მიწებების“ მოტორულ მოვლენებთან; —
2. ჰაპტური მოცულობის ილუზია, ოპტიკური მოცულობის ილუზია, წნევის, ბგერის, სინათლის და რიცხვის ილუზიები, რომლებიც ფეხნერის „სიმძიმის ილუზიის“ ანალოგებია, მაგრამ „აფრენისა“ და „მიწებების“ ფენომენთა არსებობის შესახებ ლაპარაკი აქაც გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს¹¹.

ავტორის აზრით, ილუზიების ეს დაჯგუფება პირობითია, რადგან, არსებითად, პირველი ჯგუფის ილუზიებიც იმავე გზით მიიღება, რა გზითაც მეორე. მართლაცდა, როგორც ვიცით, გ. მიულერმა შარპანტიეს ილუზია ფეხნერისაზე დაიყვანა იმ საბუთით, რომ, რასაც პირველის წარმოშობაში საგნის მოცულობის აღქმა აკეთებს, იმასვე აკეთებს მეორის წარმოშობაში განსხვავებული სიმძიმეების მრავალჯერ განმეორებით აღქმა! მაგრამ მაშინ, ამავე პრინციპით, „მოცულობა-წნევის ილუზია“ მეორე ჯგუფის „წმინდა წნევის“ ილუზიაზე დაიყვანება და „წონა-მოცულობისა“ კი „ჰაპტური მოცულობის“ ილუზიაზე და, ამრიგად, ვიღებთ ნაირ-ნაირ ილუზიებს. რომელთაც ბოლოს და ბოლოს ერთნაირი წარმოშობა აქვთ. — ისმის საკითხი: რა შეიძლება ვიგულოთ მათი ამ ერთნაირი წარმოშობის“ წყაროდ? მოტორული იმპულსი („აფრენა“-„მიწებებ“)?! არა, რადგან, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ასეთი რამ ბევრ ილუზიაში სრულიად არ დასტურდება. და აი, ავტორი ყურადღებას აქცევს შემდეგ გარემოებას.

⁹ ა. ბოკორი შვილი, Op. cit.

¹⁰ გ. ხმალაძე, Op. cit.

¹¹ დ. უხანაძე, განწყობის ფსიქოლოგიისათვის, თ. ს. უ., VII, 1938.

ყოველი ზემოთ აღწერილი ილუზიის წარმოშობა ზოგადად ასეთია: სუბიექტზე ვმოქმედებთ ორი განსხვავებული სიდიდის (დიდი—პატარა, ძლიერი—სუსტი) გამლიზიანებლის მრავალჯერ განმეორებით, და როცა შემდეგ მას ტოლ გამლიზიანებლებს ვაძლევთ იგი ამ ტოლებსაც უტოლოდ, ე. ი. ილუზიურად აღიქვამს. ვინაიდან ყველა ილუზია მხოლოდ ამ მრავალჯერ განმეორების შედეგად ჩნდება, ამიტომ მათი მიზეზიც ამ განმეორებაში უნდა ვივლევოთ: უტოლო გამლიზიანებლების მრავალჯერ ზემოქმედება სუბიექტს უმუშავებს დიდი-პატარა ობიექტების აღქმისადმი განწყობას და ამიტომაც, რომ შემდეგ მას ტოლი ობიექტებიც არატოლად (დიდი—პატარად ან პატარა—დიდად) ეჩვენება.

ამრიგად, ყველა ზემოთ აღწერილი ილუზიის წყარო და მიზეზი სუბიექტის განწყობაშია, და რაკი ეს განწყობა ყველა ილუზიის შემთხვევაში ჩნდება. ამიტომ იგი აღარ შეიძლება იყოს მხოლოდ მოტორულად განსაზღვრული განწყობა. როგორც ყველა ილუზიის წყარო და საფუძველი, იგი თითოეულ შემთხვევაში მთლიანი სუბიექტის მოდიფიკაციაა, მთლიანად მისი სამოქმედო მზაობა. რომელიც მოტორულიც ისევე შეიძლება იყოს, როგორც არამოტორული.

განწყობის ილუზიების აღმოჩენამ, გააჩინა რა აზრი განწყობის „მთლიანი პიროვნული ხასიათის“ შესახებ, დასაბამი მისცა სპეციალურ ცდებსაც ამ მიმართულებით: დადასტურდა, რომ ერთ კორესპონდირებულ ორგანოში (ერთ ხელში, ერთ თვალში) ან მგრანობელობის ერთ მოდალობაში (ვთქვათ, პაპტურში) შეეშუშებული განწყობა, შესაფერისად, მეორე ორგანოშიც და სხვა მოდალობაშიც (მაგალითად, ოპტიკურში) ავლენს თავის მოქმედებას; და, ამრიგად, დამტკიცდა, რომ ყოველი განწყობა სწორედ სუბიექტის, როგორც მთელის, განწყობაა და არა მისი რომელიმე პერიფერიული ორგანოსი.

ფენხერისა და შარპანტიეს ილუზიის გარდა რომ სხვა ილუზიებიც არსებობს და ყველა ეს ილუზია ცალცალკე და „ერთხმად“ იმისკენ უთითებს, რომ სუბიექტს გარკვეულ აღქმისადმი განწყობა ექმნება, — ამის მიგნება და ექსპერიმენტულად ჩვენება ქეშმარიტად დიდი მნიშვნელობის ფსიქოლოგიური აღმოჩენა იყო. ილუზია „ილუზიაა“. მაგრამ აქ ხომ იგი ადამიანის აღქმის აქტი ობ ში ხდება! და თუ აღქმას, — ადამიანის ამ ფუნდამენტალურ აქტივობას

ესეთი რამ მოსდის, რომ იგი განწყობის უეჭველ ფაქტსა და მნიშვნელობას გვიდასტურებს, მაშინ ამ განწყობის საკვლევად ყოველ სხვა აქტივობისკენაც გზა ხსნილი ჩანს და, ამრიგად, ცოცხალი არსების, როგორც მთლიანის, შესწავლის მეთოდი მონახულად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ, ავტორის აზრით, განწყობის ილუზია რომ მთლიანი სუბიექტის შესწავლის მეთოდად გამომდგარიყო, ამისათვის კიდევ ერთი არსებითი მნიშვნელობის ფაქტი უნდა დადასტურებულყო.

2. განწყობის ასიმბლაციური მოქმედება და კონტრასტული ილუზიის პრობლემა. — ცდ. პირს ეძლევა ორი სიდიდით ან ინტენსიობით მკვეთრად განსხვავებული გამლიზიანებელი გარკვეული სივრცითი განლაგებით: ვთქვათ, ტაქისტოსკოპურად მარცხნივ დიდი და მარჯვნივ პატარა წრე, ან პაპტურად: მარცხენა ხელში დიდი ბურთია და მარჯვენაში პატარა. ყოველი ასეთი წყვილი გამლიზიანებლის მრავალჯერ (10—15-ჯერ) აღქმის შედეგად ცდ. პირს უმუშავდება (უფიქსირდება), მათი უტოლობის გარკვეული სივრცითი მიმართულებით, აღქმის განწყობა, — ე. ი. მარცხნივ დიდისა და მარჯვნივ პატარას აღქმის განწყობა (საგანწყობო ცდა); და როცა ამის შემდეგ მას ტოლ გამლიზიანებლებს აწვდიან (ორ ტოლ წრეს, ბურთებს), იგი ამ ტოლებსაც კარგახანს აღიქვამს როგორც არატოლებს (კრიტიკული ცდა). ერთი სიტყვით, დიდ-პატარა სიდიდეების გარკვეული მიმართულებით აღქმის განწყობა გავლენას ახდენს ტოლი სიდიდეების აღქმაზე: სუბიექტს ილუზია მოსდის, მას ეჩვენება, რომ ერთი მათგანი დიდია მეორეზე. ასეთია განწყობის კვლევის მეთოდი საერთოდ რაოდენობითი ხასიათის გამლიზიანებელთა სფეროში.

აღნიშნული მეთოდით ჩატარებულმა ცდებმა ყველა მოდალობაში მოქმედი გამლიზიანებლების მიმართ ორგვარი ილუზია ანუ მცდარი აღქმა უჩვენა: 1. კონტრასტული ილუზია, როცა კრიტიკული ცდის ტოლი ობიექტებიდან სუბიექტს დიდი ეჩვენება იმ მხარეს, სადაც საგანწყობო ცდაში მულამ პატარა ობიექტს აღიქვამდა, ე. ი. ჰქონდა, ვთქვათ „დიდ-პატარას“ (resp. მარცხნივ დიდისა და მარჯვნივ პატარას) აღქმის განწყობა და ტოლი ობიექტები არატოლად აღიქვა ამ განწყობის საწინააღმდეგოსივ-

რ ც ი თ ი მი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ როგორც „პატარა-დიდი“ (როგორც მარცხნივ პატარა და მარჯვნივ დიდი), 2. ა ს ი მ ი ლ ა ც ი - უ რ ი ი ლ უ ზ ი ა, როცა ტოლ ობიექტებიდან სუბიექტს ერთი დიდად ეჩვენება იმავე მხარეზე, რა მხარეზეც საგანწყობო ცდაშიც მუდამ დიდ ობიექტს იღებდა — ე. ი. ჰქონდა „დიდ-პატარას აღქმის განწყობა“ და ტოლი ობიექტებიც ამ განწყობასთან მიმსგავსებით აღიქვა, როგორც აგრეთვე „დიდ-პატარა“, და არა მისი მიმართულების საწინააღმდეგოდ, როგორც „პატარა-დიდი“. მაგრამ წარმოშობის მხრივ ეს ილუზიები ერთნაირი სიხშირის არ აღმოჩნდნენ: დადასტურდა, რომ კრიტიკული ცდის პირველ ექსპოზიციებში, კარგახანს და თითქმის უგამონაკლისოდ თავს იჩენს მხოლოდ კონტრასტული ილუზია (ე. წ. I ფაზა); შემდეგ ჩნდება ასიმულიაციური ილუზიაც, მაგრამ, წესისამებრ, მხოლოდ აქა-იქ გამორევით, ე. ი. კონტრასტულ ილუზიებთან და სწორ შეფასებებთან მონაცვლეობით და არა ზედიზედ თანმიყოლებით (II—III ფაზა); სოლო ამას მოსდევს ზედიზედ სწორი შეფასების (ტოლობის დადასტურების) შემთხვევები და ამით განწყობის მოქმედებაც აღიკვეთება.

საქმის ვითარების უფრო ნათლად წარმოდგენის მიზნით საკიროა ვიცოდეთ. თუ როგორია აღნიშნული შეფასებების სიხშირე იმ ცდებში, რომლებიც დღემდეა ჩატარებული (იხ. ცხრ. 1)¹².

ცხრილი 1

ცდები №№	განწყობის მოქმედება ნოდალობებში	შ ე ფ ა ს ე ბ ე ბ ი			
		+	-	=	?
1.	წნევის ნოდალობაში	45,6	25,0	15,0	14,4
2.	სმენის "	57,0	19,0	21,0	3,0
3.	სინათლის "	56,6	16,6	21,6	5,2
4.	მარჯვენა ხელიდან მარცხენაში	60,0	23,5	16,5	—
5.	მარჯვენა ხელიდან მარცხენაში	56,0	32,0	12,0	—
6.	მარცხენა ხელიდან მარჯვენაში	64,0	24,0	12,0	—
7.	თვალიდან თვალში	69,8	7,0	23,2	—
8.	ხელიდან თვალში	48,0	8,4	21,6	22,0
9.	ოპტიკურში	76,0	9,9	14,1	—
10.	ჩატურში	96,4	—	3,6	—
საშუალო		62,9	16,5	16,1	4,5

¹² პირველი რვა ცდა ცხრილში მოტანილია მონოგრაფიიდან „განწყობის-ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“. ოღონდ მესამე ცდის გაურკვეველ პასუხთა (?) გრაფაში %-ული მაჩვენებელი 5, 2 (ნაცვლად 3,2 %-ისა

ცხრილი გვიჩვენებს, რომ „გაუტრეკველი პასუხები“ (?) ძალზე იშვიათია. იშვიათია აგრეთვე ასიმილაციებიც ($m=16,5\%$) და სწორი პასუხებიც ($m=16,1$) და დიდ უმრავლესობას შეადგენენ მხოლოდ კონტრასტის შემთხვევები ($m=62,9\%$), რომელნიც ზოგჯერ, — როგორც მაგალითად, სიდიდეთა პაპტურ შედარებისას, — განწყობის მოქმედების თითქმის ერთადერთი ეფექტის სახითაც კი ჩნდებიან.

ამრიგად ჩატარებულმა ცდებმა ავტორს უჩვენა, რომ რაოდენობრივი მასალით შექმნილი განწყობა ძირითადად კონტრასტულ ილუზიებს აჩენს და, მაშასადამე, თავის საკუთარი შინაარსის კონტრასტულად მოქმედებს. რა თქმა უნდა, ავტორისათვის უეჭველი იყო, რომ ეს კონტრასტული ილუზიები, ისე ვერ გაჩნდებოდნენ, რომ ცდ. პირს წინასწარ სიდიდით განსხვავებული ობიექტები მრავალჯერ არ აღექვა და, მაშასადამე, სათანადო განწყობა არ შექმნოდა საგანწყობო ცდებში; მაგრამ, თუ რატომ უნდა ემოქმედა მას კონტრასტულად და არა, პირიქით, მხოლოდ ასიმილაციურად, ეს მაინც პირველ რიგშივე გასარკვევი საკითხი იყო, რის გარეშეც განწყობის მეთოდზე და, აქედან საერთოდ, განწყობის თეორიაზე ლაპარაკი სრულიად დაუსაბუთებელი იქნებოდა. ისმის კითხვა: რა არის კონტრასტულ ილუზიაში ისეთი, რაც მას პრობლემად აქცევს და თეორიასაც საკითხის ქვეშ აყენებს?

თუ კონტრასტული ილუზია სათანადოდ არ გაიგე შინაარსულად, იგი არა თუ განწყობის ეფექტად არ ჩანს, არამედ დიამეტრალურადაც კი ეწინააღმდეგება მას; და ვინაიდან აღწერილ ცდებში ძირითადად ეს ილუზიაა წარმოდგენილი და ასიმილაცია კი. თავის იშვიათობის გამო, უბრალოდ „დაკვირვების შეცდომად“ შეეძლო კაცს ეგულისხმა, ამიტომ განწყობის მეთოდიდანაც, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით კონტრასტის ფაქტს ემყარება, თითქოს

მონოგრაფიის მიხედვით) მოტანილია შრომიდან Untersuchungen zur Psychol. d. Einstellung (Acta Psychologica), სადაც ავტორს შესწორება მოუხუენია და, რა თქმა უნდა, სრულიად მართებულია. იგივე ცდის გაუტრეკველ პასუხთა 22 %-იც აგრეთვე ამ შრომიდანაა აღებული (მონოგრაფიაში იგი გაწოჩენილია). უკან სკვლეა ორი ცვა ($r=1$) მოტანილია შრომიდან „К вопросу об о:нозисо и законе смешны установкн“.

ცხრილში „+“-ით აღინიშნება კონტრასტი, „-“-ით ასიმილაცია, „=“-ით სწორი შეფასება.

სრულიად აღარაფერი რჩება და თეორიასაც ექსპერიმენტული დასაყრდენი ეცლება. დ. უზნაძემ განწყობის პრობლემატიკაზე მუშაობის დასაწყისშივე მიუხვდა კონტრასტულ ილუზიის ამ თეორიულად „სახიფათო მომენტს“ და საჭიროდ ჩასთვალა საგანგებოდ ეკვლია იგი. საქმე შემდეგაა.

ყოველი განწყობა, როგორც სწორედ განწყობა ანუ მზაობა მოქმედებისადმი, მხოლოდ იმას შეიძლება აკეთებდეს, რისი მზაობაც თვითონ არის: სუბიექტს აქვს განწყობა გარკვეული საგნის აღქმისა — დანახვის, მოსმენის, ან გარკვეული მოძრაობის შესრულებისა! და ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ იგი დაინახავს სწორედ იმ საგანს, მოისმენს იმას და შეასრულებს სწორედ იმ მოძრაობას. რისი განწყობაც ჰქონდა; ხოლო ისეთი განწყობა. რომელიც სუბიექტს ისეთ რასმეს გააკეთებინებდა, რისი განწყობაც თვითონ არ არის, შეუძლებელია არსებობდეს. რა თქმა უნდა. ხშირად ხდება ხოლმე. როცა სუბიექტს აი, ამ მოქმედების განწყობა აქვს და ნამდვილად სულსხვა მოქმედებას ასრულებს; მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს მსჯელობას. რადგან ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ის ხდება. რომ გარკვეული მოქმედების განწყობას სხვა მოქმედების განწყობა ცვლის და მხოლოდ ეს უკანასკნელი ახერხებს რეალიზაციას. ერთი სიტყვით საქმის ვითარება ასეთია: განწყობა შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ იმ მოქმედებაში. რა მოქმედების მზაობაც თვითონ არის. ხოლო ისეთი განწყობა კი. რომელიც ერთი მოქმედების მზაობაა და სხვა მოქმედებაში ვლინდება. ამსურდია; იგი შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნება იქნებოდა.

ზემოთქმულიდან გასაგები ხდება, თუ როგორი და რა ხასიათის უნდა იყოს ის შეცდომები ანუ ილუზიები. რომელნიც ადამიანს ჩვეულებრივად განწყობის ძალით მოსდის. აქ შეიძლება გავიხსენოთ კ. მარბეს ცნობილი მაგალითი: ერთმა მონადირემ იმ მიდამოებში, სადაც ნადირს უნდა შეხვედროდა, ქალი ნადირად, გარეულ ღორად აღიქვა (მოეჩვენა) და მოჰკლა¹³. ეს მაგალითი მას მოჰყავს სწორედ იმის საჩვენებლად, თუ როგორ მოქმედებს განწყობა და რა ხასიათის შეცდომებს ბადებს იგი. მონადირეს ნადირობის სი-

¹³ Marbe, K. Ueber Einstellung und Umstellung. Zang. Psychol. B. 25, H. 1—2, 1925.

ტუაციაში, ცხადია, „ნადირის აღქმის განწყობა“ ჰქონდა და ამიტომ ქალი ნადირად მოეჩვენა და შესაფერისი ქცევაც შეასრულა. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ აღნიშნულ განწყობას, როგორც შინაარსეულად „ნადირის აღქმისადმი მზაობას“, ამ თავის შინაარსთან მიუმზავსებია ანუ გაუთიგოვებია გარეგამლიზიანებლის შინაარსიც (ქალი), ე. ი. მოუხდენია მისი ასიმილაცია და, ამრიგად, საბედისწერო შეცდომაც, ანუ ილუზიური აღქმა (აღამიანის ნაცვლად ნადირისა) სწორედ მის ასეთ ასიმილაციურ მოქმედებას გამოუწვევია.

განწყობის მოქმედება აღწერილის ნაირია ყველგან და ყველა შემთხვევაში. სადაც კი იგი შეცდომებს, ანუ ილუზიურ აღქმებს ბადებს; სხვანაირი მოქმედება, თუ არა ასიმილაციური, მას ბუნებრივად არ შეუძლია, და მარბემაც თავის მაგალითში სწორედ ეს გარემოება გახაზა¹⁴. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგიც: განწყობის ასიმილაციურ-ილუზიურ მოქმედებასაც საზღვარი აქვს. როცა მას სავსებით ადეკვატურს ანუ „თავის სიტუაციაში“ უხდება მოქმედება, სადაც მისამზგავსებელიც არაფერია, მაშინ იგი სწორ აღქმებს ბადებს. და ილუზიებს მხოლოდ იქ აჩენს, სადაც გარე გემლიზიანებლის (სიტუაციის) შინაარსი მისი შინაარსის მსგავსია, ე. ი. სადაც მიმსგავსება შესაძლებელია. მაგრამ, როცა ობიექტური სიტუაცია არც ადეკვატური და არც მსგავსია, როცა იგი სრულიად პეტეროგენულია განწყობის შინაარსთან, მაშინ უკანასკნელი ინაქტიური რჩება. მართლაც და, სანადირო სიტუაციაში რომ ქალი თავისთავად ნათლად დასანახი ყოფილიყო, განწყობაც მისი ნადირთან მიმსგავსებას ვერ შესძლებდა და უმოქმედო დარჩებოდა; მაგრამ როგორც მარბეს აღწერიდან ჩანს, ქალი შორს იყო და თანაც წინ წახრილ, დაღუნულ მდგომარეობაში, ასე რომ მონადირისათვის დასანახი იყო მისი სხეულის მხოლოდ დორსალურად წაგრძელებული ნაწილი და, რა თქმა უნდა, რომ ასეთი შინაარსის განწყობისეულად, ნადირის სახით აღქმას ხელს არაფერი შეუშლიდა. ერთი სიტყვით, ფაქტი ასეთია: განწყობის მოქმედება მხოლოდ მიმ-

¹⁴ კ. წარბეს სკოლაში განწყობის კვლევა მხოლოდ მის ასიმილაციურ მოქმედებას გულიანობდა, და კლარტისა და ცილიგის მიერ შედგენილი ექსპერიმენტული მეთოდოკაც სწორედ ისეთი იყო, რომ მათ ცდებში შექმნილი განწყობა მხოლოდ და მხოლოდ ასიმილაციურ ილუზიებს იძლეოდა.

სგავსებით-ასიმილაციური შეიძლება იყოს, და ობიექტურ ვითარებაში იგი ისეთ რამეს ვერ დაგვანახებს, რაც მის შინაარსში „მზაობის“ სახით არ იგულისხმება ან მისი საწინააღმდეგოა.

დავუბრუნდეთ ახლა დ. უზნაძის ცდებს.

როგორც აღვნიშნეთ, დასტურდება ორგვარი ილუზია: ასიმილაციური და კონტრასტული. ასიმილაციური ილუზიაა, როცა საგანწყობო ცდების შედეგად სუბიექტს განწყობა აქვს აღიქვას. ვთქვათ, „მარცხნივ დიდი წრე და მარჯვნივ პატარა“ და მისი გავლენით კრიტიკულ, ტოლი წრეების სიდიდესაც, როგორც არატოლთ. ამავვე სივრცითი მიმართულებით განიცდის. ე. ი. მარცხენა წრე დიდად ეჩვენება და მარჯვენა პატარად. ეს ილუზია თავის წარმოშობით და შინაარსით სავსებით ისეთია, როგორიც ზემოთ, მარბეს მაგალითის ანალიზმა გვიჩვენა: სუბიექტი წინასწარ განწყობილია მარცხნივ დიდი წრე დაინახოს და ეს განწყობა იასიმილირებს ანუ თავის შინაარსთან აიგივებს ობიექტურ სინამდვილიდან მოქმედ გამლიზიანებელს.

ამრიგად. დახასიათებიდან ნათლად ჩანს, რომ განწყობის ცდებში ასიმილაციური ილუზია უჩვეულოსა და რამე სპეციალურად გასარკვევს არ შეიცავს; აქაც, იგი განწყობის ბუნებით ნაკარნახევი ილუზიაა. მისგან აუცილებლობით გამომდინარე, მისი მოქმედების უშუალო ეფექტი და მხოლოდ მის საფუძველზევე გასაგები. მაგრამ იგივე არ ითქმის კონტრასტული ილუზიის შესახებ.

ცდის პირს აქვს „მარცხნივ დიდი წრის აღქმის“ განწყობა. მაგრამ ტოლი წრეებიდან მას დიდად ეჩვენება წრე არა მარცხნივ. როგორც ეს ასიმილაციური ილუზიის შემთხვევაში ხდება ხოლმე. არამედ მარჯვნივ. მაშასადამე. აქ ილუზია, შინაარსეულად. საწინააღმდეგო ანუ კონტრასტულია იმის. რასაც თვითონ განწყობა გულისხმობს; განწყობა ერთია და ეფექტი კი სულ სხვა. — თითქოს ეს ეფექტი სხვა მიზეზს წარმოუქმნია და თვითონ განწყობიდან აღარ მომდინარეობს. და, აი. სწორედ ამ გარემოებამ დააყენა დ. უზნაძის წინაშე საკითხი. იუ რა არის ნამდვილად კონტრასტული ილუზია და რატომ ჩნდება იგი განწყობის ცდებში. ერთი სიტყვით, ასიმილაციური ილუზია თავისთავადაც გასაგები ფაქტია, და ავტორისათვის ასახსნელი იყო მხოლოდ კონტრასტი, რომლის სათანადო გაგებას განწყობის ამ ილუზიებით კვლევის მეთოდი უნდა დაესაბუთებინა. როგორ გადაჭრა მან ეს საკითხი?

3. კონტრასტული ილუზიის ახსნა და განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი. კონტრასტის ახსნის პრობლემა პირველად დ. უზნაძეს არ დაუსვამს. უფრო ადრე იგი გ. ე. მიულერმა დასვა და მისი გადაწყვეტაც „განწყობის მოტორული თეორიის“ საფუძველზე სცადა. ეს უცნაურად არ უნდა გვეჩვენოს, რადგან მოტორული განწყობა მაინც განწყობაა და, რაკი მისი მოქმედება კონტრასტული იყო, მიულერიც, ცხადია, მიხვდა, რომ ახსნას სწორედ ეს კონტრასტი საჭიროებდა. მოკლედ, ვითარება ასეთია:

ფენხერის სიმძიმის ილუზია კონტრასტული ილუზიაა: ცდ. პირს განწყობა აქვს მძიმე საგანი ასწიოს და, როცა მას მსუბუქ საგანს აძლევენ, უკანასკნელი უფრო მსუბუქად ეჩვენება, ვიდრე იგი ნამდვილად არის. ცხადია, ისე რომ მომზდარიყო, რომ მძიმე საგნის შემდეგ სუბიექტს მსუბუქიც მძიმედ მოჩვენებოდა, ეს იქნებოდა ასიმულიაციური ილუზია — განწყობის ასიმულიაციური მოქმედება. — და მაშინ მიულერს ასახსნელიც აღარაფერი ექნებოდა. მაგრამ ფაქტი საწინააღმდეგო აღმოჩნდა: მძიმე საგნის აწევის შემდეგ მსუბუქი კიდევ უფრო მსუბუქად განიცდებოდა (ან პირიქით), და ეს კი, როგორც განწყობის საწინააღმდეგო ფაქტი, უკვე ასხსნაც მოითხოვდა; და აი სწორედ განწყობის ამ ფაქტის ასახსნელად შეიმუშავა მან „განწყობის მოტორული თეორია“. თ ა ნ ა ხ მ ა დ გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს ა, მძიმე საგნის აწევის შემდეგ მსუბუქი საგანიც „მძიმედ“ უნდა განცდილიყო და პირუკუ: მსუბუქის შემდეგ მძიმეც მსუბუქად უნდა მოგვეჩვენებოდა, მაგრამ საწინააღმდეგოდ რომ ზდება, ეს თვითონ ა წ ე ვ ი ს მ ო ტ ო რ უ ლ ი ი მ პ უ ლ ს ი ს თ ა ნ ა შედეგია! მაგალითად: მძიმე საგნის აწევით გვიმუშავდება „დიდი ანუ ძლიერი იმპულსით აწევის განწყობა“ და, როცა შემდეგ ამ განწყობის გამო მსუბუქ საგანსაც დიდი იმპულსით ვწევთ, იგი ადვილად „მიფრენს ზევით“ და ესაა მიზეზი, რომ იგი მთლად მსუბუქად გვეჩვენება; ანდა პირუკუ: მსუბუქი საგნის მრავალჯერ აწევის შემდეგ მძიმე საგანი თითქოს „საყრდენს ეწებება“ და ამიტომ უფრო მძიმედ განიცდება. ერთი სიტყვით, მიულერს „მოტორული განწყობის თეორია“ კონტრასტის ასახსნელად დასჭირდა.

მაგრამ დ. უზნაძე არ დაეთანხმა ამ ახსნას. მისი აზრით, თუ ძლიერი იმპულსით აწეული მსუბუქი საგანი, ნაცვლად „მძიმედ“ განცდისა. კიდევ უფრო მსუბუქად (resp. კონტრასტულად) გვეჩვენება.

ნება იმ მიზეზით, რომ საგანი ადვილად „მიფრენს ზევით“, მაშინ კონტრასტული ილუზია უშუალო ეფექტი ყოფილა არა თვითონ განწყობის, არამედ „ზევით აფრენის“ იმ ფენომენის, რომელიც განწყობისა და კრიტიკული გამღიზიანებლის შეხვედრის მომენტში ჩნდება. ე. ი. იგი ყოფილა მხოლოდ თანმხლები, არაპირდაპირი შედეგი განწყობისა და არა უშუალოდ მის მიერ წარმოქმნილი ეფექტი¹⁵. მაგრამ, ავტორის აზრით, მთელს ამ მსჯელობას უვარჯისად ხდის ის, რომ კონტრასტული ილუზიები ჩნდებიან იქაც. სადაც განწყობა არაა მოტორული და, მაშასადამე, არც „აფრენისა“ და „მიწებების“ მოვლენებს აქვთ ადგილი.

ამრიგად, მიუღერის თეორიის გაკრიტიკების შემდეგ დ. უზნაძემ კვლავ დააყენა საკითხი კონტრასტული ილუზიის წარმოშობის შესახებ და, რა თქმა უნდა, უფრო ფართო ექსპერიმენტული მასალის საფუძველზეც, ვიდრე ეს აღნიშნულ თეორიას შეეძლო.

წარმოებულ კრიტიკიდან ცხადია, თუ რა მიმართულებით უნდა ეძია მას ამ საკითხის გადაწყვეტა. კონტრასტული ილუზიის მეთოდი — ან. უკეთ რომ ვთქვათ. ცდა, რომელიც უპირატესად განწყობის კონტრასტულ მოქმედებას უჩვენებდა. მხოლოდ იმ პირობით გამოდგებოდა განწყობის ექსპერიმენტული კვლევის მეთოდად, თუ დამტკიცდებოდა, რომ კონტრასტიც ისეთივე უშუალო ეფექტია განწყობისა, როგორც ასიმილაცია, და რომ, მაშასადამე, არსებითად იგიც განწყობის ასიმილაციური მოქმედებაა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის საჭიროებამ ავტორს შთააღონა „განწყობის შეცვლის“ ორიგინალური იდეა. რომელიც შემდეგ „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის“ სახელწოდებით. საღუძვლად დაედო რიგი პრობლემის ექსპერიმენტულ კვლევას. ვნახოთ ახლა, როგორ მივიდა იგი ამ კანონის აღიარებამდე.

ცდ. პირს გავუფიქსირეთ (ტაქსტორპეტრად) განწყობა „მარცხნივ დიდისა და მარჯვნივ პატარა წრის აღქმისა“ ანუ მოკლედ: „დიდი-პატარას“ განწყობა; და როცა შემდეგ ტოლი წრეები ვუჩვენეთ, მან იგი აღიქვა არა როგორც „დიდი-პატარა“, — ე. ი. შექმნილი განწყობის ასიმილაციურად. — არამედ საწინააღმდეგო სივრცითი მიმართულებით, როგორც „პატარა-დიდი“, ანუ განწყობის კონტრასტულად. ერთი სიტყვით, გვექონდა „დიდი-პატარას“

¹⁵Untersuchungen zur Psychologie der Einstellung, გვ. 33. — 333.

აღქმის განწყობა და ეფექტის სახით კი მივიღეთ საწინააღმდეგო „პატარა-დიდის“ აღქმა.

ზემოთ ჩვენ ვუხევენ, რომ, რადგან ყოველმა განწყობამ მხოლოდ ის შეიძლება დაგვანახოს, რისი დანახვის მზაობაც იგია, ამიტომ, მისი მოქმედება მუდამ მხოლოდ ასიმილაციური შეიძლება იყოს. მაშასადამე, ამ ერთადერთი სწორი თვალსაზრისის მიხედვით უნდა ვთქვათ, რომ „პატარა-დიდის“ აღქმა, როგორც „დიდი-პატარას განწყობის“ მიმართ არაა ასიმილაციური, საწინააღმდეგო ანუ კონტრასტული ილუზია, არ შეიძლება ამ განწყობის უშუალო ეფექტი იყოს, თუმცა კი მის შედეგად ჩნდება. მაგრამ მაშინ კანონიერია საკითხი: რა აჩენს მას?

თანახმად დებულებისა, რომ ყოველი განწყობა მხოლოდ ასიმილაციურად მოქმედებს, უნდა ვივულისებოთ, რომ ტოლი წრეების „პატარა-დიდად“ აღქმასაც თავისი შესატყვისი. ადეკვატური განწყობა უნდა აჩენდეს. — ე. წ. „პატარა-დიდის აღქმის განწყობა“, რომლის მიმართ იგი უკვე ასიმილაციური და არა კონტრასტული ილუზია იქნებოდა. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ აღწერილ ცდაში საქმე გვექონია პირველი განწყობის შეცვლასთან მეორე, მისი საწინააღმდეგო განწყობით. სახელდობრ: მარცხნივ დიდისა და მარჯვნივ პატარა წრეების მრავალჯერ ექსპოზიციით (საგანწყობო ცდებში) სუბიექტს უფიქსირდება „დიდი-პატარა“ აღქმის განწყობა“, და როცა შემდეგ მას ტოლი წრეები ეძლევა (კრიტიკულ ცდაში), ეს განწყობა ირღვევა და მის ნაცვლად საწინააღმდეგო „პატარა-დიდის განწყობა ჩნდება“, რომლის საფუძველზეც ტოლი წრეებიც, — ასიმილაციური ილუზიის სახით, — „პატარა-დიდი“ წრეებად აღქმება. ერთი სიტყვით. ტოლი წრეების ილუზორულად აღქმა კონტრასტული ჩანს მხოლოდ პირველი, შეცვლილი განწყობის მიმართ, თორემ მეორე შემცვლელი განწყობის მიმართ იგი ნამდვილი ასიმილაციური ილუზიაა. ამრიგად, არ არსებობს კონტრასტული ილუზია; ზემოთაღწერილ ცდებში კონტრასტული ილუზიები წარმოშობით ყველა ასიმილაციურია, რადგან მათ მეორე, შემცვლელი განწყობის ასიმილაციური მოქმედება იწვევს, და კონტრასტული ჩანან ისინი მხოლოდ პირველის. შეცვლილი განწყობის მიმართ, რომლის დარღვევაც ამ მეორე განწყობას აჩენს. ასეთია აზრთა ის წყობა. რომელიც საფუძველად უდევს განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის ცნებას.

მოტანილ მსჯელობებში ლოგიკურად ყველაფერი რიგზეა. მაგრამ საჭირო იყო ცალკე კვლევის საგანი გამხდარაყო ის, თუ რა იწვევს თვითონ ამ შეცვლას, რა პირობებში იცვლება თავიდანვე ფიქსირებული განწყობა მეორე, მისი საწინააღმდეგო განწყობით.

როგორც ვიცი, დ. უზნაძემ სპეციალური ცდები უძღვნა ამ საკითხის გარკვევას, მაგრამ ჯერ ის ვნახოთ, თუ რა ჰიპოთეზით დაიწყო მან ეს ცდები.

ზემოთ დასახელებულ ცდებში (იხ. გვ. 19), რომლებმაც უპირატესად თითქმის მხოლოდ კონტრასტული ილუზიები უჩვენეს, საგანწყობო ობიექტებს შორის (წრეების. ბურთების. წნევის და სხვ.) განსხვავება ყველგან დიდია. და ამასთანავე დიდი განსხვავებაა კრიტიკულ ობიექტებსა და ერთ-ერთ საგანწყობო ობიექტს შორისაც; და აი, სწორედ ამ ტლანქ განსხვავებაშია მიზეზი იმის, რომ თავიდანვე ფიქსირებული განწყობა საწინააღმდეგო განწყობით იცვლება და კონტრასტულ ილუზიას ბადებს. ერთი სიტყვით, როცა კრიტიკული სიტუაცია (ტოლი გამლიზიანებლებისა) ტლანქად სხვაობს საგანწყობოსგან. ფიქსირებული განწყობა ვეღარ ახერხებს ასეთი შეუფერებელი კრიტიკული სიტუაციის პირდაპირ ასიმილაციას და; ირღვევა რა. ადვილს უთმობს მეორე, საწინააღმდეგო განწყობას. რომელიც ამ კრიტიკულ სიტუაციას საწინააღმდეგო მიმართულებით იასიმილირებს.

ამრიგად. განწყობის შეცვლას — ანუ უფრო სწორად: ფიქსირებული განწყობის დარღვევას და მისი საწინააღმდეგო განწყობით შეცვლას — საგანწყობო და კრიტიკული სიტუაციის ტლანქი სხვაობა იწვევს; ასე ფიქრობს ავტორი. მაგრამ მისივე აზრით მარტო ეს არ კმარა და საჭიროა კიდევ სხვა პირობაც იყოს მოცემული.

ერთ-ერთ შრომაში ავტორი აყენებს საკითხს: აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა განწყობის დარღვევისა და საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლისათვის მის „მეტ-ნაკლებ სიმტკიცეს ან გამოკვეთილობას?“¹⁶. ამ საკითხის გადასაწყვეტად იგი იხილავს გ. ხმალაძის მიერ ერთი საგანწყობო ექსპოზიციით ჩატარებულ ცდებს (წრეებით). საიდანაც ჩანს, რომ კრიტიკული ტოლი ობიექტების შეფასებათა საერთო რაოდენობიდან კონტრასტია

¹⁶ განწყობის შეცვლით ძირითადი კანონი. კრებ-ში: „მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის“, 1938, გვ. 57.

მხოლოდ 36%. ასიმილაციური ილუზია — 6% და უმრავლესობა ადეკვატური შეფასებები — 58%; ე. ი. ისე გამოდის, რომ ერთ ექსპოზიციით ფიქსირებული განწყობის დარღვევა და მისი საწინააღმდეგო განწყობით შეცვლა ძალზე იშვიათია (36%), იმ დროს, როცა უმრავლეს შემთხვევაში (58% %) განწყობა ირღვევა ისე, რომ საწინააღმდეგო განწყობით აღარ იცვლება და ადგილს უთმობს სწორ შეფასებას. ადარებს რა ამ მონაცემებს სხვა ცდების შედეგებს, სადაც 15 საგანწყობო ექსპოზიციის გამო დიდ უმრავლესობას (76%) სწორედ კონტრასტის შემთხვევები ქმნიან, დ. უზნაძე ასკვნის: „...განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლა მით უფრო მკაფიოდ და გარკვევით ხდება, რაც უფრო მტკიცე და გარკვეულია თვით ის განწყობა, რომელიც ირღვევა“¹⁷.

ამრიგად, ავტორის საბოლოო აზრი განწყობის შეცვლის შესახებ ასეთია: განწყობა რომ კიდევ დაირღვეს და კიდევ საწინააღმდეგო განწყობით შეიცვალოს, ამისათვის საჭიროა არა მარტო საგანწყობო და კრიტიკული სიტუაციის „ტლანქი განსხვავებულობა“ — ე. ი. ის, რომ განწყობა გამლიზიანებელთა დიდ განსხვავებაზე იქნას შექმნილი და ტოლობის კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედებდეს. — არამედ ისიც, რომ იგი მტკიცე და მკაფიოდ გამოდიფერენცირებულიც უნდა იყოს. თუ მას სათანადო სიმტკიცე აკლია, მაშინ იგი თუმცა ირღვევა, მაგრამ საწინააღმდეგო მიმართულებით აღარ იცვლება და ადგილს უთმობს სიტუაციის (ტოლობის) ადეკვატურ აღქმას.

განვიხილოთ ახლა ის ცდებიც, რომლებიც თეორიის ავტორმა ამ მიმართულებით აწარმოვა.

თუ კონტრასტული ილუზიის მიზეზი განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლაა და ეს შეცვლა კი მხოლოდ იქ ჩნდება, სადაც კრიტიკული სიტუაცია ტლანქად სხვაობს საგანწყობოსაგან, მაშინ ისეთ ექსპერიმენტულ პირობებში, სადაც ეს „სიტლანქე“ მოხსნილია და ორივე სიტუაცია მაქსიმალურად მსგავსი ჩანს, შექმნილი განწყობის შეცვლაც აღარ უნდა მოხდეს და მისმა მოქმედებამ მხოლოდ ან უპირატესად ასიმილაციური ილუზიები უნდა დაბადოს. ეს მოსაზრება დაედო საფუძვლად დ. უზნაძის „ცდებს მეტნაკლებად განსხვავებული წრეების ექსპოზიციით“.

¹⁷ განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი, „მასალები“, გვ. 57, 1938.

8 მილიმეტრით განსხვავებული წრეების ნაცვლად (საგანწყობონი: დიამეტრით 28—20 მმ, კრიტიკულნი: 20-20 მმ), რაც ძველ ცდებში იყო გამოყენებული, ცდები წარმოებდა 1, 2 და 4 მილიმეტრით განსხვავებული საგანწყობო წრეებით; სახელდობრ, ჩატარდა ცდების სამი რიგი: ა. ცდ. პირს საგანწყობოდ ეძლეოდა ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეები 25-26 მმ დიამეტრისა და შემდეგ კრიტიკულ ცდაში — ტოლი წრეები 25-25 მმ; ბ. მეორე რიგის ცდებში საგანწყობო მასალა იყო ორი მილიმეტრით განსხვავებული 24 და 26 მმ წრეები, ხოლო კრიტიკულნი — 24-24 მილიმეტრიანები; — გ. მესამე რიგის ცდებში ცდ. პირს საგანწყობოდ ეძლეოდა ოთხი მილიმეტრით განსხვავებული წრეები 22-26 მმ დიამეტრისა და კრიტიკულ მასალად 22-22 მილიმეტრიანები. სამივე ცდაში საგანწყობო წრეების ექსპოზიცია ხდებოდა 8-10-ჯერ, ხოლო კრიტიკულის — ორჯერ¹⁸. იჯულისხმებოდა, რომ საგანწყობო წრეების 8-10-ჯერ ექსპოზიციას ცდ. პირი უნდა განეწყო „მარცხნივ პატარა და მარჯვნივ დიდი წრის აღქმისადმი“ და კრიტიკულ ცდას უნდა ეჩვენებია, თუ რა გავლენას მოახდენდა ეს „პატარადიდის განწყობა“ კრიტიკული ტოლი წრეების აღქმაზე: იქნებოდნენ ისინიც აღქმული „პატარა-დიდად“ და, მაშასადამე, განწყობის მიმართულებით ანუ ასიმულიაციური ილუზიის სახით, თუ პირიქით, „დიდი-პატარად“ და, მაშასადამე, ტიპური კონტრასტული ილუზიის სახით.

როგორც ვხედავთ, პირველ ცდაში საგანწყობო წრეებს შორის განსხვავება ძალიან მცირეა — თითქმის ზღურბლური (25-26 მმ) — და ამასთანავე კრიტიკული წრეებიც (25-25 მმ) პატარა საგანწყობო ტოლია; ე. ი. ერთნაირად მინიმალურია განსხვავება როგორც საგანწყობო წრეებს შორის, ისე დიდ მათგანსა (26 მმ) და კრიტიკულ ტოლებს შორის. მაგრამ მომდევნო ცდაში ეს განსხვავება ორჯერ მეტია და უკანასკნელ ცდაში ოთხჯერ მეტი, ვიდრე პირველში. მაშასადამე, საგანწყობო და კრიტიკული სიტუაცია მაქსიმალურად ან უფრო მეტად მსგავსია პირველ ცდაში. ვიდრე დანარჩენებში. სადაც მათი განსხვავება თანდათან უფრო ტლანქი ღდება. — რა უნდა ეჩვენებინა ამ ცდებს ავტორისათვის?

ვინაიდან აღნიშნულ ცდებს შემდეგშიც არაერთხელ მოგვიხდებ-

¹⁸ Über Gewichtstäuschung und ihre Analoga, 376—377.

ბა მიემართოთ, ბარემ აქვე მოვიტანთ ცხრილსაც, რომელშიც ავტორს მათი შედეგები აქვს წარმოდგენილი.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ პირველ ცდაში (საგანწყობო წრეების მინიმალური განსხვავებით) შეფასებების საერთო რაოდენობიდან 68% ასიმულაციური ილუზიაა და 28% კონტრასტი. მაშასადამე, „პატარა-დიდისადმი“ შექმნილი განწყობის გავლენით კრიტიკული ტოლი წრეების ილუზორული აღქმაც, უმრავლეს შემთხვევაში, როგორც „პატარა-დიდის“ აღქმა მომხდარა და არა პირიქით, როგორც „დიდი-პატარასი“, ე. ი. არა განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით ანუ კონტრასტული ილუზიის სახით. მაგრამ სულ სხვანაირი შედეგები უჩვენა მეორე და მესამე ცდამ, სადაც

ცხრილი 2

საგანწყობო წრეებს შორის განსხვავ. მლ.	შეფასებები		
	+	-	=
1	28	68	4
2	50	33,7	16,3
4	58,3	25,1	16,6

იგივე „დიდი-პატარას განწყობა“ ფიქსირებული იყო მეტი (2 და 4 მმ) განსხვავების მქონე წრეებით; სახელდობრ: მეორე ცდაში უფრო იშვიათი აღმოჩნდა ასიმულაციური ილუზია (33,7%), ვიდრე კონტრასტი (50%), და კიდევ უფრო მეტის განსხვავებით იგივე დადასტურდა მესამე ცდაშიც, სადაც განწყობის ასიმულაციური მოქმედების შემთხვევები კიდევ უფრო იშვიათი ჩანს (25,1%) და შეფასებების დიდ უმრავლესობას მხოლოდ კონტრასტის შემთხვევები იძლევა (58,3%). ერთი სიტყვით, კანონზომიერება ასეთია: საგანწყობო და კრიტიკულ სიდიდეთა განსხვავების შემცირების კვალობაზე, იშვიათდება რა განწყობის კონტრასტული მოქმედება, მართლობს ასიმულაციური ილუზიის შემთხვევები და მოინახება ამ მცირე განსხვავების ისეთი დონეც, სადაც შექმნილი განწყობის მოქმედება უპირატესად ასიმულაციურ ილუზიებს იძლევა.

აღწერილი ფაქტი ექსპერიმენტულად ასაბუთებს განწყობის შეცვლის ძირითად კანონს. რომ კონტრასტული ილუზია საგანწყობო და კრიტიკული ხიტუაციების ტლანქი (დიდი), განსხვავების პი-

რობებში უნდა ჩნდებოდეს და, როგორც ასეთი, ერთი განწყობის მეორე საწინააღმდეგო განწყობით შეცვლის შედეგი უნდა იყოს, — ეს დებულება მეცნიერულად ღირებული იქნებოდა მხოლოდ იმ პირობით, თუ დამტკიცდებოდა, რომ სიტუაციების მაქსიმალური მსგავსების პირობებში თავიდანვე ფიქსირებული განწყობა მეტწილად ასიმულაციურ ილუზიებს აჩენს. დ. უზნაძის ცდებმა სწორედ ეს ფაქტი უჩვენა და კანონიც მას ემყარება.

ამრიგად, „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის“ თანახმად, კონტრასტული ილუზიაც ფაქტობრივად ასიმულაციურია, რადგან იგიც ისეთივე უშუალო ეფექტია განწყობისა, როგორც ჩვეულებრივი ასიმულაციური ილუზია, და განსხვავება მხოლოდ მათ წარმომშობ პირობებს ეხება: ჩვეულებრივი ასიმულაციური ილუზიებამხოლოდ მაშინ ჩნდებიან, როცა თავიდანვე უშუალოდ მხოლოდ ერთი განწყობა მოქმედებს; კონტრასტული ილუზია კი ერთი განწყობის მეორე საწინააღმდეგო განწყობით შეცვლის პირობებში ჩნდება, მაგრამ ისე, რომ ამ მეორე „შემცვლელი“ განწყობის მიმართ, იგიც უშუალო ეფექტია და, როგორც ასეთი, მაინც ასიმულაციურ ილუზიას წარმოადგენს. ერთი სიტყვით, კონტრასტისა და ასიმულაციის სხვადასხვანაირი ახსნა, როგორც ეს, მაგალითად, მიულერ-შუმანის თეორიით იგულისხმება, დ. უზნაძის თეორიაში საჭირო აღარ ხდება, რადგან ფაქტობრივად ერთიც და მეორეც განწყობის უშუალო პირდაპირი ეფექტია.

დაასრულ, კანონის დახასიათებაში ხაზი ესმის შემდეგ გარემოებასაც: თავიდანვე ფიქსირებული განწყობა რომ საწინააღმდეგო განწყობით იცვლება, ავტორის აზრით ეს შემცვლელი საწინააღმდეგო განწყობა გარდამავალ მდგომარეობას წარმოადგენს, მაგრამ „გარდამავალს“ არა იმ მნიშვნელობით, რომ იგი თითქოს ერთხელ და სამუდამოდ იკარგება და ქრონიკული დისპოზიციის თვისებას მოკლებულია; არა! ასე რომ ყოფილიყო, მაშინ „ფიქსირებული განწყობის“ ცნება, — ეს ფუნდამენტალური ცნება განწყობის თეორიისა, — სრულიად ზედმეტი და დაუსაბუთებელი იქნებოდა. შემცვლელი განწყობის „გარდამავლობა“ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ, როცა ტოლ გამლიზიანებელთა კრიტიკული სიტუაცია ზედზედ და მრავალჯერ განმეორებით მოქმედებს, იგი მხოლოდ რამდენიმეჯერ ახერხებს მათ ასიმულაციას და შემდეგ ადგილს უთმობს „ინდიფერენტულ მდგომარეობას“, რომელიც ამ გამლიზიანებელ-

თა ადეკვატური აღქმის შესაძლებლობას იძლევა. განწყობის ქრონიკულ-დისპოზიციური ხასიათი კი სულ სხვას გულისხმობს: 1. განწყობა, რომელიც კრიტიკული გამღიზიანებლების მრავალჯერ ზემოქმედების შედეგად ჩაქრა და ამრიგად გარდამავალ მდგომარეობად იქცა, თავს იჩენს მაშინაც, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ ამ კრიტიკულ გამღიზიანებლებს კვლავ ვამოქმედებთ სუბიექტზე; — 2. ერთხელ გაფიქსირებული განწყობა თავს იჩენს მაშინაც, თუ ცდ. პირს კრიტიკულ გამღიზიანებლებს რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგ მივაწოდებთ¹⁹.

ასეთია დ. უზნაძის „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი“. მასში ოთხი მომენტია გახაზული: 1. პირველი განწყობის დარღვევა და საწინააღმდეგო განწყობით შეცვლა, — 2. საგანწყობო და კრიტიკული სიტუაციების ტლანქი განსხვავებულობა, როგორც ამ დარღვევა-შეცვლის პირობა, — 3. პირველადი განწყობის სიმტკიცე და დიფერენციაცია, როგორც აგრეთვე პირობა დარღვევა-შეცვლისა, და 4. შემცვლელი განწყობა, როგორც მოცემულ კრიტიკულ სიტუაციაში გარდამავალი მდგომარეობა.

4. კანონის ზოგიერთი „სიძნელის“ შესახებ. — აღნიშნული კანონის დახასიათების სისრულე, გარდა აღწერილი ექსპერიმენტული ფაქტების დამოწმებისა, რამდენიმე სხვა მომენტის გათვალისწინებასაც მოითხოვს. ამ მომენტთაგან ჩვენთვის ჭერჯერობით საჭიროა სამი შემდეგი საკითხის გარკვევა.

1. თუ თავიდანვე ფიქსირებული განწყობა ტლანქად შეუფერებელ სიტუაციაში ირღვევა, მაშინ რატომ უნდა გაჩენილიყო მეორე, საწინააღმდეგო განწყობა? თუ იგი დაირღვა და დაირღვა უთუოდ იმიტომ, რომ კრიტიკული სიტუაცია ტოლი ობიექტების სიტუაცია იყო, მაშინ პროცესიც ამ ტოლი ობიექტების ადეკვატური აღქმით უნდა დასრულებულიყო და საწინააღმდეგო განწყობის წარმოქმნას ადგილი აღარ უნდა დარჩენოდა.

2. მეორის მხრივ: თუ თავიდანვე ფიქსირებული განწყობა ვერ ახერხებს ტოლი ობიექტების ასიმილაციას. რატომ ახერხებს მას მეორე, საწინააღმდეგო განწყობა? კრიტიკული სიტუაცია ხომ ორივე განწყობისათვის ერთია. და თუ იგი პირველის მიმართ ტლანქია და

¹⁹ განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, 1949. გვ. 57—68.

ამიტომაც მას არღვევს, რატომ არ უნდა იყოს იგი ასევე ტლანქი მეორე საწინააღმდეგო შემცველი განწყობისთვისაც, რომელიც კი არ ირღვევა, არამედ მის ასიმილაციას ახდენს? ჩანს ამ შემთხვევაში სიტუაცია აღარ უნდა იყოს ტლანქი, მაგრამ თითქოს ის აღარ ჩანს, თუ რატომ კარგავს იგი ამ სიტლანქეს.

3. კრიტიკული ცდის პროცესში როდის ხდება თავიდანვე ფიქსირებული განწყობის დარღვევა და საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლა, — და ერთხელ ხდება იგი თუ მრავალჯერ? თუ ერთხელ ხდება, მაშინ ვითარება მხოლოდ ასე უნდა წარმოვიდგინოთ: თავიდანვე ფიქსირებული განწყობა პირველად იქ ირღვევა და იცვლება, სადაც კონტრასტული ილუზიაც პირველად ჩნდება, ხოლო მომდევნო კრიტიკულ ექსპოზიციებში კი კვლავ დარღვევა-შეცვლა აღარ ხდება და დანარჩენ კონტრასტულ ილუზიებსაც უბრალოდ ერთხელ წარმოქმნილი შემცველი განწყობა აჩენს. მაგრამ არის საფუძველი სხვანაირადაც ვიფიქროთ: დარღვევა-შეცვლა ხდება არა მხოლოდ პირველი კონტრასტული ილუზიის გაჩენის მომენტში, არამედ აგრეთვე შემდეგაც — განმეორებით ყოველ კონტრასტული ილუზიის გაჩენისას და, მაშასადამე, არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე, სანამ ასიმილაციური ილუზიის ან ტოლობის ფაზა გაჩნდებოდეს.

როგორც ვხედავთ, საკითხები კანონიერია და უნდა ვნახოთ, რას გვეტყოდა თეორია მათ შესახებ. დავიწყოთ პირველით.

1. საგანწყობოსგან კრატეკული სიტუაციის „ტლანქი განსხვავებულობა“ თავისთავად გასაგებად ხდის ფიქსირებული განწყობის დარღვევას. და გასაგებია ისიც, რომ ამ დარღვევას ხელს უწყობს თვითონ განწყობის მეტი სიმტკიცე-გამოკვეთილობაც. მაგრამ რატომ იცვლება იგი საწინააღმდეგო განწყობით და მერე ისევ რომ თავისთავის მიმართ კონტრასტულ ილუზიებს აჩენს. ისევ მხოლოდ ამ საწინააღმდეგო განწყობის საშუალებით და არა, ცხადია, თვითონვე უშუალოდ? — ბუნებაში რაც ირღვევა, კიდევ ცვლება და აღარ მოქმედებს, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ბუნება საბოლოო ანგარიშში არაფერს კარგავს, რადგან სხვა ნაწილების სახით და, მაშასადამე, არსებობის სხვა ფორმით იბრუნებს იმას, რაც დაირღვა და დაიშალა. ერთი სიტყვით, განწყობის შეცვლა თითქოს რაღაც ბუნების საწინააღმდეგოსაც კი გულისხმობს. მაგრამ ასეა თუ არა ნამდვილად?

განწყობის თეორია არ იძლევა დასმულ საკითხზე პირდაპირ პასუხს. მაგრამ თუ სათანადო ცდები, რომლებიც თეორიის ავტორმა ამ მიმართულებით აწარმოვა, საიმედო და სწორია, მაშინ იგი უთუოდ საბუთია იმის, რომ განწყობის შეცვლას ნამდვილად აქვს ადგილი და მისი კანონიც სინამდვილეს უნდა ასახავდეს. მაგრამ მაშინ არც ბუნების საწინააღმდეგო უნდა იყოს იგი.

და მართლაც, ხომ ფაქტია, რომ, როცა ცოცხალ ორგანიზმისათვის, აი, ამ გარკვეულ სიტუაციაში ერთი მოქმედება გამოუსადეგარია, ეს მოქმედება მეორით იცვლება, მეორე — მესამით და ასე შემდეგ. ე. ი. ხდება სხვადასხვა სამოქმედო მექანიზმების ურთიერთშენაცვლება; და თუ ეს ბუნებრივია, რატომ უნდა იყოს შეუძლებელი, თუმცა არასავსებით იგივე, მაგრამ ანალოგიური რამ თვითონ განწყობის ფუნქციობაშიც ხდებოდეს?! სახელდობრ: ცდებში შექმნილი ვითარება ისეთია, რომ განწყობის — მკვეთრად განსხვავებული „დიდი-პატარა“ წრეებით შექმნილ განწყობის — რეალიზაცია უნდა მოხდეს. მართალია, ტოლი წრეების კრიტიკული სიტუაცია ტლანქად სხვაობს საგანწყობოსგან და მას ძალა შესწევს არ დაემორჩილოს ამ განწყობას, მაგრამ უკანასკნელი ხომ განწყობაა და, მაშასადამე, როგორც ასეთმა, როგორც სუბიექტის მდგომარეობამ, შეიძლება ერთბაშად არც მან დასთმოს და რაღაცნაირად თვითონვე შეიცვალოს ისე, რომ ობიექტური ვითარების სხვანაირი, მაგრამ მაინც განწყობისეული მოდიფიკაცია შეძლოს. ამის რეალური შესაძლებლობა კი უთუოდ არსებობს: სუბიექტს მოცემულ მომენტში ფიქსირებული აქვს „დიდი-პატარა წრეების აღქმის განწყობა“, მაგრამ არაფიქსირებული სახით ანუ არააქტიუალურად მას საწინააღმდეგო, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ანტიპოდური“, „პატარა-დიდის განწყობაც“ აქვს, და აი, როცა პირველი ვერ ახერხებს სიტუაციის ასიმილაციას, მეორე აქტიუალდება და ამიტომ ხდება შეცვლა.

რა თქმა უნდა, კანონიერი საკითხია, რატომ ახერხებს ასიმილაციას მეორე განწყობა, როცა იგი პირველმა განწყობამ ვერ შესძლო, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვით. აქ კი საყურადღებო ისაა, რომ შეცვლა თვითონ განწყობის საერთო ბუნებით ჩანს დასაბუთებული და მერმე კიდევ იმითაც, რაც „ანტიპოდის“ სახით კერძოთ „სიდიდისადმი განწყობებს“ ახასიათებს. სუბიექტის მოქმედება რომ არასდროს „სიციარიელიდან“ არ იწყება და, გარდა ობი-

ექტურისა, მას შინაგანი სუბიექტური ფაქტორიც—განწყობაც საზ-
კვრავს, ეს იმას ნიშნავს, რომ კრიტიკულ მომენტებში, სადაც კი საჭი-
რო და მოსახერხებელია, აქტუალური განწყობა საწინააღმდეგო მი-
მართულებით შეიძლება შეიცვალოს და ამრიგად ისე მოხდეს, რომ
სუბიექტურმა ფაქტორმა მაინც შესძლოს განსხვავებული ობიექტუ-
რი ვითარების ასიმილაცია მოახდინოს; და სწორედ ამის გამოხატუ-
ლებაა განწყობის შეცვლის კანონიც. ერთი სიტყვით, ცოცხალი არ-
სებისა და გარემოს დამოკიდებულებაში განწყობის კიდევ დარღვე-
ვა და კიდევ საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლა სრულიად ბუ-
ნებრივი და აუცილებელი მოვლენაა; ამ სახით იგი თვითონ სიცო-
ცხლის დამახასიათებელი თვისებაა და, როგორც ასეთი, სულ სხვას
გულისხმობს, ვიდრე ის კანონი, რომლის თანახმად ყველაფერი, რაც
ირღვევა, კიდევ კვდება.

2. განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის თანახმად კონტრას-
ტული ილუზია კონტრასტული ჩანს მხოლოდ პირველი დარღვეული
განწყობის მიმართ. თორემ მეორე ანუ შემცვლელი განწყობის მი-
მართ. რომელიც მას უშუალოდ აჩენს, იგი ტაბიური ასიმილაციურა
ილუზიაა. — სწორედ ის ერთადერთი სახის ილუზია, რომელიც კი
ჩვეულებრივად განწყობას შეეძლო მოეცა; ასე რომ, კონტრასტული
ილუზია ნამდვილად ფიქციაა, არის მხოლოდ ასიმილაციური ილუ-
ზია და განწყობა მხოლოდ და მხოლოდ ამ სახით მოქმედებს.

მაგრამ საქმის ასეთი ვითარების გამო საკითხი ისმის: რატომ
ახერხებს შემცვლელი განწყობა კრიტიკული ტოლი გამლიზიანებლე-
ბის ასიმილაციურ-ილუზიურ აღქმას. რაკი ეს პირველმა განწყობამ
ვერ შესძლო და ამიტომაც დაირღვა?

ერთ-ერთ გერმანულად გამოქვეყნებულ შრომაში²⁰ ავტორი
ამბობს: „უფრო სარწმუნოა, რომ საგანწყობო ცდებში შექმნილია
განწყობა საწინააღმდეგო განწყობით იცვლება, რომელიც, ცხადია.
უფრო სუსტი უნდა იყოს (ზ. ხ.). ვიდრე დარღვეული გან-
წყობა. და, როგორც ასეთი, მხოლოდ ასიმილაციურად მოქმე-
დებს“-ო. მაშასადამე, საქმე ასე წარმოიდგინება: თავიდანვე ფიქსი-
რებულმა განწყობამ სიმტკიცის (სიძლიერის) გამო ვერ მოახერხა
ტლანქად განსხვავებული კრიტიკული სიტუაციის ასიმილაცია და
დაირღვა, მაგრამ მისი შემცვლელი განწყობაც რომ არ დაირღვა და

²⁰ Acta Psychologica, გვ. 333.

სიტუაციის ასიმილაცია მოხდა, ეს იმიტომ რომ იგი, როგორც დარღვეულის შედეგად წარმოქმნილი განწყობა, სუსტია. ერთი სიტყვით, განწყობის სისუსტე მიზეზი ყოფილა იმის, რომ იგი აღარ ირღვევა და უშუალოდ ბადებს სიტუაციის ასიმილაციურ-ილუზიურ აღქმას.

ეს დებულება ავტორს გამოთქმული აქვს უკლებლივ ყველა სხვა დანარჩენ შრომაშიც — ძველშიც და ახალშიც, სადაც კი კონტრასტისა და ასიმილაციის წარმოშობის საკითხი დაუსვამს, და ზოგ მათგანში — მეტის განზოგადოებითაც; მაგალითად, შრომაში „განწყობის ფსიქოლოგიისათვის“²¹ ლაპარაკია არა მარტო შეეცვლებოდა განწყობის სისუსტეზე, არამედ საერთოდ სუსტ განწყობაზე: „საზოგადოდ, ჩვეულებრივ, როდესაც განწყობა საკმაოდ მტკიცე არაა, როდესაც იგი სუსტია, სუბიექტს ასიმილაციური ილუზია უფრო ხშირად უჩნდება, ვიდრე კონტრასტული“-ო.

ამრიგად, ავტორის აზრი ნათელზე ნათელია, და ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმაზე ვიმსჯელოთ, თუ რამდენად ეგუება იგი განწყობის ფსიქოლოგიის სხვა ფაქტებს.

ჩვენ ასე ვფიქრობთ: რომ შეეცვლებოდა განწყობა არ შეიძლება იმავე სიძლიერის იყოს, რა სიძლიერეც დარღვეულ მტკიცე განწყობას ჰქონდა, და აუცილებლად უფრო სუსტი უნდა იყოს, თავისთავად ეს ისევე გასაგებია, როგორც მაგალითად, ნაპირიდან შემობრუნებული ზღვის ტალღის ნაკლები ძალა შედარებით იმასთან, რაც მას თავიდანვე ნაპირისაკენ მიმართულს ჰქონდა; მაგრამ თუ რატომ მოქმედებს სუსტი განწყობა ასიმილაციურად, ეს უკვე ნათელი აღარაა და განმარტებას მოითხოვს. მართლაცდა, მკვეთრად განსხვავებული საგანწყობო წრეების ერთი ექსპოზიციით ფიქსირებული განწყობა ხომ უთუოდ მაქსიმალურად სუსტი უნდა იყოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორისავე ცდებით დადასტურდა, რომ იგი მაინც საწინააღმდეგო განწყობით იცვლება და, მაშასადამე. ასიმილაციურ ილუზიებს არ ბადებს. ერთი სიტყვით, გასარკვევაა. რას უნდა ვთქვათ ავტორი, როცა განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის შესახებ ამბობდა: თავიდანვე ფიქსირებული განწყობის დარღვევის შედეგად წარმოქმნილი საწინააღმდეგო განწყობა სუსტია და ამის გამოა, რომ იგი კრიტიკული სიტუაციის ასიმილა-

²¹ თ. ს. ჯ. შრომები, VII. 1938, გვ. 24.—აგრეთვე: „ნასაღები“, 1938, გვ. 13-14; 3-.

ციას ახერხებთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ისეთი შინაარსი აქვს ამ შემცვლელ განწყობას, რის გამოც იგი სუსტია და მხოლოდ ასიმილაციურ ილუზიებს ბადებს.

გასაღებს იძლევა მცირე განსხვავების სიდიდეებით ჩატარებული ცდები:

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა შინაარსის მქონეა ის განწყობა, რომელიც ჩვეულებრივად — უშუალოდ და პირდაპირ — ასიმილაციურ ილუზიებს ბადებს: იგი არის არა ტლანქი განსხვავების — „ძალიან დიდისა და ძალიან პატარას“ — აღქმის განწყობა, არამედ მცირე განსხვავების ანუ „ოდნავ დიდ-პატარას“ აღქმის განწყობაა. და აი, ავტორი თვლის, რომ ეს განწყობა, შედარებით დიდ განსხვავებაზე შემუშავებულ განწყობასთან, სუსტია. მაგრამ რატომაა იგი სუსტი? საგანწყობო წრეების მცირე განსხვავებაც ხომ ისევე ნათლად შეიმჩნევა, როგორც ყოველი დიდი განსხვავება; და რატომ უნდა იყოს პირველის განწყობა აუცილებლად სუსტი და მეორის კი ძლიერი?! ავტორი უთუოდ ასე ფიქრობდა: მცირე განსხვავებაზე შემუშავებული განწყობა, რომელიც ასიმილაციურ ილუზიას აჩენს. სუსტია იმიტომ, რომ თვითონ ეს ილუზიაც „მცირე, ოდნავ განსხვავების ილუზიაა“ და, როგორც ასეთი, ნაკლებ მტკიცეა და მალე განვლის (ჰქრება), ვიდრე დიდ განსხვავებაზე შემუშავებული განწყობის კონტრასტული ილუზია, რომელიც „დიდი განსხვავების ილუზიაა“ და ამიტომ დიდხანსაც ძლებს. ერთი სიტყვით. მცირე განსხვავებაზე შემუშავებული განწყობი: სისუსტე იმაშია, რომ სუსტია თვითონ ის ილუზია (ასიმილაციური ილუზია), რომელსაც იგი აჩენს.

მაგრამ თუ ეს ასეა, თუ ასიმილაციური ილუზიის წარმოქმნა მცირე განსხვავებაზე შექმნილ სუსტ განწყობას შეუძლია და მხოლოდ მას. მაშინ კერძოდ ძლიერი განწყობის სუსტით შეცვლის შემთხვევებშიც იგივე უნდა ხდებოდეს; სახელდობრ: დარღვეული ძლიერი განწყობის შემცვლელი საწინააღმდეგო განწყობა იმიტომ უნდა ახერხებდეს კრიტიკულ ტოლ გამღიზიანებელთა სიტუაციის ასიმილაციას. რომ შინაარსეულად იგი ისეთივეა, როგორცაა ჩვეულებრივ მცირე განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობა; ე. ი. შემცვლელი განწყობა ჩნდება როგორც „მცირე განსხვავების აღქმისადმი“ განწყობა, და ვინაიდან ამის გამო კრიტიკული ტოლი გამღიზიანებლების სიტუაციაა

წინაარსეულად მას უახლოვდება (ე. ი. ტლანქად აღარ სხვაობს. ემსგავსება), ამიტომ უკანასკნელის ასიმილაციაც ადვილად ხერხდება. ერთი სიტყვით, შემცვლელი განწყობა სუსტია იმიტომ რომ, დარღვეულ განწყობასთან შედარებით, იგი „მცირე განსხვავების აღქმის განწყობაა“, და ასიმილაციურად მოქმედებს იმიტომ, რომ ასეთი განწყობის მიმართ კრიტიკული სიტუაციაც აღარაა ტლანქად განსხვავებული.

ფიქრობთ, შემცვლელი განწყობის ასეთი დახასიათება გასაგებად ხდის ორ ფაქტს, რომელნიც სხვა შემთხვევაში უთუოდ კანონის საწინააღმდეგო ფაქტებად დარჩებოდნენ; ესაა: ა). მკვეთრად განსხვავებული გამლიზიანებლების ერთი ექსპოზიციით შექმნილი განწყობის კონტრასტული მოქმედება და ბ). ასიმილაციური ილუზიები განწყობის პირველფაზიანი კონტრასტული მოქმედების მომდევნო ფაზებში.

ავტორის ცდებით დადასტურდა, რომ მკვეთრად განსხვავებული საგანწყობო წრეების ერთი ექსპოზიციით შექმნილი განწყობა უმრავლეს შემთხვევაში (58%) უეფექტოა, ე. ი. ირღვევა ისე, რომ საწინააღმდეგო განწყობის მიმართულებით აღარ იცვლება და ადგილს უთმობს კრიტიკული სიტუაციის ადეკვატურ აღქმას. მაგრამ ზოგჯერ შეცვლაც ხდება, რადგან მცირე პროცენტით (36%) კონტრასტული ილუზიებიც ჩნდება. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რის დასამტკიცებლად დაიმოწმა დ. უზნაძემ ეს ცდები. განწყობის შეცვლამით უფრო ხშირია, რაც უფრო მტკიცე და გამოკვეთილია იგი; აღნიშნულ ცდებში კი, რადგან ერთი ექსპოზიციით შექმნილი განწყობა ძალზე სუსტია, ამიტომ მისი საწინააღმდეგო განწყობით შეცვლა და კონტრასტული ილუზიის წარმოქმნა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ ხერხდება, თორემ წესისამებრ იგი დარღვევისთანავე კვდება და ილუზიურ აღქმას საერთოდ არ იძლევა. — ასე ფიქრობდა ავტორი. მაგრამ აქ სხვა საკითხი ჩნდება: თუ ერთი ექსპოზიციით შექმნილი განწყობა სუსტია და სუსტი განწყობა კი საერთოდ ასიმილაციურ ილუზიებს ბადებს, მაშინ რატომ მოხდა ისე, რომ აღნიშნულ ცდებში, თუმცა კი იშვიათად, თავი იჩინა კონტრასტულმა ილუზიებმა და არა ასიმილაციურმა? პირველი შეხედვით აქ თითქოს წინააღმდეგობაა, ნამდვილად კი ყველაფერი რიგზეა.

დ. უზნაძის აზრით, სუსტი განწყობა არ ირღვევა და უშუალოდ (ანუ შეცვლის გარეშე) ასიმილაციურ ილუზიას აჩენს მხოლოდ მა-

შინ, როცა მისი სისუსტე იმაშია. რომ იგი ოდნავ განსხვავებულ გამღიზიანებლებზეა ფიქსირებული და, მაშასადამე, შინაარსეულად ემსგავსება კრიტიკულ სიტუაციას. ზემოთ აღწერილ ცდებში კი მდგომარეობა სხვანაირია. მართალია, აქ განწყობა ერთი საგანწყობო ექსპოზიციით იქმნება და ამიტომ უთუოდ სუსტიცაა, მაგრამ ამასთანავე იგი მკვეთრად (ტლანქად) განსხვავებული სიდიდის გამღიზიანებლებზეა ფიქსირებული და, რა თქმა უნდა, რომ, თუ კი საერთოდ ასეთი სუსტი განწყობა მოქმედებას შესძლებს, უთუოდ ისევე საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლის გზით და, მაშასადამე, მხოლოდ კონტრასტულად. ერთი სიტყვით, აღწერილი შემთხვევების სახით საქმე ეგაქვს ორ შინაარსეულად განსხვავებულ განწყობასთან და ამიტომაც, რომ მიუხედავად ორივეს სისუსტისა, ერთი ასიმილაციურად მოქმედებს და მეორე კი — კონტრასტულად.

ბ. როგორც ცნობილია, ტლანქ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობა. პირველფაზიანი კონტრასტული მოქმედების შემდეგ. აქაიქ გამორევით ასიმილაციურადაც მოქმედებს. ე. ი. აღარ იცვლება საწინააღმდეგო მიმართულებით და პირდაპირ ანუ უშუალოდ ასიმილაციურ ილუზიას ბადებს. განწყობის მოქმედების ამ ეტაპს დ. უზნაძემ „ასიმილაციურ ილუზიათა გამოვლენის ფაზა“ უწოდა და იგი მისი თანდათანობრივი ლიკვიდაციის ერთ-ერთ შესაძლებელ საფეხურად აცნო.

იმის მიხედვით, რაც ზემოთ „განწყობის შეცვლის კანონის“ შესახებ ითქვა. ეს ფაქტიც კანონზომიერი მოვლენაა და არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება. ვთქვათ. იმას, რომ ტლანქ განსხვავებაზე ფიქსირებული სუსტი განწყობა (ერთი ექსპოზიციით შექმნილი) თავიდანვე მაინც კონტრასტულად მოქმედებს და არა ასიმილაციურად. ჩვენი აზრით. აქ ვითარდება ასეთია: დიდ ანუ მკვეთრ განსხვავებაზე შემუშავებული განწყობა. — ვთქვათ. ძლიერ „დიდი-პატარას განწყობა“ — პირველად საწინააღმდეგო „პატარა-დიდის განწყობით“ იცვლება და ამიტომ კონტრასტულად მოქმედებს, მაგრამ შემდეგ რომ მომდევნო კრიტიკულ ექსპოზიციებში იგი სუსტდება და ასიმილაციურ ილუზიებს ბადებს. ეს უკვე ნემდევს ნიშნავს: შინაარსეულად იგი კვლავ „დიდი-პატარას განწყობა“ კი აღარაა, არამედ „ოდნავ დიდ-პატარას განწყობა“, რო-

მელიც ამიტომ საწინააღმდეგო მიმართულებით აღარ იცვლება და პირდაპირ ასიმილაციურად მოქმედებს.

3. ახლა ვუპასუხოთ მესამე საკითხსაც, თუ როდის შეიძლება ხდებოდეს თავიდანვე ფიქსირებული განწყობის დარღვევა და საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლა, და ერთხელ ხდება იგი თუ მრავალჯერ. ზემოთ ჩვენ ორნაირი პასუხის შესაძლებლობა ვსცანით: დარღვევა-შეცვლა ხდება ან ერთხელ პირველ კონტრასტული ილუზიის გაჩენის უწინარესად და მომდევნო ილუზიებს მხოლოდ შემცვლელი განწყობა აჩენს, ან და იგი ხდება ყოველი მომდევნო კონტრასტული ილუზიის გაჩენისას და, მაშასადამე, მრავალჯერ. ეს პასუხები ურთიერთის მიმართ ალტერნატიულია და კიდევ სხვანაირი პასუხის შესაძლებლობა გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს, ისმის საკითხი: რომელია მათ შორის სწორი?

ერთის შეხედვით თითქოს სწორი უნდა იყოს პირველი პასუხი. რაკი შეცვლა ერთხელ მოხდა და დარღვეული განწყობის მიმართ კონტრასტული ილუზია ფაქტობრივად მისმა შემცვლელმა მოწინააღმდეგე განწყობამ გააჩინა, რაღა საჭიროა ეს შეცვლა შემდეგშიც სულ კიდევ და კიდევ განმეორდეს. შემცვლელი განწყობა ახლა უკვე „სახეზეა“ და ამიერიდან იგი იწყებს მოქმედებას, მხოლოდ იგი წარმოქმნის ილუზიებს, რომელნიც დარღვეულისა და უკვე აღკვეთილი განწყობის მიმართ კონტრასტული ჩანან, მაგრამ, როგორც შემცვლელის მიერ გაჩენილი, ნამდვილად ასიმილაციურ ილუზიებს წარმოადგენენ — იტყვის მკითხველი! ჩვენი აზრით, ეს პასუხი არ უნდა იყოს სწორი; იგი არ უნდა ეგუებოდეს „განწყობის შეცვლის კანონს“ და არც თეორიას საერთოდ.

კანონი გულისხმობს შემდეგს: კონტრასტული ილუზია მხოლოდ ისეთ პირობებში ჩნდება, როცა ერთი განწყობა მეორე მისა საწინააღმდეგო განწყობით იცვლება; სხვანაირი წარმოშობა მას არა აქვს, და სწორედ ამ შეცვლის გამოა, რომ შეცვლილი ანუ დარღვეული განწყობის მიმართ იგი კონტრასტული ილუზიაა და შემცვლელის მიმართ კი — ასიმილაციური. თუ არ ვიგულისხმებდით შეცვლას, არ გვეჩნებოდა უფლება გველაპარაკა კონტრასტულ ილუზიაზე, როგორც განწყობის საკუთარ ეფექტზე.

ვთქვათ, ცდ.პირმა, რომელსაც 15 ექსპოზიციით მარცხნივ დიდისა და მარჯვნივ პატარა წრის ალქმისადმი განწყობა გაუფიქსირეთ, მოგვცა კრიტიკული ტოლი წრეების ასეთი შეფასებები (იხ. სქემა).

განწყობა პირველ შეცვლისთანავე ერთხელ და სამუდამოდ კვდება და ფიქსირებულობას იძენს მისი შემცვლელი განწყობა, რომელიც ამიერიდან ერთადერთია და, როგორც ასეთი, ილუზიებსაც თვითონვე აჩენს. საქმის ვითარების ამგვარი გაგების თვალსაზრისით ზემოთ მოტანილი სამაგალითო ცდა შემდეგ დახასიათებას იღებს:

ა. თითქოს კონტრასტული ილუზიაა არა ყველა რვა გადაფასება მარჯვნივ („მარჯვნივ დიდი“.), არამედ მხოლოდ პირველი, რადგან ფიქსირებული განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლა და ამით მისი სრული აღკვეთაც (თანახმად პირველი პასუხისა) მხოლოდ აქ უნდა მომხდარიყო; დანარჩენი შვიდი გადაფასება კი ფაქტობრივად სხვანაირი წარმოშობის ილუზიებია, რადგან აქ ისე კი აღარ ხდება, რომ თითოეული მათგანიც შეცვლის გზით წარმოიქმნას (რაც კანონის თანახმად ერთადერთი აუცილებელი პირობაა კონტრასტის გაჩენისა), არამედ ისე, რომ ერთხელ შეცვლის შედეგად გაჩენილი (შემცვლელი) განწყობა ფიქსირდება და ახლა თვითონვე დამოუკიდებლად აჩენს მათ, როგორც ასიმილაციურ ილუზიებს. მაშასადამე ისე გამოდის, რომ ის, რასაც თეორია განწყობის პირველფაზიან მოქმედებად სთვლის და მასში მხოლოდ კონტრასტულ ილუზიებს გულისხმობს, ნამდვილად ასეთი აღარ ყოფილა, რადგან ამ თვალსაზრისით მხოლოდ ერთ კონტრასტულ ილუზიას შეიძლება ჰქონდეს ადგილი და დანარჩენი, თუმცა კი მიმართულებით მისნაირი გადაფასებები, ასიმილაციურ ილუზიებად უნდა გვეგუღვა.

თავისთავად ცხადია, ასეთი გაგების სრული შეუფუებლობა განწყობის თეორიასთან. რა თქმა უნდა კონტრასტული ილუზია არსებითად ასიმილაციურია და შეცვლის კანონის ძირითადი აზრიც სწორედ ესაა; მაგრამ იგი იმასაც გულისხმობს. რომ ყოველი ასეთი ილუზია თავიდანვე ფიქსირებული განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლის პირობებში ჩნდება და ამიტომაც იგი იმავე დროს კონტრასტულიც. ერთი სიტყვით, განწყობის პირველფაზიანი კონტრასტული მოქმედება, მთლიანად მხოლოდ „შეცვლის კანონით“ საბუთდება და სწორედ იმით, რომ ეს შეცვლა ყოველი კონტრასტული ილუზიის წარმოშობისას მეორდება. დებულება „შეცვლის ერთხელობრიობის“ შესახებ მიუღებლად უნდა ჩაითვალოს.

ბ. მაგრამ განწყობის ერთხელობრივი შეცვლა გაუგებრად

ხდის, ან სრულიად ვერ ხსნის, საკუთრივ იმ ილუზიების წარმოშობასაც. რომელიც მომდევნო ფაზაში წმინდა ასიმილაციების სახით ჩნდებიან (სამკერ „მარცხნივ დიდი“ ჩვენს მაგალითში). როგორც ზემოთაც ვუჩვენეთ, განწყობის თეორიის თანახმად ეს ილუზიები შეცვლის გზით არ წარმოიშობიან; მათ უშუალოდ პირველა (თავიდანვე ფიქსირებული) განწყობა აჩენს, ის განწყობა, რომელიც მრავალჯერ შეცვლის შედეგად (I ფაზაში). სუსტდება და, როგორც ასეთი, პირდაპირ ანუ შეცვლის გარეშე ასიმილაციურ ილუზიებს ბადებს.

თუ დავუშვებთ, რომ თავიდანვე ფიქსირებული განწყობის შეცვლა მხოლოდ ერთხელ ხდება და ისიც ისე. რომ ამ შეცვლის გამო იგი კიდევ ისპობა და შემდეგ მხოლოდ მისი შემცვლელი განწყობა მოქმედებს, მაშინ ასიმილაციური ილუზიების ფაზა განწყობის ეფექტად ვეღარ ჩაითვლება და, როგორც ასეთი, უნდა უარყოფილი იქნას; სახელდობრ:

ჩვენ მაგალითში მომდევნო ფაზის ასიმილაციური ილუზიებანიშნავს ტოლი წრეებიდან მარცხენა წრის დიდად აღქმას („მარცხნივ დიდი“). თავისთავად ცხადია. რომ ასეთი აღქმა ცდპირს შეიძლებოდა გაჩენოდა მხოლოდ მაშინ. თუ იგი წინასწარ „მარცხნივ დიდის“ აღქმისადმი იქნებოდა განწყობილი. მაგრამ ფაქტობრივად უკვე პირველი ფაზიდან მოყოლებული. მას საწინააღმდეგო განწყობა აქვს, — „მარჯვნივ დიდი წრის აღქმის განწყობა“. რომელიც ამ პირველ ფაზაში მოქმედებდა და შესაფერის ილუზიურ აღქმებსაც აჩენდა. მათასადამე. მომდევნო ფაზის ილუზიურ აღქმებს („მარცხნივ დიდი“) ვითომდა პირველ ფაზაში გაფიქსირებულ შემცვლელ განწყობიდან ვერ გამოიყვან და, ამრიგად, თეორიის თვალსაზრისით განწყობის პროდუქტად ცნობილი ასიმილაციური ილუზიები ფაქტობრივად განწყობის გამგებლობის გარეშე რჩებიან.

რა თქმა უნდა, სურვილისამებრ აქ გამარტივებაც შესაძლებელია: მაგალითად, ვთქვათ, რომ სიდიდეების განსხვავებაზე შექმნილი განწყობა მხოლოდ და მხოლოდ კონტრასტულად მოქმედებს და ასიმილაციური ილუზიები უბრალოდ დაკვირვების შემთხვევითი თუ მუდმივი შეცდომებია. მაგრამ ასეთი გამარტივება მხოლოდ ერთი პირობით იქნებოდა სწორი, სახელდობრ: თუ აღმოჩნდებოდა, რომ სიდიდეებზე შექმნილი განწყობა, არასოდეს და არავითარ

სხვა პირობებშიც. ასიმილაციურ ილუზიებს არ აჩენს, — რომ ასეთი მოქმედება მისთვის სრულიად უცხოა. ნამდვილად კი საწინააღმდეგო დასტურდება, მაგალითად: ტოლ სიდიდეებზე შექმნილი განწყობა მხოლოდ ასიმილაციურ ილუზიებს იძლევა²², სიდიდის გათანაბრებისადმი განწყობის მოქმედებაც მხოლოდ ასეთ ილუზიებში ვლინდება²³ და დ. უზნაძის „მცირე განსხვავებებზე“ წარმოებულ ცდებშიც ხომ იგივე დასტურდება. და თუ ყველაფერს ამას ხელალებით ვერ უარყოფთ, მაშინ არავითარი საბუთი არ გვაქვს, რომ ეს ილუზიები იქაც არ ვიგულისხმობთ, სადაც განწყობა დიდ განსხვავებაზე ფიქსირდება. მართალია, მათი სიხშირე აქ მცირეა და ალბათ არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი, უბრალოდ, დაკვირვების შეცდომაც იყოს, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ რაკი მოვლენა საერთოდ იშვიათია, ამიტომ მისი გამოვლენის ყველა შემთხვევაც უბრალო შეცდომა უნდა იყოს. ერთი სიტყვით, „განწყობის ერთხელობრივ შეცვლის დებულება“ კიდევ იმითაც ხდება მიუღებელი, რომ ლოგიკურად იგი ასიმილაციის ფაზის უარყოფამდე მიდის.

გ. დასასრულ. საყურადღებოა შემდეგიც: დ. უზნაძის თეორიაში ფიქსირებული განწყობის ცნება ფუნდამენტალური ცნებაა და მისი პირდაპირი ექსპერიმენტული კვლევაც სრულიად უეჭველ ფაქტად ითვლება; მაგრამ სულ სხვას გულისხმობს „განწყობის ერთხელობრივი შეცვლის დებულება“!

მართლაც და, თუ ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობა მხოლოდ ერთხელ იცვლება და, მაშასადამე, ერთ კონტრასტულ ილუზიას აჩენს და აქვე კვდება, ხოლო მომდევნო ილუზიებს. სრულიად დამოუკიდებლად, შემცვლელი განწყობა იძლევა. მაშინ უთუოდ ასე გამოდის: კრიტიკული ცდის პროცესში ჩვენ ვიკვლევთ არა იმ განწყობას, რომელიც წინასწარ საგანგებოდ გავაფიქსირეთ და რომლის მოქმედებაც უნდა შეგვესწავლა, არამედ სულ სხვა განწყობას, რომელიც თუმცა პირველის დარღვევას მოჰყვება, მაგრამ ამასთან, — თუ შეიძლება ასე ითქვას, — „საქმიან კავშირში“ აღარაა და სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს. ერთი

²² რ. ნათაძე, ტოლოზის განწყობის შემუშავებისათვის, *ე. ს. უ.*, VII, 1941.

²³ ავალიოშვილი, გათანაბრებისადმი შექმნილ განწყობაში მოქმედი ილუზიის საკითხისათვის, *აკად. მოამბე*, II, 1962 წ.

სიტყვით, ისე გამოდის, რომ ფიქსირებული განწყობის კლასიკური მეთოდი თითქოს მიზანს ასცდენია და განზრახულის ნაცვლად სხვა განწყობა უკვლევია.

ასეთია „ერთხელობრივი შეცვლის“ დებულება. როგორც ვხედავთ, იგი უარყოფს განწყობის მოქმედების დადგენილ ფაზებს და არაადეკვატურად ხდის მისი ექსპერიმენტული კვლევის მეთოდს.

სულ სხვა ვითარებას წარმოგვიდგენს „მრავალჯერ შეცვლის“ დებულება, რომელსაც, ჩვენი აზრით, თვითონ თეორია უნდა გულისხმობდეს.

რას ნიშნავს ფიქსირებული განწყობის მრავალჯერ საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლა? და რატომაა აუცილებელი, რომ იგი სწორედ მრავალჯერ ხდებოდეს და არა ერთხელ?

თუ პირველი კონტრასტული ილუზია მხოლოდ გაფიქსირებული განწყობის შეცვლის გზით შეიძლება ხდებოდეს. — რასაც, ცხადია, „ერთხელობრივი შეცვლის დებულებაც“ არ უარყოფს. — მაშინ ამავე გზით უნდა ჩნდებოდეს მეორე, მესამე და საერთოდ ყოველი მომდევნო კონტრასტული ილუზიაც, რადგან გვართ ანუ მიმართულებით ისინი ერთ ილუზიას წარმოადგენენ, და წარმოშობის თვალსაზრისითაც არ შეიძლება რამე განსხვავებული მიზეზის მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, პირველად გაჩნდება ეს ილუზია თუ, ვთქვათ, მეოცედ. მაშასადამე. კრიტიკული ცდების მიმდინარეობაში ფიქსირებული განწყობა მრავალჯერ იცვლება და ამის გამოა, რომ კონტრასტული ილუზიაც მრავალჯერ ზედიზედ ჩნდება. მაგრამ მაშინ ასე გამოდის: კონტრასტული ილუზიების ფაზაში თავიდან ბოლომდე ერთი და იგივე განწყობა მოქმედებს, რომელიც ამ ილუზიებს ბადებს. — და სწორედ ის განწყობა, რომელიც საგანწყობო ცდებში საგანგებოდ შეეკმეინით და გავაფიქსირეთ. მართალია, ამ ილუზიებს იგი ბადებს არა უშუალოდ, არამედ გაშუალებული — მხოლოდ საწინააღმდეგო განწყობით შეცვლის გზით. მაგრამ თვითონ ამ საწინააღმდეგო განწყობა, როგორც მხოლოდ შემცვლელს, დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია; იგი ხომ ისე ვერ გაჩნდება, თუ პირველი განწყობა არ დაირღვა. მაშასადამე. ყველაფერი, რაც ხდება, საბოლოო ანგარიშში. თავიდანვე ფიქსირებულ განწყობიდან მომდინარეობს: იგია, რომ ყოველ კრიტიკულ ექსპოზიციაში, სიტუაციის შეუფერებლო-

ბის გამო საწინააღმდეგო განწყობით იცვლება და, ამრიგად, კონტრასტულ ილუზიებს აჩენს.

განწყობის მრავალჯერ შეცვლის ფაქტიდან გასაგები ხდება საკუთრივ ასიმილაციური ილუზიების წარმოშობაც. — იმ ილუზიების. რომელნიც ჩვეულებრივად პირველი ფაზის მომდევნოდ ჩნდებიან და უთუოდ „შეცვლის“ გარეშე; სახელდობრ: ფიქსირებული განწყობის მრავალჯერ შეცვლის გზით მოქმედება, რომელიც არაადექვატურს, ტლანქად განსხვავებულ სიტუაციაში ხდება, ცხადია, უსაზღვრო ვერ დარჩება; იგი უნდა დასუსტდეს და ბოლოს კიდევ აღიკვეთოს. და აი, სწორედ ამ აღკვეთამდე. როცა იგი თანდათან სუსტდება და თავის შინაარსით მცირე განსხვავებაზე ფიქსირებულ განწყობას უახლოვდება, კონტრასტებს შორის აქა-იქ გამორევით თავს იჩენს ასიმილაციური ილუზიაც.

ამრიგად, დასტურდება შემდეგი: რა განწყობაც კონტრასტული ილუზიების ფაზაში მოქმედებს, იგივე განწყობა მოქმედებს ასიმილაციური ილუზიების ფაზაშიც. ოღონდ პირველში — მრავალჯერ საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლის გზით და მეორეში — უშუალოდ ანუ დარღვევა-შეცვლის გარეშე; და ვინაიდან ეს ფაზურად მომქმედი ერთი განწყობა წინასწარ საგანწყობო ცდებში ფიქსირდება, ამიტომ „ფიქსირებული განწყობის ცდების“ სახით დასაბუთებული ჩანს მისი კვლევის მეთოდიც: „ფიქსირებული განწყობის მეთოდი“ ადეკვატურია თავის საკვლევ საგანთან, რადგან იგი სწორედ იმ განწყობას ავლენს, რომლის შესწავლასაც მაშ თეორია ავალებს. მეთოდი დაკარგავდა ამ თვისებას, თუ დაუშვებდით, რომ „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი“ ერთხელობრივ შეცვლას გულისხმობს და არა მრავალჯერს.

5. ილუზიით განწყობის გაფიქსირების შესახებ. — არსებობს წებედულება, რომელიც დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის ცდებში საკუთრივ ასიმილაციური ილუზიების წარმოშობას სხვანაირად ხსნის, ვიდრე ეს ჩვენი ანალიზიდან ჩანს. მხედველობაში გვაქვს საკითხი კონტრასტული ილუზიით განწყობის გაფიქსირების შესახებ.

შრომაში „განწყობის ფსიქოლოგიისათვის“ (თ. ს. უ. VII, 1938, გვ. 37)²⁴. დ. უზნაძემ ასიმილაციური ილუზიის ასახსნელად, გარდა

²⁴ იხ. აგრეთვე „მასალები“, 1938, გვ. 31—32.

თავიდანვე ფიქსირებული განწყობის დასუსტებისა, სხვა მიზეზად პირველი ფაზის კონტრასტული ილუზიების გამაფიქსირებელი მოქმედების შესაძლებლობაც სცნო. მაგალითად: ზემოთ მოტანილ ცდაში „დიდ-პატარას აღქმისადმი“ გაფიქსირებული განწყობა პირველი ფაზის სახით ზედიზედ რვა კონტრასტულ ილუზიას აჩენს. — ე. ი. კრიტიკულ ტოლ წრეებიდან რვაჯერ „მარჯვნივ დიდის აღქმას“. ავტორის თანახმად ეს მიჯრით მიწყობილი კონტრასტული ილუზიები თავის მხრივაც განმაწყობელი ცდების როლს შეიძლება ასრულებდნენ და ცდ. პირს სათანადო განწყობას უფიქსირებდნენ, ე. ი. „მარჯვნივ დიდის აღქმისადმი განწყობას!“ და აი, როცა ცდ. პირს ამის შემდეგ კვლავ ტოლი წრეები ეძლევა, ეს „მარჯვნივ დიდისადმი განწყობაც“ საწინააღმდეგო მიმართულებით იცვლება („მარცხნივ დიდისადმი განწყობით“) და შესატყვის კონტრასტულ ილუზიებს („მარცხნივ დიდის აღქმებს“) ბადებს, რომელნიც ძირითადი (თავიდანვე ფიქსირებული) განწყობის მიმართ ასიმბალაციურ ილუზიებად ჩანან. მაგრამ ნამდვილად კონტრასტულნი არიან.

ამრიგად, იმ ილუზიების ასახსნელად, რომლებიც კრიტიკულ ცდებში პირველი ფაზის კონტრასტულ ილუზიების შემდეგ საწინააღმდეგო მიმართულებით ჩნდებიან, ავტორმა ორი მოსაზრება წამოაყენა: ერთი მოსაზრების თანახმად ისინი ჩნდებიან თავიდანვე ფიქსირებული განწყობის დასუსტების შედეგად და, როგორც ასეთნი, როგორც სუსტი განწყობის უშუალო (შეცვლის გარეშე წარმოქმნილი) ეფექტი; ტიპიურ ასიმბალაციურ ილუზიებს წარმოადგენენ; მეორე მოსაზრების თანახმად ისინი ჩნდებიან ახალი განწყობის კვლავ საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლის გზით, — იმ განწყობის, რომელიც ძირითადი განწყობის შეცვლის საფუძველზე გაჩნდა, I ფაზის კონტრასტული ილუზიების მრავალჯერ განმეორების წყალობით გაფიქსირდა და შემდეგ თვითონაც საწინააღმდეგო მიმართულებით შეიცვალა; და აი, როგორც ასეთნი, როგორც მაინც განწყობის შეცვლის გზით გაჩენილი ილუზიები, ისინიც კონტრასტულ ილუზიებს წარმოადგენენ.

ცხადია, ავტორს უნდა ეჩვენებია, თუ რა შემთხვევაშია სწორი თითოეული ეს მოსაზრება, თორემ სხვანაირად ერთი ფაქტის

ორგვარი ახსნა გამოვიდოდა. ჩვენი აზრით, მისი მსჯელობებიდან ასე ჩანს: 1. კონტრასტული ილუზიის საწინააღმდეგო მიმართულებით მომხდარი გადაფასებები ა ს ი მ ი ლ ა ც ი უ რ ი ა მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა თვითონ ეს წინამავალი კონტრასტული ილუზიები იშვიათია და ზედიზედ მიყოლებით არ ჩნდებიან, ე. ი. როცა თავიდანვე ფიქსირებული განწყობის მოქმედება ს უ ს ტ ი ა; 2. ხოლო კონტრასტულია ისინი იმ შემთხვევებში, როცა წინამავალი (პირველი ფაზის) კონტრასტული ილუზიები ხშირია და თანაც „ზუსტი პერიოდული მონაცვლეობით ცვლიან ურთიერთს“, ე. ი. როცა არის საფუძველი იმის, რომ აღნიშნული ილუზიების სიხშირემ მათი ქვემდებარე განწყობა გააფიქსიროს და შემდეგ ეს განწყობაც საწინააღმდეგო მიმართულებით შეიცვალოს.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი:

ორი მოსაზრება კონტრასტული ილუზიების საწინააღმდეგო მიმართულებით გადაფასებათა წარმოშობის შესახებ ავტორმა პირველად გამოთქვა 1938 წელს გამოქვეყნებულ შრომაში „განწყობის ფსიქოლოგიისათვის“, მაგრამ არც ერთ შემდეგ დაბეჭდილ გამოკვლევაში იგი არ გაუმეორებია: არც Untersuchungen zur Psychologie der Einstellung-ში (Acta Psychologica), რომელიც დასახელებული ქართული შრომის თითქმის თარგმანია, არც „ზოგად ფსიქოლოგიაში“ და არც „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტულ საფუძვლებში“. აღნიშნულ შრომებში ყველგან დატოვებულია მხოლოდ პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ს ა ზ რ ე ბ ა, — ე. ი. I ფაზის კონტრასტული ილუზიების მომდევნო საწინააღმდეგო მიმართულებით მომხდარი გადაფასებები ახსნილია მხოლოდ და მხოლოდ ძ ი რ ი თ ა დ ი განწყობის დასუსტებით და მიჩნეულია წმინდა ასიმილაციური ილუზიებად; მეორე მოსაზრება კი, რომელსაც ეს გადაფასებები ვითომდა I ფაზაში გაფიქსირებული „შემცვლელი“ განწყობის გავლენით უნდა აეხსნა და, მაშასადამე, ისინიც კონტრასტულ ილუზიებად უნდა ეცნო, აღარსად ჩანს. სანიმუშოდ შევჩერდებით ავტორის მონოგრაფიის ერთ ადგილზე.

„განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტულ საფუძვლებში“ არის ერთი თავი — „კრიტიკულ ცდათა ფიქსაციური ზეგავლენა“ (გვ. 69—73), — რომელიც უშუალოდ ჩვენს საკითხს ეხება. როგორც ვხედავთ, დასათაურება ისეთია, რომ, თუ ავტორის აზრი.

ილუზიების განმანათლებელი გავლენის შესახებ საბოლოო იყო და მას იგი განზრახ არ განშორებია, მაშინ მის შესახებ სწორედ აქ. ამ თავში უნდა თქმულიყო და არა სხვაგან, რადგან „ილუზიის გზით განწყობის გაფიქსირება“ ფაქტობრივად „კრიტიკულ ცდათა ფიქსაციურ გავლენას“ ნიშნავს. მაგრამ რა ხდება ნამდვილად? რაზე მსჯელობს ავტორი?

დასახელებულ თავში ავტორი ლაპარაკობს მხოლოდ იმის შესახებ, ფიქსირდება თუ არა კრიტიკულ ცდებში ტოლ-გამღიზიანებელთა აღქმის შესატყვისი განწყობა, — ანუ უფრო ზუსტად: ცდ. პირი რომ მრავალჯერ ზედიზედ ტოლობას ადასტურებს და, მაშასადამე, თავიდანვე ფიქსირებული განწყობის მოქმედება შეწყდა, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ კრიტიკულმა ცდამ ტოლი წრეების ექსპოზიციით შესატყვისი ფიქსაციური ზეგავლენა მოახდინა და სუბიექტს ტოლობისადმი განწყობა გაუფიქსირა? ავტორი რიგი ცდებით (ა. ავალიშვილის, რ. ნათიძის) ამტკიცებს, რომ არაავითარი ამის მსგავსი არ ხდება, — რომ, თუმცა თავიდანვე ფიქსირებული ილუზიურად მოქმედი განწყობა ნამდვილად აღიკვეთა, მაგრამ ტოლობის აღქმის შესატყვისი განწყობა ჯერ კიდევ არ გაფიქსირებულა, — და ყოველივე ამის შემდეგ ასკვნის: „მაშასადამე, ყოველ ექვს გარეშეა, რომ კრიტიკული ექსპოზიცია არაავითარ ახალ განწყობას არაფიქსირებს“-ო. (გვ. 72).

ეს დასკვნა ჩვენთვის მით არის საინტერესო, რომ ავტორი აზოგადებს თავის აზრს: „კრატიკული ექსპოზიცია არაავითარ ახალ განწყობას არ აფიქსირებს“-ო! და იგი უთუოდ არ იხმარდა ასეთ გამოთქმას და არც ესოდენ კატეგორიულად უარყოფდა კრიტიკულ ცდის მიერ რისამე ფიქსაციის უნარს. რომ თავის ძველ შეხედულებას ილუზიათა გამაფიქსირებელი როლის შესახებ მართლაც ბოლომდე შერჩენოდა. ჩანს მას ეს შეხედულება გადაჭრით უარუყვია და ამიტომ არც შეხებია მას, იმ დროს. როცა, სადაც კი ასიმილაციური ილუზიის წარმოშობის საკითხი დაუსვამს (გვ. 21—23, 59, 93), ყველგან მიზეზად განწყობის დასუსტება ალიარებული.

ვფიქრობთ, ავტორი მართებულად მოიქცა. „ილუზიის გამაფიქსირებელი როლი“ არ ეგუება განწყობის შეცვლის ძირითად კანონს. და საერთოდ განწყობის კლასიკურ ცდებში შეუძლებელია იგი ხდებოდეს. ჩვენ ახლა ამის განხილვაზე გადავალთ.

კრიტიკული ცდის მიმდინარეობა წესისამებრ ასეთია: ჯერ ფიქსირებული განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით მომხდარი გადაფასებები (ტოლი წრეებისა) ანუ კონტრასტული ილუზიები, შემდეგ თვითონ ამ ილუზიების საწინააღმდეგო მიმართულებით წარმოქმნილი გადაფასებები ანუ ასიმილაციური ილუზიები (პირველი მოსაზრების მიხედვით), შემდეგ მათი მონაცვლეობა ტოლობიექტების ადეკვატურ შეფასებებთან და, დასასრულს, მხოლოდ ეს ადეკვატური შეფასებები. — რა თქმა უნდა, არის ცდის სხვა-ნაირი მიმდინარეობაც, მაგრამ ჩვენთვის ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს.

აღწერილი მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ განწყობის მოქმედება თანდათან სუსტდება და ბოლოს კიდევ აღიკვეთება, და ამის მიზეზიც ნათლად ჩანს: განწყობა, რომელიც საგანწყობო ცდებში იქმნება, შინაარსეულად „განსხვავებული სიდიდეების აღქმის განწყობაა“ და მოქმედებს კი არაადეკვატურს. ტოლობის კრიტიკულ სიტუაციაში, და სწორედ ესაა მიზეზი, მისი დასუსტებისა და აღკვეთისა; თორემ მას რომ ისევ იმ ადეკვატურს განსხვავებულ გამოზიანებელთა სიტუაციაში ემოქმედა, რა სიტუაციაშიც თავიდანვე შეიქმნა და გაფიქსირდა. მაშინ, ცხადია, იგი უბრალოდ გააგრძელებდა მოქმედებას და არასოდეს არ დასუსტდებოდა. მაშასადამე, კრიტიკული ცდების მიმდინარეობაში ერთი განწყობა მოქმედებს, — თავიდანვე ფიქსირებული განწყობა, — და მხოლოდ იგი სუსტდება; ოღონდ ეს დასუსტება ჯერ ხდება მისი საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლის გზით, ე. ი. კონტრასტული ილუზიების წარმოქმნით. და შემდეგ — შეცვლის გარეშე ანუ პირდაპირ ასიმილაციური ილუზიების გაჩენით. და აი, საკითხი ისმის: შეიძლება თუ არა ასეთ ექსპერიმენტულ სიტუაციაში, კერძოდ, კონტრასტული ილუზიის ქვემდებარე განწყობაც, რომელიც ძირითადი განწყობის დარღვევის შედეგად ჩნდება, ამ ილუზიის სიხშირის ძალით გაფიქსირდეს, შემდეგ ამის გამო თვითონაც საწინააღმდეგო მიმართულებით შეიცვალოს და ამრიგად თავისი შესატყვისი კონტრასტული ილუზიები გააჩინოს?

შემცვლელი განწყობის გაფიქსირება და შეცვლა შეუძლებელია შემდეგ გარემოებათა გამო.

1. უპირველესად ყოვლისა საყურადღებოა შემდეგი ექსპერიმენტული ფაქტი: ნორმალურ ადამიანთა მასაში „ტლანქი-დინამი-

კური განწყობის“ ცდ. პირთა შორის არიან ისეთები, რომელნიც ზედიზედ ბევრ კონტრასტულ ილუზიას იძლევიან, — მაგალითად, 10—15—20 ილუზიას, — და შემდეგ ერთბაშად გადადიან ადეკვატურ შეფასებებზე; და არიან „ტლანქი-სტატიკური განწყობის“ ადამიანებიც (თუმცა კი ძალიან იშვიათად!), რომელნიც განუწყვეტლივ მხოლოდ კონტრასტულ ილუზიებს იძლევიან. რას გვეუბნება ეს ფაქტი?

ჩვენ ვიცით, რომ სიდიდის აღქმის განწყობას ჩვეულებრივად 3—4 საგანწყობო ცდაც კი საკმარის აფიქსირებს. მაშასადამე, უფლება გვაქვს ასე ვიმსჯელოთ: კონტრასტულ ილუზიასაც რომ გამოაფიქსირებელი ძალა ჰქონოდა, — რომ მას მართლაც შეძლებოდა თავის წარმომქმნელი („შემცვლელი“) განწყობის გაფიქსირება, — მაშინ აუცილებლად ასე უნდა მომხდარიყო აღწერილ შემთხვევებშიც და. რა თქმა უნდა, მეტის სიადვილითაც, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ოთხი საგანწყობო ცდითაა შესაძლებელი; მაგრამ ფაქტია, რომ ასე არ ხდება: მტკიცე „ტლანქი-დინამიკური“ და „ტლანქი-სტატიკური განწყობის“ ტიპები უეჭველად არსებობს და ეს უთუოდ საბუთია იმის, რომ კონტრასტული ილუზიის ქვემდებარე („შემცვლელი“) განწყობა არ შეიძლება გაფიქსირდეს. რა გინდ ბევრჯერ უნდა განმეორდეს ეს ილუზია.

2. როგორც ზემოთ გავარკვიეთ, თავიდანვე ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის დარღვევა და საწინააღმდეგო მიმართულებით (ახალი განწყობით) შეცვლა ერთხელ კი არ ხდება. არამედ მრავალჯერ — ყოველი მომდევნო კონტრასტული ილუზიის გაჩენისას; ე. ი. თუ, ვთქვათ, I ფაზა 20 კონტრასტულ ილუზიას შეიცავს, დარღვევა-შეცვლაც 20-ჯერ მომხდარა. ეს კი შემდეგს ნიშნავს: შემცვლელ ახალ განწყობას დამოუკიდებელი, ავტონომიური მოქმედების უნარი არ ჰქონია, რადგან მას მუდამ მხოლოდ ძირითადი განწყობის შეცვლა აჩენს და, რასაც თვითონ აკეთებს. ისევ მხოლოდ ამ შეცვლის საფუძველზე და, მაშასადამე. საბოლოო ანგარიშში მაინც ძირითადი განწყობის ძალით. ერთი სიტყვით, ისე გამოდის. რომ ძირითადი განწყობის დარღვევა და მისი საწინააღმდეგო განწყობით შეცვლა ერთ მთლიან, განუყოფელ პროცესს წარმოადგენს და შემცვლელი განწყობა მხოლოდ ერთ-ერთი მომენტი ან პროცესისა.

აღწერილი ვითარების გამო შემცვლელი განწყობის გაფიქსირება უთუოდ ვერ მოხდება. და მართლაც, როგორღა უნდა გაფიქსირდეს იგი, თუ მის გასაჩენად თვითონ შესაცვლელი ანუ ძირითადი განწყობაც მუდამ „სახეზე“ უნდა იყოს?! თუ აქსაერთოდ. მრავალჯერ განმეორების ძალით, რისიმე გაფიქსირება შესაძლებელი იქნებოდა, ეს ისევ ამ ძირითადი განწყობის დარღვევა-შეცვლის მთლიან პროცესს უნდა შეხებოდა და არა მხოლოდ მის ერთ წევრს—შემცვლელ განწყობას, რომელიც ფაქტობრივად მხოლოდ ამ მთლიანში მეორდება და არა ცალკე, დამოუკიდებლად. მაგრამ, როგორც ცდა გვიჩვენებს, არც ეს ხდება: ძირითადი განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლა და კონტრასტულად მოქმედება გარდა ამ ალღო მდგომარეობაა და საბოლოოდ ისევ ადეკვატური შეფასებები იმარჯვებს. ერთი სიტყვით, დარღვევა-შეცვლის ერთიანობა შეუძლებლად ხდის შემცვლელი განწყობის გაფიქსირებას.

3. მაგრამ რატომ არ ფიქსირდება თვითონ ეს დარღვევა-შეცვლა როგორც ერთი მთლიანი პროცესი? რატომღა იგი გარდამავალი მდგომარეობა? ამის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ თავიდანვე ფიქსირებული განწყობა, რომელიც არაადეკვატურ სიტუაციაში მოქმედებს, სუსტდება და შეცვლის უნარს თანდათან კარგავს. ვნახოთ ახლა, როგორ მიმდინარეობს ეს დასუსტება.

პირველ რიგში საჭიროა გაირკვეს, როდის იჩენს თავს დასუსტება ანუ სად ჩნდება იგი პირველად განწყობის ფაზური მოქმედების გასწვრივ.

დ. უზნაძის მიხედვით და საერთოდ განწყობის თეორიაში გავრცელებული შეხედულების თანახმად ფიქსირებული განწყობის შესუსტების პირველი საფეხურია ასიმბალაციური ილუზია. რომელიც I ფაზის კონტრასტული ილუზიების შემდეგ ჩნდება. ხოლო მეორე (დასუსტების მომატების) საფეხურია ტოლობა ანუ ადეკვატური შეფასება, რომელიც ორივესთან ან ერთ-ერთ მათგანთან მონაცვლეობით ჩნდება. ცხადია, თუ შემცვლელი განწყობის დამოუკიდებლად გაფიქსირების დებულებას გავიზიარებთ, მაშინ ასიმბალაციური ილუზიები. როგორც ამ „ახლად გაფიქსირებული განწყობის“ ზემოთ კონტრასტულნი, დასუსტების მაჩვენებელი აღარ იქნებოდნენ და ასეთად მხოლოდ ტოლობა უნდა გვეცნო. მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც თვითონ დინამიკა ამ დასუსტებისა.

ექაპერიმენტულად ფიქსირებული განწყობა პირველად იქ კი არ სუსტდება, სადაც იგი ასიმილაციურ ილუზიას იძლევა, არამედ თავიდანვე, როგორც კი კრიტიკულ სიტუაციაში იწყებს მოქმედებას, ე. ი. პირველ კრიტიკულ ექსპოზიციიდანვე. სხვანაირი გაგება. ვფიქრობთ, მოუხერხებელი იქნებოდა. მაგალითად: თუ 20 კონტრასტული ილუზიის შემდეგ განწყობამ ასიმილაციური ილუზია მოგვცა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი პირველად აქ, ამ 21-ე ექსპოზიციაში შესუსტდა; ნამდვილად იგი დასუსტებული იყო მე-20 ექსპოზიციაშიც, როცა კონტრასტულად მოქმედებდა, თორემ აქაც რომ იმავე ძალის ყოფილიყო, რა ძალისაც, ვთქვათ პირველ ექსპოზიციაში იყო, მაშინ მას მეორე ოცეულ ექსპოზიციაშიც კონტრასტული ილუზია უნდა მოეცა. და ასე, უსასრულოდ.

თუ ამ მსჯელობას გავყვებით, — და უთუოდ უნდა გავყვეთ, — მაშინ დასუსტების დინამიკა მხოლოდ ასე უნდა წარმოვიდგინოთ: თავიდანვე ფიქსირებული განწყობის დასუსტება პირველ კრიტიკულ ექსპოზიციიდანვე იწყება: ე. ი. როგორც კი პირველი კონტრასტული ილუზიის გაჩენისას ძირითადი განწყობა საწინააღმდეგო მიმართულებით შეიცვალა, ამის შემდეგ იგი უკვე იმ ძალის აღარაა, რა ძალაც მას უკანასკნელი ს ა გ ა ნ წ ყ ო ბ ა ექსპოზიციის შედეგად ჰქონდა; შემდეგ, ყოველი მომდევნო კონტრასტული ილუზიის გაჩენით. და, მაშასადამე, რამდენჯერმე შეცვლით, იგი სულ უფრო და უფრო სუსტდება და ისეთ საფეხურს აღწევს, როცა, ვეღარ ახერხებს კვლავ შეცვლას, ასიმილაციურ ილუზიებს იძლევა ან და სრულიად აღიკვეთება. ერთი სიტყვით, თავიდანვე ფიქსირებული განწყობის მოქმედებაში ყოველი კრიტიკული ექსპოზიცია მისი დასუსტების მორიგი ეტაპია.

რას გვეუბნება ეს ფაქტი ჩვენი საკითხის შესახებ?

რაკი კრიტიკულ ცდაში მოქმედი ძირითადი განწყობა თანდათან სუსტდება, ცხადია, ასევე უნდა სუსტდებოდეს „შემცვლელი განწყობაც“, რომელსაც იგი ყოველი კონტრასტული ილუზიის წარმოქმნისას ხელახლა ბადებს; ე. ი. ყოველს მომდევნო კრიტიკულ-ექსპოზიციაში, სადაც კი ძირითადი განწყობის დარღვევა-შეცვლა ხდება. „შემცვლელი განწყობა“ სულ უფრო და უფრო შესუსტებული სახით უნდა ჩნდებოდეს, ვიდრე ყოველ წინამაჟღერში, და ასე ბოლომდე. სანამ თვითონ დარღვევა-შეცვლის პროცესი შეწყდებოდეს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რაღა მიზეზი უნდა იყოს ისეთი,

რომლის ძალით ეს თანდათან დასუსტებისაკენ მიმავალი „შემცვლელი განწყობა“. — ეს მხოლოდ თანმხლები ეფექტი ძირითადი განწყობისა, — დამოუკიდებლად გაფიქსირებას შეძლებდა და თავის მხრივაც შეცვლის გზით შესატყვისის (I ფაზის საწინააღმდეგო მიმართულებით) კონტრასტულ ილუზიებს გააჩენდა? ასეთი რამ უთუოდ წარმოდგენილია; არ შეიძლება გაფიქსირება იმის, რაც ძირითადი ფაქტორის თანმხლები ეფექტია და მისი განუწყვეტლივ დასუსტების გამო თვითონაც სუსტდება. საგანწყობო ცდებში განწყობა იმიტომ ფიქსირდება, რომ ყოველი მომდევნო ცდა მას ერთიადიმავე სახით იმეორებს და ამ მრავალჯერ დაუბრკოლებლივ განმეორების გამო მისი კვლავ აქტუალიზაციის ძალა სულ უფრო და უფრო მატულობს. კრიტიკულ ცდებში კი პირიქით ხდება: სიტუაციის არაადეკვატურობის გამო აქ ყოველი მომდევნო განმეორება და საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლა მას ძალას ართმევს და, მაშასადამე, ასუსტებს რა მას, ბუნებრივია, ასუსტებს და არ აფიქსირებს მის შემცვლელ განწყობასაც. ერთი სიტყვით, I ფაზის კონტრასტული ილუზიების ქვემდებარე (შემცვლელი) განწყობის გაფიქსირებას ისევ ამ ილუზიების წყალობით შეუძლებლად ხდის მისი თანდათანობრივი დასუსტების ფაქტი.

შეიძლება ვითხრობან: ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ განწყობა იქმნება და ფიქსირდება საგანწყობო გამაღიზიანებლების არა მარტო აღქმით, არამედ წარმოდგენითაც; და თუ ეს წარმოდგენას შეძლებია, რატომ არ უნდა შეეძლოს იგი ილუზიასაც და უფრო მეტად, ვიდრე წარმოდგენას. რადგან ილუზია აღქმისებური განცდაა და თავის სიცხადით და გამოკვეთილობით შეუდარებლად სჯობნის წარმოდგენასო.

ზემოთ წარმოებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს ამ საკითხსაც სათანადო პასუხი გავცეთ.

ცდ. პირს სიტყვიერად ავალევენ წარმოიდგინოს, რომ მარცხენა ხელში მას უჭირავს დიდი ბურთი და მარჯვენაში — პატარა; და როცა ამ ცდას რამდენიმეჯერ ამეორებინებენ (ვთქვათ, 15-ჯერ), მას უფიქსირდება სათანადო განწყობა, — სახელდობრ, „დიდ-პატარა ბურთის აღქმის განწყობა“, — რაც იქედან ჩანს, რომ კრიტიკული ტოლი ბურთები კონტრასტულად აღიქმებიან (როგორც „პატარა-დიდი“). ისმის საკითხი: რატომ მოხერხდა წარმოდგენით განწყობის ფიქსაცია.

განწყობის გაფიქსირება უეჭველია, მაგრამ ეს ფაქტი არ შეიძლება იყოს საბუთი იმის, რომ თითქოს ამიტომ ილუზიასაც უნდა შეეძლოს მისი გაფიქსირება. განსხვავებას იძლევა სიტუაცია: წარმოდგენით ფიქსაციის ცდებში, სადაც საგანწყობო სიტუაცია მხოლოდ წარმოსახულია და, მაშასადამე, წარმოდგენის მრავალჯერ განმეორებით განხორციელებას ობიექტურად არაფერი არ აბრკოლებს, იგულისხმება, რომ მუდამ ასევე დაუბრკოლებლივ მეორდება მისი ქვემდებარე განწყობაც. რომელიც სწორედ ამიტომ კიდევ ფიქსირდება. ილუზიის ქვემდებარე განწყობის სიტუაცია კი სხვანაირია: როგორც ტოლგამღიზიანებელთა სიტუაცია, იგი მისთვის არაადეკვატური, კრიტიკული სიტუაციაა, რომელიც მას უნდა დასძლიოს იმისათვის. რომ ილუზია გააჩინოს; და ვინაიდან ყოველი ასეთი „დაძლევა“ განწყობის ნამდვილი „განსაცდელია“. ამიტომ ბუნებრივია, რომ კრიტიკული (შეუფერებელი) ექსპონციების გასწვრივ მას ძალა აკლდება და, მაშასადამე, კი არ ფიქსირდება, არამედ თანდათან სუსტდება.

რა გინდ ბევრჯერ უნდა განმეორდეს კრიტიკულ ცდაში ილუზია, მისი ქვემდებარე, განწყობის გაფიქსირება მაინც არ შეიძლება მოხდეს. რადგან სუბიექტზე აქ ტოლი გამღიზიანებლების ობიექტური სინამდვილე მოქმედებს და განწყობის მიერ ამ შეუფერებელი სინამდვილის ილუზიურად აღქმა თუმცა კი მის საქმიანობას მოწმობს. მაგრამ რეზულტატში იმავე დროს დასუსტებასაც ნიშნავს. წარმოდგენით განწყობის ფიქსაციის ცდებში კი სიტუაცია ადეკვატურია და ამიტომაც, რომ აქ იგი კიდევ ფიქსირდება (თორემ კრიტიკულ ცდაში ასეთი განწყობაც ხომ ილუზიებს აჩენს და ისევე სუსტდება. როგორც უტოლო გამღიზიანებლებით ფიქსირებულ განწყობა!). ერთი სიტყვით, განწყობა წარმოდგენითაც ფიქსირდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ილუზიითაც უნდა გაფიქსირდეს. ილუზიის ქვემდებარე განწყობა სიტუაციასთან შეუფერებლობის გამო განუწყვეტლივ სუსტდება და, როგორც ასეთი, არ შეიძლება გაფიქსირდეს.

ამრიგად, ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია: დ. უზნაძის დებულება, რომ I ფაზის კონტრასტული ილუზიები სათანადო განწყობას შეიძლება აფიქსირებდნენ და რომ ასეთ შემთხვევებში მომდევნო, საწინააღმდეგო მიმართულებით გაჩენილი გადაფასებებიც ნამდვილად კონტრასტული ილუზიებია და არა ასიმბილატიური. — ეს

ადრინდელი მისი შეხედულება ფაქტობრივად არ მართლდება. განწყობის კლასიკურ ცდებში არავითარი საამისო პირობა არ არსებობს და მას, ცხადია, არც „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი“ გულისხმობს, რადგან ამ კანონის თანახმად ძირითადი განწყობის შემცვლელი განწყობა „გარდამავალი მდგომარეობაა“ და, როგორც ასეთი. როგორც სწორედ გარდამავალი და, მაშასადამე, თანდათანობრივ დასუსტებას დაქვემდებარებული პროცესი, ვერ გაფიქსირდება. თეორიის ავტორმა უთუოდ გაითვალისწინა ეს გარემოება და ამიტომ იყო, რომ მხოლოდ ერთხელ და ერთ შრომაში გამოთქმული დებულება „ილუზიით განწყობის გაფიქსირების შესახებ“ არსად სხვა შრომებში აღარ გაიმეორა და, სადაც კი კონტრასტული ილუზიის საწინააღმდეგო გადაფასებათა წარმოშობას შეეხებო, ყველგან ისინი თავიდანვე ფიქსირებული (ძირითადი) განწყობის დასუსტებით ახსნა, ხოლო უკანასკნელ შემაჯამებელ მონოგრაფიულ გამოკვლევაში დებულების სახით გამოთქვა: „კრიტიკული ექსპოზიცია არავითარ ახალ განწყობას არ აფიქსირებსო“. როგორც ცდის ანალიზმა გვიჩვენა, ეს დებულება უდაოდ სწორია, და ავტორის მიერ მისი ასეთ კატეგორიულ ფორმაში გამოთქმაც უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ „კონტრასტული ილუზიებით განწყობის გაფიქსირების“ შესაძლებლობა მან შეგნებულად უარყო და მათი საწინააღმდეგო გადაფასებები ძირითადი განწყობის დასუსტებით გამოწვეულ ასიმილაციურ ილუზიებად სცნო.

ერთი სიტყვით, განწყობის კლასიკური ექსპერიმენტის კრიტიკულ ცდებში მხოლოდ ერთი თავიდანვე ფიქსირებული განწყობა მოქმედებს, რომელიც საწინააღმდეგო მიმართულებით შეცვლის გზით კონტრასტულ ილუზიებს აჩენს და შეცვლის გარეშე—ასიმილაციურს, სოლო თვითონ ეს ილუზიები კი არავითარ ახალ განწყობას არ იფიქსირებს. ასეთია „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის“ აზრი და უთუოდ ასე ესმოდა იგი დ. უზნაძეს.

დღეს არსებობს შეხედულება, რომელიც ილუზიით განწყობის გაფიქსირებას უეჭველ ფაქტად თვლის. მხედველობაში გვაქვს პროფ. ი. ბეალავასა და ქ. ცინცაძის ცდები „შარპანტიეს“ ილუზიის განმაწყობელი მნიშვნელობის შესახებ (იხ. ი. ბეალავა, აღქმა და განწყობა, 1960.—ქ. ცინცაძე, „შარპანტიეს ილუზიის გან-

მაწყობელი მნიშვნელობის შესახებ“, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. X. XVI. 1961). მაგრამ აღნიშნული ცდები იმის საბუთად არ გამოდგება, რომ თითქოს დ. უზნაძის ექსპერიმენტებშიც კონტრასტული ილუზია თავის ქვემდებარე განწყობას უნდა აფიქსირებდეს; აქ ასეთი რამ ყოვლად შეუძლებელია. ჩვენის აზრით, თუ შარპანტიეს ილუზიას მართლაც აქვს განმაწყობელი ძალა, ეს უთუოდ მისაწარმოქმნის სპეციფიკურ პირობებზე უნდა იყოს დამოკიდებული: დ. უზნაძის „კრიტიკულ“ ცდისგან განსხვავებით, შარპანტიეს ცდაში ილუზიის ქვემდებარე განწყობა უბრალოდ კი არ რეპროდუცირდება, არამედ კრიტიკული ცდის ყოველ განმეორების (ან მრავალჯერ განმეორებისას.) ხელახლა ჩნდება, იქმნება, და ვნაიდან ამის გამო ილუზია დიდხანს არ სუსტდება, ალბათ ამიტომ იგი ამ განწყობის გამაფიქსირებელ ძალასაც იძენს.

II განწყობის ასიმილაციური მოქმედების ექსპერი- მენტული კვლევის მეთოდის შესახებ

ჩვენ განვიხილეთ განწყობის შეცვლის კანონი, ვუჩვენეთ ექსპერიმენტული ფაქტები, რომელთაც იგი განწყობის თეორიაში ემყარება, და გავარკვეეთ მისი არსებითი და ორგანიული კავშირა ამ თეორიასთან. მაგრამ უკანასკნელ ხანებში განწყობის პრობლემებზე მომუშავეთა შორის ამ კანონს მოწინააღმდეგენი გაუჩნდა: ფიქრობენ, რომ კერძოთ ის ცდები, რომელთაც დ. უზნაძე ამ კანონის გამართლებად თვლიდა, საქმის ნამდვილ ვითარებას არ ასახავს.— რომ მათი ზუსტი განმეორება განწყობის ასიმილაციურ მოქმედებას არ ადასტურებს და, მაშასადამე, კანონი ფაქტებს არ ემყარება. ზოგი კი ფიქრობს, რომ ის, რაც აღნიშნულ ცდებში „ასიმილაციურა ილუზიის“ სახით დასტურდება, ნამდვილად „ბუნებრივი ასიმეტრიით“ გამოწვეული გადაფასებაა და არა ეფექტი ვითომდა „ასიმილაციურად მოქმედი განწყობისა“, რომელსაც ოდნავ განსხვავებულ სიდიდეთა აღქმა უნდა აფიქსირებდეს. ერთი სიტყვით. არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად განწყობის შეცვლის კანონი ფიქციაა და უნდა უარყოფილ იქნას.

ისმის კითხვა: სწორია თუ არა ეს შეხედულება? მართლაც „ბუნებრივი გადაფასების“ (ასიმეტრიის) შედეგთან გვაქვს საქმე დ. უზნაძის ცდებში, თუ განწყობის ნამდვილ ასიმილაციურ ილუზიასთან?

ცდები, რომლებიც ჩვენ ამ საკითხის შესასწავლად ვაწარმოეთ, არაა დ. უზნაძის ცდების პირდაპირი განმეორება; გარკვეული მიზეზების გამო მეთოდურად იგი მისგან განსხვავდება. ამიტომ

ვიდრე საკუთრივ ჩვენ შედეგებს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია წინასწარ ეს განსხვავებაც იქნას გათვალისწინებული.

§ 2. დ. უსწამის მეთოდისა და ცდების შესახებ

1. ფსიქოფიზიკის ფაქტები და განწყობის ილუზიები.—ჩვეულებრივ ყოველდღიურ დაკვირვებაში ეს ილუზიები არ ჩანს, მას მხოლოდ ექსპერიმენტი გვიჩვენებს და, როგორც ირკვევა, არა მარტო ადამიანთან, არამედ ცხოველთანაც²⁵. მაგრამ განწყობის ილუზიები ფაქტობრივად ხომ მცდარი შეფასებებია და, მაშასადამე, იმ კატეგორიის მოვლენები, რომელთაც თითქმის მთელი XIX საუკუნის გასწვრივ ფსიქოლოგიის სპეციალური დარგი—ფსიქოფიზიკა—იკვლევდა. და ისიც ვიცით, რომ ე. წ. ფსიქიკური ანუ „ფსიქო-ფიზიკური გაზომვის მეთოდები“ („მინიმალური ცვლილებების“, „სწორი და მცდარი შემთხვევების“, „საშუალო შეცდომების“, „თანაბარი ინტერვალების“) სწორედ ამ მცდარ შეფასებებში მოქმედ კანონზომიერებათა შესასწავლად იყო შემუშავებული, რადგან სხვანაირად, თუ არა მცდარ შეფასებათა გათვალისწინებით, ზღურბლების დადგენა შეუძლებელია. ამიტომ, როცა განწყობის თეორიის ავტორმა კონტრასტული ილუზიის (resp. კონტრასტული მცდარი შეფასების) პრობლემა დააყენა და მისი ასწნა მცირე განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედების (ანუ ასიმილაციური მცდარი შეფასების) ფაქტში დაინახა, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ მას იმის შესახებაც უნდა ეფიქრა, თუ რა მიმართებაში უნდა ყოფილიყო ეს ასწნა ფსიქოფიზიკის ცნობილ ფაქტებთან.

ისმის საკითხი: რა ფაქტებია ფსიქოფიზიკაში ისეთი. რომლებიც განწყობის ილუზიებს გვაგონებს და მათ ეჯებაში გვეხმარება?

როგორც ვიცით, გალიზიანების ზღურბლების („აბსოლუტურის“, „განსხვავების“ და „ზღვარის“) კვლევამ დაადასტურა, რომ სიდიდეთა სწორ შეფასებას მრავალი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ხასიათის ფაქტორი ამრუდებს. ვ. ვუნდტმა, რომელმაც შეიძლება ითქვას, პირველად შეისწავლა ეს ფაქტორები და მათი ამომწურავი კლასიფიკაციაც მოგვცა, კერძოდ, ფსიქოლოგიურ ფაქ-

²⁵ დ. უსწამე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, გვ. 101.

ტორთა შორის განსაკუთრებული როლი მიანიჭა ე. წ. „ასიმილაციის“ და „კონტრასტის გავლენებს“. დასმულ საკითხზე საპასუხოდ საკმარისია გავითვალისწინოთ რას გულისხმობს იგი ამ „გავლენებში“.

ა. „ასიმილაციური გავლენის“ შესახებ იგი ამბობს²⁶: „მოცემული შთაბეჭდილება საერთოდ ასიმილაციურად მოქმედებს ყოველ მომდევნო რომელობით და რაოდენობით მზგავს შთაბეჭდილებაზე, თუ კი ამას ხელს არ უშლის საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედი ასოციაციური და აპერცეპციული გავლენები. ამასთანავე უკანასკნელი გავლენები ხდებიან მიზეზად იმისა, რომ ასიმილაციის მოქმედება განსაზღვრულია ვიწრო ჩარჩოებით და, ამრიგად. ძალაშია მხოლოდ იქ, სადაც შესადაარებელსიდიდეთა შორის განსხვავება ძალიან მცირეა“. (ხაზი ჩვენია. ზ. ხ.)... „ასიმილაცია შედარებით სუსტია მარტივ შეგრძნებებში, მაგრამ იგი აქაც თამაშობს როლს, თუ მცა კი იმ მცდარი სახელწოდებით ვითომდა მსჯელობისადმი „შეგუებისა“, რომელსაც მას ფსიქოფიზიკოსების ვულგარული ფსიქოლოგია აქლევს (ხაზი ჩვენია ზ. ხ.). უფრო მეტად კი მას ადგილი აქვს ესქტენსიურ წარმოდგენებში“-ო.

ბ. „კონტრასტის გავლენას ადგილი აქვს რომელობითი ხარისხების შედარებისას გრძნობელობის ყველა სფეროში“... „ფსიქოლოგიური კონტრასტიც, ისე როგორც საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედი ასიმილაცია, გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული. როცა შესადაარებელსიდიდეებს შორის განსხვავება ნაკლებია ოდნავ შესამჩნევი სხვაობის ზღურბლთან ახლომდებარე სიდიდეზე, მაშინ კონტრასტის ნაცვლად ზოგჯერ შეიძლება გაჩნდეს ასიმილაცია; მაგრამ როგორც კი ეს განსხვავება სავსებით შესამჩნევსიდიდეს აღწევს, კონტრასტის შემთხვევები მაქსიმუმადეიზრდება, ხოლო შემდეგ კი ისევ სწრაფად იკლებს და ნულამდე ეცემა. ვინაიდან ფსიქიკურ სიდიდეთა შედარება ჩვეულებრივად ოდნავ შესამჩნევისა და სავსებით შესამჩნევი განსხვავების მიჯნებთან ხდება, ამიტომ აქ არა-

²⁶ В у н д т, В. Основы физиологической психологии, Ред. Крогиуса и др, г. глава IX, გვ. 239.

იშვიათად შესაძრნევი კონტრასტის გავლენები, რომელნიც თავისებურ დამოკიდებულებაში არიან ასიმილაციის გავლენებთან, სახელდობრ: გარკვეულ პუნქტში გათანაბრება ერთბაშად გადადის კონტრასტში“... ამრიგად, ვიღებთ სივრცითი ილუზიების უთუოდ საყურადღებო კლასს“... „ბუნებრივია, რომ ყველგან, სადაც კი მრავალრიცხოვანი ცდების საფუძველზე სიხშირის მრუდეებს აგებენ, ეს გავლენები მათი ასიმეტრიის მიზეზად ხდებიან და არ შეიძლება დაუშვათ, რომ, მაგალითად, კონტრასტის და ასიმილაციის შემთხვევები ურთიერთს გათანაბრებენ, რადგან ისინი არსებითად განსხვავებულ პირობებში ჩნდებიან“²⁷.

ვუნდტის ამ გამონათქვამებიდან ნათლად ჩანს, რომ ფსიქოფიზიკურმა კვლევამ იცოდა და იცის სიდიდეების ისეთი მცდარი ანუ ილუზიური შეფასება, რომელთაგან ერთს ასიმილაცია ეწოდება და მეორეს კონტრასტი. ორივე ეს ილუზია თავს იჩენს ერთდროულად ან თანამიმდევრობით მოქმედ გამლიზიანებელთა შედარებისას: ორი სიდიდით განსხვავებული გამლიზიანებლის აღქმაში (ოპტიკურის, აკუსტიკურის, სიმძიმის, შეხების, დროითი ინტერვალის და სხვ.) წინამავალი გამლიზიანებელი გავლენას ახდენს მომდევნოზე: 1. იგი იასიმილირებს ანუ თავის თავს უიდიენტურებს (უთანაბრებს) მომდევნო გამლიზიანებლის სიდიდეს, თუ მათ შორის სხვაობა „განსხვავების ზღურბლს“ დიდათ არ აღემატება ან პირდაპირ ზღურბლურია; 2. მაგრამ იგი თავის საწინააღმდეგო, კონტრასტული მიმართულებით ცვლის, ადიდებს ან ამცირებს მას, როცა ეს სხვაობა „განსხვავების ზღურბლზე“ შესაძრნევად მეტია.

ასიმილაციისა და კონტრასტის აღწერილი ფაქტები შინაარსულად სავსებით იგივეა. რაც განწყობის კონტრასტული და ასიმილაციური ილუზიები. რადგან იქაც და აქაც საქმე გვაქვს სიდიდეების მცდარ შეფასებასთან და ამასთანავე ამ მცდარი შეფასების კონტრასტულობა-ასიმილაციურობაც სუბიექტზე მოქმედი სიდიდეების სხვაობის ხარისხზეა დამოკიდებული. ერთი სიტყვით. რა ხასიათის ილუზიებიც (მცთარი შეფასებები) ფსიქოფიზიკამ უჩვენა, იგივე ილუზიები უჩვენა განწყობის ცდებმაც.

²⁷ Ibid. 211—211.

რა თქმა უნდა, ფსიქოფიზიკისა და განწყობის ილუზიების ეს შინაარსეული ერთნაირობა დ. უზნაძეს შეუძმჩნეველი არ დარჩებოდა; პირიქით, როგორც განწყობის ფსიქოლოგიის მკვლევარ-ექსპერიმენტატორს, მას იგი მუდამ მსედველობაში უნდა ჰქონოდა და მეთოდის დაზუსტებისა და შედეგების სწორად გაგების თვალსაზრისით ანგარიშიც უნდა გაეწია მისთვის. ხოლო ისე რომ მომხდარიყო, რომ სიდიდებით ფიქსირებული განწყობის ცდებს დაედასტურებინა იმის სრულიად საწინააღმდეგო, რაც ერთ დროს ფსიქოფიზიკამ უჩვენა. მაშინ იგი კონფლიქტში მოვიდოდა ფსიქოლოგიის ამ შედარებით ყველაზე უფრო ზუსტ დარგთან და უნდა დასმულიყო საკითხი: ერთ-ერთის ან ორივეს მცდარობის შესახებ. მაგრამ ფაქტია, რომ არა თუ ასე არ მოხდა, არამედ განწყობის ცდების მონაცემებს ფსიქოფიზიკა დაემოწმა! და აი სწორედ ამიტომ იყო, რომ მცირე განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედების შესახებ ავტორმა საჭიროდ სცნო შეენიშნა: „ეს შედეგი კარგად ეთანხმება ადრე დაკვირვებულ მოვლენებს ზღურბლთან ას-ლომყოფი აღქმების სფეროში;“ „უმნიშვნელო განსხვავებისას მიმზგავსება, დიდი განსხვავებისას კონტრასტი“-ო.

შენიშვნა: ერთ-ერთ შრომაში²⁸ ავტორმა ყურადღება მიაკცია ამ განსხვავების ორ მიმართულებას: 1. განსხვავებას ჰორიზონტალურად განლაგებულ საგანწყობო წრეებს შორის და 2. განსხვავებას საგანწყობო დიდ წრესა და იმ წრეს შორის, რომელიც კრიტიკულ ცდაში მის ადგილს იჭერს — ანუ „სხვაობას ეკრტიკალური მიმართულებით“. მან დააყენა საკითხი, თუ რომელ ამ განსხვავების სიდიდეზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული განწყობის ასიმილაციური მოქმედება, და გარკვეული პასუხიც მოგვცა. ავტორი ამბობს: „იგი შეიძლება გამოწვეული იყოს ან იმით, რომ საგანწყობოდ გამოყენებულ ობიექტთა სიდიდეებს შორის განსხვავება ძალიან მცირეა, ანდა იმით, რომ მცირე განსხვავებაა დიდ საგანწყობო ობიექტსა და იმ კრიტიკულ ობიექტს შორის, რომელიც მის ადგილს იჭერს“-ო, და იქვე შენიშნავს: „შეორე მოსაზრება უფრო სწორი უნდა იყოს“-ო.

ეს მოსაზრება ავტორს გამოთქმული აქვს მხოლოდ დასახელებულ შრომაში და არსად სხვა გამოკვლევებში იგი განმეორებით არ გამოუთქვამს. ჩვენ არ ვიცით, უარყო მან იგი შემდეგ, თუ ბოლომდე იზიარებდა მას, მაგრამ მოსაზრება თავისთავად უთუოდ საინტერესოა. იგი გულსხმობს შემდეგს: თუ განწყობას ასიმილაციური მოქმედება დამოკიდებულია არა თვითონ საგანწყობო ობიექტების, არამედ დიდი საგანწყობო ობიექტისა და შესატყვისი კრიტიკული

²⁸ Gewichtstäuschung und ihre Analoga, s 377.

ობიექტის მცირე განსხვავებაზე, მაშინ ლოგიკურია ვთქვათ ისიც, რომ კონტრასტული მოქმედება დამოკიდებული უნდა იყოს, პირიქით, დიდ განსხვავებაზე. და მართლაც კონტრასტული განწყობაც ხომ განწყობაა; და თუ ასიმილაციურ მოქმედებას „ვერტიკალური სხვაობის“ სიმცირე იწვევს, მაშინ კონტრასტულ მოქმედებას სხვა კატეგორიის მიზნის ვერ გამოიწვევს, თუ არა ისე ამ „სხვაობაში“ მომხდარი ცვლილება და, მასთანადავ, გადიდება ამ სხვაობისა! და, ამრიგად, ვიღებთ შემდეგ დებულებას: სიდიდით განსხვავებული გამლიზიანებლების მრავალჯერ ექსპონირება გარკვეულ განწყობას აფიქსირებს, — ვთქვათ, „მარცხნივ დიდისა და მარჯვნივ პატარა წრის აღქმის განწყობას“; მაგრამ იმოქმედებს ეს განწყობა ასიმილაციურად თუ კონტრასტულად, ეს „მისი ნება“ აღარაა და დამოკიდებულია მხოლოდ „ვერტიკალური განსხვავების“ სიდიდეზე და, მასთანადავ, კრიტიკულ სიტუაციაზე: იგი ასიმილაციურად იმოქმედებს მაშინ, თუ განსხვავება დიდ საგანწყობოსა და შესატყვის კრიტიკულ წრეს შორის ზღერბლურად მცირეა, და კონტრასტულად მაშინ, თუ ეს განსხვავება დიდია.

ამ დებულების შემოწმება არ იქნებოდა ზედმეტი და უნაყოფო, მაგრამ კონაიდან ჩვენ საკითხთან (ფაქტია თუ არა განწყობის ასიმილაციურ მოქმედება?) მას უშუალო კავშირი არა აქვს და ამასთანავე თეორიაშიც რამე არსებითი ხასიათის ცვლილება არ შემოაქვს, ამიტომ. წინააღმდეგე გ-მოკვლევამ ჩვენ მას არსად არ ვეხებით და ესარგებლობთ ისე დღემდე მიღებული გამოთქმებით: „განწყობის ფიქსაცია მცირე განსხვავებაზე“, „დიდ განსხვავებაზე“, „ოდნავ განსხვავებული საგანწყობო წრებით“, „ტლანქად განსხვავებული წრებით“ და სხვ.

ფსიქოფიზიკის „მცდარი შეფასებებისა“, და განწყობის ილუზიების ეს ერთნაირი დამოკიდებულება გამლიზიანებულთა რაოდენობითი განსხვავების ხარისხზე ურყევი საბუთია იმის, რომ განწყობის ასიმილაციური მოქმედება ანუ ასიმილაციური ილუზია არ შეიძლება ფაქტი არ იყოს. ჩვენ გვინდა ეს გარემოება არ იყოს დავიწყებული მათ მიერაც. ვინც ფიქრობს, რომ მცირე განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობა ასიმილაციურად არ მოქმედებს, რომ თითქოს ფაქტია მხოლოდ კონტრასტი და ასიმილაციური ილუზია კი ფიქტიაა.

მართლაც და, ფსიქოფიზიკაში ასიმილაცია ხომ ისეთივე უექველი ექსპერიმენტული ფაქტია. როგორც კონტრასტი; ორივე ერთი გამლიზიანებლის რაოდენობრივი ცვალებადობის ხაზზე ჩნდება: ოდნავ შესამჩნევი სხვაობის ზურბლზე—ასიმილაცია და ამ ზღერბლების ზემოთ—კონტრასტი! მაგრამ თუ ეს ასეა, თუ ფსიქოფიზიკური გაზომვის ცდებში. გარდა კონტრასტისა, ასიმილაციაც ხდება.—რა

საც, ცხადია, არავინ უარყოფს*,—მაშინ რატომ არ უნდა ხდებოდეს იგი სიდიდეზე ფიქსირებული განწყობის ცდებშიც, სადაც საქმე ეხება აგრეთვე სიდიდის შეფასებას? ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ასიმილაციური მცდარი შეფასების ანუ ასიმილაციური ილუზიის აუცილებლობას განწყობის ცდებში თვითონ ფსიქოფიზიკის მონაცემები კარნახობს. სათანადოდ დაყენებულმა ცდამ იგი აქაც უნდა გვიჩვენოს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ ცდა არ ვარგა²⁹.

* ფსიქოფიზიკაში გაჩნდა შეხედულება, რომ ე. წ. ასიმილაცია უბრალოდ „მცდარი მსჯელობის“ შედეგია ანუ „მსჯელობის შეცდომა“ და არა ობიექტური ვითარების ნამდვილი ილუზიური აღქმა: ცდ. პირი იმითომ კი არ ამბობს ოდნავ განსხვავებულ სიდიდეებზე „ტოლია“, რომ მათ თითქოს ტოლებად განიცდის (ალიქვამა, ეჩვენება), არამედ მხოლოდ იმითომ, რომ მანამდე იგი ობიექტურად დიდ სიდიდეებს უესახებ სწორ მსჯელობას („ტოლია“) გამოთქვამდა, და შეეჩვია რა ამ მსჯელობას შემდეგ მას, ავტომატურად ოდნავ განსხვავებული სიდიდეების მიმართაც ავრცელებს.

ე უ ნ დ მ ა ამ შეხედულებას მკაცრი უარყოფითი დახასიათება მისცა (მან იგი „ფსიქოფიზიკოსების ეულგარული ფსიქოლოგიის“ ნაყოფად გამოაცხადა), მაგრამ ამ სიმკაცრეში უთუოდ სისწორეც შეიმჩნევა: ჩვენის აზრით, ასიმილაციური მცდარი შეფასების „მსჯელობის შეცდომა“ აღიარება თვითონაა „მსჯელობის შეცდომა“. მართლაც და, თუ ცდა ისეთია, რომ სათანადო ინსტრუქტირებული სუბიექტი აქტიურად ხედავს და აღარებს ოდნავ განსხვავებულ სიდიდეებს და მიუხედავად ამისა, მაინც ამბობს „ტოლიაო“, რატომაა ეს „მსჯელობის შეცდომა“ და არა შედეგი იმისა, რომ ცდ. პირმა განსხვავება ვერ შეამჩნია და სიდიდეები ნამდვილად ტოლებად აღიქვა?! ერთი სიტყვით, „ასიმილაციის“ სანაცვლოდ მოტანილი „მსჯელობის შეცდომა“ ცარიელი სიტყვაა, რადგან იგი ისე ვერ გაჩნდება, თუ ობიექტურად უტოლონი „ტოლებად“ არ იქნა განცდილი (აღქმული); მაგრამ, როცა ეს ტოლებად განცდა „ნამდვილად ჩნდება, მაშინ საქმე გვაქვს ჰეშმარტ ასიმილაციურ ილუზიასთან და „შემცდარი მსჯელობა“ მხოლოდ დადასტურებაა მისი.

²⁹ მოსალოდნელია გვიტხრან: ფსიქოფიზიკის ცდები მაინც ხომ სხვანაირია, ვიდრე განწყობის ცდები, და რატომ უნდა იყოს აუცილებელი, რომ ასიმილაციები ამ ცდებშიც გვიჩვენოსო? ჩვენის აზრით, საკითხი უსაფუძვლოა: ფსიქოფიზიკაშიც და საკუთრივ განწყობის ცდებშიც საქმე გვაქვს სიდიდეების შეფასებასთან, და განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ განწყობის ცდებში სუბიექტს წინასწარ ეუფიქსირებთ გარკვეულ სიდიდისადმი აღქმის განწყობას და შემდეგ ვაკვირდებით, თუ რა გავლენას ახდენს იგი მომდევნო ოდნავ ან ძლიერ განსხვავებულ სიდიდეზე.

2. საექსპერიმენტო მასალა და ცდის დაყენება. — 1 შრომიდან *Gewichtsäuschung und ihre Analoga*, სადაც ავტორმა განწყობის ასიმილაციური მოქმედების შესახებ საკუთარი სამრიგი ცდების შედეგები გამოაქვეყნა, ასე ჩანს: ცდაში 25-26 მმ საგანწყობო წრეებით კრიტიკულ მასალად გამოყენებულია 25-25 მმ წრეები; ცდაში 24-26 მმ. საგანწყობო წრეებით კრიტიკული მასალაა 24-24 მმ. წრეები, ხოლო მესამე ცდაში საგანწყობოა 22-26 მმ. წრეები და კრიტიკულია 22-22 მმ. მაშასადამე, თითოეულ ცდაში კრიტიკული ტოლი წრეები საგანწყობო პატარა წრის ტოლია და ამიტომ რა განსხვავებაცაა საგანწყობო წრეებს შორის. იგივე განსხვავებაა დიდ საგანწყობოსა და შესატყვის კრიტიკულთ შორის. ამასთანავე ჩანს, რომ სამივე ცდა ჩატარებულია საგანწყობო წრეების მხოლოდ ერთი სივრცითი განლაგებით: „მარჯვნივ დიდი — მარცხნივ პატარა“ (შემოკლებით: 3-დ).

ამავე ნიშნებითაა ეს ცდები მოტანილი ქართულად გამოქვეყნებულ შრომაშიც: „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი“ (იხ. „მასალები“, 1938) და ნაწილობრივ მონოგრაფიაშიც: „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“ (1949). სადაც კრიტიკული წრეების ზომები საერთოდ არაა ნაჩვენები.

იგივე ცდები ავტორს აღწერილი აქვს რუსულად გამოქვეყნებულ შრომაში: „К вопросу об основном законе смены установок“ (Психология т. III, В. 3. 1930). მაგრამ შემდეგი ცვლილებით: 1. საგანწყობო წრეები მოცემულია ზემოთ აღნიშნულის საწინააღმდეგო სივრცითი განლაგებით—„მარჯვნივ პატარა და მარცხნივ დიდი“ (დ—3); 2. თითოეულ ცდაში კრიტიკულ მასალად მიღებულია ორი ზომის ტოლი წრეები: არა მარტო საგანწყობო პატარა წრის თანასწორნი (ე. ი. 25-25. 24-24, 22-22 მმ.). არამედ აგრეთვე საგანწყობო დიდი წრის თანასწორნიც (ე. ი. სამივე ცდაში 26-26 მმ წრეები).

დასახელებული შრომებიდან თითქოს ისე ჩანს, რომ სხვადასხვა დროს ავტორს ცდები უნდა ჩატარებინოს საგანწყობო წრეების ორივე სივრცითი 3-დ და დ-3) განლაგებით და ორი ზომის კრიტიკულ წრეების გამოყენებით (25-25 და 26-26 მმ): მაგრამ ამას არ ეთანხმება მიღებული შედეგები, რომლებიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ (იხ. ცხრილი 2) და რომლებიც ერთი და იგივეა ყველა ზემოთდასახელებულ შრომაში,—ე. ი. იმ სამ შრომა-

შიც. საიდანაც ჩანს, რომ ცდები ჩატარებულა მხოლოდ ერთი სივრცითი (პ-დ) განლაგებით და ერთი ზომის კრიტიკულა წრეებით, და იმ ერთადერთ შრომაშიც, სადაც ლაპარაკია ორ სივრცით განლაგებაზე და ორი ზომის კრიტიკულ წრეებზე. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნამდვილად ცდები წარმოებული უნდა იყოს მხოლოდ ერთი სივრცითი განლაგებით და ერთი ზომის კრიტიკული მასალით—სწორედ ისე, როგორც ეს აღრიხნდელ გერმანულ შრომაშია აღწერილი; ხოლო რაც შეეხება რუსულ შრომას, აქ ალბად ავტორმა უბრალოდ ის იგულისხმა, რომ იგივე შედეგებს მივიღებდით (ე. ი. ასიმულაციურ ილუზიებს), თუ ცდას ვაწარმოებდით სხვა სივრცითი განლაგებისა და კრიტიკული წრეების საგანწყობო დიდ წრესთან თანასწორობის პირობებში.

2. განწყობის ფიქსაციისათვის მნიშვნელობა აქვს ინსტრუქციას. საგანწყობო ცდების რაოდენობას და კრიტიკული გამლიზიანებლების ექსპოზიციის დროსაც.

ინსტრუქცია მრავალნაირი შეიძლება იყოს, მაგრამ განწყობის შესახებ დღემდე წარმოებულ ცდებში ჩვეულებრივად იგი ორგვარია: 1. ცდ. პირს ეუბნებიან, რომ ორ წრეს უჩვენებენ, რომლებშიც მან სიდიდით ურთიერთს უნდა შეადაროს. და თუ ისინი ტოლები იქნებიან, თქვას „ტოლია“, ხოლო თუ განსხვავებული იქნებიან, თქვას მარცხნივაა დიდი თუ მარჯვნივ; — 2. ცდ. პირს წინასწარ აფრთხილებენ, რომ განსხვავებულ წრეებს უჩვენებენ და მან უნდა თქვას. მარცხნივ იქნება დიდი წრე თუ მარჯვნივ. ორივე შემთხვევაში ინსტრუქცია ერთხელობრივია, რასაც უშუალოდ მოსდევს საგანწყობო და კრიტიკული ცდები, მაგრამ განსხვავება მათ შორის, რა თქმა უნდა. არსებითია: პირველი ინსტრუქცია ცდ. პირს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეფასების ყველა შესაძლებლობას (ტოლი, მარცხნივ დიდი, მარჯვნივ დიდი) უთვალისწინებს და ამიტომ „ობიექტურია“. მეორე კი, რომელიც მხოლოდ განსხვავებას ხაზავს, ცდ. პირს კრიტიკული ტოლი წრეების უტოლოდ განცდისათვის ამზადებს და ამიტომ „შთამავონებელია“.

დ. უზნაძის ცდები ჩატარებულია მეორე ინსტრუქციით³⁰; მაგჩამ ინსტრუქციის ეს „შთამავონებლობა“ განწყობის შესაძლებელ

³⁰ დ. უზნაძე, განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი, „მასალები“, 1938, გვ. 50.

ეფექტს საექვოდ არ ხდის. აღნიშნული ინსტრუქცია ცდ. პირს მხოლოდ იმას ეუბნება, რომ განსხვავებული სიდიდის წრეებს დაინახავს, ხოლო რომელ მხარეზე დიდ წრესა და რომელზე პატარას, — ეს, რა თქმა უნდა, იმაზე იქნება დამოკიდებული, შეექმნება თუ არა მას საგანწყობო ცდებით ნავარაუდები განწყობა.

რაც შეეხება საგანწყობო ექსპოზიციების (ცდების) რაოდენობას, რასაც, რა თქმა უნდა, გარკვეული მნიშვნელობა აქვს განწყობის მოქმედების გაზომვისათვის, ამ მხრივ ავტორის შრომები ყველგან ერთნაირ დარიგებას არ იძლევა: ზემოთ დასახელებულ აღნიშნულ შრომებიდან ცდები ჩატარებული ჩანს 8-10 საგანწყობო ექსპოზიციით, მაგრამ 1938 წელს გამოქვეყნებულ შრომაში (იხ. „მასალები“, გვ. 50) ნათქვამია, რომ ცდები ტარდებოდა 10-15 ექსპოზიციით. კრიტიკული ექსპოზიციის დრო კი საერთოდ ნაჩვენები არაა.

3. დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ცდების წარმოების, მოცულობის და მიღებული შედეგების დამუშავების შესახებ.

როგორც ვიცით, ცდები ჩატარებული იყო სამრიგად: 1, 2 და 4 მილიმეტრით განსხვავებული საგანწყობო წრეებით. გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული შრომების მიხედვით³¹ ამ ცდების შესახებ ვტყობილობთ შემდეგს: სამრიგი ცდები ჩატარებულია 30 ცდ. პირზე, მაგრამ არა ცალკე ჯგუფებად, არამედ სამივე ცდა თითოეულ: ცდ. პირზე; თითოეული ცდამი სობიექტს კრიტიკული წრეები შესადარებლად ეძლეოდა მხოლოდ ორჯერ; სულ მიღებული იქნა 180 შეფასება (ასიმილაცია, კონტრასტი, ტოლობა), და ცხრილი, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, ამ შეფასების %-ულ განაწილებას შეიცავს.

ჩვენის აზრით, ამ ცდების შესახებ სამი შენიშვნა უნდა გაკეთდეს:

ა. შედეგების სიზუსტის თვალსაზრისით უკეთესი იქნებოდა, რომ თითოეული რიგის ცდა „ახალ“ ცდ. პირებზე ყოფილიყო ჩატარებული, რადგან სერიული ხასიათის ცდებში ყოველთვის მოსალოდნელია წინამავალმა ცდამ გავლენა მოახდინოს მომდევნოზე

³¹ Acta Psychologica, s. 332. „Gewichtstäuschung und ihre Analogie“ s. 33. 376.

და, ამრიგად, მიღებული შედეგი ჯეროვანი სიზუსტის არ აღმოჩნდება;

ბ. ცალკეული შეფასებების სტატისტიკა (ასიმილაციის, კონტრასტის და ტოლობის %-ული რიცხვები), რა თქმა უნდა, ნამდვილად გვიჩვენებს დასტურდება თუ არა განწყობის მოქმედება და, სახელდობრ, როგორი: ასიმილაციური თუ კონტრასტული; მაგრამ ამასთანავე ისიც საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამდენ ცდ. პირს დაუდასტურდა იგი, რასაც ცხადია, აღნიშნული ხერხი არ იძლევა. დ. უზნაძის შედეგებიდან არ ვიცით, თუ რამდენად გავრცელებულია ცდ. პირთა მასაში განწყობის ასიმილაციური მოქმედება;

გ. ვფიქრობთ, ორი კრიტიკული ექსპოზიცია ცოტაა და გარკვევით არასაკმარისი: იგი არ იძლევა საშუალებას დარწმუნებით ვთქვათ, დაუდასტურდა თუ არა განწყობის ასიმილაციური მოქმედება, მაგალითად, იმ ცდ. პირს, რომელმაც მოგვცა ერთი ასიმილაცია და ერთი კონტრასტი ($-+$) ან ერთი ასიმილაცია და ერთი ტოლობა ($=$); ასეთი შემთხვევები კი საკმაოდ ხშირი შეიძლება იყოს. ერთი სიტყვით, უკეთესი იქნებოდა, რომ ავტორს კრიტიკული ექსპოზიციების რიცხვი ორით მაინც არ განესაზღვრა.

ასეთია დ. უზნაძის მეთოდი, რომლითაც მან განწყობის ასიმილაციური მოქმედება იკვლია.

§ 4. ჩვენს მეთოდი და ცდის პროცედურა

1. საექსპერიმენტო მასალა და მთავარი ცდები. როგორც ვიცით, დ. უზნაძის სამრიგ ცდებში განწყობის საფიქსაციოდ გამოყენებული იყო 25-26, 24-26 და 22-26 მშ წრეები. რომელნიც ცდ. პირს ეძლეოდა 8—10-ჯერ ან 10—15-ჯერ ერთი სივრცითი განლაგებით (პ-დ: პატარა მარცხნივ, დიდი მარჯვნივ); კრიტიკული გამლიზიანებლები იყვნენ პატარა საგანწყობო წრის ტოლი წრეები: 25—25, 24—24 და 22—22 შილიმეტრიანები. პირველი ცდა ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი ცვლილებებით: 1. სამი საგანწყობო ექსპოზიციით, 2. ცალ-ცალკე პატარა და დიდი საგანწყობო წრის ტოლი კრიტიკული წრეებით და 3. საგანწყობო წრეებათა ორივე სივრცითი განლაგებით (პ-დ; დ-პ):

I. 25—26
25—25

II. 26—25
25—24

III. 25—26
26—26

IV. 26—25
26—26

რაც შეეხება დანარჩენ ორ ცდას 2—4 მმ განსხვავებული წრეების ექსპოზიციით, ისინი ჩატარდა მხოლოდ პირველი ცვლილების დაცვით და დ—პ სივრცით განლაგებით:

V 26—26
24—24

VI. 26—22
22—22

გარდა აღნიშნულისა, ჩვენ სხვა ცდებიც ჩაატარეთ. მაგრამ მათ შესახებ იქ ვიტყვით, სადაც ძირითადი ცდების განხილვა მათ აუცილებლობასაც ნათელს გახდის.

2. ინსტრუქცია. დ. უზნაძის ცდების განხილვისას ჩვენ ორ სახის ინსტრუქცია გავარჩიეთ: ა. „ობიექტური“, — როცა ცდ. პირს წინასწარ ვეუბნებით ყველა მოსალოდნელი შეფასების შესახებ („თუ ტოლები იქნებიან, თქვი „ტოლია“; თუ განსხვავებული იქნებიან, თქვი მარჯვნივაა დიდი წრე, თუ მარცხნივ“) და ბ. „შთამაგონებელი“, — როცა ვაგებინებთ, რომ სიდიდით განსხვავებულ წრეება ვუჩვენებთ და მან უნდა გვითხრას, მარჯვნივ იქნება დიდი წრე თუ მარცხნივ. დ. უზნაძის ცდები მეორე ინსტრუქციით ტარდებოდა, და ამ ინსტრუქციით ჩატარდა ჩვენი ცდებიც; ოღონდ აქ ყოველ ახალ ცდას (ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით) წინ უსწრებდა „სანიმუშო მაგალითის შესრულება“, რომლის მიზანი იყო გამოკვლევა იმის, ვარგისი იქნებოდა თუ არა ცდ. პირად მოსულა სუბიექტი განწყობის ცდებისათვის.

სუბიექტს ხელში ვაძლევდით კვადრატულ მუყაოზე (10×10 სმ) დახაზულ 25-26 მილიმეტრიან წრეებს და ვეუბნებოდით: „დააკვირდი ამ წრეებს. შეადარე ჩანინი ერთმანეთს სიდიდით და მითხარი რომელ მხარეზეა ცოტა უფრო დიდი წრე—მარცხნივ თუ მარჯვნივ“. სწორი პასუხის შემდეგ მას ვაძლევდით იმავე წრეებს საწინააღმდეგო სივრცითი განლაგებით (26—25 მმ) და ვეალებდით ეთქვა იგივე. თუ სუბიექტი რომელიმე ერთი განლაგების შემთხვევაშიც კი მცდარ პასუხს მოგვცემდა (წრეებს გაატოლებდა), მას ვათავისუფლებდით და ტაქისტოკოპურ საგანწყობო ცდებისათვის ვიტოვებდით მხოლოდ იმას, ვისგანაც ორივე შემთხვევაში სწორი და დამაჯერებელი პასუხი გვქონდა მიღებული. შემდეგ ვიწ-

ყებლით საგანწყობო ცდებს, მაგრამ შერჩევა აქაც გრძელდებოდა, რადგან საგანწყობო ცდას აღარ ვაგრძელებდით, თუ ცდ. პირი რომელიმე ერთ ექსპოზიციამდე კი მცდარ პასუხს მოგვეცემდა. ერთი სიტყვით. მცირე განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის ცდები ჩვენ ჩავატარეთ მხოლოდ ვარჯის ცდ. პირებზე. — ისეთებზე, რომელიც ერთი მილიმეტრით განსხვავებულ წრეებს სწორად აფასებდნენ ჯერ ხელში მიცემისას ორივე სივრცით მდებარეობაში (პ-დ; დ-პ) და შემდეგ აგრეთვე საგანწყობო ტაქსტოსკოპური ცდაშიც, სადაც მათი ექსპოზიცია მხოლოდ ერთ სივრცითს მდებარეობაში ხდებოდა.

3. საგანწყობო და კრიტიკული ექსპოზიციების რაოდენობა და ხანგრძლიობა. — როგორც ზემოთ გავარკვეეთ, დ. უზნაძის ზოგ შრომაში საგანწყობო ექსპოზიციების საჭირო რაოდენობად დასახელებულია 8-10 ექსპოზიცია და ზოგში კი — 10-15; „კრიტიკული ცდები“ განსაზღვრულია მხოლოდ ორი ექსპოზიციით, ხოლო ექსპოზიციის დრო საერთოდ არაა ნაჩვენები. ჩვენს ექსპერიმენტულ მუშაობაში ამ გარემოებამ, და განსაკუთრებით საგანწყობო ექსპოზიციების რაოდენობის საკითხმა, სერიოზული დაბრკოლება შეგვიქნა. საქმე შემდეგშია.

საგანგებო ექსპოზიციების საჭირო რაოდენობად რეკომენდირებულია რიცხვითი ინტერვალი: 8-10 და 10-15. რომელი უნდა ავეყრიჩაო?³²

ჩვენ ავირჩიეთ 8 საგანწყობო ექსპოზიცია, მაგრამ ცდებმა მისი სრული უვარგისობა გვიჩვენა: ერთი მილიმეტრით განსხვავებულ საგანწყობო წრეებს (25-26 მმ) 8-ჯერ ტაქსტოსკოპური ექსპოზიციის გასწვრივ (სისწრაფე = 0.25 სექ.) ცდ. პირები წესისამებრ რამდენიმეჯერ ატოლებდნენ (ამბობდნენ: „ტოლია“). საგანწყობო

³² საერთოდ კი რიცხვითი ინტერვალის პრინციპი უვარგისია. იგი იმ უხერხულობას კმნის, რომ გარკვეული არ ხარ, თუ როგორ უნდა აწარმოვო ცდა: ზოგ ცდ. პირს 10-ჯერ უჩვენო საგანწყობო წრეები და ზოგს 11, 12, 13, 14 ან 15-ჯერ, თუ ერთი ჯგუფის ცდ. პირებს 10 ჯერ, მეორე ჯგუფისას 11-ჯერ და ასე შემდეგ. მაგრამ როგორღაც უნდა მოვიქცეთ, ფაქტი მაინც ას იქნება, რომ ცდის პირობების ერთნაირობა დაცული არ იქნება, განწყობის მოქმედებას ვერ გავზომავთ და ცდ. პირთა შორის განსხვავებას ვერ დაეადგენთ. ჩვენის აზრით, დიდ განსხვავებაზე განწყობის ფიქსაციის ცდებში რომ საბოლოოდ 15 საგანწყობო ექსპოზიცია დაკანონდა (წინათ იყო: 7, 8-9, 10; იხ. გ. ხმალაძე, „მოცულობის ილუზია“, მასალები 1938, გვ. 89), ეს შემთხვევითი არ იყო. ერთი რიცხვის პრინციპი მეთოდოლოგიურად სწორი და აუცილებელია.

ცდაში კი შეცდომა საერთოდ დაუშვებელია, რადგან, სუბიექტი რომ თუ გინდ ერთხელ შეცდა, — თავში, შუაში თუ ბოლოს. — ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მომენტში განსხვავებული წრეების აღქმის განწყობა კი არ გაფიქსირდა, არამედ. პირიქით, დაირღვა და. მაშასადამე. მომდევნო და წინამავალი სწორი შეფასებების „განმარწყობელი ძალაც“ უკვე იგივე აღარაა, რაც მაშინ იქნებოდა. რომ ყველა შეფასება სწორი ყოფილიყო. ერთი სიტყვით. 8 საგანწყობო ექსპოზიციით ცდის წარმოება შეუძლებელი გახდა. რა უნდა გვექნა?

შეგვეძლო მოვქცეულიყავით ასე: გაგვედიდებია ტაქისტოსკოპში თითოეული ექსპოზიციის ხანგრძლიობა. დიდხანს დაკვირვებოდა ცდ. პირი ერთი მილიმეტრით განსხვავებულ წრეებს და სწორად ამოეცნო რომელი იქნებოდა დიდი; შემდეგ რამდენიმეჯერ გაგვემეორებია ეს გახანგრძლივებული ექსპოზიცია, რათა ცდ. პირს სათანადო განწყობა შექმნოდა და. ვთქვათ. მე-9 ექსპოზიციიდან დაგვეწყო კრიტიკული ტოლი წრეების სწრაფ-სწრაფად (0.25 სეკუნ.) ჩვენება. მაგრამ ჩვენ ამ ხერხს არ მივმართეთ, რადგან ჩვენი მიზანი იყო. რამდენადაც კი მოსახერხებელი იქნებოდა. სწრაფი ექსპოზიციის პრინციპის დაცვით დ. უზნაძის ცდებს არ დაეცილებოდით და აღნიშნულ ხერხისათვის მიგვემართა მხოლოდ მაშინ. თუ ეს პრინციპი სრულიად უვარგისი გამოდგებოდა ამიტომ გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებია სპეციალური ცდები და დაგვედგინა ექსპოზიციების ის ოპტიმუმი, რომელიც ცდ. პირთა დიდ რაოდენობაში მცდარ შეფასებებს (გატოლების შემთხვევებს) აღარ მოგვეცმდა და საგანწყობო ცდად გამოდგებოდა. ცდები ჩატარდა 20 ინდივიდზე ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეების რვაჯერ ტაქისტოსკოპური ექსპოზიციით, — ერთ სერიაში წრეების 3-დ განლაგებით (25-26 მმ) და მეორე სერიაში, ორი დღის შემდეგ. დ-3 განლაგებით (26—25 მმ). ინსტრუქციის თანახმად ცდ. პირს უნდა ეთქვა. რომელ მხარეზე იქნებოდა ცოტა უფრო დიდი წრე — მარჯვნივ თუ მარცხნივ. დადასტურდა შემდეგი:

თუმცა წრეების უგამონაკლისოდ (8-ჯერ) სწორი აღქმა მხოლოდ 4-5 ცდ. პირს დაუდასტურდა (I სერიაში — 4. II — 5) და უმრავლესობა კი „შერეულ შეფასებებს“ იძლეოდა (ე. ი. ხან გატოლებას და ხან სწორ აღქმას). მაგრამ გარკვეული კანონზომიერება უჩვენა თვითონ ამ „შერეულმა შეფასებებმა“; სახელდობრ: პირველ ცდაში პირველი სამი ექსპოზიციის გასწვრივ შერეული შეფასებები

პოკცა მხოლოდ შეიღმა ინდივიდმა (35%), დანარჩენმა 13-მა (65%) კი სამჯერვე სწორი შეფასება მოახდინა, და ასევე შესატყვისად მეორე ცდაშიც: „შერეული შეფასება“ — ხუთმა ცდ. პირმა (25%) და მხოლოდ სწორი შეფასება — 15-მა (75%). ერთი სიტყვით, ფაქტი ასეთია: პირველი სამი ექსპოზიციის ფარგლებში ზედიზედ სწორი შეფასებების შემთხვევები უფრო ხშირი აღმოჩნდა, ვიდრე „შერეული შეფასებები“. ჩვენ ამ ფაქტს ჩავეკიდეთ და მიზანშეწონილად ვცანით განწყობის საფიქსაციო ცდები გვეწარმოებია ოდნავ განსხვავებული წრეების მხოლოდ სამი ექსპოზიციით.

რა თქმა უნდა, საბოლოოდ ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, საკმარისი იქნებოდა თუ არა სამი ექსპოზიცია განწყობის შესაქმნელად, რომელსაც ასიმულაციურად უნდა ემოქმედნა; მაგრამ ცდებმა გაამართლა ჩვენი ვარაუდი. იგი საკმარისი აღმოჩნდა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, განწყობის ასიმულაციურ მოქმედებაში მან ზოგი რამ ახალიც გვიჩვენა. ამრიგად, ყველა ზემოთ აღწერილი ცდა ჩატარდა სამი საგანწყობო ექსპოზიციით (ტაქისტოსკოპურად 0.25 სეკ. სისწრაფით) და მათ შორის, — ცხადია, შედარების მიზნით — ის ცდებიც. სადაც წრეებს შორის განსხვავება (2-4 მილ.) ოდნავ შესაძინევი აღარ იყო.

რაც შეეხება კრიტიკულ ექსპოზიციებს. როგორც ვიცით, დ. უზნადის ცდებში კრიტიკული ტოლი წრეები მხოლოდ ორჯერ ეძლეოდა ცდ. პირს შესაფასებლად. ჩვენი ცდები კი ჩატარდა 10 კრიტიკული ექსპოზიციით. რადგან ვფიქრობდით, რომ „კრიტიკული წრეების“ ათჯერ შეფასებას სრულის უეჭველობით უნდა ეჩვენებია, ფაქტია თუ არა განწყობის ასიმულაციური მოქმედება საერთოდ და რამდენად. გაორცელებულია (ხშირია) იგი ინდივიდთა მასაში. „შემთხვევის“ ან გაურკვეველი კაზუსების შესაძლებლობა აქ უთუოდ მინიმალური უნდა ყოფილიყო.

‡. ტაქისტოსკოპური ექსპოზიცია, ცდის წარმოება და ცდ. პირები. — საგანწყობო და კრიტიკული ცდები უგამონაკლისოდ ტაქისტოსკოპური იყო. მაგრამ ჩვენი ტაქისტოსკოპი სხვანაირი იყო. ვიდრე ნეჩაევისა. რომელიც შეიძლება ითქვას, დღემდე ერთად ერთია განწყობის ექსპერიმენტული კვლევის პრაქტიკაში; და თუ ვინმე ამ გარემოებას რამე მნიშვნელობას — დადებითს თუ უარყოფითს — მიანიჭებდა. არ იქნებოდა ზედმეტი ზოგი რამ ამ მიმართულებითაც გვეთქვა.

ნეჩაევის ტაქისტოსკოპის ხმარებაში სამი ნაკლი თუ უხერხულეობა შეიმჩნევა:

ა. ექსპოზიციის სისწრაფის რეგულაცია ხდება ეკრანის უკან კუთხედით დამაგრებულ ლითონის ფრთებს შორის მანძილის გადიდება-შემცირებით და აგრეთვე დამაგრების ადგილზე დაკიდებული სიმძიმით. რომელიც ამ ფრთების მოძრაობას ანელებს და კიდევ ათანაბრებს. ამოსავალ მდგომარეობაში ქვედა ფრთა საექსპოზიციო სარკმელს ხურავს, ხოლო ამუშავებისას. როცა ორივე ფრთა ძირს ეშვება (ლილაკზე თითის დაქერით). ქვედა მას ალებს და ზედა კი ხურავს. და აი. სწორედ სარკმლის ამ დახურვასა და გალებას შორის განვლილ დროის მონაკვეთში ცდ. პირი ხედავს გამლიზიანებლებს, რომელთაც მან ინსტრუქციისამებრ უნდა მოეპყრას. ფრთებს შორის მანძილის გადიდებით ეს დროითი მონაკვეთი მატულობს (ანუ ექსპოზიცია ნელდება). ხოლო შემცირებით — კლებულობს (ექსპოზიცია სწრაფდება). მაგრამ ნაკლი ისაა, რომ — ექსპოზიციის ეს გასწრაფება და გახანგრძლივება მხოლოდ მანძილის ერთეულებით — სანტიმეტრებით — იზომება³³ და არა დროის ერთეულებით; ე. ი. ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერად ვცვალოთ გამლიზიანების მიწოდების სისწრაფე. მაგრამ არ გვეცოდინება. თუ. სახელდობრ. რა ზომის იყო ეს სისწრაფე ცვალების თითოეულ შემთხვევაში.

ბ. როგორც ვიცით. სარკმელში გამოსაჩენი გამლიზიანებლები მოთავსებულია ეკრანის უკან მოძრავად დამაგრებულ ხის ვიწრო თამასაზე. გამლიზიანებელი რომ გამოჩნდეს. ამისათვის თამასა სარკმელზე უნდა დავაყენოთ და ფრთები გაუშვათ. და ასე უნდა მოვიქცეთ ექსპოზიციის ყოველ განმეორებისას. რა თქმა უნდა, როცა გამლიზიანებელი იგივეა (არ ვცვლით მას). მაშინ ამ „დაყენება-დაშვების“ მრავალჯერ განმეორება სწრაფად და ერთი რიტმით წარმოებს და ექსპოზიციებს შორის პაუზაც თავიდან ბოლომდე ერთი და იგივე რჩება. მაგრამ როცა ამის შემდეგ ცდ. პირს სხვა გამლიზიანებელი უნდა მივაწოდოთ და ძველი ახალით უნდა შეიცვალოს. ეს იწვევს პაუზის დაყოვნებას. გახანგრძლივებას და. მაშასადამე. მიღებული რიტმის დარღვევას. შეიძლება მეთოდოლოგიურად ეს

³³ განწყობის კლასიკურ ცდებში. რომლებიც ძირითადად ნეჩაევის ტაქისტოსკოპით ტარდებოდა. ფრთებს შორის დაშორება საჭიროებისამებრ უდრიდა 10. 25. 30 სანტიმეტრს, იმ. Д. Н. Визадзе, К вопросу об основном законе смены установок, გვ. 325.

დიდს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ საკუთრივ განწყობის ცდებისათვის მაინც უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ისეთი აპარატი გვექონოდა, რომელიც საგანწყობოდან კრიტიკულ ცდაზე გარდასვლისას საშუალებას მოგვცემდა გამლიზიანებლის შეცვლა პაუზის დაურღვევლად გვეწარმოებია.

გ. დასასრულ, საყურადღებოა ექსპონირებული გამლიზიანებლის გამოჩენის ნაირობაც, რაც განსაკუთრებით ჰორიზონტალურად განლაგებული წრეების მიმართ ხდება შესამჩნევი.

ვინაიდან ტაქისტოსკოპის ფრთები კუთხედად არიან ერთ ადგილას მიმაგრებული და სარკმლის მიმართულებით კი თანდათან შორდებიან ურთიერთს, ამიტომ კუთხოვანია ის არეც, რომელიც მათ შინაგან ნაპირებს შორის იქმნება, ეს გარემოება თავისებურ გავლენას ახდენს წრეების გამოჩენაზე: რა თქმა უნდა, ფრთების დაშვების პროცესში არის მომენტი. როცა ორივე წრე სავსებით ერთნაირად და სრულად მოჩანს სარკმელში, მაგრამ მანამდე, სანამ ეს მოხდებოდეს, და შემდეგაც, ვიდრე ზედა ფრთის დაშვებით წრეები სრულიად გაუჩინარდებოდნენ, მარცხენა და მარჯვენა წრის გამოჩენისა და დაფარვის პროცესი ერთნაირად არც იწყება და არც მიმდინარეობს; და მიზეზი ამის ისაა, რომ ფრთების მოძრაობა სარკმლის არეზე ჰორიზონტალურად კი არ აღებს და ფარავს მას (ე. ი. მარცხნივ და მარჯვნივ ერთნაირად), არამედ მუდამ დახრილი ხაზის მიმართულებით, რის გამო სარკმლის ხან მარცხენა მხარეზეა მეტა ნაწილი დაფარული (ან ღია) და ხან მარჯვენაზე, სახელდობრ:

1. როცა ქვედა ფრთა იწყებს დაშვებას, იგი ჯერ აჩენს სარკმლის ზედა მარცხენა მხარეს და შემდეგ მარჯვენა მხარესაც, და ამის შედეგია ის, რომ მარცხენა წრის ზედა ნაწილი უფრო ადრე იწყებს გამოჩენას. ვიდრე მარჯვენასი. შემდეგ იწყება მარჯვენა წრის გამოჩენა, მაგრამ ამ დროისათვის მარცხენა წრის გამოჩენილი ოდრიკალი მეტია მარჯვენაზე. ასეთი ვითარებია წრეების გამოჩენის დასაწყისში. მაგრამ გრძელდება რა ფრთის დაშვება, უკანასკნელი უფრო გვიან ათავისუფლებს სარკმლის ქვედა მარცხენა მხარეს, ვიდრე მარჯვენას, რის გამო მარცხენა წრის გამოჩენა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. რომ მარჯვენა წრე უკვე მთლიანად ჩანს. ერთი სიტყვით. ქვედა ფრთის მოძრაობისას მარცხენა წრე ადრე იწყებს გამოჩენას და გვიან სრულდება და ამიტომ გარკვეულ მომენტში ერთი მათგანი მეტადაა გამოჩენილი, ვიდრე მეორე.

2. როცა ქვედა ფრთა სრულიად შორდება სარკმელს, ამ მო-

მენტიდან მთლიანად მოჩანს ორივე წრე და ეს გრძელდება მანამდე, სანამ ზედა ფრთა სარკმლის დახურვას დაიწყებდეს. მაგრამ დახურვის პროცესში იგივე ხდება, რაც გაღების დროს იყო, ოღონდ შებრუნებით: დაფარვას იწყებს მარცხენა წრე, როცა მარჯვენა ჯერ კიდევ მთლიანად ჩანს; შემდეგ დგება მომენტი, როცა პირიქით, მარჯვენა წრის უფრო მეტი ნაწილია დაფარული, ვიდრე მარცხენასი, და პროცესი მთავრდება იმით, რომ. სანამ სარკმელი სავსებით დაიხურებოდეს, მარცხენა წრის ქვედა ნაწილი კიდევ ჩანს, ხოლო მარჯვენა მთლიანად დაფარულია. ამრიგად, სარკმლის დახურვის (ზედა ფრთის დაშვების) პროცესშიც არსებითად იგივე ხდება, რაც გაღებისას (ქვედა ფრთის დაშვებით): წრეების თანდათანობრივი გამოჩენა და დაფარვა არც აქაა ერთნაირი.

წრეების გამოჩენა- დაფარვის ეს არაერთნაირობა საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს სწორედ განწყობის იმ ცდებში, სადაც საქმე ტოლი და ოდნავ განსხვავებული წრეების შედარებას ენება: მას შეუძლია თავის მხრივაც გაამრუდოს ტოლი წრეების შეფასება, მოაჩვენოს ისინი ცდ. პირს არატოლებად, და ჩვენ აღარ გვეცოდინება. თუ როდის იქნებოდა ეს „არატოლებად განცდა“ საკუთრივ განწყობის ეფექტი და არა ეფექტი საექსპოზიციო აპარატის უსრულობისა.

ასეთია ნეჩაევის ტაქსიტოსკოპი. იგი ექსპოზიციის ხანგრძლივობის დროის ერთეულებით გაზომვის საშუალებას არ იძლევა, საგანწყობოდან კრიტიკულ ცდაზე გადასვლისას ექსპოზიციის რიტმს არღვევს და შესაფასებელ წრეებსაც ყველა მომენტში სავსებით ერთნაირი ნაწილებით არ აჩენს. მართალია, განწყობის ექსპერიმენტული კვლევა ამ გარემოებას არ დაუბრკოლებია. მაგრამ უფრო კარგი მაინც ის იქნებოდა, რომ აპარატს ეს ნაკლოვანებები არ ჰქონოდა.

ჩვენი საექსპოზიციო აპარატი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. აპარატს აქვს გამლიზიანებლის საექსპოზიციო სარკმელი (ზომით 9×9 სანტ.), რომელსაც ორი თნელი ფიცრის ფირფიტა ფარავს: ზედა და ქვედა. ეს ფირფიტები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან ნაპირით მისული. მათ უკან მოთავსებულია წრეები. რომელნიც სარკმლის გაღებისას დასანახი ხდებიან. ქვედა ფირფიტის ძირს დაშვება სარკმელს აღებს. ზედას დაშვება კი ხურავს. აპარატი ელდენით მუშაობს. წრეების ექსპოზიცია ხდება შემდეგნაირად: პატარა სახელურზე თითის დაჭერით ვათავისუფლებთ ქვედა ფირფიტას, რომელიც სწრაფად ძირს ეშვება და სარ-

კმელს ალებს; გალებულ სარკმელში ცდ. პირი ხედავს წრეებს, მაგ-
რამ. ცხადია, მხოლოდ მანამდე, სანამ ზედა ფირფიტაც დაეშვებო-
დეს და სარკმელს დახურავდეს. შემდეგ. სათანადო სახელურით
ფირფიტებს ზემოთკენ ვეწევით და, მოგვყავს რა ამოსავალ მდგო-
მარობაში, ვიმეორებთ იმავე პროცედურას, და ასე შემდეგ ყოვე-
ლი ახალი ექსპოზიციისას. ამ აპარატის უპირატესობა შემდეგშია:

1. წრეების ექსპოზიციის ხანგრძლიობას შეადგენს დრო, რომე-
ლიც განვლის მომენტიდან, როცა ქვედა ფირფიტა უკვე დაეშვა, იმ
მომენტამდე. როცა ზედა ფირფიტაც მას შეუერთდა და სარკმელი
დაიხურა. აპარატს აქვს სპეციალური მექანიზმი დროის სკალი-
თურთ, რომელიც საშუალებას იძლევა ფირფიტების დაშვების სის-
წრაფე და, მათსადამე, ექსპოზიციის დრო წინასწარ განვსაზღვროთ.
იგი შეიძლება დავაყენოთ 0,1, 0,25, 0,5 ან 1 სეკუნდის სისწრაფეზე.

2. აღნიშნული აპარატიც ორივე წრეს მთლიანად აჩენს მხო-
ლოდ იმ მომენტში, როცა ქვედა ფირფიტა უკვე დაეშვა და ზედა
ჯერ კიდევ არ დაშვებულა, თორემ ექსპოზიციის დანარჩენ მომენ-
ტებში იგივე ხდება, რაც ნაჩაევის ტაქისტოსკოპში: ქვედა ფირფი-
ტის დაშვების პროცესში წრეები თანდათან ჩნდებიან, ხოლო ზედა
ფირფიტის დაშვებისას თანდათან იფარებიან; მაგრამ აქ ერთი
უპირატესობა შეიძინევა: ფირფიტები დახრილად კი არ ეშვებიან
(მზგავსად ნეჩაევის ტაქისტოსკოპში ფრთების მოძრაობისა), არა-
მედ ჰორიზონტალურად, რის გამო ორივე წრის თანდათანობრივ,
გამოჩენაც და დაფარვაც დაშვების ყველა მომენტში სავსებით ერ-
თნაირია, და არასოდეს ისე არ ხდება, რომ ერთი წრე უფრო მე-
ტი ნაწილით იყოს გამოჩენილი, ვიდრე მეორე, ან ერთი წრე მთლი-
ანად ჩანდეს და მეორე კი სრულიად დაფარული იყოს.

ორივე წრის გამოჩენა-დაფარვის ეს ერთნაირობა უთუოდ უპი-
რატესობაა შედარებით იმ არაერთნაირობასთან. რომელიც ნეჩაე-
ვის ტაქისტოსკოპს ახასიათებს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,
განწყობის ეფექტის გამოცნობას აძნელებს³⁴.

³⁴ რა თქმა უნდა, მთლად კარგი იქნებოდა ისეთი საექსპოზიციო აპა-
რატი. რომელიც გამლიხიანებლის ნაწილ-ნაწილ გამოჩენა-დაფარვას საერთოდ
არ დაუშვებდა და ორივე წრეს ერთბაშად მთლიანად გააჩენდა; მაგრამ, რანდე-
ნადაც ვიცით, ასეთი უნაკლო აპარატი არ არსებობს. ჩვენ ვიცნობთ ვიკადიას-
კოპს, რომელიც გამლიხიანებლის მთლიან გამოსახულებას უკუფენს ეკოანზე, და
ვიცნობთ გამლიხიანებლის განათება-დაბნელების პრინციპზე აგებულ ტაქისტოს-
კოპებსაც, რომელნიც აგრეთვე მთლიან გამოსახულებას იძლევიან: მაგრამ ყველა
ამ აპარატს სამაგიეროდ სხვა ნაყლი აქვს: ექსპოზიციის განმეორებისას ისინი
გამლიხიანებლის ძლიერ და დეზინფორმაციულად აჩენენ, რაც უთუოდ განწყობის

3. დასასრულ ჩვენი ტაქისტოსკოპი საშუალებას იძლევა იმისა, რომ საგანწყობოდან კრიტიკულ ცდაზე გადასვლისას არ დავაყოვნოთ და ექსპოზიციებს შორის პაუზების ერთნაირობა დავიცვათ; ეს შემდეგნაირად ხერხდება: საგანწყობო და კრიტიკული წრეები დახაზულია მუყაოზე დაწებებულ ერთ გრძელ ქაღალდზე (სიგრ. = 20 სმ., სიფარ. = 9 სმ.). მუყაოს ვამაგრებთ ტაქისტოსკოპის სარკმლის უკან მოთავსებულ ფირფიტაზე, მაგრამ ფირფიტაზე იგი შეიძლება პორიზონტალურად ვაცოცოთ ისე, რომ სარკმლის უკან ხან საგანწყობო ობიექტები მოხვდეს და ხან კრიტიკულნი. ცდა იწყება საგანწყობო წრეების ექსპოზიციით და, როცა ჭერი კრიტიკულ წრეებს უწევს, ექსპერამენტატორი ერთი ხელით მუყაოს შესაფერი მიმართულებით აცოცებს და მეორით სარკმელს ადებს. ერთი სიტყვით, აქ აღარაა საჭირო ჭერ საგანწყობო მასალის „გამოღება“ და შემდეგ კრიტიკულის „ჩასმა“; ორივე მასალის ექსპოზიცია იმავე თანმიყოლებით წარმოებს, რა თანმიყოლებითაც მანამდე საგანწყობო ექსპოზიციები ხდებოდა, და ცდ. პირს არ ეძლევა საბაზი იფიქროს, რომ „რალაც უთუოდ გამოცვალეს და ახლა სხვა ზომის წრეებს უჩვენებენ“.

ყველა ჩვენი ცდა ამ ტაქისტოსკოპით წარმოებდა³⁵. თითოეული ცდა (სერია) ტარდებოდა აუცილებლად ცდ. პირების ახალ ჯგუფზე. ცდ. პირები იყვნენ ქუთაისის და ცხინვალის პედანსტიტუტის I—II კურსის მსმენელნი, ქუთაისის სამედიცინო ტექნიკუმის მოსწავლეები. თბილისის პედაგოგიური სასწავლებლისა და პიონერ-ხელმძღვანელთა სკოლის მოსწავლეები და საშუალო სკოლების IX—X კლასის მოსწავლეები. ცდები ტარდებოდა დღისით, ნათელ ოთახში. გვებმარებოდნენ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელნი: ა. ავალი-შვილი, უ. ბერეკაშვილი, ყ. ნეფარიძე, ნ. ნასრაშვილი და ნ. ბარკალაია.

ასეთი იყო ჩვენი ექსპერამენტული კვლევის მეთოდოლოგია. ახლა განვიხილოთ ცდები, რომლებიც ჩვენ ამ მეთოდით ვაწარმოვეთ და რომელთაც განწყობის ასიმილაციური მოქმედება უნდა ეჩვენებიათ.

ცდებში—და მით უმეტეს ცდებში ოდნავ განსხვავებული წრეებით—არანაკლებ საზიანო შეიძლება იყოს, ვიდრე „ნაწილ-ნაწილ თანაბრად გამოჩენა-დაფარვა“. ამიტომ ვფიქრობთ, ჩვენი ტაქისტოსკოპი, რომელსაც წრეების ამ ნაწილ-ნაწილ გამოჩენა-დაფარვაში ერთიანობა შეაქვს, უფრო კარგია, ვიდრე ზემოხსენებული აპარატები.

³⁵ ტაქისტოსკოპის კონსტრუქცია და დანზადება ეკუთვნის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელს უ. ბერეკაშვილს.

III განწყობის ფიქსაცია მეტ-ნაკლებად განსხვავებული წრეების ექსპოზიციით

§ 5. ცდები ოდნავ განსხვავებულ მარცხნივ პატარა და მარჯვნივ დიდი წრის ექსპოზიციით (ძირითადი ცდები)

1. ცდა საგანწყობო პატარა წრის ტოლი კრიტიკული წრეებით.—
ხელში მიცემულ 25-26 მმ წრეების ორივე სივრცითს განლაგებაში
სწორად შეფასების შემდეგ (თუ საით იყო დიდი!) ცდ. პირს ვეუბ-
ნებით: „ახლა ამ წრეებს აი ამ პატარა სარკმელში გიჩვენებ (ვუთი-
თებთ ტაქისტოსკოპის სარკმელზე); ერთი გამოჩნდება მარჯვნივ მეო-
რე მარცხნივ და შენ უნდა მითხრა იგივე: რომელ მხარეზე იქნება დი-
დი წრე—მარჯვნივ თუ მარცხნივ; ოღონდ წრეები ძალიან ცოტა ხანს
გამოჩნდება და სწრაფად დაიმალება; ამიტომ დანახვა რომ მოასწრო,
აი ამ წერტილს (ვუჩვენებთ სარკმელის ცენტრში წერტილს) უნდა
უცქირო და თვალები არ ამოძრავო; იცოდე, წრეებს ბევრჯერ გიჩ-
ვენებ და ყოველ გამოჩენისას თქვი — საითკენაა დიდი; აბა, უცქი-
რე!“ — ექსპონირდება 25—26 მმ წრეები სამჯერ ზედიზედ (საგან-
წყობო ცდა!) და, თუ ცდ. პირი სამივეჯერ სწორ შეფასებას იძ-
ლევა („მარჯვნივ დიდი“), მყისვე გადავდივართ 25—25 მმ წრეების
ექსპოზიციაზე. რომელიც 10-ჯერ მეორდება (კრიტიკული ცდა!).—
ამ სახით ცდები ჩატარდა 30 ცდ. პირზე³⁶. მოგვაქვს ოქმი, რომე-
ლიც, შეიცავს თითოეული მათგანის პასუხებს (შეფასებებს) კრი-
ტიკულ წრეების 10-ჯერ ექსპოზიციის გასწვრივ.

³⁶ ცდა შეებო 38 ინდივიდა, მაგრამ ჩატარება ვერ მოხერხდა რვა
ინდივიდზე, რომლებმაც საგანწყობო წრეები გაატოლეს; ერთმა—ხელში მოცემი-
სას და შეიღმა—ტაქისტოსკოპურ ექსპოზიციისას.

ც. 3.	პანსუხეზის ზიბი										ც. 3.	პანსუხეზის ზიბი											
	ნნ	1	2	3	4	5	6	7	8	9		10	ნნ	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1		-	-	-	-	-	-	-	-	-	16		+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
2		-	-	-	-	-	-	-	-	-	17		+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
3		-	-	-	-	-	-	-	-	-	18		+	+	+	+	+	-	+	+	+	+	+
4		-	-	+	-	-	-	-	-	-	19		+	+	+	+	+	+	-	+	+	+	+
5		+	-	-	-	-	-	-	-	-	20		+	+	+	+	+	+	+	-	+	+	+
6		-	-	-	-	-	=	-	-	=	21		+	+	+	-	+	+	-	+	?	+	+
7		=	-	=	-	-	-	-	-	-	22		+	-	+	+	?	+	+	-	-	+	+
8		-	+	-	-	-	-	-	+	-	23		+	+	+	?	=	+	=	+	+	+	-
9		-	-	-	+	-	+	-	-	+	24		+	+	=	=	-	+	+	-	+	=	=
10		-	-	+	-	-	+	-	-	+	25		-	-	+	+	-	+	=	+	-	+	+
11		=	-	?	-	-	=	-	-	?	26		=	-	+	=	+	-	+	+	+	=	=
12		+	+	-	-	-	?	-	?	-	27		+	-	+	=	-	+	+	+	+	=	=
13		+	+	+	-	-	-	-	-	+	28		+	-	+	+	-	=	-	+	+	+	=
14		-	-	-	-	?	=	=	=	?	29		+	-	=	=	+	=	=	=	=	=	=
15		-	-	-	-	=	=	=	=	=	30		=	=	=	=	=	=	=	=	=	=	=

„—“ ნიშნით ოქმში აღნიშნულია იმ კრიტიკული წრის გადაფასება, რომელიც ცდ. პირს ეძლეოდა დიდი საგანწყობო წრის ადგილას (ე. ი. ამ შემთხვევაში მარჯვენა კრიტიკული წრის გადაფასება: „მარჯვნივ დიდი“); „+“ ნიშნით აღნიშნულია კრიტიკული წრის გადაფასება, რომელიც ექსპონირდებოდა პატარა საგანწყობო წრის ადგილას (ე. ი. გადაფასება მარცხენა კრიტიკული წრისა: „მარცხნივ დიდი“); „=“ ნიშნით აღნიშნულია სწორი შეფასებები („ტოლია“) და „?“ ნიშნით — „თავის შეკავების“ შემთხვევები. იმისათვის, რომ ამ ოქმმა განწყობის ასიმულაციური მოქმედების შესახებ გარკვეული რამ გვითხრას, წინასწარ საჭიროა თითოეული ამ პასუხის მნიშვნელობაც ვიცოდეთ.

1. სწორი პასუხის (=) მიმართ მდგომარეობა გარკვეულია: იგი უთუოდ იმას ნიშნავს, რომ განსხვავებული წრეების ექსპოზიციით

ფიქსირებულმა განწყობამ ტოლი წრეების აღქმაზე ვერ იმოქმედა და თავი იჩინა ტოლობის აღქმის აღეკვატურმა განწყობამ. მაგრამ იგივე არ ითქმის „თავის შეკავებას“ („?“) შემთხვევებზე: ცდ. პირი არც იმას ამბობს, რომ კრიტიკული (25—25 მმ) წრეები ტოლია, და არც იმას, რომ ერთი მათგანი ცოტა უფრო დიდია; იგი გაკვირვებული დუმს ან უბრალოდ უარს აცხადებს შეფასებითს მსჯელობაზე („არ ვიცი“). რა შეიძლება იყოს ამ დუმის მიზეზი? — რა თქმა უნდა, უყურადღებობა, ექსპოზიციის მომენტში წრეების „პერიფერიულად ხედვა“ ან დანახვის ვერ მოსწრება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ალბათ არც ფიქსირებული განწყობის მოქმედება უნდა იყოს გამორიცხული, — ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს განწყობისა და კრიტიკული ტოლი წრეების კომბინირებულ მოქმედებას; სახელდობრ: ცდ. პირის მიერ ტოლი წრეების შეფასებისგან თავის შეკავება მაინც განწყობის ეფექტია იმდენად, რამდენადაც ტოლობის აღქმა ფაქტობრივად არ მოხდა; მაგრამ იგი კრიტიკული სიტუაციის ეფექტია იმდენად, რამდენადაც ობიექტურად ტოლი წრეები არც უტოლოებად აღქმულან. ერთი სიტყვით, უტოლო წრეებით ფიქსირებული განწყობა იმას ახერხებს, რომ კრიტიკულ ტოლს წრეებს „ტოლობის ნიშანს“ უკარგავს (წრეები აღიქმება, ტოლობა კი — არა!), ხოლო კრიტიკული სიტუაცია კი — იმას, რომ „ტოლობის დაკარგვიდან“ უტოლობის აღქმას არ იჩენს; და ამრიგად იქმნება მდგომარეობა, როცა ცდ. პირს არც ტოლობის განცდა აქვს და არც განსხვავებისა და ამიტომ შეფასებისაგანაც თავს იკავებს.

2. რაც შეეხება პირველ ორ პასუხს, აქ გასარკვევია შემდეგი: „—“ ნიშნით აღნიშნული პასუხები „მარჯვნივ გადაფასებებია“ და, მათსადამე, 3-დ წრეებით ფიქსირებული განწყობის მიმართ ისინი ასიმბალანსური ილუზიებს უნდა წარმოადგენდნენ; „+“ ნიშნით აღნიშნული პასუხები კი, როგორც განწყობის საწინააღმდეგოთ მომხდარი „მარცხნივ გადაფასებები“, კონტრასტული ილუზიები უნდა იყონ. მაგრამ ისმის კითხვა: ყველა ეს გადაფასება აუცილებლად განწყობის ეფექტია? ან უფრო ზუსტად: ოქმში ნაჩვენები ეფექტის „—“ ნიშანი (მარჯვნივ გადაფასება), განურჩევლად მისი რიგითი ადგილისა 10 ექსპოზიციის გასწვრივ, აუცილებლად განწყობის ასიმბალანსური მოქმედების მაჩვენებელია? და ასევე: ყოველი „+“ ნიშანი (მარცხნივ გადაფასება) უგამონაკლისოდ კონტრასტულ ილუზიას ნიშნავს?

თუ ამ საკითხში კარგად გავერკვევით, შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდება, ფიქციაა თუ არა საერთოდ ოდნავ განსხვავებულ გამლიზიანებლებით ფიქსირებული განწყობა და. თუ ფიქციაა, როგორ მოქმედებს იგი.

გავიხსენოთ, რა კრიტერიუმებით ვხელმძღვანელობთ ტლანქაჯ განსხვავებულ გამლიზიანებლებზე განწყობის ფიქსაციის ცუდში როცა ვამბობთ, რომ განწყობა უეკველად შექმნა (გაფიქსარდა), და კრიტიკულ ობიექტებიდან ერთ-ერთის გადაფასების შემთხვევებს მის ეფექტად ვთვლით.

აღნიშნულ ცდებში განწყობის ეფექტად ვთვლით როგორც „+ გადაფასებას“, ისე „—გადაფასებასაც“, მაგრამ არა ერთნაირის კრიტერიუმით. სახელდობრ:

ა. ყოველ „+ გადაფასებას“ განწყობის ეფექტად ანუ კონტრასტულ ილუზიად ვთვლით იმიტომ, რომ კრიტიკული ექსპონზ-ციების გასწვრივ იგი ჩნდება: 1. ჯერ თავიდანვე და რამდენიმეჯერ თანმყოფლებით ანუ ტოლობისა და „—გადაფასებას“ შემთხვევებთან მონაცვლეობის გარეშე, და შემდეგ 2. თუმცა ამ მონაცვლეობითაც, მაგრამ გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე ეს ტოლობა და „—გადაფასება“. ერთი სიტყვით, „+ გადაფასებების“ განწყობას ეფექტად ანუ კონტრასტულ ილუზიებად მიჩნევის კრიტერიუმებია ის რომ განწყობის სრულს აღკვეთამდე ისინი ჩნდებიან თავიდანვე. თანმიყოფებით და, საერთოდ. მეტი რაოდენობით, ვიდრე დანარჩენი შეფასებები.

ბ. რაც შეეხება „—გადაფასებებს“ ანუ ასიმილაციებს. ნათაც. როგორც სწორედ ასიმილაციურ ილუზიებს. განწყობის ეფექტად ვთვლით. მაგრამ მათი ასეთად მიჩნევის კრიტერიუმში, ცხად-ა. სიხშირე აღარ შეიძლება იყოს, რადგან აქ ისინი, საერთოდ, იშვიათად ჩნდებიან: აქ კრიტერიუმია არა გაჩენის სიხშირე. არამედ გარკვეული თეორიული დებულება — ის. რომ. როცა თავიდანვე კონტრასტულად მოქმედი განწყობა სუსტდება. მაშინ იგი საწინააღმდეგე განწყობით აღარ იცვლება და პირდაპირ ასიმილაციურ ილუზიებს ბადებს.

ერთი სიტყვით, ყოველი „+ გადაფასება“ განწყობით გამოწვეული კონტრასტული ილუზიაა, რადგან იგი დიდი სიხშირით ჩნდება, და ყოველი „—გადაფასებაც“ (ასიმილაციური ილუზია) მისი შედეგია, იმიტომ რომ წესისამებრ იგი ამ კონტრასტულად მოქმედი

განწყობის დასუსტების გამო ჩნდება. ასეთია ტლანქად განსხვავებულ გამლიზიანებლებზე ფიქსირებული განწყობის ცდებში გადაფასებათა კვალიფიკაციის კრიტერიუმები.

რას გვეუბნება აღნიშნული კრიტერიუმები კერძოთ ჩვენს ცდებში დადასტურებული გადაფასებების შესახებ? რა საბუთით შევვიძლია ვთქვათ, რომ ოდნავ განსხვავებული წრეებით ფიქსირებულმა განწყობამ ასიმულაციურად იმოქმედა და არა კონტრასტულად? დავაკვირდეთ ზემოთ მოტანილ კრებით ოქმს.

ათი კრატეული ექსპოზიციის გასწვრივ მიღებულ შეფასებათა თანაჰიმდევრობა ინტერინდივიდუალურად ოთხ განსხვავებულ აჯგულს იძლევა. რომელთაგან თითოეული თავის მხრივ კიდევ რამდენიმე შემთხვევას შეიცავს.

1 ჯგუფი: ა. სამმა ცდ. პირმა (№№ 1,2,3) ათი კრიტიკული ექსპოზიციის ფარგლებში მხოლოდ „—გადაფასება“ მოგვცა, ე. ი. მოწოდებულ ტოლ წრეებიდან ერთ-ერთი მათ „უფრო დიდათ“ აღიქმეს 10-ჯერვე მხოლოდ იმ მხარეს, სადაც საგანწყობო ცდებში ობიექტურად დიდ წრეებს ხედავდნენ. მაშასადამე, აქ მდგომარეობა ნათელზე ნათელია: საგანწყობო ცდებმა (25-26 მმ წრეებით) ცდ. პირს „მარჯვნივ დიდის აღქმის განწყობა“ გაუფიქსირა და ამიტომ ტოლი წრეების არატოლებად აღქმაც ამ მიმართულებით მოხდა („მარჯვნივ დიდათ“). ერთი სიტყვით „—გადაფასებების“ სახით აქ ააქმე გვაქვს განწყობის ხალას ასიმულაციურ ილუზიებთან; ისინი ამ განწყობის ასიმულაციური მოქმედების ეფექტია.

ბ. ცდ. პირთან (№ 4) მდგომარეობა ცოტა განსხვავებულია: მას ცხრაჯერ „—გადაფასება“ მოუცია და, მათ შორის გამორევით, ერთი „+ გადაფასებაც“ (მესამე კრიტიკულ ექსპოზიციაში). რომ „—გადაფასებები“ ამ ცდ. პირთანაც განწყობის ასიმულაციური მოქმედების უშუალო პროდუქტია და, მაშასადამე, ნამდვილად ასიმულაციურ ილუზიებს წარმოადგენენ, ეს სრულიად უდავოა, რადგან ისინი დიდ უმრავლესობას ქმნიან და ამასთანავე, გარდა ერთი შემთხვევისა, თანმიყოლებითაც ჩნდებიან. მაგრამ რა ითქმის კერძოდ „+ გადაფასების“ შესახებ? გარეგნულად იგი ხომ კონტრასტულ ილუზიად ჩანს, და თუ მართლაც ესაა, მაშინ ისე გამოდის, რომ ერთსა და იმავე განწყობას (მცირე განსხვავებაზე შექმნილს). ჯერ ორჯერ ზედიზედ ასიმულაციურად უმოქმედია, შემდეგ. მოგვიანოდ. კონტრასტულად და შემდეგ კვლავ ასიმულაციურად. მაგრამ შეიძლება თუ არა ასე მოხდეს?

ეს საკითხი საგანგებოდ გარკვევის ღირსია, რადგან მასზეა დამოკიდებული ყველა სხვა შემთხვევების სწორი გაგებაც. საქმე შემდეგშია.

ჩვენ ვიცით, რომ დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობა, წესისამებრ, ჯერ კონტრასტულ ილუზიებს იძლევა და შემდეგ, მომდევნო ფაზებში, ასიმულაციურსაც. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ. განწყობის თეორიის ავტორმა ამ ფაქტს შემდეგი ახსნა მისცა: კონტრასტულად მოქმედი განწყობა, რომელიც ამ ილუზიებს საწინააღმდეგო განწყობით შეცვლის შედეგად აჩენს, თანდათან სუსტდება. რის გამო იგი მცირე განსხვავებაზე ფიქსირებულ განწყობად იქცევა (მას ემსგავსება) და შემდეგ. როგორც ასეთი, პირდაპირ (საწინააღმდეგო განწყობით შეცვლის გარეშე) ასიმულაციურ ილუზიებს ბადებს. ერთი სიტყვით, ჯერ კონტრასტი და შემდეგ. მოგვიანოდ, ასიმულაცია; ასე ხდება ტლანქ განსხვავებაზე ფიქსირებულ ცლებში.

ამ გაგების თანახმად, ზემოთ მოტანილ მაგალითში (ცდ. პირი № 4) „+ გადაფასება“ ასე უნდა ახსნილიყო: მცირე განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობა, რომელიც რამდენიმე ასიმულაციური ილუზიის წარმოქმნის შედეგად დასუსტდა. ამის გამო თითქოს დიდ განსხვავებაზე ფიქსირებულ განწყობად იქცა და ამ განწყობამ, როგორც სწორედ „დიდი განსხვავების აღქმის განწყობამ“, კონტრასტული ილუზია დაბადა. მაგრამ ასეთი მსჯელობა აბსურდი იქნებოდა. მცირე განსხვავებაზე შემუშავებული განწყობა დასუსტების გამო შეიძლება მხოლოდ აღიკვეთოს და, „დიდი განსხვავების განწყობად“ ვერ იქცევა. ერთი სიტყვით, ასიმულაციური ილუზიების („—გადაფასების“) შემდეგ „+ გადაფასების“ გაჩენა ასიმულაციური განწყობის კონტრასტულ მოქმედებაზე გადანაცვლებას (resp. კონტრასტულ განწყობად გადაქცევას!) არ უნდა ნიშნავდეს.

მაგრამ ახლა საკითხი ჩნდება: რა უნდა იყოს ეს ასიმულაციური ილუზიების შემდეგ გაჩენილი „+ გადაფასება“?

ჩვენი აზრით. იგი სხვა შემთხვევითი ხასიათის ფაქტორით უნდა იყოს გამოწვეული: ან იმით, რომ ორივე კრიტიკული წრე ცენტრალური მხედველობის ველში არ მოხვდა, ან იმით, რომ მათი ერთნაირი სიცხადით აღქმა ვერ მოესწრო. ან ყურადღება ერთზე უფრო მეტად იყო გადატანილი და სხვ.; ე. ი. მრავალ ასიმულიაციას შორის „+ გადაფასების“ გამორევით გაჩენა „შემთხვევითი შეცდო-

მაა“ და არა ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის ეფექტი ანუ კონტრასტული ილუზია.

აღწერილი შემთხვევა არაა გამონაკლისი: ჩვენ ოქმში მისი მსგავსი კიდევ სამი ცდ. პირის (№№ 8,9 და 10) შეფასებები, რომელნიც 7-8-ჯერ „—გადაფასებას“ იძლევიან და მხოლოდ 2-3-ჯერ „+ გადაფასებასაც“. მართალია „+ გადაფასებები“ აქ უკვე მეტია. მაგრამ, ვინაიდან დიდ უმრავლესობას მაინც „—გადაფასებები“ ქმნიან, ამიტომ უკანასკნელის სახით აქაც საქმე გვაქვს განწყობის ასიმილაციურ მოქმედებასთან, და „+ გადაფასებები“, როგორც მაინც გამორევით გაჩენილნი, მხოლოდ „შემთხვევით შეცდომებს“ წარმოადგენენ ე. ი. არა კონტრასტულ ილუზიებს).

გ. მაგრამ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვას ცდ. პირებთან № 5.12 და 13. № 5 ცდ. პირს ჯერ ერთი „+ გადაფასება“ მოუცია და შემდეგ თანმიყოლებით ცხრაჯერ „—გადაფასება“. რომ მასთან ვანწყობას ასიმილაციურად უმოქმედია, ეს საექვო არაა, რადგან ცხრა „—გადაფასება“ შემთხვევითი შეცდომის სახით ვერ გაჩნდებოდა. მაგრამ პირველად რომ „+ გადაფასება“ გაჩენილა და შემდეგ უკვალოდ დაკარგულა, — ეს რაღაა? იმის თანახმად, რაც ზემოთ ითქვა („ბ“ შემთხვევაზე), თითქოს იგი აქაც უბრალო „შემთხვევა“ უნდა იყოს და არა კონტრასტული ილუზია. მაგრამ არა, — აქ ვითარება სხვანაირია!

როცა „+ გადაფასება“ ასიმილაციური ილუზიების მომდევნოთ აქა-იქ გამორევით (იშვიათად) ჩნდება, მაშინ იგი არ შეიძლება განწყობის ეფექტი (კონტრასტული ილუზია) იყოს და უთუოდ „შემთხვევით შეცდომას“ წარმოადგენს, იმიტომ რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ. შეუძლებელია მცირე განსხვავებაზე შემუშავებული განწყობა ჯერ ასიმილაციურ ილუზიებს აჩენდეს და შემდეგ „დიდი განსხვავების აღქმის განწყობად“ იქცეოდეს და კონტრასტულ მოქმედებას იწყებდეს. მაგრამ საწინააღმდეგო კაზუსი კი სავსებით შესაძლებელია: ე. ი. როცა „+ გადაფასება“ პირველად ჩნდება და ასიმილაციური ილუზიები კი მომდევნოდ, მაშინ იგიც შეიძლება განწყობის ეფექტი იყოს. საქმე შემდეგშია.

საგანწყობო წრეებს შორის ერთი მილიმეტრით განსხვავება (25—26 მმ) ყველა ცდ. პირისათვის ერთნაირად მცირეა მხოლოდ ობიექტურად, თორემ სუბიექტურად იგი ხომ ასეთი ვერ იქნება. ზოგისათვის იგი ქვეზღურბლური შეიძლება აღმოჩნდეს, ზოგისათვის ზღურბლური და ზოგისათვის კი მეტ-ნაკლებად ზეზღურბლუ-

რიც. რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ შერჩეულ ცდ. პირათვის პირველი შესაძლებლობა გამორიცხული იყო, მაგრამ დანარჩენ ორს უთუოდ ჰქონდა ადგილი, და გაუგებარი და არაბუნებრივი იქნებოდა. რომ ამ ფაქტს შესატყვისი ნაყოფიც არ გამოედო. რა უნდა მომხდარიყო?

ზოგ ცდ. პირისათვის წრეების ერთი მილიმეტრით განსხვავება. როგორც „ზეზლურბლური“, იმდენად ნათელი და გამოკვეთილი სიდიდის შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ მათ განმეორებით ექსპოზიციას უთუოდ კონტრასტულად მოქმედი განწყობა უნდა გაეფიქსირებინა, რომელიც, მსგავსად დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობისა, ჯერ კონტრასტულ ილუზიებს გააჩენდა და შემდეგ ასიმილაციურს. და აი, სწორედ, ამის დემონსტრაციაა ის, რაც ჩვენ ცდებში მეტ-ნაკლებად სამმა ცდ. პირმა (№№ 5, 12, 13) გვიჩვენა. ერთი სიტყვით, პირველად გაჩენილი „+ გადაფასებები“ და შემდეგ ასიმილაციური ილუზიები („—გადაფასებები“) უბრალოდ იმის მაჩვენებელია, რომ მცირე, მაგრამ ზეზლურბლურ განსხვავებაზე ფიქსირებულმა განწყობამ პირველად კონტრასტული მოქმედება შექმნა (ე. ი. ცდ. პირს კონტრასტულად მოქმედი განწყობა შეუძუშავდა), მაგრამ როგორც მაინც მცირე განსხვავებაზე ფიქსირებულმა, მან ეს ძალა დიდხანს ვერ შეინარჩუნა, მალე დასუსტდა და, როგორც ასეთმა, მეტი სიზშირით ისევ ასიმილაციური ილუზიების წარმოქმნა შეძლო.

ამრიგად, ფაქტი სავსებით გასაგები ხდება იმით, რაც დღემდე განწყობის მოქმედებისა და მისი კანონზომიერების შესახებაა ცნობილი.

დ. თავისებურია № 6 და № 7 ცდ. პირის შეფასებები: ათი კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ ისინი „+ გადაფასებას“ სრულიად არ იძლევიან; მათი შეფასებებია რვაჯერ „—გადაფასება“ და მხოლოდ ორ-ორჯერ ტოლობა. მაშასადამე, აქ საექვეო აღარაფერია: „—გადაფასებების“ დიდი უმრავლესობა, სრულიად უდავოდ. განწყობის ასიმილაციურ მოქმედებას მოწმობს.

ე. ცდ. პირს № 11 „—გადაფასება“ მოუცია ექვსჯერ, ტოლობა — ორჯერ და თავი შეუკავებია ორჯერ. ჩვენი აზრით, განწყობის ასიმილაციური მოქმედება აქაც უეჭველი ფაქტია, რადგან, გარდა იმისა, რომ „—გადაფასება“ ჰარბობს სხვა პასუხებს, „+ გადაფასება“ სრულიად აღარ ჩანს და „თავისშეკავება“ კი უფრო მეტად ისევ ამ განწყობის სასარგებლოდ მეტყველებს.

ვ. ზემოთ განხილულ შემთხვევებში ყველგან „—გადაფასების“ ასიმილაციურ ილუზიად აღიარების კრიტერიუმია მისი ჭარბი სიხშირე დანარჩენ პასუხებთან შედარებით. მაგრამ მარტო სიჭარბე არ კმარა: შეიძლება „—გადაფასებები“ უმცირესობაში იყოს და მაინც ასიმილაციურ ილუზიებს წარმოადგენდეს იმის მიხედვით, თუ როგორია სხვა პასუხები და საერთოდ რა თანმიმდევრობით ჩნდებიან ისინი.

მაგალითად: ცდ. პირს № 15 ჯერ მოუცია ოთხი „—გადაფასება“ და შემდეგ ექვსი ტოლობა. რას წარმოადგენს ეს „გადაფასებები“, განწყობის ასიმილაციურ ილუზიებს თუ „შემთხვევით შეცდომებს“?

აღნიშნული გადაფასებები რომ ათი ექსპოზიციის გასწვრივ აქა-იქ გამოჩნდებოდა გაჩენილიყვნენ, მაშინ მათ ასიმილაციურ ილუზიად ვერ ჩავთვლიდით, რადგან მსგავს შემთხვევებს მაშინაც ვხვდებით, როცა წრეების შეფასება განწყობის ფიქსაციის გარეშე წარმოებს (იხ. ქვემოთ § 10). მაგრამ მოტანილი მაგალითი სხვანაირია: ცდ. პირი თავიდანვე და ზედღიშედ იძლევა ოთხჯერ „—გადაფასებას“ და მხოლოდ ამის შემდეგ აღასტურებს ტოლობას. ეს კი ისეთი შემთხვევაა, რომელიც ტოლი წრეების „დამოუკიდებელ შეფასებისას“ საერთოდ არ შეიმჩნევა და გასაგები ხდება როგორც მხოლოდ ფიქსირებული განწყობის ეფექტი, სახელდობრ: ოდნავ განსხვავებული წრეებით ფიქსირებულმა განწყობამ თავიდანვე ასიმილაციურად იმოქმედა, რამდენიმე ასიმილაციური ილუზია გააჩნია, მაგრამ მალე ისევ კრიტიკულმა სიტუაციამ დასჯა და ტოლი წრეები ტოლადვე იქნა აღქმული.

Mutalis mutandis იგივე ითქმის № 14 ცდ. პირის შესახებაც: პირველ ექსპოზიციებში გაჩენილი „—გადაფასებები“ მასთანაც განწყობის ასიმილაციური ილუზიებია და არა უბრალო შემთხვევითი ფაქტორით გამოწვეული შეცდომა.

ასეთია პასუხების ერთი ჯგუფი, რომელიც, სრულიად გარკვევით, ფიქსირებული განწყობის ასიმილაციურ მოქმედებას გვიჩვენებს.

II ჯგუფი: არიან ცდ. პირები, რომელთაც ათი კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ მეტწილად ან მხოლოდ „+ გადაფასება“ მოუციათ, და, მაშასადამე, ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებულ განწყობას კონტრასტულად უმოქმედია.

იმის მიხედვით, რაც ზემოთ I ჯგუფის „გ“ შემთხვევებზე ითქვა. ეს ფაქტიც გასაგებია: აღნიშნულ ცდ. პირთათვის (№№ 16—24) საკანწყობო წრეების მოცემული განსხვავება იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მათ ძლიერი კონტრასტული განწყობა გაუფიქსირდა. რომელმაც ტლანქ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის მსგავსად I—II ფაზიანი მოქმედება განავითარა.

III ჯგუფი: ამ ჯგუფის ცდ. პირებს (№№ 25—28) მოუციათ ოთხი ან ხუთი „+ გადაფასება“ და დანარჩენ ექსპოზიციებში ტოლობა და „—გადაფასება“. ვინაიდან აქ „+ გადაფასების“ სიხშირე მეტია ცალ-ცალკე სხვა პასუხების სიხშირესთან შედარებით. ამიტომ საფიქრებელია, რომ აღნიშნულ ოთხ. ცდ. პირთან განწყობას კონტრასტულად უმოქმედია. — ვთქვათ, ისე, როგორც დიდ განსხვავებაზე ფიქსირებულ განწყობას მეორე ფაზაში! მაგრამ. მეორის მხრივ, რადგან ეს „+ გადაფასებები“ დანარჩენ პასუხებს შორის აქა-აქ გაბნევით გაჩენილან და არა თავიდანვე თანმიყოლებით, ამიტომ ისიც შესაძლებელია, რომ მათ განწყობა საერთოდ არ შექმნოდან და მიღებული გადაფასებებიც ისეთივე შემთხვევითი შეცდომები იყოს, როგორსაც ჩვეულებრივ ტოლი გამლიზიანებლების შედარებაც იძლევა. ერთი სიტყვით, აღნიშნულ ცდ. პირებთან პასუხები იმდენად გაურკვეველია, რომ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, შეუმუშავდა თუ არა მათ რომელიმე სახის (ასიმილაციური ან კონტრასტული) განწყობა.

V ჯგუფი: დასასრულ, როგორც მოსალოდნელი იყო. აღმოჩნდნენ ისეთნიც, რომელთაც განწყობა საერთოდ არ შეუმუშავდათ და ათი კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ ათჯერვე (№ 30) ან დიდი უმრავლესობით (№ 29) ტოლობა დაადასტურეს.

ამრიგად, ჩვენ დაწვრილებით გავაანალიზეთ შეფასების სახეები და მათი თანამიმდევრობის შემთხვევები. ეს უთუოდ საჭირო იყო, რადგან ერთი და იგივე გადაფასება ყოველთვის არ შეიძლება იყოს განწყობის ეფექტი, და სწორედ ამ თანამიმდევრობის ინდივიდუალურ შემთხვევათა ანალიზს შეეძლო გაერკვია. თუ როდისაა იგი განწყობის ილუზია და როდის არა. ამ ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობა უეჭველი ფაქტია, მაგრამ ყველა ცდ. პირში იგი ერთნაირად არ მოქმედებს: ცდ. პირების ყველაზე უფრო დიდ ჯგუფში (№№ 1—15 = 50%) იგი ასიმილაციურ ილუზიებს იძლევა.

უფრო მცირედში (№№ 16—24 = 30%) — კონტრასტულს. და საერთოდ იშვიათია ისეთი ცდ. პირები, რომლებთანაც იგი საექვეო ან სრულად არ დასტურდება.

ახლა საჭიროა თვალი მოვაველოთ იმასაც, თუ რა სიხშირითაა ჩამოღვენილი ამ ჯგუფებში თითოეული სახის შეფასება. („+ გადაფასება“). ამას გვითვალისწინებს ცხრილი № 3.

ცხრილი 3

შეფასება	ასიმილაციური განწყობის ც. პირ.		კონტრასტული განწყობის ც. პირ.		ასიმილ. და კონტრ. განწყ. ც. პირ.		ცდ. პირები გაურკვეველი პასუხებით		„უგანწყობო“ ცდ. პირები	
	n	%	n	%	n	%	n	%	n	%
—	112	74,7	11	12,2	123	51,3	11	27,5	1	5
--	16	10,7	70	77,8	86	35,8	19	47,5	2	10
=	16	10,7	6	6,7	22	9,2	10	25	17	8,5
?	9	4	3	3,3	9	3,7	—	—	—	—
საერთოდ და %	150	100	90	100	240	100	40	100	20	100
ცდ. პირთა რაოდ.	15	50	9	30	24	80	4	13,3	2	6,7

დავაკვირდეთ მეოთხე ვერტიკალურ გრაფას. აქ მოცემულია თითო შეფასების რაოდენობა და %-ლი სიხშირე იმ 24 ცდ. პირის 2:0 პასუხიდან. რომელთაც განწყობის ასიმილაციური ან კონტრასტული მოქმედება დაუდასტურდა. როგორც ვხედავთ, აქ ყველაზე უფრო ხშირია „—გადაფასება“ ანუ ასიმილაციური ილუზია (51,3%), მაგრამ არც კონტრასტული ილუზია („+ გადაფასება“) ჩამორჩება მას დიდად (35,8%); მათზე რამდენიმეჯერ ნაკლებ ხშირია ტოლობა (9,2%) და იშვიათია „თავის შეკავების შემთხვევები“

(3,7%). საყურადღებოა ასიმილაციისა და კონტრასტის სიხშირეთა მცირე სხვაობა (=15,5%): რატომღა, რომ პასუხების საერთო რაოდენობიდან ასიმილაციური ილუზია თუმცა უფრო ხშირია კონტრასტულზე, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას მაინც არ შეადგენს? ამ გარემოებას გასაგებად ხდის ფაქტი. რომელიც ზემოთ განხილულმა კრებისით ოქმმა გვიჩვენა, — სახელდობრ ის, რომ ოდნავ განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობა ასიმილაციურად მოქმედებს არა ყველა ცდ. პირში, არამედ ზოგში ასიმილაციურად და ზოგში კონტრასტულად. მაგრამ ამ ფაქტის გამო „აბსოლუტური უმრავლესობის პრინციპიც“ ძალაშია და ეს არა მარტო ასიმილაციის, არამედ კონტრასტის მიმართაც. ეს ცხადად ჩანს ცხრილის მეორე და მესამე გრაფიდან: 1. ცდ. პირებთან. რომლებშიც მცირე განსხვავებაზე ფიქსირებულმა განწყობამ კონტრასტულად იმოქმედა (მესამე გრაფა). კონტრასტული ილუზიების სიხშირეა 77,8%, ასიმილაციის — 12,2%, ტოლობის — 6,7% და „თავის შეკავების“ — 3,3%, ე. ი. აბსოლუტური უმრავლესობაა კონტრასტის შემთხვევები და ძალიან იშვიათია ასიმილაცია; 2. ხოლო იმ ჩგუფთან, რომელშიც ამ განწყობამ საერთოდ ასიმილაციური მოქმედება უჩვენა (მეორე გრაფა), პირიქით. იშვიათია კონტრასტი (10,7%) და აბსოლუტურ უმრავლესობას ქმნის ასიმილაციური ილუზიის შემთხვევები (74,7). ერთი სიტყვით. ფაქტი ასეთია: სადაც კი ოდნავ განსხვავებული სიდიდეებით ფიქსირებული განწყობა ასიმილაციური ილუზიის გაჩენას ახერხებს (თავიდანვე ან კონტრასტული მოქმედების შემდეგ.). იქ ამ ილუზიის სიხშირე წესისამებრ დიდია და სხვა შეფასებებთან შედარებით აბსოლუტურ უმრავლესობას აღწევს.

რაც შეეხება პასუხების დანარჩენ ორ ჩგუფს („გაურკვეველი პასუხები“, „განწყობა არ შემუშავდა“), აქ ყველაფერი გასაგებია და მათ განხილვაზე აღარ შეეჩერდებით.

2. ცდები საგანწყობო დიდი წრის ტოლი კრიტიკული წრეებით.— ზემოთ აღწერილ ცდებში, კრიტიკული წრეები (25—25 მმ) საგანწყობო პატარა წრის ტოლია (25—26 მმ). მაგრამ ჩვენ გვინდოდა გვეცოდნოდა, აქვს თუ არა განწყობის ასიმილაციურ მოქმედებისათვის რამე სადიფერენციაციო მნიშვნელობა იმას, თუ რომელი საგანწყობო წრის ტოლია კრიტიკული წრეები. ამიტომ ჩავატარეთ ისეთი ცდებიც, სადაც კრიტიკულ ობიექტებად გამოყენებული იყო სა-

განწყობო დიდი წრის ზომის 26-26 მილიმეტრიანი წრეები. ცდა ჩატარდა 32 ინდივიდზე*. პასუხები მოცემულია ოქმში № 2.

ოქმი № 2

ც. ზ.	პასუხების რიგი										ც. ზ.	პასუხების რიგი									
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	17	-	-	-	-	-	+	+	+	+	+
2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	18	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
3	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	19	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
4	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	20	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
5	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	21	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
6	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	22	?	+	+	+	+	?	-	+	+	+
7	-	-	+	-	-	+	-	-	-	-	23	-	?	+	+	+	+	+	+	?	+
8	-	+	-	+	-	-	-	-	-	-	24	+	+	?	-	+	+	+	-	+	+
9	-	-	-	-	?	-	-	+	-	-	25	+	=	+	+	-	+	+	-	+	+
10	-	-	+	-	-	-	+	-	+	-	26	+	-	+	+	=	+	+	+	-	+
11	-	-	?	+	-	-	-	-	+	-	27	-	+	-	+	-	+	-	+	-	+
12	-	-	?	-	+	-	-	+	-	-	28	+	-	+	-	+	=	+	-	+	-
13	+	-	-	-	-	-	?	-	?	-	29	?	-	?	+	=	-	+	?	+	-
14	+	+	+	-	-	-	-	?	-	-	30	+	=	=	+	=	=	+	=	=	-
15	+	+	-	+	-	-	-	-	-	-	31	=	+	=	+	=	=	=	=	=	=
16	-	-	-	-	-	=	+	+	+	+	32	?	=	=	=	=	=	=	=	=	=

ეს ოქმი ძალიან გავს პირველს: არიან ასიმულაციური განწყობის ცდ. პირები, რომელთაგან ზოგი იძლევა მხოლოდ ასიმულაციურ ილუზიებს (№ 1—5), ზოგი — ჯერ ასიმულაციებს და შემდეგ აქა-იქ გამორევით სხვა შეფასებებსაც („+ გადაფასებას“ შემთხვევითი შეცდომის სახით, ტოლობას, „თავის შეკავებას“: №№ 6—13) და ზოგიც — ჯერ „+ გადაფასებებს“ ანუ კონტრასტულ ილუზიებს და

* ცდები შეეხო 39 ინდივიდს, მაგრამ მათ შორის შვიდ ინდივიდზე საგანწყობო ცდის ჩატარება ვერ მოხერხდა განსხვავებული წრეების ტოლებად აღქმის გამო.

ამის შემდეგ ასიმილაციურ ილუზიებს (№№ 14,15); გარკვევით ჩანს აგრეთვე განწყობის კონტრასტული მოქმედებაც (№№ 18—26), „გაურკვეველი შემთხვევები“ (№№ 27—29) და „განწყობის უფექტობაც“ (№№ 30—32), მაგრამ არის ახალი პასუხებიც.

№ 16 ცდ. პირს ჯერ მოუცია ხუთი „—გადაფასება“, შემდეგ ერთი ტოლობა და ბოლოს ზედიზედ ოთხი „+ გადაფასება“, ხოლო № 17 ცდ. პირს: ხუთჯერ „—გადაფასება“ და შემდეგ ზედიზედ ხუთჯერვე „+ გადაფასება“. ისმის საკითხი: რომელი განწყობის ეფექტად უნდა ჩაითვალოს პასუხების ასეთი თანამომდევრობა — კონტრასტულის თუ ასიმილაციურის?

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ საქმე უნდა გვქონდეს უბრალო შემთხვევითი ხასიათის გადაფასებებთან, „დაკვირვების შეცდომებთან“, მაგრამ არა, რადგან მაშინ გადაფასებების ასეთი თანმომდევრობა ტოლი წრეების დამოუკიდებელი (განწყობის გარეშე) შეფასების ცდებსაც უნდა ეჩვენებინა, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ნამდვილად არ ხდება. მაშასადამე, აღნიშნული შემთხვევები ისევ განწყობის ცდებისათვის უნდა იყოს სპეციფიკური და გასარკვეველ სწორედ ისაა, თუ როგორ და რატომ უნდა გაჩენილიყვნენ აქ ისინი.

ცხადია, იმას ვერ ვიტყვით. რომ განწყობამ ჯერ ასიმილაციურად იმოქმედა და შემდეგ იგი კონტრასტულ განწყობად იქცა. როგორც ზემოთ გავარკვევით, ასეთი „გარდაქცევა“ შეუძლებელია. მაგრამ, თუ ვიგულისხმებთ, რომ მომდევნოდ გაჩენილი „+ გადაფასებები“ არაა კონტრასტული ილუზია და რაღაც სხვა ფაქტორით გამოწვეული გადაფასებებია, მაშინ ხელს არაფერი გვიშლის პირველი „—გადაფასებები“ განწყობის ასიმილაციურ მოქმედების შედეგად ვცნოთ. ჩვენ ვფიქრობთ და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საბუთიც გვაქვს ვიფიქროთ, რომ მომდევნო „+ გადაფასებები“ „აღქმის ასიმეტრიის“ ეფექტია, რომელმაც თავი იჩინა განწყობის ასიმილაციური მოქმედების შემდეგ; სახელდობრ № 16 და 17 ცდ. პირები ბუნებრივად ტენდირებული იყვნენ ტოლ წრეებიდან მარცხენა წრე გადაფასებინათ („მარცხნივ დიდი“); ოდნავ განსხვავებული „პატარა-დიდი“ წრეებით ფიქსირებულმა განწყობამ ამ ტენდენციას დროებით სძლია და გადაფასებები საწინააღმდეგო მიმართულებით წარმოშვა („მარჯვნივ დიდი“, resp. „—გადაფასებები“) ანუ ასიმილაციურად იმოქმედა. მაგრამ ათი კრიტიკული ექსპოზიციის

განწვივ იგი მალე დასუსტდა და მოქმედება იწყო „მარცხნივ გადაფასების ბუნებრივმა ტენდენციამ“ (ასიმეტრიამ). რომელმაც „+ გადაფასებები“ გააჩნია. ერთი სიტყვით, ჯერ განწყობამ იმოქმედა და შემდეგ ასიმეტრიამ.

ამრიგად, წინა ცდებისნაირად აქაც ინდივიდების ოთხი ჯგუფი გამოიყოფა: ასიმილაციური განწყობის ინდივიდები ($n = 17 = 53,1\%$), კონტრასტული განწყობისანი ($28,1\%$), ცდ. პირები „გაურკვეველი პასუხებით“ ($3 = 9,4\%$) და „უგანწყობონი“ ($9,4\%$).

ცხრილი № 4 გვიჩვენებს შეფასების სახეთა პროცენტულ სი-ზირეს თითოეულ ამ ჯგუფში.

ცხრილი 4

შეფასება	ასიმილაციური განწყობის ცდ.პირ.		კონტრასტული განწყობის ცდ.პირ.		ასიმილაციური კონტრასტული განწყობის ცდ.პირ.		ცდ. პირები გაურკვეველი პასუხებით		„უგანწყობონი“ ცდ. პირები	
	n	%	n	%	n	%	n	%	n	ა?
—	131	77,1	8	8,9	139	53,5	12	40	4	13,3
÷	30	1,76	76	84,4	106	40,8	13	43,3	3	16,7
=	3	1,8	2	2,2	5	1,9	2	6,6	2,1	66,7
?	6	3,5	4	4,4	10	3,8	3	10	1	3,3
საერთო რაოდ.	17	100	90	100	260	100	30	100	30	100
ც.პირ. რაოდ. და %	17	53,1	9	28,1	26	81,3	3	9,4	3	9,4

როგორც ვხედავთ, წინა ცდებისაგან განსხვავება არც ამ მხრივ ჩანს: აქაც ასიმილაციური განწყობის ცდ. პირთა ჯგუფში ყველა შეფასებიდან დომინანტურია „—გადაფასება“ ($77,1\%$), კონტრასტული განწყობის ცდ. პირებთან, პირიქით, დომინანტურია „+ გადაფასება“ ($84,4\%$), „უგანწყობობთან“ ალექვატური შეფასება ($66,7\%$), ხოლო „გაურკვეველი პასუხების“ ცდ. პირებთან

რომელიმე გადაფასების („+“ ან „—გადაფასების“) დომინანტობა არ დასტურდება. მაშასადამე, ზემოთ დასმულ საკითხს ასე შეიძლება ვუპასუხოთ: არა აქვს რამე სადიფერენციაციო მნიშვნელობა იმას, თუ რომელი საგანწყობო წრის ზომისაა კრიტიკული წრეები. ოდნავ განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობის მოქმედება — ზოგ ცდ. პირთან ასიმილაციურად და ზოგთან კონტრასტულად — არ იცვლება იმის მიხედვით, დიდი საგანწყობო წრის ტოლი იქნება კრიტიკული წრეები თუ პატარისა; ორივე შემთხვევაში მისი ასიმილაციური მოქმედება უფრო ხშირია კონტრასტულზე და ცალკეულ პასუხთა შორის სიხშირის მხრივ მიმართებაც საერთოდ ერთი და იგივეა.

§ 6. ცდები ოდნავ განსხვავებული მარცხნივ დიდისა და მარჯვნივ პატარა წრის ექსპოზიციით (დ—პ სივრცითი განლაგებით)

თუ ზემოთ გარჩეულ ცდებში სუბიექტს საგანწყობოდ ეძლეოდა მარცხნივ პატარა და მარჯვნივ დიდი წრე (პ—დ განლაგებით), აქ იგივე წრეები მას ეძლევა საწინააღმდეგო დ—პ სივრცითი განლაგებით: მარცხნივ დიდი და მარჯვნივ პატარა (26—25 მმ). ცდები ჩატარდა ცდ. პირების ორ ჯგუფზე: ერთზე — პატარა საგანწყობო წრის ტოლი კრიტიკული წრეებით (25—25) და მეორეზე — დიდი საგანწყობო წრის ტოლით (26—26 მმ).

აღნიშნული ცდების მიზანია გაარკვიოს შემდეგი: აქვს თუ არა მნიშვნელობა ოდნავ განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობის მოქმედებისათვის იმას, თუ რა სივრცით განლაგებაში ეძლევა ცდ. პირს ეს წრეები. თუ აღმოჩნდა, რომ ორივე სივრცითი განლაგების პირობებში (როგორც პ—დ. ისე დ—პ განლაგებისას). ეფექტი ერთნაირია, ეს საბუთს მოგვცემს ვიფიქროთ, რომ მიღებული ეფექტი (კრიტიკული წრეების უტოლოებად აღქმა resp. გადაფასება) მხოლოდ ჩვენ მიერ ფიქსირებული განწყობის ეფექტია; თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ განლაგებისას იგი მეტი იქნება მეორისაზე. მაშინ, გარდა განწყობისა, რომელიღაც სხვა ფაქტორის მონაწილეობაც უნდა ვიკულოთ.

1. ცდები პატარა საგანწყობო წრის ტოლი კრიტიკული წრეებით (26—25; 25—25 მმ). — გამოიცადა 28 ინდივიდი³⁷. პასუხები მოცემულია ოქმში, № 3.

ოქმი № 3

ც. 3	პასუხების რიგი										ც. 3.	პასუხების რიგი									
	NV	1	2	3	4	5	6	7	8	9		10	NV	1	2	3	4	5	6	7	8
1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	15	?	-	-	-	-	-	+	=	=	=
2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	16	?	-	-	-	+	?	-	+	=	-
3	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	17	+	-	+	+	+	+	+	+	+	+
4	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	18	+	-	+	+	+	+	+	+	+	+
5	-	-	-	+	-	-	?	-	-	-	19	-	+	+	+	+	=	+	+	+	+
6	-	+	-	-	-	-	-	-	?	-	20	+	+	+	+	-	+	-	+	=	+
7	+	-	-	-	-	-	-	-	+	-	21	+	-	+	+	+	+	+	?	=	+
8	+	-	+	-	-	-	-	-	-	-	22	+	-	+	+	+	-	+	+	-	+
9	?	-	-	+	=	-	-	-	-	-	23	+	+	+	-	+	+	-	+	+	-
10	?	-	-	-	+	-	+	-	-	-	24	+	-	+	+	=	+	?	+	=	+
11	?	-	?	-	-	=	-	-	-	-	25	-	+	-	+	-	-	+	+	+	-
12	-	-	-	+	-	+	-	+	-	-	26	=	=	=	=	=	-	-	-	-	-
13	-	-	-	+	-	-	+	+	-	-	27	-	+	=	+	-	=	=	?	-	+
14	-	+	-	-	-	-	-	=	=	=	28	=	?	=	=	=	=	=	=	=	=

წიხა ოქმებთან შედარებით აქ რამდენიმე განსხვავებულ შემთხვევას ვხვდებით:

1. ცდ. პირებს (№ 9,10,11) პირველ ექსპოზიციაში თავი შეუკავებიათ და შემდეგ, ერთი ან ორი „+ გადაფასების“ ან ტოლობის აქა-იქ გამოჩენით. შვიდჯერ „—გადაფასება“³⁸ მოუციათ. „—გადა-

³⁷ ცდის ჩატარება ვერ მოხერხდა ექვს ინდივიდზე. რომელთაგან ორმა საგანწყობო წრეები ხელში მიცემისას გაატოლა და ოთხმა—ტაქსისტოკოპურ ექსპოზიციისას.

³⁸ ვინაიდან ამ ცდებში საგანწყობო წრეები დ—კ განლაგებით ექსპონირდებოდა („მარცხნივ დიდი, მარჯვნივ პატარა!“), ამიტომ, წინა ცდებისაგან განსხვავებით, „—გადაფასება“ ანუ ასიმბალაციური ილუზია აქ ნიშნავს მარცხენა კრიტიკული წრის გადაფასებას („მარცხნივ დიდი“), ხოლო „+ გადაფასება“ ნიშნავს მარჯვნივ გადაფასებას („მარჯვნივ დიდი“).

ფასების“ ეს სიჭარბე და ამასთანავე მისი რამდენიმეჯერ ზედღებულ თანმიყოლებით გაჩენა უთუოდ იმას მოწმობს, რომ განწ: ზბას ასიმილაციურად უმოქმედია და „გადაფასებებიც“ მხოლოდ შეცდომების სახით გაჩენილან.

2. სხვანაირი მდგომარეობაა ცდ. პირებთან № 15 და № 16. მართალია, „—გადაფასებები“ აქ უკვე აღარ ჭარბობს დანარჩენ პასუხებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ასიმილაციური ილუზიებია და განწყობის ასიმილაციურ მოქმედებას მოწმობენ, რადგან „თავის შეკავების“ მომდევნოდ ჩნდებიან და ისიც რამდენიმეჯერ თანმიყოლებით.

3. საყურადღებოა ცდ. პირების №№ 25—26 პასუხები. ათი კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ ერთი მათგანი ერთნაირი სიხშირით იძლევა „+“ და „—გადაფასებას“, მაგრამ უკანასკნელს იძლევა უფრო მეტი გაბნევით, ვიდრე პირველს. მეორე ცდ. პირი ჯერ იძლევა ხუთ ტოლობას და შემდეგ, ასევე თანმიყოლებით, ხუთ „—გადაფასებას“. ჩვენი აზრით, აღნიშნულ ცდ. პირებთან განწყობის რომელიმე სახით მოქმედება გარკვევით არ ჩანს, რადგან განსხვავებული შეფასებები („+“ და „—“ ან „=“ და „—“) ერთნაირი სიხშირით ჩნდებიან და, რაც მთავარია, ისეთის თანამიმდევრობით, რომელიც განწყობის მოქმედებას არ ესატყვისება.

4. აღარ ვხვდებით ისეთ ცდ. პირებს, რომლებიც წინა ცდებში ჯერ ასიმილაციურ ილუზიებს იძლეოდნენ და შემდეგ საწინააღმდეგო „+ გადაფასებებს“. საერთოდ კი აქაც ცდ. პირების ოთხი ჯგუფი გამოიყოფა: ასიმილაციური განწყობის ინდივიდები (№№ 1—16), კონტრასტული განწყობისანი (№№ 17—24), ინდივიდები გაურკვეველი პასუხებით (№№ 25,26) და „უგანწყობონი“ (№№ 27—28). თითოეული ამ ჯგუფის ფარგლებში ცალკეულ პასუხთა სიხშირეს გვითვალისწინებს ცხრილი № 5.

ამ ცხრილის შედარება პირველი ცდის შესატყვის ცხრილთან (ცხრილი № 3) გვიჩვენებს შემდეგს: პირველ ცდაში, რომელიც საგანწყობო წრეების პ—დ განლაგებაში ექსპოზიციით წარმოებდა, ასიმილაციური განწყობის ცდ. პირთა % ნაკლებია (50%), ვიდრე უკანასკნელი დ—პ განლაგებით ჩატარებულ ცდებში (57,1%), ხოლო კონტრასტული განწყობის ცდ. პირთა % კი, პირიქით, ოდნავ მეტია (30%). ვიდრე უკანასკნელში (28,6%).

შეფასება	ასიმილაციური განწყობის ცდ. პირ.		კონსტრასტული განწყობის ცდ. პირ.		კონსტრატ. და ასიმ. განწყ. ცდ. პირ.		ცდ. პირები გაურკვეველი პასუხებით.		„უგანწყობო“ ცდ. პირები	
	n	%	n	%	n	%	n	%	n	%
—	123	76,9	11	13,7	134	55,8	10	50	3	15
-	19	11,9	62	77,5	81	33,8	5	25	3	15
=	9	5,6	5	6,3	14	5,8	5	25	12	60
?	9	3,6	2	2,5	11	4,6	—	—	2	10
შეფას. რაოდ. პედ.	160	100	80	100	240	100	20	100	20	100
იოთა რაოდ. და %	16	57,1	3	28,6	24	85,7	2	7,1	2	7,1

2. ცდები საგანწყობო დიდი წრის ტოლი კრიტიკული წრეებით (24—25 მლ., 26—26 მმ). — აღნიშნული ცდაც ჩატარებული საგანწყობო წრეების დ—პ განლაგებით, მაგრამ წინა ცდებისაგან განსხვავებით აქ კრიტიკული წრეები საგანწყობო დიდი წრის ტოლია. ცდა ჩატარდა 32 ინდივიდზე³⁹. ოქმის გარჩევა აქ ზედმეტია, რადგან იგი არაფერს ახალს და განსხვავებულს არ იძლევა. მოგვყავს მხოლოდ ცხრილი, რომელშიც ამ ოქმის მონაცემებია აღრიცხული.

როგორც ცხრილში № 5, ისე აქაც საგანწყობო წრეების სიერციით განლაგების მნიშვნელობა, თუმცა კი მცირე %-ით, უთუოდ ჩანს: შედარებით პ—დ განლაგებით ჩატარებულ ცდებთან (იხ. ცხრილები №№ 3,4), აქ მეტია როგორც ასიმილაციური განწყობის ცდ. პირთა % (56,3 წინააღმდეგ 50 და 53,1%-ისა აღნიშნულ ცხრილებ-

³⁹ ცდები შეეხო 38 ინდივიდს. ცდის ჩატარება ვერ მოხერხდა 6 ინდივიდზე.

'ში), ისე, კერძოდ, ასიმილაციური ილუზიებს სავსებით სიზმარეც (58,8% წინააღმდეგ 51,3 და 53,5%-ისა). ხოლო, რაც შეეხება კრიტიკული წრეების რომელიმე საგანწყობო წრესთან ტოლობას, უკა-

ცხრილი 6

შეფასება	ასიმილაციური განწყობის ცდ. პირ.		კონტრასტული განწყობის ცდ. პირ.		ასიმილ. და კონტრ. განწყობის ცდ. პირ.		ცდ. პირები გაურკვეველი პასუხებით.		საგანწყობო ცდ. პირობები	
	n	%	n	%	n	%	n	%	n	%
	145	80,6	8	10	153	58,8	10	50	4	10
+	20	11,1	63	78,7	83	31,9	9	45	6	15
=	7	3,9	4	5	11	4,3	1	5	28	70
?	8	4,4	5	6,3	13	5	—	—	2	5
შეფას. რაოდ.	180	100	80	100	260	100	20	100	40	100
ც. პ. რაოდ. და %	18	56,3	8	25	26	81,2	2	6,2	4	12,5

ნასკნელის მნიშვნელობა არც აქ დასტურდება. ერთი სიტყვით, ოდნავ განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობის მოქმედება არაა არსებითად დამოკიდებული იმაზე, თუ რა სივრცით განლაგებაში ეძლევა ცდ. პირს ისინი და რომელი მათგანის ტოლია კრიტიკული წრეები.

§ 7. ცდები 2—4 მილიმეტრით განსხვავებული საგანწყობო წრეების ექსპოზიციით

ზემოთ აღწერილი ცდები წარმოებდა საგანწყობო წრეების მხოლოდ სამჯერ ექსპოზიციით. როგორც გავარკვეით, ეს გამოწვე-

ული იყო იმით, რომ ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეების პეტჯერ ჩვენება, და მით უმეტეს 8-10-15-ჯერ, ცდების მასობრივად წარმოების საშუალებას სრულიად არ იძლევა. ახლა ვნახოთ, რა გვიჩვენა 2—4 მილიმეტრით განსხვავებული წრეების ამდენიმე ექსპოზიციით ჩატარებულმა ცდებმა.

ვინაიდან განსხვავებებს ყველა ცდ. პირი ნათლად ამჩნევს, ამიტომ წინასწარი შემოწმება („სანიმუშო ცდა“ წრეების ხელში მიცემით) აქ საჭირო აღარ ხდება და ცდა (წრეების ტაქისტოსკოპური ექსპოზიცია) იწყება პირდაპირ სიტყვიერი ინსტრუქციით: „...თქვი რომელ მხარეზეა დიდი წრე — მარჯვნივ თუ მარცხნივ“.

ცდები ჩატარდა ინდივიდების ორ ჯგუფზე: ერთზე 26—24 მმ საგანწყობო წრეებით და 24—24 მმ კრიტიკულით, ხოლო მეორეზე — 26—22 და 22—22 მმ წრეებით. ორივე ჯგუფში საგანწყობო წრეების ექსპოზიცია წარმოებდა დ—3 სივრცით განლაგებაში. ოქმები № 4 და 5 შეიცავს ცდ. პირთა პასუხებს ათ-ათი ექსპოზიციის ფარგლებში.

1. წინა ოქმებთან შედარებით, მეოთხე ოქმში ყურადღებას იპყრობს „+ გადაფასების“ მეტი სიხშირე. 12 ცდ. პირიდან (№№ 5—16) ოთხს მოუცია ათივეჯერ „+ გადაფასება“ (№№ 5—8), ხოლო დანარჩენ რვას (№№ 9—16) — უმეტესად „+ გადაფასება“ და, აქა-იქ გამორევით, სხვა შეფასებებიც. თანახმად იმისა, რაც ზემოთ შეფასებათა კვალიფიკაციის კრიტერიუმებზე ითქვა, „+ გადაფასებების“ („მარჯვნივ დიდი“) ეს უგამონაკლისობა, სიჭარბე და ზედინზიდობა უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ ისინი კონტრასტულ ილუზიებს წარმოადგენენ და არა შემთხვევით შეცდომებს, ხოლო „— გადაფასებები“ („მარცხნივ დიდი“) კი ასიმბალაციური ილუზიებია, რომელნიც კონტრასტული განწყობის დასუსტების შედეგად უნდა გაჩენილიყვნენ.

2. მაგრამ პირველ ოთხ ცდ. პირთან (№№ 1—4) მდგომარეობა თითქმის დიამეტრალურად საწინააღმდეგოა: სამ მათგანს უმეტესად „— გადაფასება“ მოუცია (7—9-ჯერ), ხოლო ერთს კი — ჯერ ზედიზედ ხუთი „— გადაფასება“ და შემდეგ, ურთიერთშენაცვლებით, „თავის შეკავება“ და „+ გადაფასება“. შეფასებათა კვალიფიკაციის ზემოთ განხილული კრიტერიუმების თანახმად, აქ ეს „— გადაფასებები“ ასიმბალაციური ილუზიებს უნდა წარმოადგენდნენ და, მა-

ც.3	პასუხების ღირბი										
	ნ.ნ	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1		-	-	-	-	-	+	-	-	-	-
2		-	+	-	-	-	-	-	+	-	-
3		-	-	-	-	-	?	+	?	-	-
4		-	-	-	-	=	+	-	+	-	-
5		+	+	+	+	+	+	+	+	+	-
6		+	+	+	+	+	+	+	+	+	+
7		+	+	+	+	+	+	+	+	+	+
8		+	+	+	+	+	+	+	+	+	+
9		+	+	+	-	+	+	-	+	+	+
10		+	+	+	?	+	=	+	-	+	+
11		+	+	+	-	-	?	=	+	+	-
12		+	=	+	+	+	-	+	?	-	+
13		+	-	+	-	+	+	+	+	-	+
14		-	+	-	+	+	+	+	+	-	+
15		+	+	-	=	+	-	+	=	+	+
16		+	+	=	+	=	-	+	-	+	+
17		=	=	+	=	=	=	+	=	-	=
18		=	=	=	=	=	+	=	=	-	=
19		=	=	=	=	+	=	+	=	=	=
20		=	=	=	=	=	=	=	=	=	=

ც.3	პასუხების ღირბი										
	ნ.ნ	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1		+	+	+	+	+	+	+	+	+	+
2		+	+	+	+	+	+	+	+	+	+
3		+	+	-	+	+	+	+	+	+	+
4		+	+	+	+	+	+	+	+	+	+
5		+	+	+	+	+	+	=	+	-	+
6		+	+	+	+	+	=	+	=	+	-
7		+	+	+	+	+	+	=	+	+	-
8		+	+	+	=	+	=	+	-	+	+
9		+	+	+	=	+	-	+	+	=	+
10		+	+	+	=	+	+	=	+	-	-
11		+	+	-	+	+	+	=	+	+	-
12		+	-	+	+	+	-	+	=	+	+
13		+	-	+	-	+	+	=	+	-	=
14		+	-	+	-	+	+	=	+	-	+
15		+	+	-	=	+	=	+	-	+	=
16		-	-	+	=	+	+	+	-	+	=
17		-	+	+	=	+	+	+	+	=	-
18		+	=	=	+	=	=	+	=	-	=
19		=	=	=	+	=	=	-	=	-	=
20		=	=	+	=	=	-	+	-	-	-

შასადამე, არის საფუძველი ვიფიქროთ: რომ აღნიშნულ ცდ. პირებს თავიდანვე ასიმბილატიურად მოქმედი განწყობა შეეძინათ.

3. დასასრულ, არიან ცდ. პირები, რომელთაც ათი კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ ან სულ ტოლობა მოუციათ ანდა უმეტესად ტოლობა და ზოგჯერ, აქა-იქ გამორევით. გადაფასებაც (№№ 17—20). მაშასადამე, მათ განწყობა საერთოდ არ გაფიქსირებიათ (არც კონტრასტული და არც ასიმბილატიური) და გამორევით გაჩენილი „+“ და „-“ გადაფასებები“ უბრალოდ ისეთივე მცდარი შეფასებებია, როგორსაც ტოლი სიდიდეების შედარება, ჩვეულებრივად, განწყობის ფიქსაციის გარეშეც იძლევა.

ამრიგად ფაქტი ასეთია: ორი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობა ცდ. პირების დიდ უმრავლესობასთან ($n=12=60\%$) კონტრასტულად მოქმედი განწყობაა და მხო-

ლოდ ოთხი ცდ. პირია (20%), რომლებთანაც იგი ასიმილაციურად მოქმედი ჩანს.

დავაკვირდეთ ახლა მეხუთე ოქმსაც.

აქ მხოლოდ სამი ცდ. პირია (15%), რომელთაც განწყობა საერთოდ არ გაფიქსირებიათ (№№ 18—20), თორემ დანარჩენებთან იგი უეჭველი ფაქტია. მაგრამ ზემოთ დადასტურებული განსხვავება აქ უკვე აღარ ჩანს: არაა შემთხვევა, რომ რომელიმე ცდ. პირს ათჯერვე ან უმეტესად მაინც „—გადაფასება“ მოეცა და, მაშასადამე, განწყობის ასიმილაციური მოქმედება ეჩვენებინა; 17-დან ოთხი ცდ. პირი უგამონაკლისოდ „+ გადაფასებას“ იძლევა. ხოლო დანარჩენები იძლევიან უმეტესად „+ გადაფასებას“ და, აქა-იქ გამორევით, ტოლობასა და „—გადაფასებასაც. ერთი სიტყვით, ვითარება ისეთია, რომ აღნიშნულ ცდ. პირებთან განწყობას კონტრასტულად უმოქმედია, — ზოგ მათგანთან მხოლოდ I ფაზის სახით, ზოგთან აგრეთვე II—III ფაზის სახითაც და ზოგთან კი მხოლოდ ამ მომდევნო ფაზების სახით.

§ 8. ჩვენი შედეგები დ. უზნაძის შედეგებთან შედარებით

როგორც ვიცით, დ. უზნაძის ცდები ტარდებოდა 8-10-15 საგანწყობო ექსპოზიციით და შემდეგ კრიტიკული წრეების ორჯერ მიწოდებით, ჩვენი კი — სამი საგანწყობო და ათი კრიტიკული ექსპოზიციით და ისიც მხოლოდ საგანგებოდ შერჩეულ ცდ. პირებზე, რომლებიც ერთი მილიმეტრით განსხვავებულ წრეებს სწორად აფასებდნენ ორივე სივრცით განლაგებაში (პ-დ, დ-პ). მიუხედავად ამ მეთოდოლოგიური განსხვავებისა, ჩვენ მაინც შეგვიძლია შევედაროთ ურთიერთს ჩვენი და დ. უზნაძის შედეგები და ვნახოთ, რამდენად ეთანხმებიან ისინი ურთიერთს.

ცხრილებში №№ 3,4,5,6 ნაჩვენებია ცდ. პირთა ოთხი ჯგუფი (ცდ. პირნი: ასიმილაციური განწყობით, კონტრასტული განწყობით, საეკვო პასუხებით და „უგანწყობონი“) და თითოეული შეფასების პროცენტული სიხშირე გამოთვლილია ცალ-ცალკე ამ ჯგუფების მიხედვით. შედარებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, როგორია ამ სიხშირეთა განაწილება ჯგუფების განურჩევლად ცდ. პირთა მთელს მასაში. ეს წარმოდგენილია ცხრილში, № 7.

ცხრილი 7

ცდები	-	+	=	?	შეფასება საერთო n
25 — 26 25 — 25	45	35,7	16,3	3,0	300
25 — 26 26 — 26	48,4	38,8	8,4	4,4	320
26 — 25 25 — 25	52,5	31,8	11,1	4,6	280
26 — 25 26 — 26	52,2	30,6	12,5	4,0	320

თუ წინა ცხრილებმა (№№ 3—6) გვიჩვენა, რომ ხუთივე ცდაში ასიმულაციური განწყობის ცდ. პირებთან „—გადაფასება“ ანუ ასიმულაციური ილუზია რამდენიმეჯერ ხშირი იყო „+ გადაფასებაზე“. ხოლო კონტრასტული განწყობის ცდ. პირებთან კი პირიქით. „+ გადაფასება“ ქარბობდა „—გადაფასებას“. ცხრილში № 7 ყველგან მხოლოდ „—გადაფასება“ უფრო ხშირი. მაგრამ ეს განსხვავება რამე უჩვეულოსა და უკანონოზომიეროს არ ნიშნავს: ზემოთ გარჩეულმა ცხრილებმა და შესატყვისი კრებითი ოქმების ანალიზმა ჩვენ გვიჩვენა, რომ ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეები ცდ. პირების მეტ რაოდენობას ასიმულაციურად მოქმედ განწყობას უფიქსირებს და შედარებით ნაკლებს — კონტრასტულად მოქმედს; და აი, სწორედ ამ ფაქტის გამოვლენაა ის, რომ პასუხების საერთო რაოდენობიდან (ცხრ. 7) „—გადაფასება“ მაინც უფრო ხშირი ჩანს „+ გადაფასებაზე“.

ამ გაგებით ცხრილი (№ 7) საშუალებას გვაძლევს ჩვენი შედეგები დ. უზნაძისას შევადაროთ.

როგორც ვიცით, დ. უზნაძის ცდებში ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობის ეფექტია: 60 შეფასებიდან 68% „—გადაფასება“ ანუ ასიმულაციური ილუზია, 28% „+ გადაფასება“ - ანუ კონტრასტული ილუზია და 4% ტოლობა. ცხრილი (№ 7) გვიჩვენებს, რომ ყველა ჩვენს ცდაში „—გადაფასების“ შემთხვევები თუმცა კი ქარბობს „+ გადაფასებას“, მაგრამ არა

იმდენად, რამდენადაც დ. უზნაძესთან: ჩვენთან იგი არც ერთ ცდაში 68%-ს არ აღწევს, აქ მისი სიხშირე მხოლოდ 45%—52,5% შორის რხევადობს და, მაშასადამე, ყველგან საგრძნობლად ნაკლებია, იმ დროს როცა „+ გადაფასებები“, პირიქით, ყველგან მეტია, ვიდრე დ. უზნაძის ცდებში (30,6%—38,8% წინააღმდეგ 28%-ისა). ერთი სიტყვით, ფაქტი ასეთია: ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობის ასიმპლაციური მოქმედება („გადაფასებების“ მიხედვით) დ. უზნაძის ცდებში უფრო ხშირია. ვიდრე ჩვენთან.

ახლა ვნახოთ, რა განსხვავება გვიჩვენა 2—4 მილიმეტრით განსხვავებულ წრეებზე ფიქსირებულმა განწყობამ. ცხრილში № 5 მოტანილია ჩვენი და დ. უზნაძის შედეგები.

ცხრილი 8

ცდები		—	+	=	?
26 — 24 24 — 24	დ. უზნ.	33,7	50	16,3	—
	ჩვენი	23	54	20,5	2,5
26 — 22 22 — 22	დ. უზნ.	25,1	58,3	16,6	—
	ჩვენი	14	66	20	—

როგორც ვხედავთ, ჩვენთანაც და დ. უზნაძესთანაც ორივე ცდაში უფრო ხშირია „+ გადაფასება“ ანუ განწყობის კონტრასტული ილუზია — და სწორედ ისე, რომ წრეების ოთხი მილიმეტრით განსხვავებისას მისი %-ი პასუხთა საერთო რაოდენობიდან უმრავლესობას ქმნის. მაგრამ არის განსხვავებაც, რომელიც იმაზე ძდგომარეობს, რომ ეს %-ი ჩვენ ცდებში მეტია (54%—66%). ვიდრე დ. უზნაძისაში (50%—58,3%) და, ამის შესატყვისად, ასიმპლაციური ილუზიაც ბევრად უფრო იშვიათია (23%—14%), ვიდრე მასთან (33,7—25,1%). ერთი სიტყვით, 2 და 4 მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობის კონტრასტული მოქმედება ჩვენთან უფრო ხშირი ჩანს, ვიდრე დ. უზნაძესთან.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ცდები არაა დ. უზნაძის ცდების პირდაპირი განმეორება. ცალკე პასუხთა განაწილების წესი ორივეში ერთნაირია: განწყობის მცირე განსხვავებაზე ფიქსირებისას დომინანტურია „—გადაფასება“ ანუ ასიმეტრიული ილუზია, იმ დროს, როცა დიდ განსხვავებაზე ფიქსირებისას იგი იშვიათდება და დომინანტური ხდება „+ გადაფასება“ ანუ კონტრასტული ილუზია.

IV ასიმეტრიის ფაქტორი განწყობის ასიმილაციურ მოქმედებაში

§ 9. საკითხის დასმა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს შეხედულება, რომელიც მცირე განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის ეფექტად მხოლოდ კონტრასტულ ილუზიას თვლის და ასიმილაციურ ილუზიად ნაგულისხმევ გადაფასებებს („—გადაფასებებს“ ჩვენი ცდების მიხედვით.) მთლიანად აღქმის ბუნებრივი ასიმეტრიის გამოვლენად აცხადებს. სწორია თუ არა ეს შეხედულება?

ამ საკითხზე პასუხს იძლევა მომდევნო ცდები; მაგრამ ვიდრე მათ განხილვაზე გადავიდოდეთ, წინასწარ საჭიროა გაირკვეს. თუ რას ნიშნავს „აღქმის ასიმეტრია“, რა ფაქტია იგი.

როგი გამოკვლევებით დასტურდება, რომ მხედველობის ველში მოხვედრილ ტოლ გამლიზიანებელთაგან ზოგ ადამიანს უფრო დიდად ეჩვენება ამ ველის მარცხენა ნახევარში მოხვედრილი გამლიზიანებელი და ზოგს კი — პირიქით: მარცხენა ნახევარში პატარად ეჩვენება და მარჯვენაში უფრო დიდად; ე. ი. ობიექტური შინაარსი, რომელიც თავის ნაწილების განლაგებით სიმეტრიულია (ერთნაირი სიდიდეები ორივე მხარეზე.), აღქმაში ამ ნიშანს კარგავს და ასიმეტრიულად განიცდება. ეს ფაქტი — სიმეტრიული შინაარსის ასიმეტრიულად აღქმა და, მაშასადამე, თვითონ ამ აღქმის ასიმეტრიულობა — არაა უბრალო შემთხვევა. ავტორთა აზრით, იგი ზოგადი ბიოლოგიური კანონის გამოვლენაა, — იმ კანონის, რომელიც ორგანიზმის სხეულის მარჯვენა-მარცხენა მხარეების არათანაბრად გან-

ვითარების ფაქტს ასახავს და. როგორც ასეთი. თავს იჩენს ერთ-ერთ მხარეზე, მოთავსებულ ორგანოთა უკეთეს ფუნქციობაში¹⁰. მაგალითად: ადამიანთა უმრავლესობასთან მარჯვენა კიდურები. მოცულობით და კუნთების განვითარებით. ჯობნის მარცხენას და ფუნქციურადაც მეტძალოვანია. ხოლო უმცირესობასთან კი. პირიქით, მარცხენა კიდურებს აქვთ უპირატესობა (ცაციებთან.); დიდ უმრავლესობასთან უფრო სმენამახვილია მარჯვენა ყური. უმცირესობასთან კი — მარცხენა; როცა ცალი თვალთ მოქმედების საჭიროება ჩნდება (თოფის დამიზნება, მიკროსკოპით ჰვრეტა. ლობურის ხერხეში გახედვა და სხ.), ჩვეულებრივად მარცხენა თვალს ვხუჭავთ და მარჯვენათი ვიხედებით. მაგრამ ზოგს უფრო ეხერხება მარჯვენა თვალი დახუჭოს და მარცხენათი ჰვრითოს. ერთი სიტყვით. ორგანოთა მოქმედებაში თავს იჩენს „მხარმარჯვენობის“ და „მხარმარცხენობის“ („ლატერალიტეტის“) ფაქტორი. და ოპტიკურ სიდიდეთა ასიმეტრიულად აღქმაც ამ ფაქტორის გამოვლენას უნდა წარმოადგენდეს.

შეხედულებას, რომელიც განწყობის ასიმეტრიულ მოქმედებას (resp. განწყობის ასიმეტრიულ ილუზიას!) უარყოფს. მხედველობაში აქვს სწორედ აღქმის ეს „ბუნებრივი გამრქედების“. „ბუნებრივი ასიმეტრიის“ ფაქტი: გრძნობის ორგანოთა არათანაბარი ფუნქციობის გამო ადამიანი ბუნებრივად ტენდირებულია იმისაკენ, რომ ტოლ გამლიზიანებელთაგან ერთ-ერთი — მარცხნივ ან მარჯვნივ მდებარე გამლიზიანებელი — გადააფასოს. უფრო დიდად აღიქვას. ვიდრე მეორე. და ე. წ. „ასიმეტრიული ილუზიაც“ ფაქტობრივად ამ „გადაფასების ტენდენციის“ ეფექტია და არა ვითომდა ასიმეტრიურად მოქმედი განწყობისა. რაოდენობრივ სიდიდეებზე შექმნილი განწყობა მაშინაც კი, როცა იგი ოდნავ განსხვავებული სიდიდეებით არის ფიქსირებული, მხოლოდ კონტრასტულად მოქმედებს. რადგან ასეთია მისი ბუნება; და ყველა ისეთ შემთხვევაში. სადაც კი გვეგონია, რომ იგი თითქოს ასიმეტრიულ ილუზიებსაც უნდა აჩენდეს, ნამდვილად საქმე გვაქვს არა განწყობასთან. არამედ აღქმის ასიმეტრიის ეფექტთან.

¹⁰ H. C. Van Der Meer, Die Links-Rechts-Polarisation des phänomenalen Raumes, 1959.

უნდა გაირკვეს, მართლაც ასეა თუ არა.

მეცნიერების განვითარების დღევანდელ საფეხურზე დანამდვილებით ვერ ვიტყვით, თუ რა უდევს საფუძვლად ოპტიკურ სიდიდეთა ასიმეტრიულ აღქმას. — მორფოლოგიურია იგი თუ ფუნქციონალური. — მაგრამ რომ იგი ფაქტია, ამას მრავალი გამოკვლევა ადასტურებს და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არის იმის ნიშნებიც, რომ მას, ნაწილობრივ მაინც ჩვენ ცდებშიც უნდა ჰქონოდა ადგილი. მაგრამ სხვა საკითხია, არის თუ არა იგი გადაფასების ერთადერთი მიზეზი. მაგალითად: 1. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბუნებრივი გადაფასების ტენდენცია თუმცა კი ფაქტია, მაგრამ ბუნებითგანვე მაინც იმდენად სუსტი და ლაბილი, რომ გარკვეულ ფარგლებში ისევე განწყობა ძლევს და მის საწინააღმდეგო მოქმედებას ახერხებს? ან კიდევ: 2. რატომ არაა შესაძლებელი, რომ ის, რაც გარეგნულად მარტო ამ ტენდენციის ეფექტად ჩანს, ნამდვილად მისი და განწყობის თანამონაწილეობის ეფექტი იყოს და, ამრიგად, მიღებული გადაფასების გარკვეული ნაწილი უდავოდ განწყობის ასიმილაციურ ილუზიებს წარმოადგენდეს? და დასასრულ: 3. რატომ უნდა იყოს გადაფასების ყოველი შემთხვევა მხოლოდ ბუნებრივი ასიმეტრიის შედეგი? ხომ ფაქტია, რომ „მასობრივ დაკვირვებებში“, გარდა „მუდმივი მიზეზებისა“, რომლებიც „მუდმივ შეცდომებს“ ქმნიან, „ცვალებადი მიზეზებიც“ მოქმედებენ და ე. წ. დაკვირვების შემთხვევითს ანუ „საალბათო შეცდომებს“ ქმნიან! და იქნებ ეს ისე ხდებოდა, რომ „საალბათო შეცდომები“ უფრო ხშირია „მუდმივზე“ და განწყობის ასიმილაციური ილუზიებიც სწორედ მათი შემცირების ხარჯზე ჩნდებიან!

ამ საკითხების გადაწყვეტა ექსპერიმენტულად უნდა მოხერხდეს.

§ 10. ტოლი წრეების შეფასება განწყობის ფიქსაციის გარეშე (საკონტროლო ცდები)

თუ ზემოთ აღწერილ ცდებში ასიმილაციურ ილუზიად ნაგულისხმევი გადაფასებები მხოლოდ და მხოლოდ ასიმეტრიის ეფექტია და არა, ზოგ შემთხვევაში მაინც, განწყობისაც, მაშინ პასუხების რა განაწილებაც ამ ცდებმა გვიჩვენა, საესვებით იგივე უნდა.

გვიჩვენოს ცდებმაც განწყობის წინასწარი ფიქსაციის გარეშე, როცა სუბიექტს შესაფასებლად ეძლევა მხოლოდ ტოლი წრეები.

50 ინდივიდზე ჩავატარეთ ტოლი წრეების (26—26 მმ) შედარების ტაქსტოსკოპური ცდები შემდეგი ინსტრუქციით: „ორი წრე გამოჩნდება — ერთი მარცხნივ. მეორე მარჯვნივ; კარგად დააკვირდი ორივეს, შეადარე ურთიერთს სიდიდით და, თუ ტოლებად მოგეჩვენოს, თქვი: ტოლია; ხოლო თუ განსხვავებული იყოს, თქვი რომელ მხარეზეა უფრო დიდი წრე — მარჯვნივ თუ მარცხნივ“.

ოქმში № 6 მოცემულია ცდ. პირთა პასუხები ათი ექსპოზიციის გასწვრივ. „—“ ნიშნით აღნიშნულია ტოლად შეფასების შემთხვევები, „+“ ნიშნით — მარცხნივ გადაფასების შემთხვევები და „-“ ნიშნით მარჯვნივ გადაფასებები.

ოქმის № 6

ც. 3 NN											-	=	+	ც. 3 NN											-	=	+
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10					1	2	3	4	5	6	7	8	9	10			
1	=	=	=	=	=	=	=	=	=	=			10		26	=	=	=	=	=	=	=			5	5	
2	=	=	=	=	=	=	=	=	=	=			10		27	+	+	+	+	+	+	+			5	5	5
3	=	=	=	=	=	=	=	=	=	=			10		28	=	+	+	+	+	=	=			5	5	5
4	=	=	=	=	=	=	=	=	=	=			10		29	=	=	=	+	+	=	=			3	4	3
5	=	=	=	=	=	=	=	=	=	=			10		30	=	=	=	=	+	=	+	-		4	4	2
6	=	=	=	=	=	=	=	=	=	2	8			31	=	+	+	=	=	=	=	=		4	4	2	
7	=	=	=	=	=	=	=	=	=	2	8			32	=	+	=	=	-	+	=	=		4	4	2	
8	=	=	=	=	=	=	+	=	=	1	8	1		33	=	=	+	=	+	+	=	=		4	4	2	
9	=	=	=	=	+	=	+	=	=	1	7	2		34	=	-	-	+	+	+	+	-		3	4	3	
10	=	+	=	=	=	=	=	+	=	1	7	2		35	=	=	=	=	=	=	=	=		6	4		
11	=	=	=	=	=	+	=	=	=	2	7	1		36	=	+	+	+	+	=	+	+		4	4	6	
12	=	=	=	=	=	=	=	=	=	3	7			37	+	+	=	+	+	+	+	=		4	4	6	
13	=	+	=	=	+	=	=	+	=	1	6	1		38	=	=	+	=	=	=	=	=		5	4	1	
14	=	=	+	=	=	=	+	=	=	2	6	2		39	+	+	+	=	+	+	+	+		3	7		
15	=	+	=	+	=	=	=	=	=	2	6	2		40	+	+	=	=	+	+	+	+		1	3	6	
16	=	=	=	=	=	=	=	=	=	4	6			41	=	+	+	+	+	+	+	+		1	3	6	
17	=	=	=	=	=	=	=	=	=	4	6			42	=	=	+	+	+	+	+	+		3	7		
18	=	=	=	=	=	+	=	+	=	3	5	2		43	=	=	=	+	+	+	=	=		6	3	1	
19	=	=	=	=	=	=	=	+	=	4	5	1		44	=	=	+	+	+	+	+	=		5	3	4	
20	=	=	=	+	=	=	=	=	=	3	5	2		45	=	=	=	+	+	+	+	+		3	3	4	
21	=	=	=	=	=	=	+	=	+	2	5	2		46	=	=	=	=	=	=	=	+		7	2	1	
22	=	+	=	=	=	=	=	=	=	2	5	1		47	=	=	=	=	=	=	=	=		8	2		
23	+	=	=	+	=	=	=	=	=	3	5	2		48	+	-	+	=	=	=	=	=		6	2	2	
24	=	=	=	=	=	=	=	=	=	5	5			49	=	=	+	+	+	+	+	+		1	2	7	
25	=	=	=	=	=	=	=	=	=	5	5			50	=	+	=	=	+	+	+	+		5	2	3	

n: 134 258 108
%: 68 51,6 11,6

1. ზოგადი რიცხობრივი მონაცემები. — პირველ რიგში საჭიროა ვიცოდეთ, რა სიხშირით გეხვდება თითოეული სახის შეფასება ცდ. პირთა მთელ მასაში. ოქმში მოცემულ შემაჯამებელ რიცხვებიდან ჩანს, რომ ტოლი წრეების 500 შეფასებიდან (50×10) დომინანტურია ტოლობა (51,6%) და მასზე საგრძნობლად ნაკლებია ცალ-ცალკე მარჯვნივ გადაფასებისა („+ გადაფ.“ 21.6%) და მარცხნივ გადაფასების („—გადაფ.“ 26.8%) შემთხვევები.

შევადაროთ ახლა ეს მონაცემები განწყობის ცდებში მიღებულ შეფასებათა განაწილებას.

ცხრილიდან № 7, რომელიც ამ განაწილებას გვივალისწინებს, ნათლად ჩანს შემდეგი: შეფასებების საერთო რაოდენობიდან ყველაზე დიდი % ხვდება „—გადაფასებებს“ ანუ ასიმილაციურ ილუზიებს (45,0%—52,5%), მასზე უფრო ნაკლები, მაგრამ საერთოდ მაინც დიდი %-ი ხვდება „+ გადაფასებებს“ ანუ კონტრასტულ ილუზიებს (30.6%—38,8%), რამდენჯერმე ნაკლები — ტოლობას ანუ ადეკვატურ შეფასებებს (8,4%—16.3%) და მთლად მცირე %- „თავის შეკავების“ შემთხვევებს (3,0%—4,6%). მაშასადამე. აქ თითქმის დიამეტრალურად საწინააღმდეგო სურათია იმის. რასაც ოქმი № 6 გვიჩვენებს: თუ ტოლი წრეების „დამოუკიდებელი შეფასების“ ცდებში (ე. ი. ცდებში განწყობის უფიქსაციოდ.) დომინანტურია ტოლობა და შედარებით იშვიათია „—“ და „+ გადაფასებები (ცალ-ცალკე), განწყობის ცდებში, პირიქით. დომინანტურია გადაფასებები და ძალზე იშვიათია ტოლობა.

რით უნდა აიხსნას ესოდენ მკვეთრი განსხვავება. თუ არა იმ პირობების განსხვავებულობით, რომ უკანასკნელ ცდაში ცდ. პირს ეძლევა მხოლოდ ტოლი წრეები, ხოლო ზემოთ აღწერილ ხუთ ცდაში კი — ჯერ რამდენიმეჯერ უტოლო წრეები და შემდეგ ტოლნი? მაშასადამე, სხვა მიზეზი, თუ არა განწყობა, გამორიცხულია: წინასწარ უტოლო წრეების ექსპოზიცია ცდ. პირს გარკვეულ განწყობას უფიქსირებს და სწორედ ამის შედეგია, რომ ტოლ წრეებიდან ერთ-ერთის გადაფასების სიხშირე აქ უფრო მეტია, ვიდრე საკონტროლო ცდებში. ერთი სიტყვით, განწყობის ფიქსაციის ცდებში მიღებული „—“ და „+ გადაფასებები არაა ბუნებრივი ასიმეტრიის შედეგი და უთუოდ ამ განწყობის ასიმილაციურ და კონტრასტულ ილუზიებს წარმოადგენენ.

მაგრამ ახლა შეიძლება ასე გვითხრან: შედეგები, რომელთაც თქვენთან ტოლი წრეების „დამოუკიდებელი შეფასების ცდა“ იძლევა, შეიძლება შემთხვევითი იყოს. და ნამდვილად კი ამ ცდებსაც გადაფასებების სიკარბე უნდა ეჩვენებინა და არა ტოლობისაო. შევამოწმოთ ახლა ეს ვარაუდიც.

აქ ჩვენ ვსარგებლობთ დოცენტ ა. ავალიშვილის ცდებით, რომლებიც ჩატარებულია ტოლი წრეების ოც-ოცი ექსპოზიციით თითოეულ ცდ. პირზე (n=50) ხუთი დღის გასწვრივ. ეს ცდები ჩვენ საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ. იცვლება თუ არა შეფასებების განაწილება ათი ათეული ექსპოზიციის გასწვრივ და, ამრიგად, დავადგინოთ ამ განაწილების ნამდვილი სახე. სათანადო მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში № 9.

ცხრილი 9

ათ-ათი ექსპ. რიგზე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	% 5000 ექსპოზიცი.
—	22	32	30	32,6	29,4	26,8	24,8	23,4	23,4	24,4	26,9
=	59,2	45	52,8	47,8	54	52,8	58,4	56,8	60	56,4	54,3
+	18,8	23	17,2	19,6	16,6	20,4	16,8	19,8	16,6	19,2	18,8

როგორც ვხედავთ, რა კანონზომიერებითაც ნაწილდებიან შეფასებები პირველი ათი ექსპოზიციით ჩატარებულ ცდაში და, მაშასადამე, 500 შეფასების (10×50) ფარგლებში. სავსებით იმავე კანონზომიერებით ნაწილდებიან ისინი ყოველ მომდევნო ათეული ექსპოზიციით ჩატარებულ ცდაშიც, ე. ი. მსგავსად ჩვენი ცდებისა (ოქმი № 6), აქაც ყველგან დომინანტურია ტოლობის შემთხვევები (59,2—45%) და ცალ-ცალკე ყველგან იშვიათია მარცხნივ და მარჯვნივ გადაფასებები. რას გვეუბნება ეს ფაქტი? — უთუოდ იმას, რომ დადასტურებული განაწილება, რომელიც გაუსის კანონით გათვალისწინებულ „შეცდომათა განაწილებას“ უახლოვდება, სავსებით კანონზომიერი, საქმის ნამდვილი ვითარების ამსახველი მოვლენაა.

და არა ცდის უვარგისობით გამოწვეული უბრალო შემთხვევა. მაშასადამე, ჩვენი დასკვნაც სწორია: „—“ და „+“ გადაფასებათა“ დომინანტობა სწორედ განწყობის ცდებში, და არა საკონტროლოში, უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ ისინი განწყობით წარმოქმნილი ასიმპლატიური და კონტრასტული ილუზიებია.

მაგრამ ცხრილი № 9 სხვა მხრივაც საგულისხმოა. იგი საშუალებას იძლევა გავარკვიოთ: ფაქტია თუ არა ასიმეტრია მაშინ მაინც, როცა ტოლი წრეების შეფასება საგანწყობო ცდის გარეშე წარმოებს? და თუ ფაქტია. მხოლოდ იგი იწვევს მარჯვნივ და მარცხნივ გადაფასებებს თუ მის გარდა სხვა ფაქტორიც მოქმედებს? ჩვენი აზრით, ამ საკითხის გარკვევაზეა დამოკიდებული თავის მხრივ ისიც, უნდა ვცნოთ თუ არა ოდნავ განსხვავებული წრეებით ფიქსირებულ განწყობის ცდებში ასიმეტრიის ნაწილობრივ მოქმედება მაინც და სახელდობრ რა სახით.

ჩვენი შედეგების თანახმად (ოქმი № 6) მარცხნივ გადაფასების შემთხვევები უფრო ხშირია მარჯვნისაზე (26,8% წინააღმდეგ 21,6%-სა); მაგრამ ა. ავალიშვილის ცდებითაც იგივე დასტურდება და, რაც მთავარია, უგამონაკლისოდ ყოველი 10 ექსპოზიციით ჩატარებულ ცდაში. მაშასადამე, შემთხვევითი არც ეს განსხვავებაა. მაგრამ აქ მეორე განსხვავებაც საყურადღებოა, რომელიც საერთოდ შეფასებათა მაჩვენებლების ცვალებადობაში შეიმჩნევა: მარცხნივ („—“) გადაფასების სიხშირე პირველი ოთხი ცდის გასწვრივ (I—IV. იხ. ცხრილი 9) მატულობს, ხოლო მომდევნო ცდებში კი (V—X) თანდათან კლებულობს; მარჯვნივ („+“) გადაფასებისა და ტოლობის მაჩვენებელთ ასეთი პროგრესიული მატება-კლება არ ეტყობა, მაგრამ, საერთოდ, ხან მატება და ხან დაკლება მათთვისაც დამახასიათებელია.

ისმის საკითხი: რას უნდა ნიშნავდეს ეს განსხვავებანი? რის შესახებ მეტყველებენ ისინი?

პირველი განსხვავების შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: ტოლი წრეების ორმხრივ გადაფასებიდან უგამონაკლისოდ მარცხნივ გადაფასების სიჭარბე მარჯვნივზე უთუოდ ასიმეტრიის არსებობას მოწმობს; ე. ი. არიან ცდ. პირები, რომელთაც ტენდენცია აქვთ ერთ-ერთი წრე გადააფასონ, და, როგორც ჩანს, მათ შორის უმრავლეს-

სობა მარცხენა წრის გადამფასებელი ყოფილა და უმცირესობა — მარჯვენა წრისა⁴¹. მაგრამ აქ მეორე საკითხი ჩნდება, — საკითხი ამ ორმხრივი ტენდენციის გავრცელებულობის შესახებ: ხომ არ შეიძლება ორმხრივ გადაფასების ყველა შემთხვევა მხოლოდ და მხოლოდ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების შედეგად ვიგულოთ: მაგალითად, ჩვენს ცდებში მარცხნივ გადაფასებების 26,8% მთლიანად ერთი ტენდენციის ეფექტად და მარჯვნივ გადაფასების 21,6% ასევე მთლიანად მეორე ტენდენციის ეფექტად? ამ საკითხს უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ.

როცა რომელიმე სტოქასტიური მოვლენის სტატისტიკური კვლევა ადასტურებს, რომ მისი განვითარების ნორმალურ (საშუალო) დონიდან ზევით და ქვევით გადახრა ასიმეტრიულია, ჩვეულებრივად ამ ასიმეტრიულობას რალაც „მუდმივად მოქმედ ფაქტორს“ მიაწერენ და გადახრის ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ამ ასიმეტრიის გარეშე რჩებიან, სხვა ე. წ. „შემთხვევით ფაქტორთა“ მოქმედებით ხსნიან; და ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენი შედეგების მიმართაც. მაგრამ, გარდა ამ ზოგადი ხასიათის მოსაზრებისა. ჩვენ სათანადო საბუთიც გავაჩნია: მართლაცა, რას უნდა ნიშნავდეს ა. ავალიშვილის ცდებში შემჩნეული ფაქტი: ის, რომ გადაფასების მაჩვენებლები ყველა ათ-ათი ექსპოზიციით ჩატარებულ ცდაში ერთნაირი არაა და ზოგჯერ მკვეთრადაც მეტ-ნაკლებია? აღნიშნული ფაქტი გვავალებს შემდეგნაირად ვიმსჯელოთ: გადაფასების ერთადერთი ფაქტორი რომ ასიმეტრია ყოფილიყო, — რომ, ვთქვათ, პირველ ცდაში მარცხნივ გადაფასების ყველა შემთხვევა (22%) მხო-

⁴¹ საკიროა შევნიშნოთ შემდეგი: როცა სუბიექტი ტოლ წრებიდან, ვთქვათ მარცხენას უფრო დიდათ აფასებს, ვიდრე მარჯვენას, ეს იმას როდი ნიშნავს რომ მის აღქმაში თითქოს მხოლოდ მარცხენა წრის სიდიდე შეიცვალა და მარჯვენა წრე კი იგივე დარჩა. შეიძლება ხდებოდეს სხვანაირადაც, მაგალითად: მარჯვენა წრე „დაპატარავდეს“ და მარცხენა იგივე დარჩეს, ან მარცხენა „დაპატარავდეს“ და მარჯვენა კი „გადიდდეს“. პირველ შემთხვევას სიტყვა „გადაფასება“ უდგება, მეორეს—„შეუფასებლობა“ (недооценка), ხოლო მესამეს—ცალცალკე არც ერთი და არც მეორე. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვიცით—როდის ან რომელ ექსპოზიციაში რომელ ამ შემთხვევას აქვს ადგილი, და ამიტომ სიტყვა „გადაფასება“ თუ „შეუფასებლობა“ ფაქტობრივად იმასკი არ ასახავს, თუ რომელმა წრემ რა ცვლილება განიცადა აღქმაში, არამედ უბრალოდ იმას, რომ ერთი მათგანი დიდია და მეორე—პატარა.

ლოდ იმ ცდ. პირთ მოეცათ, რომელთაც ერთნაირად მარცხნივ გადაფასების ტენდენცია ჰქონდათ, — მაშინ მაჩვენებელთა მომატება-დაკლებას ადგილი არ უნდა დარჩენოდა და რა სისწორისაც იგი პირველ ათეულ ექსპოზიციაში აღმოჩნდა (22%), დანარჩენებშიც უკლებლივ იმავე სისწორით უნდა განმეორებულიყო; და შესატყვისად იგივე ითქმის მარჯვნივ გადაფასების შესახებაც. მაშასადამე, გადაფასების მაჩვენებელთა არაერთნაირობა უთუოდ იმას ნიშნავს, რომ მის წარმოშობას, გარდა ასიმეტრიისა, კიდევ რალაც სხვა ფაქტორიც უნდა საზღვრავდეს, — ფაქტორი, რომელიც ან ასიმეტრიის საწინააღმდეგოდ შეიძლება მოქმედებდეს და გადაფასების შემთხვევებს ამცირებდეს, ან პირიქით, მას ესმარებოდეს და გადაფასებებს ზრდიდეს, ანდა, როცა ცდ. პირს ასიმეტრია არ ახასიათებს, თვითონაც იწვევდეს მათ; და ასეთი ფაქტორი კი მრავალი შეიძლება იყოს, მაგალითად: ტოლი წრეები მხედველობის ცენტრალურ ველში თანაბრად არ მოხვდა და ერთნაირი სიცხადით ორივეს აღქმა ვერ მოხერხდა, ან თუმცა კი მოხვდა, მაგრამ სიცხადით აღქმა უბრალოდ ვერ მოესწრო, — ან ექსპოზიციის მომენტში ცდ. პირმა ძალაუნებურად რალაც სხვაზე გაიფიქრა. ან ყურადღების ბუნებრივი რხევის გამო დაკვირვება გამრუდდა, ან რომელიმე ამ ფაქტორით გამოწვეულმა მცდარმა შეფასებამ ცდ. პირს მომენტანურად მისი სისწორე შთააგონა და ამის გამო მომდევნო ექსპოზიციაშიც იგივე მცდარი შეფასება განმეორდა და სხვ. ტოლ სიდიდეთა შედარების ცდაში და მით უმეტეს ტაქისტოსკოპური ცდის პირობებში, სადაც ეს სიდიდეები სწრაფად და მრავალჯერ ექსპონირდებიან, ასეთი შემთხვევითი ხასიათის ფაქტორთა მოქმედება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და უთუოდ უფრო მეტადაც გავრცელებული; ვიდრე ასიმეტრია.

ამრიგად, ცდის მონაცემთა ანალიზი უფლებას გვაძლევს შემდეგი დავასკვნათ: ა. ასიმეტრია უეჭველი ფაქტია და ისიც ფაქტია, რომ მეტწილად იგი მარცხნივ გადაფასების სახით ვლინდება, ვიდრე საწინააღმდეგო მიმართულებით. მაგრამ იგი არაა გადაფასების ერთადერთი მიზეზი და არ შეიძლება ითქვას, რომ მარცხნივ და მარჯვნივ გადაფასების ყველა შემთხვევა უნაშთოდ მისი შედეგია. გარდა ასიმეტრიისა, გადაფასებას იწვევენ „შემთხვევითი“ ხასიათის ფაქტორებიც, რომლებიც აუცილებლობით თვითონ ცდის მიმდინარეობაში ჩნდებიან და ტოლობის აღქმას ამრუდებენ. — ბ. გადაფასებას შეიძლება იწვევდეს არა მხოლოდ ერთი მიზეზი — ასიმეტრია ან

რომელიმე ერთი შემთხვევითი ფაქტორი, არამედ მათი კომბინირებული მოქმედებაც; და ისიც შესაძლებელია, რომ რომელიმემ ამ ფაქტორთაგან ასიმეტრიის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს და იგი გაანეიტრალოს.

2. ასიმეტრიის კონკრეტული შემთხვევები. ჩვენ განვიხილეთ ტოლ წრეთა შეფასების ზოგადი რიცხობრივი მონაცემები განწყობის ცდების ასეთსავე მონაცემებთან მიმართებაში და ვნახეთ, რომ ასიმეტრია თუმცა ფაქტია, მაგრამ იგი გადაფასების ყველა შემთხვევას ვერ ხსნის და ვერც განწყობის ფაქტს ფარავს. ახლა ვნახოთ, როგორია თვითონ ამ ასიმეტრიის კონკრეტული შემთხვევები, რა და რა სახით იჩენს იგი თავს და რომელ მათგანში როგორაა შესაძლებელი, რომ მცირე განსხვავებაზე ფიქსირებულმა განწყობამ ასიმეტრიული ან კონტრასტული მოქმედება გვიჩვენოს. ამ საკითხის გარკვევის საშუალებას ოქმში (№ 6) წარმოდგენილ პასუხთა ანალიზი იძლევა.

პირველი, რაც ოქმის დახედვისას თვალში გვეცემა, შემდეგია: 50-დან ხუთ ცდ. პირს (10%) ათი ექსპოზიციის გასწვრივ მხოლოდ ტოლობა მოუცია, მაგრამ ერთი ცდ. პირიც არაა ისეთი, რომელსაც მარცხნივ ან მარჯვნივ მხოლოდ გადაფასება მოეცა. რას გვეუბნება ეს ფაქტი?

ტოლი წრეების ათჯერ შეფასება და ისიც 50 ცდ. პირის მიერ სავსებით საკმარისად მასალა იმისათვის, რომ მან ასიმეტრიის მოქმედების ყველა ნაირსახეობა გვიჩვენოს. მაგრამ ათჯერ ტოლობა ფაქტია: ხოლო 10-ჯერ ცალმხრივ გადაფასება კი (მხოლოდ მარცხნივ ან მხოლოდ მარჯვნივ) გამონაკლისის სახითაც არ გვხვდება. მაშასადამე დარწმუნებით შეგვიძლია დავასკვნათ: ისეთი უკიდურესი სახის ასიმეტრია, რომელიც გადაფასებას მხოლოდ და მხოლოდ ერთ მხარეზე გააჩენდა, ოპტიკურ სიდიდეთა შედარების სიტუაციაში (ყოველ შემთხვევაში 10 ექსპოზიციის გასწვრივ) არ არსებობს. მისი ალბათობა აქ ნულს უდრის, იმ დროს როცა მხოლოდ ადეკვატური შეფასებების და, მაშასადამე, უთუოდ „უასიმეტრიო“ ცდ. პირთა ალბათობა უეჭველია და საგრძნობიც (10%)⁴².

⁴² რა თქმა უნდა 10-ჯერ ტოლობა იმას არ ნიშნავს, რომ ექსპოზიციის გამრავლებისას ცდ. პირი სულ ტოლობას ნოკეცემდა. მაგრამ შემდეგ რომ გადაფასებებიც გაჩნდებოდა, ეს ასიმეტრია მაინც არ იქნება, რადგან ნამდვილმა

დანარჩენ 45 ცდ. პირიდან სამი ჯგუფი გამოიყოფა: 1. ცდ. პირები, რომელნიც ათი ექსპოზიციის გასწვრივ უფრო ხშირად (8-6-ჯერ) ტოლობას იძლევიან და იშვიათად ან უმნიშვნელო რაოდენობით — გადაფასებას ორმხრივს ან ერთმხრივს (№№ 6-17); 2. ცდ. პირები, რომელნიც ტოლობას და გადაფასებას თანაბარი რაოდენობით იძლევიან, მაგრამ გადაფასებას — აგრეთვე ან ცალმხრივს ან ორმხრივს (№№ 18-28); და 3. ცდ. პირნი, რომლებთანაც იშვიათია ტოლობა (4-2) და ხშირია გადაფასება — ორმხრივი და ცალმხრივი (№№ 29-50).

ისმის საკითხი: ცდ. პირების რომელ ამ ჯგუფზე შეიძლება ითქვას, რომ მათ უეჭველად ასიმეტრია აქვთ? უკიდურესი ასიმეტრიის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არც ერთზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ტოლობის აღქმა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ცდ. პირს უდასტურდება, სრულიად გაუგებარი მოვლენა იქნებოდა. ჩვენი აზრით, იმის მიხედვით, რასაც თვითონ ცდა იძლევა, ასიმეტრიის არსებობა შეგვიძლია ვიგულოთ მხოლოდ სამ შემდეგ შემთხვევაში: ა. როცა ცდ. პირი მეტწილად გადაფასებას იძლევა და ყველას ერთ მხარეზე; ბ. როცა „მეტწილად გადაფასებები“ ორმხრივია, მაგრამ ერთ რომელიმე მხარეზე გადაფასებათა რიცხვი მეტია ტოლობისა და მეორე მხარეზე გადაფასების შემთხვევათა საერთო ჯამზე, და გ. როცა ტოლობა და გადაფასება თანაბარი რაოდენობით ჩნდება, მაგრამ გადაფასებები ცალმხრივია.

1. ამ კრიტერიუმების თანახმად პირველი ჯგუფის ცდ. პირებთან (№№ 6-17) ასიმეტრიის ტენდენციას ვერ ვიგულისხმებთ, რადგან მეტწილად ისინი ტოლობას იძლევიან და აქა-იქ გამორევით გაჩენილი გადაფასებები კი ზემოთ დასახელებულ შემთხვევითი ხასიათის ფაქტორებსაც შეეძლო გამოეწვია. სტატისტიკურად კანონზომიერი აქ სწორედ ტოლობაა და არა გადაფასება, რომელიც თითოეულ ცდ. პირში შემთხვევითი მოვლენის ხასიათს ატარებს და ასიმეტრიის ტენდენციას, როგორც, პირიქით, მუდმივად მოქმედ

ასიმეტრიამ ხედი ხედი 10-ჯერ ტოლობა — და ისიც თავიდანვე — არასოდეს არ უნდა დაუშვას. მომდევნოდ გაჩენილ გადაფასებებს მხოლოდ შემთხვევითი ფაქტორები იწვევენ და არა ასიმეტრია. ერთი სიტყვით, ექვსი ცდ. პირი, რომელმაც ჩვენს ცდებში ათ-ათჯერ ტოლობა დაადასტუოეს, ნამდვილად უასიმეტრიო სუბიექტებია.

ფაქტორს, არ შეიძლება მიეწეროს. მაგრამ დანარჩენი ორი ჯგუფის ცდ. პირთაგან ზოგს ერთ-ერთი კრიტერიუმი უღებდა.

2. მეორე ჯგუფის პირველ ექვს ცდ. პირთან (№№ 18—23) ასიმეტრიას უთუოდ ვერ ვიგულისხმებთ, რადგან მათ ორმხრივ გადაფაება უდასტურდება და ისიც იმდენჯერ, რამდენჯერაც ტოლობა; ასე რომ სტატისტიკურად კანონზომიერი მაინც ტოლობაა, რომელიც ცალკე მარცხნივ გადაფასებაზეც ხშირია და მარჯვნივაც. მაგრამ მომდევნო ხუთ ცდ. პირთან (№№ 24—28) მდგომარეობა სხვანაირია: ტოლობას და გადაფასებას ისინიც თანაბარი რაოდენობით იძლევიან, მაგრამ ეს გადაფასებები უკვე ყველასთან ცალმხრივია (ოთხთან — მარცხნივ, ორთან — მარჯვნივ) და, მაშასადამე, სტატისტიკურად არაკანონზომიერ, „შემთხვევით მოვლენად“ ველარ ჩაითვლება. ამიტომ არის საფუძველი ვიგულისხმობთ, რომ ამ ცდ. პირთ ტოლი სიდიდეების ასიმეტრიულად აღქმის ტენდენცია ჰქონდათ.

3. რაც შეეხება მესამე ჯგუფის ცდ. პირთ. ყველასთან ასიმეტრიის ტენდენცია არც აქ ჩანს მიუხედავად იმისა, რომ ტოლობის იშვიათობის გამო, აქ უფრო იყო იგი მოსალოდნელი: 22 ცდ. პირიდან (№№ 29—50) ასიმეტრიის ტენდენცია შეიძლება ვიგულოთ მხოლოდ 12-თან; მათ შორის ექვს ცდ. პირთან (№№ 35,36,37,39,42,47) იმიტომ, რომ ისინი მეტწილად გადაფასებებს იძლევიან და ყველას ერთ მხარეზე (მარცხნივ ან მარჯვნივ), და კიდევ ექვს ცდ. პირთან (№№ 40,41,43,46,48,49) იმიტომ, რომ ერთ-ერთ მხარეზე მიღებულ გადაფასებათა რიცხვი მეტია ტოლობისა და მეორე მხარის გადაფასებათა ჯამზე („ბ“-კრიტერიუმი). დანარჩენ ცხრა ცდ. პირთან კი ასიმეტრიის არსებობას ვერ ვიგულისხმებთ. — მაგალითად: რა ასიმეტრია შეიძლება ჰქონოდა ცდ. პირს (№ 29), რომელმაც თუმცა უმეტესად გადაფასა (6-ჯერ), მაგრამ ორივე მხარეზე თანაბრად? — ან იმ ცდ. პირს (№ 30), რომელმაც მართალია, ოთხჯერ გადაფასა მარცხნივ, მაგრამ ამდენჯერვე ტოლობაც დაადასტურა და ამასთანავე ორჯერ მარჯვნივაც გადაფასა? და შესატყვისად იგივე ითქმის №№ 31—33, 38,44,45,50 ცდ. პირებზეც. ერთი სიტყვით, აღნიშნულ ინდივიდებს არ შეიძლებოდა ასიმეტრიის ტენდენცია ჰქონოდათ, იმიტომ რომ მათი გადაფასებების ორმხრივობაში არ ჩანს ერთ-ერთის დომინანტობა დანარჩენ შეფასებებზე (ტოლობისა და მეორე მხარეზე გადაფასების საერთო რაოდენობაზე).

ასეთია ჩვენი საკონტროლო ცდის შედეგები. ვფიქრობთ, რა სახითაც კი შეიძლება ოპტიკურ სიდიდეთა აღქმის ასიმეტრია არსებობდეს, იგი ამ ცდებს — 50 ინდივიდზე ჩატარებულს და 500 შეფასების შემსველს — უთუოდ არ შეიძლებოდა გამოპაროდა. ამიტომ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ: ასიმეტრია, როგორც ცალმხრივი გადაფასების შეუზღუდველი ტენდენცია (ე. ი. უკიდურესი, წმინდა ასიმეტრია) ჩვენ ცდებში არ დასტურდება და უთუოდ საერთოდაც ფიქტია; და თუ ვინიცობაა, მას სინამდვილეშიც შეიძლება შევხვდეთ, ალბათ როგორც მხოლოდ მხედველობის აპარატის პათოლოგიურ გამრუდებას, როგორც რაღაც ავადმყოფობას. დეფექტს ადამიანისას, რომელიც ტოლობის აღქმის უნარს სამუდამოდ მოკლებულია, და არა როგორც ადამიანური ნორმალური აღქმის მოვლენას. ასიმეტრია, როგორც ნორმალური მოვლენა, სწორედ რომ „გადაფასების ტენდენცია“ შეიძლება იყოს, ე. ი. ისეთი რაღაც თვისება, რომ სუბიექტს ტოლობის აღქმაც შეუძლია და აღიქვამს კიდევ. მაგრამ ამასთანავე მიდრეკილებას იჩენს მეტწილად ერთ რომელიმე მხარეზეც გადაფასოს; ანუ სხვანაირად: ასიმეტრია ფაქტია, მაგრამ იგი არაა მყარი, სხვა ფაქტორთათვის შეუვალი მოვლენა და ლაბილი ჩანს, იმიტომ რომ ზოგჯერ არც ტოლობის გაჩენას რიცხავს (და, მაშასადამე, ობიექტური გამლიზიანების გავლენასაც განიცდის). და არც იმ საწინააღმდეგო გადაფასებებსაც, რომელთაც შემთხვევითი ფაქტორები იწვევენ. დასასრულ, ნათქვამს შემდეგიც უნდა დავამატო: ასიმეტრია ანუ ბუნებრივი გადაფასების ტენდენცია ჩვენს ცდ. პირთა მასაში მხოლოდ 34% სიხშირით (17 ცდ. 3.) დასტურდება და, მაშასადამე, დიდად გავრცელებულ მოვლენას არ წარმოადგენს.

შეიძლება თქვან: გადაფასების ტენდენცია აქვს არა მარტო ინდივიდების ამ 34%-ს, არამედ აგრეთვე ყველა იმათაც. ვინც კი საერთოდ რომელიმე ერთ მხარეზე მეტ გადაფასებას იძლევა, მაგალითად: ცდ. პირებს (№№ 6—7), რომელთაც 8 ტოლობა მოუციათ და მხოლოდ ორი გადაფასება მარცხნივ. — ან ცდ. პირებს (№№ 9—11), რომელთაც თუმცა სულ სამი გადაფასება მოუციათ. მაგრამ ერთით მეტი მაინც ერთ მხარეზე და სხვ. ასეთი. მაგრამ ასეც რომ იყოს, თვითონ ტენდენცია მაინც ხომ ლაბილურ თვისებად გამოიყურება და. რაც მთავარაა, მეტი ხარისხითაც. ვიდრე პირველ შემთხვევაში? მაშასადამე. აქ უფრო მეტის დარწმუნებით შეგვეძლო გვეთქვა, რომ

ასიმეტრიის ტენდენცია, რომელიც თურმე იმდენად შეზღუდული ყოფილა, რომ ძალიან ჩშირად ბევრ ტოლობასაც „ითმენს“ და გადაფასებებს მხოლოდ აქა-იქ აჩენს, განწყობის მოქმედების ჩახშობას ვერ უნდა ახერხებდეს. ყოველ შემთხვევაში ფაქტი ასეთია: სრულიად უდაოდ. ასიმეტრიის ტენდენცია უნდა ჰქონოდათ განწყობის ცდებში მონაწილე ინდივიდებსაც და უთუოდ ისეთი, როგორც საკონტროლო ცდებმა გვიჩვენა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი პასუხების განაწილება სრულიად არ ჰგავს საკონტროლო ცდის ინდივიდებისას; იქ ყველგან ცდ. პირების ორი ჯგუფი გამოიყოფოდა: 1. მეტწილად ან მხოლოდ „—გადაფასების“ მომცემნი (ე. ი. ასიმეტრიული განწყობის ცდ. პირნი) და 2. ასევე მეტწილად ან მხოლოდ „+ გადაფასების“ მომცემნი (ანუ კონტრასტული განწყობის ცდ. პირები), იმ დროს როცა აქ — საკონტროლო ცდაში — ასეთ ორჯგუფიანობას აღგილი აღარ აქვს და დიდ რაოდენობასაც სწორედ ისინი ქმნიან, რომელნიც მეტწილად ან მხოლოდ ტოლობას იძლევიან. ერთი სიტყვით, მიღებული შედეგების თანახმად ასიმეტრიის ტენდენცია არ ჩანს ისეთ ფაქტორად, რომელიც ჩვენს „ძირითად ცდებში“ განწყობის ოდნავ განსხვავებულ სიდიდეებზე ფიქსაციას შეუძლებლად გახდიდა.

მაგრამ ახლა ანგარიშგასაწევი ხდება შემდეგი საკითხი: იმ ცდ. პირებთან, რომელთაც გადაფასების ტენდენცია არა აქვთ, განწყობის ფიქსაცია ოდნავ განსხვავებული წრეებით სავსებით ბუნებრივი და გასაგებია; მაგრამ როგორაა შესაძლებელი და. საერთოდ. უნდა იყოს თუ არა შესაძლებელი, რომ იგი იმ ცდ. პირსაც გაუფიქსირდეს. რომელსაც იგი ნამდვილად აქვს? მაგალითად: სუბიექტს ტოლი წრეები, ტენდენციის მიზეზით, „დიდ-პატარად“ ეჩვენებოდა, ე. ი. მარცხნივ გადაფასების ტენდენცია ჰქონდეს, და განწყობა კი გაუფიქსიროთ პატარა-დიდი წრეებით ანუ ტენდენციის საწინააღმდეგო მიმართულებით? ეს საკითხი, ცხადია. არ დაისმის და არც ისმის ისეთი ცდების მიმართ, სადაც განწყობის ფიქსაცია ტლანქად განსხვავებული წრეებით ხდება (განწყობის კლასიკურ ცდებში). რადგან ტლანქი ანუ დიდი განსხვავების შემთხვევაში განწყობა გადაფასების ტენდენციას ფარავს და აღვილად შესამჩნევი ხდება; მაგრამ როცა საფიქსაციოდ ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებია აღებული, მაშინ იგი, რა თქმა უნდა, კანონიერი საკითხია.

§ 11. ასიმეტრიის ტენდენციის „სიდიდე“ წრეების შეფასებაში

1. ასიმეტრიის სიდიდის მაჩვენებელი. — ტოლი წრეების შეფასების ცდებში ცდ. პირმა (№ 47) რვაჯერ გადაათვა მარცხენა წრე და მხოლოდ ორჯერ დაადასტურა ტოლობა, და ჩვენ ვამბობთ. რომ მას ნარცხნივ გადაფასების ტენდენცია აქვს. მაგრამ ვინმეს რომ. ვთქვათ. ათი ან მეტი გადაფასება მოეცა, ვიტყვით, რომ მისი ასიმეტრიის ტენდენცია უფრო ძლიერია, ვიდრე პირველისა. მაშასადამე. ნაგულისხმევია ისიც. რომ აღნიშნული ტენდენცია ყველა ადამიანში ერთნაირი ძალით არ მოქმედებს და ინტერინდივიდუალურად განსხვავებულია. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ არ ვიცით. თუ რა სიდიდისაა ეს „ძალა“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში; მაგალითად: ვერ ვიტყვით. რამდენად უნდა გადიდებულიყო მარცხენა წრე იმ ცდ. პირის აღქმაში, რომელმაც იგი 10-ჯერ გადაათვა, — ორი მილიმეტრით. ერთით, 1/2-ით თუ უფრო ნაკლებით. ერთი სიტყვით. ტოლი წრეების შეფასება გვიჩვენებს ასიმეტრიის ტენდენციის ფაქტს და მის მეტ-ნაკლებ ძალას ინდივიდთა მასაში. მაგრამ არ გვიჩვენებს ამ ძალის ზომას იმე სიდიდეს.

მაგრამ ასიმეტრიის სიდიდის ცოდნა უთუოდ საჭირო და სასარგებლოა. რადგან იგი საშუალებას იძლევა ჯავერკვეთ. შესაძლებელია თუ არა ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით განწყობის ფიქსაცია იმ ინდივიდებთან. რომელთაც ასიმეტრიის ტენდენცია ნამდვილად აქვთ; სახელდობრ: თუ დამტკიცდება. რომ აღნიშნული ტენდენცია ერთ-ერთ წრეს (ტოლთაგან) ერთი მილიმეტრით ან უფრო მეტად „აღიღებს“ (აღქმაში). ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ასიმეტრიკ სუბიექტებთან განწყობის ფიქსაცია ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით შეუძლებელია. მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ „გადიდება“ საერთოდ ერთ მილიმეტრზე ნაკლებია. მაშინ ასეთ ასიმეტრიკებთან აღნიშნული განწყობის ფიქსაცია უთუოდ შესაძლებელი იქნებოდა.

ამრიგად. უნდა გაირკვეს: რა სიდიდის შეიძლება იყოს ასიმეტრიის ტენდენცია და არის თუ არა იგი საერთოდ იმდენად დიდი, რომ საგანწყობო წრეებს შორის ერთმილიმეტრიანი განსხვავების დაფარვა შეძლოს და განწყობის ფიქსაცია შეუძლებელი გახადოს?

ასიპეტრიის სიდიდის დასადგენად შეიძლება მივმართოთ ასეთ ხერხს: გვაქვს 2, 1,5, 1 და 0,5 მილიმეტრით განსხვავებული წრეები: 25—27, 25—26,5 25—26 და 25—25,5 მილიმეტრიანები. თითოეული წყვილი ცდ. პირს შესადარებლად ეძლევა ორივე სივრცით განლაგებაში („მარცხნივ პატარა — მარჯვნივ დიდი“; „მარცხნივ დიდი — მარჯვნივ პატარა“) და ორივე შემთხვევაში მან უნდა თქვას, საითყენაა ცოტა უფრო დიდი წრე. რა შეიძლება მოხდეს?

25 — 27	25 — 26
27 — 25	26 — 25
25 — 26,5	25 — 25,5
26,5 — 25	25,5 — 25

1. ვთქვათ, ცდ. პირმა განასხვავა წრეების პირველი ორი წყვილი ორივე სივრცითს განლაგებაში. ე. ი. განუჩევლად დიდი წრის მარცხნივ თუ მარჯვნივ მდებარეობისა. განსხვავება 2—1,5 მილიმეტრის ფარგლებში შეამჩნია და სწორად თქვა. თუ საით იყო დიდი წრე; მაგრამ როცა ჯერი მესამე წყვილზე მიდგა, მან წრეები განასხვავა პირველ მდებარეობაში. როგორც „მარცხნივ პატარა — მარჯვნივ დიდი“ (25—26), და ველარ განასხვავა მეორეში. როგორც „მარცხნივ დიდი — მარჯვნივ პატარა“ (26—25). და ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა: „მარცხნივ დიდი“, თქვა: „ტოლია“. შევიჩრდეთ ამ მაგალითზე.

დავუშვათ. რომ აღწერილი შემთხვევა ცდ. პირს „ემართება“ არა ზოგჯერ. არამედ ყოველთვის ან მეტწილად და. როგორც ასეთი, კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს; და მაშინ ასე განოდის: ცდ. პირმა რომ 26—25 მმ წრეები მოცემულ დ—მ განლაგებაში ვერ განასხვავა და ტოლებად აღიქვა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას მარჯვნივ გადაფასების ტენდენცია ჰქონია. — ტენდენცია, რომელმაც მარჯვენა პატარა წრე (25 მმ) აღქმაში „გზარდა“ და მარცხენა წრეს (26 მმ) გაუთანაბრა; ხოლო საწინააღმდეგო განლაგებისას (25—26 მმ) რომ მან იგივე განსხვავება ნათლად აღიქვა, ეს იმი-

ტომ. რომ დიდი წრეც იმ მხარეზე მიეცა. საითკენაც გადაფასების (გადიდების) ტენდენცია ჰქონდა. და ვინაიდან ამ ტენდენციამ 1 მილიმეტრიანი განსხვავება დაფარა, ამიტომ მისი სიდიდეც ერთ მილიმეტრს უდრის.

იგულისხმება, რომ თუ ცდ. პირს იგივე „დაემართა“ არა ერთის, არამედ 1.5 მილიმეტრით განსხვავებული წრეების შედარებისას (მეორე წყვილი), ასიმეტრიის სიდიდის მაჩვენებელი იქნება 1,5 მმ. — ან თუ იგი უფრო ქვევით დაემართა, ვთქვათ, 0,5 მილიმეტრით განსხვავებულ წრეებზე (უკანასკნელი წყვილი), მაშინ ასეთი მაჩვენებელი იქნება 0,5 მმ. შესატყვისად იგივე ითქმის მარცხნივ გადაფასების შემთხვევებზეც. ერთი სიტყვით, ცდა გულისხმობს შემდეგს: განსხვავებათა შკალიდან ასიმეტრიის სიდიდის მაჩვენებელია მხოლოდ ის განსხვავება, რომელსაც ცდ. პირი ამჩნევს წრეების ერთ განლაგებაში და ვერ ამჩნევს მეორეში; ხოლო თუ იგი შკალის ყველა განსხვავებას ორივე განლაგებაში ამჩნევს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ასიმეტრია საერთოდ არ ჰქონია.

2. მაგრამ, ვთქვათ, ახლა ცდ. პირმა წრეები გაატოლა (ვერ განასხვავა) ორივე განლაგებაში: მაგალითად, 0,5 მილ. განსხვავებული წრეები ტოლებად აღიქვა; როგორც „პატარა-დიდის“ მიმართულებით (25—25,5). ისე „დიდ-პატარას“ მიმართულებითაც (25,5—25); უნდა მიგვეჩინა თუ არა ასეთი შემთხვევაც ასიმეტრიის ტენდენციის ეფექტად?

ვინც ამ შემთხვევას ასიმეტრიის მაჩვენებლად ჩათვლიდა, მას უთუოდ ასე უნდა ემსჯელა: როცა ცდ. პირმა მარცხნივ პატარა და მარჯვნივ დიდი წრე (25—25,5) ტოლებად აღიქვა, ეს მოხდა იმიტომ. რომ მას ჰქონდა მარცხნივ გადაფასების (ასიმეტრიის) ტენდენცია, ხოლო როცა შემდეგ იგივე წრეები საწინააღმდეგო განლაგებაშიც (25,5—25) ტოლებად აღიქვა, მაშინ მას ჰქონდა მარჯვნივ გადაფასების ტენდენცია, — ე. ი. ასიმეტრიის ტენდენცია „ასეთიც და ისეთიც“. ვფიქრობთ, ასეთი მსჯელობის უაზრობა თავისთავად ნათელია და დასაბუთებას არ საჭიროებს. ასიმეტრიის ტენდენცია არ შეიძლება ერთდროულად სუბიექტში მარჯვნივ გადაფასების ტენდენციაც იყოს და მარცხნივ გადაფასებისაც; იგი ყოველთვის „ცალმხრივია“, ერთი მიმართულებით მოქმედებს და, როგორც ასეთი, უტოლო წრეების ორივე განლაგებაში გატოლ-

ბას ვერ შეძლებს. ერთი სიტყვით, აღწერილი შემთხვევა არ შეიძლება იყოს ასიმეტრიის ტენდენციის ეფექტი.

ამრიგად, ასიმეტრიის ტენდენციის გასაზომად მხოლოდ პირველი შემთხვევა შეიძლება გამოდგეს: განსხვავებული წრეების ერთ განლაგებაში სწორად შეფასება და მეორეში — ტოლბად აღქმა.

მაგრამ, მეორის მხრივ, ეს კრიტერიუმში ერთ პირობას უნდა ემაყოფილებდეს: განსხვავებული წრეების ერთ და იმავე განლაგებაში გატოლება მხოლოდ მაშინ იქნება ასიმეტრიისა და მისი სიდიდის მაჩვენებელი, თუ იგი მრავალჯერ განმეორებით მაინც ხდება. თუ ცდ. პირი მას უფრო ხშირად იძლევა, ვიდრე საწინააღმდეგო პასუხებს; თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა მრავალი ექსპონიციის გასწვრივ ხან ერთ განლაგებაში ხდება გატოლება და ხან მეორეში და არც ერთის უპირატესობა არ ჩანს. მაშინ იგი უბრალო შემთხვევითი ხასიათის შეცდომაა და არა ასიმეტრიის ტენდენციის ეფექტი.

ვნახოთ ახლა ის ცდებიც, რომელნიც სპეციალურად ასიმეტრიის გაზომვის მიზნით ჩავატარეთ.

2. ასიმეტრიის სიდიდე წრეების აღქმაში. — საექსპერიმენტო მასალად გამოვიყენეთ ნახევარი და ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეები: 26—25,5, 26—25. თითოეული წყვილი ცდ. პირს შესაძარებლად ეძლეოდა ორივე განლაგებაში შემდეგი წესით: ჯერ დ—პ, შემდეგ პ—დ. შემდეგ ისევ დ—პ, პ—დ და ასე 10-ჯერ. წრეები ექსპონირდებოდა ტაქისტოსკოპით და ინსტრუქციაც იგივე იყო, რაც საკონტროლო ცდებში: „...თუ ტოლები იყოს, თქვი — ტოლია. ხოლო თუ განსხვავებული იყოს, თქვი — მარჯვნივაა დიდი თუ მარცხნივ“. ცდები ჩატარდა 20 ინდივიდზე — ჯერ პირველი წყვილით და 8-10 დღის შემდეგ მეორე წყვილით. ცხრილში (№ 10) წარმოდგენილია წრეების მეორე წყვილით მიღებული შედეგები (26—25; 25—26).

ცხრილი გვითვალისწინებს პასუხების სამ შემთხვევას: 1. „ორივე განლაგებაში სწორად აღქმა“, როცა წრეების განსხვავება სწორადაა შემჩნეული დ—პ განლაგებაშიც (26—25) და პ—დ განლაგებაშიც (25—26); 2. „ორივე განლაგებაში გატოლებით აღქმა“ (26—25; 25—26) და 3. „ერთ-ერთ განლაგებაში გატოლება“, როცა ვთქვით, დ—პ განლაგებაში მიწოდებული წრეების განსხვავებას ცდ. პირი სწორად ამჩნევს (26—25), მაგრამ პ—დ განლაგებაში ისი-

ცდ. პირთა № №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ორივე განლაგებაში სწორად აღქმა	4	5	5	5	5	5	6	6	6	6	7	7	7	7	7	8	8	2	1	1
ორივე განლაგატოლებით აღქმა	1	—	1		1					1	1	1							1	2
ერთ-ერთ განლაგებაში გატოლებ. აღქმა	დ-პ	3	2	2	3	2	2	2	2	2	1	1	2	2	1	1	2	1	7	6
	პ-დ.	2	3	2	2	2	3	2	2	2	1	1	1	1	1	2	1		7	1

ნი ტოლებად ეჩვენება (25—26) და, მაშასადამე, მარცხენა პატარა წრის გადაფასებას ახდენს. — ან პირიქით: პ—დ განლაგებაში სწორად აღიქვამს და დ—პ განლაგებაში ატოლებს (26—25) ანუ მარჯვენა წრის გადაფასებას ახდენს.

ცხადია, აღქმის ასიმეტრიის მაჩვენებელი შეიძლება იყოს მხოლოდ უკანასკნელი შემთხვევა. და „იდეალურ“ ასიმეტრიასთან გვექნებოდა საქმე მხოლოდ მაშინ, თუ ცდ. პირი განსხვავებულ წრეებს მუდამ ერთ და იმავე განლაგებაში გაატოლებდა, ე. ი. ან მხოლოდ დ—პ განლაგებაში ანდა მხოლოდ პ—დ-ში. ვნახოთ ახლა, რას გვიჩვენებს ცხრილი.

არაა ერთი ცდ. პირიც კი, რომელსაც ორივე განლაგებაში 10-ჯერ მიწოდებული წრეები ათჯერვე სწორად აღიქვას, და არც ისეთია, რომელსაც იგი ერთი და იმავე განლაგებაში (ან დ—პ ან პ—დ) ათჯერ გაეტოლებინოს: ყოველი ცდ. პირი ზოგჯერ სწორად აღიქვამს და ზოგჯერ ატოლებს, მაგრამ ამ გატოლებას ხან დ—პ განლაგებაში ახდენს და ხან პ—დ-ში, ე. ი. მარჯვნივ გადაფასებას იძლევა და ხან მარცხნივ. ისმის საკითხი: ამ ცდ. პირთაგან რომელზე შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მას აღქმის ასიმეტრია ანუ ბუნებრივი გადაფასების ტენდენცია ჰქონია? ძალიან მკაცრი საზომით —

ვთქვათ. „აბსოლუტური ასიმეტრიის“ თვალსაზრისით, — ალბათ არც ერთს, რადგან გატოლება ანუ გადაფასება არაა ერთადერთი პასუხი და, რაც მთავარია, იგი არ ხდება ერთი მიმართულებით. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „აბსოლუტური ასიმეტრია“ საერთოდ არ არსებობს; ხოლო თუ ასიმეტრიად მხოლოდ ისეთ შემთხვევებს ჩავთვლით, როცა გადაფასება სწორ შეფასებაზე უფრო ხშირია და თანაც იმდენად ჭარბად ცალმხრივი, რომ სტატისტიკურად კანონზომიერი და სუბიექტისათვის დამახასიათებელიც სწორედ ეს „ცალმხრივ გადაფასებაა“, მაშინ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ასიმეტრია ჩვენ ცდებშიც ფაქტია და მაშინ იგი მხოლოდ სამ უკანა ცდ. პირს უდასტურებს (№ 18, 19, 20); სახელდობრ: ცდ. პირს (№ 18) მხოლოდ ორჯერ აღუქვამს წრეები ორივე განლაგებაში სწორად და 8 გატოლებიდან 7-ჯერ გაუტოლებია ისინი 3—დ განლაგებაში, ე. ი. მებწილად გადაუფასებია მარცხენა წრე და. მაშასადამე, მარცხნივ გადაფასების ტენდენცია ჰქონია; და იგივე ითქმის ცდ. პირებზეც (№ 19 და 20). რომელთაც ამავე წესით მარჯვნივ გადაფასების ტენდენცია უდასტურდება.

ამრიგად, მსგავსად საკონტროლო ცდებისა, ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ჩატარებული ცდები ასიმეტრიის საყოველთაო გავრცელებულობას არ გვიჩვენებს; აქ იგი მხოლოდ 15%-ით დასტურდება და, მაშასადამე, გაცილებით უფრო ნაკლები სიხშირით. ვიდრე საკონტროლო ცდებში (34%). რას გვეუბნება ეს ფაქტი? — ჩვენი აზრით, უთუოდ შემდეგს: ისეთი სიდიდის ასიმეტრია, რომელიც 26 მმ წრის ფარგლებში ერთმილიმეტრიან განსხვავებას დაფარავდა და სუბიექტს ტოლობის შთაბეჭდილებას შეუქმნიდა, საერთოდ ძალზე იშვიათი მოვლენა უნდა იყოს; ადამიანთა მასაში მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც მხოლოდ გამონაკლისს და არა როგორც საყოველთაოდ გავრცელებულ „ტიპურ ასიმეტრიას“.

ვენახოთ ახლა. რა გვიჩვენა იმავე ცდ. პირებში 0.5 მილიმეტრით განსხვავებული წრეების შეფასებამ. შედეგები მოტანილია ცხრილში, № 11.

ჩვენი ვარაუდით ამ ცდებს უნდა გაერკვია შემდეგი: თუ ერთმილიმეტრიანი სიდიდის ასიმეტრია ძალზე იშვიათია, ხომ არაა შესაძლებელი, რომ მასზე უფრო ხშირი ან საყოველთაო იყოს ნაკლები სიდიდის ასიმეტრია? ცხრილი გვიჩვენებს შემდეგს:

1. საგრძნობლად გაიშვიათებულა წრეების ორივე განლაგებაში სწორად აღქმა: თუ ერთი მილიმეტრით განსხვავებულ წრეებს ცდ. პირების უმრავლესობა (№№ 2—17; ცხრილი № 10) 5—8-ჯერ სწორად აღიქვამდა ორივე განლაგებაში, ნახევარი მილიმეტრით განსხვავებული წრეების ორივე განლაგებით სწორად აღქმის მაქსიმალური სიხშირე 4 შემთხვევას არ ცილდება (ცხრილი № 11) და ორ ცდ. პირთან კი (№ 6, 16) ერთხელაც არ დასტურდება.

ცხრილი 11

ცდ. პირთა № №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ორივე განლაგებ. სწორად აღქმა	1	2	1	1	1		1	2	2	3	5	3	4	4	4		1	2	2	2
ორივე განლაგებ. გატოლებით აღქმა	1	1	3	5	2	1	7	7	8	5	3	2	6	3	2	5	1	2	1	1
ერთ-ერთ განლაგებ. გატოლებით აღქმა	დ-კ	7	6	3	2	6	2		1	2	3		2	2	3	2			6	7
		კ-დ	1	1	3	2	1	9	1	1	2	2		1	2	2	6	6	1	

2. სამაგიეროდ უჩვეულოდ გაზრდილა „ორივე განლაგებაში გატოლებით აღქმის“ შემთხვევები: თუ ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეების მიმართ იგი მხოლოდ 8 ცდ. პირმა უჩვენა და ისიც ძირითადად თითოჯერ, სამაგიეროდ ნახევარი მილიმეტრით განსხვავებული წრეების მიმართ იგი ყველა ცდ. პირს უდასტურდება და, რაც მთავარია, ბევრ შემთხვევაში დიდი სიხშირითაც (5-8-ჯერ).

3. „ერთ-ერთ განლაგებაში გატოლებით აღქმას“, რომელსაც ჩვენი ანალიზის თანახმად, ასიმეტრიის დიდი სიხშირე უნდა ეჩვენებინა, მართლაც საგრძნობი ცვლილება ემჩნევა, სახელდობრ: ოციდან რვა ცდ. პირს (40%) ნახევარი მილიმეტრით განსხვავებული წრეები

მეტწილად გატოლებით აღუქვამთ მხოლოდ ერთ-ერთ განლაგებაში (№№ 1,2,5,6,17,18,19,20), და დანარჩენ 11-ს კი — ხან ერთ განლაგებაში და ხან მეორეში. მაგრამ ამ 8-დან სამი ცდ. პირი (№№ 18,19, 20) იგივეა, რომლებმაც პირველ ცდაში ერთმილიმეტრიანი სიდიდის ასიმეტრია უჩვენეს; ასე რომ საკუთრივ ნახევარმილიმეტრიანი ასიმეტრია მხოლოდ 25%-ით დასტურდება.

ამრიგად, ნახევარმილიმეტრიანი სიდიდის ასიმეტრია, — ე. ი. ისეთი ასიმეტრია, რომელიც აღქმაში 26—25,5 მმ წრეების „გატოლებას“ შეძლებდა, — თუმცა კი უფრო ხშირია ერთმილიმეტრიანზე, მაგრამ საყოველთაოდ გავრცელებულ მოვლენას არ წარმოადგენს. მაგრამ ახლა ჩნდება საკითხი: ხომ არა შესაძლებელი უფრო მცირე სიდიდის ასიმეტრიაც არსებობდეს და ხომ არ იქნებოდა ეს „მცირე ასიმეტრია“ მაინც დიდ უმრავლესობისათვის დამახასიათებელი თვისება? — ამ საკითხის გასარკვევად სპეციალური ცდები საჭირო არაა და მას აქვე შეიძლება გავცეთ პასუხი. საქმე ისაა, რომ უკვე ნახევარი მილიმეტრით განსხვავებული წრეების შეფასებამ (იხ. ცხრილი № 11) პირველ რიგში და ყველაზე უფრო მეტად „ორივე განლაგებაში გატოლებით აღქმის“ შემთხვევები გაზარდა, და რაღა უნდა მიგველო, რომ ვთქვათ, მოხერხებულიყო და ცდა 0,3 მილიმეტრით განსხვავებულიყო წრეებით ჩაგვეტარებინა? ასეთი ცდები ამ გატოლების შემთხვევებს უთუოდ უფრო გაზრდიდა და, ამრიგად, ასიმეტრიის ნაცვლად სხვა კატეგორიის ფაქტს მივიღებდით. ერთი სიტყვით, ჩვენი ცდები საკმაო საბუთია იმის, რომ ასიმეტრია არაა ადამიანთა უმრავლესობის დამახასიათებელი თვისება: წრეებს შორის ნახევარმილიმეტრიან სხვაობას იგი ფარავს მხოლოდ ცდ. პირების 25%-თან და, კერძოდ, ერთმილიმეტრიანი ასიმეტრია კი მასზე უფრო იშვიათია (15%).

§ 12. განწყობის მოქმედების შესაძლებლობანი ასიმეტრიის კონკრეტულ შემთხვევებში

1. ჰიპოთეზა, — აღწერილი ვითარება სრულიად უდავოდ მეტყველებს განწყობის ცდების სასარგებლოდ.

როგორც ვიცით, განწყობის ცდები წინასწარ შერჩეულ ინდივიდებზე ტარდებოდა — მხოლოდ იმათზე, რომელნიც ხელში მო-

ცემულ ერთი მილიმეტრით განსხვავებულ წრეებს ორივე განლაგებაში სწორად ანსხვავებდნენ და შემდეგ, ტაქისტოსკოპშიდაც სამჭერ სწორ პასუხს იძლეოდნენ. ხოლო ისინი, ვინც ამ „გამოცდას ვერ იჭერდნენ“, ცდებიდან ირიცხებოდნენ. ცდები შეესო 149 ინდივიდს, რომელთაგან 27 ინდივიდი გაირიცხა და დანარჩენებზე ცდის ჩატარებაც მოხერხდა და განწყობის ეფექტიც დადასტურდა. ეს ფაქტი კარგად ეთანხმება იმას, რაც ასიმეტრიის გაზომვის ცდებმა გვიჩვენა.

განწყობის ცდებში მონაწილე ყველა ცდ. პირს რომ ისეთი სიდიდის ასიმეტრია ჰქონოდა, რომელიც საგანწყობო წრეების ერთმილიმეტრიან განსხვავებას დაფარავდა და ტოლობის შთაბეჭდილებას შექმნიდა, მაშინ განწყობის ცდების ჩატარება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ სპეციალური ცდებით დადასტურდა, რომ ერთმილიმეტრიანი სიდიდის ასიმეტრია საერთოდ ძალზე იშვიათია (26—25 მმ წრეების ფარგლებში), რომლის სიხშირე სულ რაღაც 15%-ს არ აღემატება. მაშასადამე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ამ უმნიშვნელო სიხშირით განწყობის ცდებშიც ვივლევებდით, ასიმილაციურად მოქმედი განწყობის ფიქსაცია ცდ. პირების დიდ რაოდენობასთან მაინც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო. და ცდებმაც სწორედ ეს უჩვენა. ერთი სიტყვით, ზემოთ აღწერილ განწყობის ცდებში ერთმილიმეტრიანი სიდიდის ასიმეტრიაზე, როგორც ვითომდა ამ განწყობის ასიმილაციური მოქმედების გამაბათილებელ ფაქტორზე, შეგვიძლია აღარც ვილაპარაკოთ, რადგან მისი სიხშირე საერთოდ უმნიშვნელოა და, გარდა ამისა, აქ იგი თვითონ ცდის ჩატარების წესითაც გამორიცხულია.

მაგრამ რა ითქმის ნახევარმილიმეტრიანი სიდიდის ასიმეტრიაზე?

როგორც დავინახეთ, იგი მხოლოდ უფრო ხშირია (25%), მაგრამ უმრავლესობამდე ვერ აღწევს. მაშასადამე, თუ მას მართლაც შეეძლო ემოქმედა, უთუოდ მხოლოდ ცდ. პირების უმცირესობასთან. მაგრამ აქ საკითხავი სწორედ ესაა: შეეძლო კი ემოქმედა? და ემოქმედა ისე, რომ ამ უმცირესობასთან განწყობის ასიმილაციური მოქმედება სრულიად შეუძლებელი გაეხადა? — ჩვენ ვფიქრობთ, არა, რადგან თვითონ ასიმეტრია არ ჩანს ასეთი „შეუზღუდველი უნარის“ მქონე ფაქტად.

კიდევ გავიცნობიეროთ ერთ წუთს მისი ბუნება და ხასიათი! საკონტროლო ცდებმა არა მარტო ის გვიჩვენა, რომ ასიმეტრია არაა

საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენა, არამედ ისიც, რომ იგი ლაბილია, შეზღუდული, რადგან ერთსადაიმევე ცდ. პირში წესისამებრ ტოლობის აღქმის შემთხვევებსაც ითმენს და თავის საწინააღმდეგო გადაფასებებსაც; გაზომვის ცდებმა კი. გარდა ყოველივე ამისა, ისიც გვიჩვენა, რომ იგი სიდიდითაც მცირეა. მაშასადამე, იქმნება სრულიად კანონიერი ვარაუდი: რაკი ასიმეტრია შეზღუდულიცაა და მცირე სიდიდის, ამიტომ მან ვერ უნდა შესძლოს დააბრკოლოს განწყობის წარმოქმნა მაშინ, როცა საგანწყობო წრეებს შორის განსხვავება მის სიდიდეზე მეტია; ე. ი. ნახევარმილიმეტრიანი სიდიდის ასიმეტრია ვერ შეუშლის ხელს განწყობის ფიქსაციას ერთი მილიმეტრით განსხვავებულ წრეებზე. და მაშინ კი ამ განწყობამ თავისი მოქმედება — ასიმილაციური თუ კონტრასტული — ორივე მიმართულებით უნდა შეძლოს: ასიმეტრიის საწინააღმდეგოდაც და მისი მიმართულებითაც. მაგალითად.

1. საკონტროლო ცდებში ცდ. პირმა № 35 (იხ. ოქმი № 7) ტოლი წრეები სწორად შეაფასა ოთხჯერ და მარცხნივ გადაფასა ექვსჯერ, ე. ი. გვიჩვენა მარცხნივ გადაფასების (ასიმეტრიის) ტენდენცია. ვთქვათ, ამ ცდ. პირს ჩავეუტარეთ საგანწყობო ცდა ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეების 3—დ განლაგებაში (25—26) მიწოდებით. — ე. ი. შევექმენით ასიმეტრიის საწინააღმდეგო განწყობა. „მარჯვნივ დიდი წრის აღქმისა“, — და შემდეგ მივაწოდეთ კრიტიკული ტოლი წრეები (25—25). როგორ უნდა იმოქმედოს ამ განწყობამ?

ა. ერთი შესაძლებლობა ასეთია: შეიძლება სრულიად მოისპოს ან შემცირდეს მარცხნივ გადაფასებისა და ტოლობის შემთხვევები და მათ ნაცვლად ცდ. პირმა მოგვეცეს მხოლოდ მარჯვნივ გადაფასება, ან მარცხნივ გადაფასება მოგვეცეს იშვიათად და მარჯვნივ გადაფასება — ჭარბად; და ორივე შემთხვევა მაჩვენებელი იქნება იმის, რომ ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებულმა განწყობამ (მარჯვნივ დიდის აღქმის განწყობამ) ასიმილაციურად იმოქმედა, — რომ მან ბუნებრივ ტენდენციას (ასიმეტრიას) სძლია და მარჯვენა წრის გადაფასებების სახით ასიმილაციური ილუზიები გააჩინა.

ბ. მეორე შესაძლებლობა: ტოლობა შეიძლება მოისპოს და გაჩნდეს სულ მარცხნივ გადაფასებები, ე. ი. იმაზე მეტი. რაც ცდ. პირის „ბუნებრივ ტენდენციას“ შეეძლო მოეცა; და ესეც. ცხადია,

მაჩვენებელი იქნებოდა იმის, რომ „მარჯვნივ დიდი წრის აღქმის განწყობაში“ იმოქმედა. მაგრამ აქ უკვე საქმე გვექნებოდა კონტრასტულ განწყობასთან, რომელმაც ასიმეტრიის ტენდენციის მიმართულებით იმოქმედა და მარცხნივ გადაფასების გახშირება გამოიწვია.

2. Mutatis mutandis იმავე შედეგებს მივიღებდით მაშინაც, თუ ცდ. პირს ცდას ჩავეუტარებდით მარცხნივ ოდნავ დიდისა და მარჯვნივ პატარა წრის ექსპოზიციით, ე. ი. შეუქმნიდით „მარცხნივ დიდის აღქმის განწყობას“: ა. ყველა ისეთ შემთხვევაში, სადაც კი კრიტიკულ ტოლ წრეებიდან მარცხენა წრის გადაფასება უფრო მეტი სიხშირით მოხდებოდა, ვიდრე ამას ცდ. პირის „ბუნებრივი ტენდენცია“ შეძლებდა, საქმე გვექნებოდა ამ განწყობის ასიმულაციურ მოქმედებასთან (მიუხედავად „ტენდენციის“ მიმართულებით მოქმედებისა), და, პირიქით, ბ. კონტრასტული მოქმედების მაჩვენებელი იქნებოდა ყველა ისეთი შემთხვევა, როცა ცდ. პირი მეტწილად მარჯვნივ გადააფასებდა (ე. ი. ასიმეტრიის საწინააღმდეგო მიმართულებით).

ამრავალ, ასიმეტრიის შეზღუდულობა და მისი სიდიდის სიმცირე გვაფიქრებინებს, რომ ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებულ განწყობის ასიმულაციური და კონტრასტული მოქმედება ასიმეტრიის საწინააღმდეგოდაც შეიძლება ხდებოდეს და მისი მიმართულებითაც.

ფაქტები, რომლებიც ჩვენს ამ ჰიპოთეზას ამართლებს, შემდეგია

2. ურთიერთსაწინააღმდეგოდ ფიქსირებულ განწყობათა ეფექტი. — ძირითად ცდებში მონაწილე ცდ. პირებიდან, რომლებზეც ცდა ტარდებოდა საგანწყობო (ოდნავ განსხვავებული) წრეებია 3—დან 2—3 სივრცითი განლაგებით, გამოვყავით ისინი, რომელთაც ათი კრიტიკულ ექსპოზიციის გასწვრივ მხოლოდ ასიმულაციური ილუზიები მოგვეცეს, და თითოეულს ექვსი თვის შემდეგ⁴³ ცდა ჩაუტარ-

⁴³ გამოცდილებით ვიცით, რომ, როცა ურთიერთის საწინააღმდეგო განწყობები უშუალოდ ან ახლო თანამიმდევრობით ფიქსირდებიან, პირველი გავლენას ახდენს მეორის მოქმედებაზე, მაგრამ დროითი ინტერვალის გაზიდების კვალობაზე ეს გავლენა მცირდება და დიდი ინტერვალის შემთხვევაში სრულიად ისპობა. ჩვენი მიზანი იყო „შებრუნებულ“ ცდებს წინამაჟღერის გავლენა არ განეცადათ და ამიტომ იყავ. რომ მათ შორის ასეთი დიდი დროითი შუალედი ავიღეთ.

რეთ წრეების საწინააღმდეგო (შებრუნებული) სივრცითი გაილაგებით (ცხადია, საესებით იმავე ინსტრუქციისა და წესების დაცვით. რომლებითაც ჩატარებული იყო პირველი ცდები). ოქმა № 7 შეიცავს ამ ცდ. პირების პასუხთა განაწილებას ორივე ცდაში.

როგორც ვხედავთ, აქ ცდ. პირების სამი ჯგუფი გამოიყოფა: 1. ცდ. პირები, რომელთაც პირველი ცდისნაირად მეორე („შებრუნებულ“) ცდაშიც სულ „—გადაფასებები“ ანუ ასიმულაციური ილუზიები მოუციათ (№№ 1—6, 11—13), 2. ცდ. პირები, რომელთაც მეტწილად მოუციათ „—გადაფასებები“ და აქა-იქ გამორევით სხვა შეფასებებიც და 3. ცდ. პირნი, რომელთაც „—გადაფასება“ ერთხელაც არ მოუციათ. ჯერ გავარჩიოთ პირველი ჯგუფის მონაცემები.

1. ცდ. პირს № 1 პირველად ცდა ჩაუტარდა პატარა-დიდი საგანწყობო წრეებით (25—26) და კრიტიკულ ცდაში მან მოგვცა ათივეჯერ „—გადაფასება“, ე. ი. ტოლ წრეებიდანაც (25—25) დიდად აღიქვა მხოლოდ მარჯვენა წრე („მარჯვნივ დიდი“); მაგრამ, როცა შემდეგ მას ცდა ჩაუტარდა იმავე საგანწყობო წრეების საწინააღმდეგო განლაგებაში (26—25) მიწოდებით. კრიტიკულ წრეებიდან მან გადაფასა მხოლოდ მარცხენა წრე („მარცხნივ დიდი“). ისმის საკითხი: ახსნიდა თუ არა ამ ფაქტს ასიმეტრიის ანუ გადაფასების ტენდენციის ცნება? — მივიღებდით თუ არა ორივე ცდაში მხოლოდ „—გადაფასებებს“, რომ ცდ. პირს რომელიმე მხარეზე გადაფასების ტენდენცია ჰქონოდა?

ჯერ ვნახოთ, რა უნდა მომხდარიყო ერთმილიმეტრიანი სიდიდის ასიმეტრიის შემთხვევაში.

ცდ. პირს რომ, მაგალითად „მარჯვნივ გადაფასების ერთმილიმეტრიანი ასიმეტრია ჰქონოდა, მაშინ მეორე საგანწყობო ცდის ჩატარება მარცხნივ დიდი და მარჯვნივ პატარა წრეებით (26—25) სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. რადგან ამ სიდიდის მქონე ასიმეტრიის ძალით აღნიშნული წრეები ტოლებად უნდა აღქმულიყვნენ და, მაშასადამე, კრიტიკული ცდის ჩატარებაც ვეღარ მოხერხდებოდა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე ცდ. პირთან საგანწყობო ცდები დიდი-პატარა წრეების ორივე განლაგებაში მიწოდებით ჩატარებულა და კრიტიკულ ცდებსაც გარკვეული შედეგი მოუციათ. მაშასადამე, ერთმილიმეტრიანი ასიმეტრიაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ვნახოთ ახლა, რას გვეტყოდა უფრო მცირე სიდიდის ასიმეტრია.

ც.პ.	საგანცო 25-26										ც.პ.	საგანცო ცო: 26-25										
	25-25											25-26										
NN	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	NN	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	11	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
3	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	13	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
4	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	14	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-
5	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	15	-	-	-	-	+	=	+	-	-	-	-
6	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	16	-	-	+	-	=	-	-	-	-	-	=
7	-	-	-	-	-	-	+	-	+	-	17	+	+	=	+	-	-	-	-	-	-	-
8	-	-	-	-	-	-	+	-	-	+	18	=	=	+	=	=	=	=	=	+	=	=
9	+	+	+	-	-	-	-	-	-	-	19	=	+	=	+	=	=	+	=	=	=	=
10	=	=	+	+	=	=	=	=	+	=												

ცხადია, ასეთ შემთხვევაში საგანწყობო წრეების განსხვავება ორივე განლაგებაში მოხერხდებოდა; მაგრამ თვითონ ასიმეტრიას, როგორც სწორედ ასიმეტრიას, მხოლოდ ერთი მიმართულება ექნებოდა: იგი ან მარცხნივ გადაფასების ასიმეტრია უნდა ყოფილიყო ანდა მარჯვნივ გადაფასების და არავითარ შემთხვევაში ორივე ერთად (რაც ასიმეტრიის ცნებას ყოველგვარ აზრს დაუკარგავდა). დავუშვათ, რომ ჩვენს ცდ. პირს ჰქონდა მარჯვნივ გადაფასების ასიმეტრია და დავაყენოთ საკითხი: როგორ უნდა ემოქმედნა ამ ასი-

მეტრიას (ტენდენციას), თუ იგი განწყობის მოქმედებას გასაქანს არ მისცემდა და გადაფასებებს მხოლოდ თვითონ წარმოქმნიდა? ცხადია, მაშინ უნდა მომხდარიყო ასე: პირველ ცდაშიც და მეორეშიც (შებრუნებულში!) ცდ. პირს უნდა გადაეფასებია მხოლოდ მარჯვენა კრიტიკული წრე. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ფაქტი სხვანაირია: გადაფასება მომხდარა არა ტენდენციის მიმართულებით, არამედ საგანწყობო დიდი წრის მიმართულებით; ე. ი. პირველ (პ—დ) ცდაში დიდი წრე მარჯვნივ იყო და კრიტიკულ ტოლ წრეებიდანაც მარჯვენა წრე გადაფასდა („მარჯვნივ დიდი“), ხოლო შებრუნებულ (დ—პ) ცდაში დიდი წრე მარცხნივ იყო და კრიტიკულიდანაც მარცხენა წრე გადაფასდა („მარცხნივ დიდი“). ერთი სიტყვით, კრიტიკულ წრეებიდან ერთ-ერთის გადაფასება იმ მხარეზე მომხდარა, რა მხარეზეც სუბიექტს დიდი საგანწყობო წრე ეძლეოდა.

რას გვეუბნება ეს ფაქტი? უთუოდ იმას, რომ განწყობის ასიმილაციური მოქმედება უეჭველი ფაქტია: მარჯვენა კრიტიკული წრის გადაფასება ერთ ცდაში და მარცხენისა მეორეში იმიტომ ხდება, რომ ცდ. პირს ორი ურთიერთის საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედი განწყობა უფიქსირდება: პირველ ცდაში — „განწყობა მარჯვნივ დიდი წრის აღქმისა“, რის გამო მარჯვენა კრიტიკული წრე ილუზიურად მარცხენაზე უფრო დიდად აღიქმება, და მეორეში — „განწყობა მარცხნივ დიდისა“, რის გამო მარცხენა კრიტიკული წრე აღიქმება უფრო დიდად, ვიდრე მარჯვენა. ერთი სიტყვით, ორივე ცდაში საქმე გვაქვს განწყობის ასიმილაციურ მოქმედებასთან და არა ასიმეტრიის ეფექტთან.

ჩვენ გავაანალიზეთ პირველი ცდ. პირის მონაცემები, რომელსაც ცდა ჩაუტარდა ჭერ პატარა-დიდი წრეებით და შემდეგ დიდ-პატარით; მაგრამ, ცხადია, იგივე ითქმის მისნაირად გამოცდილ ხუთ ინდივიდზეც (№ 2—6) და, შესატყვისად. აგრეთვე იმ სამზედაც (№№ 11—13), რომელთაც ცდა ჩაუტარდა საწინააღმდეგო თანამიმდევრობით (ჭერ დ—პ, შემდეგ პ—დ). ამიტომ ჩვენ მათზე აღარ შევჩერდებით და პირდაპირ მეორე ჯგუფის მონაცემთა განხილვაზე გადავალთ.

11. ბევრი ცდ. პირი მეორე ცდაში მხოლოდ „—გადაფასებას“ აღარ იძლევა. უნდა გაირკვეს: რასთან გვაქვს საქმე — სხვადასხვა მიმართულებით მოქმედ განწყობებთან თუ ასიმეტრიასთან.

ა. ცდ. პირს (№ 7) მეორე ცდაში რვაჯერ მოუცია „—გადაფასება“ (მარცხნივ დიდი“) და ორჯერ მათ შორის გამორევით „+ გადაფასება“ („მარჯვნივ დიდი“). „—გადაფასებები“ („მარცხნივ დიდი“) როგორც დიდი წრის მიმართულებით მომხდარნი. აქაც უთუოდ ასიმილაციური ილუზიებია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში. ისინი რომ ასიმეტრიის შედეგი ყოფილიყვნენ (ე. ი. მარცხნივ გადაფასების ტენდენციის შედეგი), მაშინ პირველ ცდას იგივე „—გადაფასებები“ არ უნდა ეჩვენებია და ათივეჯერ ან მეტწილად „+ გადაფასება“ უნდა მოეცა. ერთი სიტყვით. ცდ. პირს (№ 7) ორივე ცდაში განწყობის ასიმილაციური მოქმედება უდასტურდება. მაგრამ საიდან გაჩნდა მეორე ცდაში ორჯერ „+ გადაფასება?“ ხომ არაა იგი კონტრასტული ილუზია? ჩვენის აზრით, არა. რადგან, საერთოდ. შეუძლებელია, რომ ფიქსირებულმა განწყობამ ჯერ ასიმილაციურად იმოქმედოს და შემდეგ აქა-იქ კონტრასტულად. ჩვენ ვფიქრობთ. იგი ან „შემთხვევითი შეცდომაა“ ანდა ისევ ასიმეტრიის შედეგი. რასაც შეეძლო თავი ეჩინა ასიმილაციურად მოქმედი განწყობის დასუსტების პროცესში; ასე მაგალითად: ცდ. პირს ჰქონდა რალაც მცირე სიდიდის ასიმეტრია, რომელიც ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებულმა განწყობამ დაძლია და ასიმილაციური ილუზიები გააჩინა. მაგრამ როცა შემდეგ ეს განწყობა დასუსტდა, აქა-იქ თავი იჩინა ასიმეტრიის ეფექტმაც.

ამრიგად, ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ფიქსირებულ განწყობათა ასიმილაციური მოქმედება და, მაშასადამე. ასიმეტრიის დაძლევის შესაძლებლობა აღწერილ შემთხვევაშიც ფაქტია. და იგივე ითქმის ცდ. პირებზეც № 8 და № 16, რომელნიც აგრეთვე თავიდანვე და მეტწილად „—გადაფასებებს“ ანუ ასიმილაციურ ილუზიებს იძლევიან და აქა-იქ გამორევით სხვა შეფასებებსაც.

ბ. სხვანაირი მდგომარეობაა ცდ. პირებთან (№№ 9, 14, 17), რომელნიც მეორე ცდაში ჯერ იძლევიან 2—3 „+ გადაფასებას“ და შემდეგ ზედიზედ თანმიყოლებით „—გადაფასებებს“ (6-9-ჯერ). მაგრამ ეს „მდგომარეობაც“ გასაგებია:

პირველად გაჩენილი „+ გადაფასებები“ არც შემთხვევითი შეცდომა შეიძლება იყოს და არც, რა თქმა უნდა, ასიმეტრიის ტენდენციის ეფექტი (რადგან მაშინ მომდევნო „—გადაფასებები“ სრულიად გაუგებარი იქნებოდა). აქ უთუოდ ისე მომხდარა, რომ ფიქ-

სირებულ განწყობას პირველად კონტრასტულად უმ.იქმედნია და შემდეგ კი, დასუსტების გამო, ასიმილაციურად, ე. ი. უმოქმედნია ისე, როგორც ეს ზოგჯერ მკვეთრად განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობის ცდებშიც შეიმჩნევა.

III. დასასრულ, გვყავს სამი ცდ. პირი (№№ 10, 18, 19), რომელთაც ერთგვარი დისონანსი შემოაქვთ ჩვენს შედეგებში: მეორე ცდაში მათ მოუციათ უმეტესად ტოლობა და აქა-იქ გამორევით „+ გადაფასება“; ხოლო „—გადაფასება“ კი ერთხელაც არა. რა მომხდარა?

ძირითად ცდებში (§ 5) ჩვენ ასეთ შემთხვევებს უბრალოდ იმის მაჩვენებლად ვთვლიდით, რომ ცდ. პირს განწყობა არ გაუფიქსირდა, მაგრამ აქ, სადაც პირველი ცდა განწყობის მოქმედებას გვიჩვენებს, ამის თქმა უკვე შეუძლებელია. მართლაცა, რატომ არ უნდა გაფიქსირებულიყო განწყობა მაინცდამაინც მეორე ცდაში, თუკი იგი პირველში უთუოდ გაფიქსირდა? შეიძლება მიზეზი იყო ასიმეტრია, რომელმაც განწყობას სძლია, არ გააფიქსირა იგი; მაგრამ მაშინ რატომ გაჩნდა უმეტესად ტოლობა ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ „+ გადაფასებები“ გაჩენილიყვნენ? ერთი სიტყვით, აღნიშნულ სამ ცდ. პირთან მდგომარეობა განსაკუთრებულია და სხვანაირ გაგებას მოითხოვს.

ჩვენ ასე ვფიქრობთ: მეორე ცდაში ტოლობის გახშირებას ცალცალკე ვერც ასიმეტრია გახდიდა გასაგებად და ვერც განწყობა; მაგრამ თუ შესაძლებელია, რომ ერთდროულად ერთიც მოქმედებდეს და მეორეც, მაშინ ტოლობის გაჩენაც უთუოდ გასაგები და კანონზომიერი ფაქტი იქნებოდა; ასე მაგალითად: ტოლ კრიტიკულ წრეებიდან ასიმეტრიის ძალით აღქმაში იზრდებოდეს მარცხენა წრე. ხოლო ასიმილაციური განწყობის ძალით — მარჯვენა წრე და, ამრიგად, ორივე წრის თანაბრად გაზრდის გამო. ჩნდებოდეს ტოლობის აღქმა მანამდე, სანამ განწყობა მოქმედებას შეწყვეტდეს.

ფაქტის ასეთი გაგება აქ განხილული ცდების კონტექსტში, ცოტა არ იყოს, ხელოვნური ჩანს, მაგრამ მომდევნო ცდების განხილვისას ჩვენ დავრწმუნდებით, რომ იგი უთუოდ სწორია და სხვანაირი ახსნის საჭიროებას რიცხავს.

ამრიგად, ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ფიქსირებულ განწყობათა ასიმილაციური მოქმედება ფაქტია: 19 ცდ. პირიდან, რომლებმაც პირველ ცდაში ათივეჯერ „—გადაფასებები“ უჩ-

ვენეს. ცხრამ იგივე უჩვენა მეორე (შებრუნებულ) ცდაშიც, შვიდმა უჩვენა მეტწილად „—გადაფასებები“ (7-8-ჯერ), სამმა — მეტწილად ტოლობა (7-8-ჯერ) და არც ერთს არ მოუცია მეტწილად ან მხოლოდ „+ გადაფასებები“. მაშასადამე, სრულიად უეჭველია, რომ აღნიშნული „—გადაფასებები“ ორივე ცდაში (სამ ცდ. პირთან კი ერთში). დიდი საგანწყობო წრის ადგილმდებარეობას განუსაზღვრავს და, როგორც ასეთი, განწყობის ასიმვილაციური მოქმედების პროდუქტს (ასიმვილაციური ილუზიებს) წარმოადგენენ და არა ასიმეტრიით გამოწვეულ შეცდომებს.

* * *


როგორც ვიცით, განწყობის ცდებმა ისეთი ინდივიდებიც გვიჩვენა, რომლებიც კრიტიკული წრეების ათი ექსპოზიციის გასწვრივ მხოლოდ ან მეტწილად „+ გადაფასებებს“ იძლეოდნენ. მაგრამ ჩვენ საჭიროდ აღარ ვცანით „შებრუნებული ცდები“ ცალკე ამ ინდივიდებზეც ჩავეტარებია. ზემოთ აღწერილი ფაქტები გვაძლევს საფუძველს დამტკიცებულად ვიგულისხმოთ, რომ „+ გადაფასებაც“, ვისთანაც კი იგი ჩვენს ცდებში მეტწილად ან ათჯერ ჩნდებოდა, უთუოდ ფიქსირებული განწყობის ეფექტი იყო, მისი კონტრასტული მოქმედება (კონტრასტული ილუზია) და არა ასიმეტრიის პროდუქტი.

3. განწყობის ცდები ასიმეტრიის ტენდენციის საწინააღმდეგოდ და მისი მიმართულებით. — ზემოთ აღწერილმა ცდებმა გვიჩვენა, რომ „—გადაფასებები“, რომელნიც საგანწყობო წრეების ყოველ განლაგებისას დიდი წრის ადგილმდებარეობის მიმართულებით ჩნდებიან, განწყობის ასიმვილაციური ილუზიებია. მაგრამ ამ ცდებში ჩვენ არ ვიცოდით, თუ სახელდობრ როგორი ასიმეტრია ჰქონდა თითოეულ ცდ. პირს (მარცხნივ თუ მარჯვნივ ასიმეტრია) და ამიტომ, ცხადია, არც ის შეიძლებოდა გვეცოდნოდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო განწყობის ასიმვილაციური მოქმედება თითოეულს კერძო შემთხვევაში — ასიმეტრიის ტენდენციის საწინააღმდეგოდ და მისი მიმართულებით. ვნახოთ ახლა ის ცდებიც, რომელნიც ჩვენ ამ საკითხის შესასწავლად ვაწარმოვეთ.


ცდ. პირები იყვნენ: 17 ინდივიდი, რომელთაც საკონტროლო ცდებში ასიმეტრია დაუდასტურდა (იხ. ოქმი № 6), და დამატებით

კიდევ 15 ინდივიდი, რომელთა გამოსანახად ჩვენ სპეციალური ცდების ჩატარება დაგვჭირდა. ამ 32 ცდ. პირიდან მარცხნივ გადაფასების ასიმეტრია ჰქონდა 18-ს და მარჯვნივ გადაფასებისა 14-ს.

1. „მარცხნივ ასიმეტრიის“ მქონეთაგან ერთ ჯგუფს საგანწყობო ცდა ჩაუტარდა წრეების 3-დ განლაგებაში (25-26) ექსპოზიციით, ე. ი. დიდი წრის მიწოდებით ასიმეტრიის საწინააღმდეგო მხარეზე (იხ. სქემა I), ხოლო მეორე ჯგუფს — პირიქით, დ-3 განლაგებაში ექსპოზიციით (26-25) და, მაშასადამე, დიდი წრის იმ მხარეზე ჩვენებით, რომელ მხარეზეც ცდ. პირს ასიმეტრია ჰქონდა (ასიმეტრიის მიმართულებით — იხ. სქემა II).



2. შესატყვისად იგივე ცდები ჩაუტარდა „მარჯვნივ ასიმეტრიის“ მქონეებსაც. ერთ ჯგუფს — დიდი საგანწყობო წრის მარჯვნივ მიწოდებით (25—26) ანუ ასიმეტრიის მიმართულებით (სქემა III). და მეორე ჯგუფს — მარცხნივ მიწოდებით (26—25) ანუ ასიმეტრიის საწინააღმდეგოდ (სქემა IV).



თათოუელ ინდივიდზე ცდა ტარდებოდა ზემოთ აღწერილი განწყობის ცდებისნაირად — იმავე ინსტრუქციით, ტაქისტოსკოპით და ექსპოზიციის იმავე სისწრაფით და რაოდენობით. ცდ. პირს ხელში ვაძლევდათ 26—25 მლ. წრეებს ჯერ დ—3 და შემდეგ 3—დ სივრცითი განლაგებით; ორივე შემთხვევაში ვთხოვდით ეთქვა: რომელია ცოტა უფრო დიდი წრე; ორივეჯერ სწორი პასუხის შემდეგ იმავე წრეებს ვუჩვენებდით ტაქისტოსკოპურად სამჯერ (ცხადია, აქ უკვე ერთი განლაგებით) და თუ ცდ. პირი სამივეჯერ სწორ შეფასებას მოგვცემდა, ვატარებდით კრიტიკულ ცდას (ტოლი წრეების ათჯერ ექსპოზიციით)⁴⁴.

32 ინდივიდიდან ცდის ჩატარება ვერ მოხერხდა მხოლოდ ხუთზე, რომლებმაც ერთ-ერთ საგანწყობო ექსპოზიციაში წრეები გაატოლეს. დანარჩენ 27-თან კი მას დაბრკოლება არ ჰქონია, რაც იმას ნიშნავს. რომ მათი ასიმეტრიის სიდიდე 1 მილიმეტრს არ უღრიდა. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილებში №№ 12,13,14,15.

განწყობის ძირითად ცდებიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ 26—25 მილ. წრეებით ფიქსირებული განწყობა ყველა ცდ. პირთან ასიმილაციურად როდი მოქმედებს, არამედ ზოგთან ასიმილაციურად და ზოგთან კონტრასტულად. მაშასადამე, ბუნებრივია, რომ აღნიშნულმა ცხრილებმაც იგივე გვიჩვენოს. მაგრამ დამატებით მათ უნდა გვიჩვენონ ასიმეტრიის როლიც თითოეულის ამ მოქმედებაში. ჯერ დავაკვირდეთ ცხრილებს №№ 12 და 13, რომლებშიც წარმოდგენილია I—II სქემით ჩატარებული ცდის შედეგები.

ცხრილი (№ 12) შეიცავს 7 ცდ. პირის მონაცემთ, რომელთაც მარცხნივ გადაფასების ასიმეტრია ჰქონდათ და განწყობის ცდა ჩატარდათ დიდი წრის მარჯვნივ მიწოდებით. — რა უნდა მიგველო? ცხადია, თუ ცდ. პირი, წინააღმდეგ ამ ასიმეტრიისა, მარჯვენა კრიტიკულ წრეს გადააფასებდა („მარჯვენა დიდი“ იხ. სქემა I), ეს იქნებოდა მაჩვენებელი იმის, რომ განწყობამ ასიმილაციურად იმოქმედა და, მაშასადამე, ასიმეტრიას სძლია. მაგრამ თუ, პირიქით, მარცხენა წრე გადაფასდებოდა („მარცხნივ დიდი“) და, რა თქმა უნდა, მეტის სიხშირით, ვიდრე მას ცდ. პირი საკონტროლო ცდაში იძლეოდა. ეს მაჩვენებელი იქნებოდა იმის, რომ განწყობამ კონტრასტულ-

⁴⁴ განწყობის ცდები ჩატარდა საკონტროლო ცდების შემდეგ 2—2 1/2 თვის დაჯიანებით.

ტ. პ. №№	ცდები	-	=	+
1	საკონტრ. განწყობ.	6	4 2	8
2	საკონტრ. განწყობ.	6	2 3	2 7
3	საკონტრ. განწყობ.	6	3 3	1 7
4	საკონტრ. განწყობ.	7 2	3 8	
5	საკონტრ. განწყობ.	6 1	3 9	1
6	საკონტრ. განწყობ.	7 10	2	1
7	საკონტრ. განწყობ.	8 4	2 1	5

ტ. პ. №№	ცდები	-	=	+
1	საკონტრ. განწყობ.	5 8		5 2
2	საკონტრ. განწყობ.	5 10		5
3	საკონტრ. განწყობ.	5 9		5 1
4	საკონტრ. განწყობ.	6 8		2 2
5	საკონტრ. განწყობ.	6 1	3 10	1
6	საკონტრ. განწყობ.	6 1	3 2	1 7
7	საკონტრ. განწყობ.	6	2 8	2 2

ლად იმოქმედა. ერთი სიტყვით, აქ სიტუაცია ისეთია, რომ ასიმეტრია ეწინააღმდეგება ასიმილაციურ განწყობას და ხელს უწყობს კონტრასტულს. რომელსაც საშუალება ეძლევა ამ ასიმეტრიის მიმართულებით იმოქმედოს და მის გადაფასებებს დაუმატოს. ცხრილი გვიჩვენებს შემდეგს:

1. ცდ. პირს (№ 1) საკონტროლო ცდაში მოუცია 6 მარცხნივ გადაფასება („—“) და 4 ტოლობა („=“), ე. ი. უჩვენებია მარცხნივ გადაფასების ასიმეტრია; მაგრამ განწყობის ცდაში საწინააღმდეგოდ „მოქცეულა“: ორჯერ ტოლობა დაუდასტურებია და რვაჯერ მარჯვნივ გადაუფასებია, ე. ი. წინააღმდეგ ასიმეტრიისა. უფრო დიდად აღუქვავს ის კრიტიკული წრე, რომელიც დიდი საგანწყობო წრის ადგილას ეძლეოდა. მაშასადამე, ეკვი არაა, რომ აღნიშნულ ცდ. პირს ასიმილაციურად მოქმედი განწყობა გაფიქსირებია, რომელსაც ასიმეტრია დაუძლევია და მარჯვნივ გადაფასებების სახით ასიმილაციური ილუზიები წარმოუქმნია.

შესატყვისად იგივე უდასტურდება მომდევნო ორ ცდ. პირსაც (№№ 2.3), რომელთაც საკონტროლო ცდაში მეტწილად მარცხნივ გადაფასება მოუციათ (6-ჯერ) და განწყობის ცდაში კი — მარჯვნივ გადაფასება (7-ჯერ).

2. მაგრამ ცხრილი გვიჩვენებს ისეთ შემთხვევებსაც, რომელნიც ამ კანონზომიერებიდან თითქოს გადაიან: ცდ. პირებმა (№4 და № 5), რომლებმაც საკონტროლო ცდაში ათჯერ მიწოდებულ ტოლწრებიდან მარცხენა წრე 6-7-ჯერ გადააფასეს („მარცხნივ დიდი“) და, მაშასადამე, აგრეთვე „მარცხნივ ასიმეტრია“ გამოავლინეს, განწყობის ცდებში ეს მარცხნივ გადაფასება მხოლოდ აქა-იქ გამორევით უჩვენეს (1-2-ჯერ) და 8-9-ჯერ ტოლობა დაადასტურეს; ე. ი. აღარც ასიმეტრია და აღარც განწყობით გამოწვეული გადაფასება, არამედ ადეკვატური შეფასებები!

უთუოდ საკითხავია: რატომ უნდა მომხდარიყო ასე? შეიძლება საკონტროლო ცდის მონაცემები არ იყო სწორი, ე. ი. ცდ. პირს არ ჰქონდა მარცხნივ გადაფასების ასიმეტრია და საერთოდ არ იყო ასიმეტრიკი. კი, მაგრამ, მაშინ რატომ არ იმოქმედა განწყობამ მისთვის ჩვეულის წესით — გადაფასების მეტწილად ან მარცხნივ ან მარჯვნივ გამოწვევის სახით?! რატომ გაჩნდა თითქმის მხოლოდ ტოლობა? ეს შემთხვევა უთუოდ იგივეა, რასაც ჩვენ წინა ცდებშიც შევხვდით (იხ. ოქმი № 7) და ვიგულისხმეთ, რომ იგი ასიმეტრიისა და ასიმილაციური განწყობის ერთდროული მოქმედების შედეგი უნდა ყოფილიყო. მაგრამ იქ ასეთი ახსნის აუცილებლობა არ ჩანდა, აქ კი იგი ნამდვილად ჩანს. მართლაცდა, რაკი ცდ. პირს მარცხნივ გადაფასების ასიმეტრია ჰქონდა, ეს ასიმეტრია უთუოდ განწყობის კრიტიკულ ცდაშიაც მოქმედებდა, ე. ი. მარცხენა წრეს ზრდიდა (აღქმაში); მაგრამ რაკი მარცხენა წრის გადაფასების ნაცვლად ტოლობა გაჩნდა, მაშასადამე, უკნასაკნელს შეეძლო თავი ეჩინა მხოლოდ იმ პირობით, თუ იმავე დროს მარჯვენა წრეც გადიდებოდა, და ეს კი მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო, იმიტომ, რომ საგანწყობო ცდა „მარჯვნივ დიდი წრის აღქმის განწყობას“ აფიქსირებდა. ერთი სიტყვით, მოხდა უთუოდ ასე: ასიმეტრიამ ცდ. პირის აღქმაში მარცხენა კრიტიკული წრე გააღიდა, ასიმილაციურად მოქმედმა განწყობამ კი — მარჯვენა, და ვინაიდან ორივე წრის „გადიდება“ თანაბრად მოხდა, ამიტომ ცდ. პირს მათი ტოლობის შთაბეჭდილება გაუჩნდა.

3. სულ სხვანაირი ვითარებაა ცდ. პირთან № 6. საკონტროლო ცდაში მარცხენა წრე მან გადააფასა შვიდჯერ და, მაშასადამე, „მარცხნივ ასიმეტრია“ უჩვენა. მაგრამ განწყობის ცდებში იგივე მარცხენა წრე გადააფასა, ოღონდ არა შვიდჯერ, არამედ 10 ექსპონენციაში ათჯერვე. ისმის საკითხი: რას უნდა გაეზარდა ეს მარცხნივ გადაფასებები ასიმეტრიის მიმართულებით? აქ უთუოდ ასე უნდა მომხდარიყო: „მარჯვნივ დიდი წრის აღქმის განწყობას“ ასიმილაციურად კი არ უმოქმედნია, არამედ კონტრასტულად და ვინაიდან ეს მოქმედება ასიმეტრიას დამთხვევია და მისი მიმართულებით გაშლილა (იხ. სქემა 1). ამიტომ ამ ორი ფაქტორის წყალობით მარცხნივ გადაფასებების რიცხვიც გაზარდილა.

4. საგანგებო ყურადღების ღირსია უკანასკნელი ცდ. პირის (№ 7) პასუხები. მას საკმაოდ ძლიერი მარცხნივ გადაფასების ტენდენცია ჰქონდა, რადგან ათჯერ ექსპონირებული ტოლი წრეები მ-ჯერ აღიქვა როგორც მარცხნივ დიდი და მსოლოდ ორჯერ ტოლებად (იხ. საკონტროლო ცდის ოქმი № 6, ცდ. პირი № 47). ამ პასუხების თანამიმდევრობა ასეთი იყო: ჯერ ოთხი მარცხნივ გადაფასება, შემდეგ ერთი ტოლობა, შემდეგ ორი მარცხნივ გადაფასება, ერთი ტოლობა და ბოლოს კვლავ ორი მარცხნივ გადაფასება. რა მომხდარა განწყობის ცდებში? ახლად გაჩენილა ხუთი მარჯვნივ გადაფასება, ისედაც იშვიათი ტოლობა შემცირებულა და რვა მარცხნივ გადაფასება განახევრებულა, ე. ი. განწყობას უსათუოდ უმოქმედნია, მაგრამ მთლად არც ასიმეტრიას დაუთმოა. საინტერესოა ახლა, რა თანრიგით გაჩენილან ეს პასუხები. აქ თანრიგი ასეთია: პირველად ხუთი მარჯვნივ გადაფასება, შემდეგ ერთი ტოლობა და ოთხი მარცხნივ გადაფასება, ე. ი. პირველად უმოქმედნია განწყობას (ხუთი მარჯვნივ გადაფასება!) და შემდეგ ასიმეტრიას. რითაა ეს ფაქტი საინტერესო?

ძირითადი ცდების განხილვისას (იხ. ოქმი № 2) ჩვენ შევხვდით რამდენიმე შემთხვევას, როცა ცდ. პირი ჯერ ზედიზედ ოთხ-ხუთ „—გადაფასებას“ იძლეოდა და შემდეგ სულ „+ გადაფასებას“. ამ შემთხვევების ისეთი გაგება, რომ თითქოს ერთსადაიმთხვევე განწყობას ჯერ ასიმილაციურად უმოქმედნია და შემდეგ კონტრასტულად, ჩვენ მაშინ შეუძლებლად ვცანით, მაგრამ ვინაიდან განწყობის ასიმილაციური მოქმედება მაინც უუკველად მივიჩინეთ, ამიტომ სხვანაირი გაგება წამოვაყენეთ: მომდევნოდ გაჩენილი „+ გადაფასებე-

ბი“ ჩვენ ვცანით ასიმეტრიის ეფექტად და მთელი შემთხვევა გავიგეთ როგორც ისეთი პროცესი, რომელშიც ჯერ ასიმილაციური განწყობა მოქმედებს და შემდეგ. მისი დასუსტების გამო. მოქმედებას იწყებს ასიმეტრია. ეს გაგება აქამდე უბრალო ვარაუდი იყო. ახლა კი იგი დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს: ცდ. პირმა № 7 საკონტროლო ცდაში უჩვენა მარცხნივ გადაფასების ასიმეტრია. და თუ იგი განწყობის ცდაშიც მარცხნივ გადაფასებდა, ცხადია, ეს იქნებოდა იმავე ასიმეტრიის ეფექტი; მაგრამ აქ ისე მოხდა, რომ მან პირველად ხუთჯერ გადააფასა მარჯვნივ. — ე. ი. საგანწყობო დიდი წრის მიმართულებით, — და შემდეგ ოთხჯერ გადააფასა ისევ მარცხნივ ანუ ასიმეტრიის მიმართულებით. მაშასადამე, აქ უკვე ექსპერამენტულად მტკიცდება. რომ ჯერ უმოქმედნია ასიმილაციურ განწყობას და შემდეგ ასიმეტრიას.

ამრიგად, პირველი სქემით ჩატარებული ცდის შედეგი ასეთია: ცდ. პირებს, რომელთაც მარცხნივ გადაფასების ასიმეტრია ჰქონდათ, გავუფიქსირეთ „მარჯნივ ოდნავ დიდი წრის აღქმის განწყობა“, რომელმაც ზოგთან ასიმილაციურად იმოქმედა და ზოგთან კონტრასტულად. მაგრამ საკუთრივ ასიმილაციურმა მოქმედებამ თავი იჩინა სამი სახით: 1. ზოგ ცდ. პირთან მან სძლია ასიმეტრიას და გადაფასებები საწინააღმდეგო მიმართულებით გააჩინა (ე. ი. ასიმილაციური ილუზიები წარმოქმნა), 2. ზოგთან თუმცა ვერ სძლია. მაგრამ ერთ-ერთი კრიტიკული წრე „გაზარდა“. ასიმეტრიით „გადიდებულ“ მეორე კრიტიკულ წრეს გაუთანაბრა და ტოლად შეფასების შემთხვევები გაახშირა, 3. ხოლო ზოგთან კი ჯერ განწყობამ იმოქმედა და შემდეგ ასიმეტრიამ. რაც შეეხება კონტრასტულ მოქმედებას, მან თავი იჩინა ასიმეტრიის მიმართულებით (სხვანაირად არც შეეძლო!), რის გამო მარცხნივ გადაფასების რიცხვი გაიზარდა.

დავაკვირდეთ ახლა ცხრილს (№ 13), რომელშიც მეორე სქემით ჩატარებული ცდის შედეგებია აღრაცხული.

ამ ცდებში მონაწილე ინდივიდებსაც მარცხნივ გადაფასების ასიმეტრია ჰქონდათ, მაგრამ მათ განწყობა გავუფიქსირეთ მარცხნივ დიდი წრის (26—25) მიწოდებით. მაშასადამე, პირველ ცდისაგან განსხვავებით აქ ასე უნდა მომხდარიყო:

თუ ცდის პირი მარცხნივ გადაფასებას უფრო მეტი რაოდენობით მოგვეცემდა, ვიდრე მას საკონტროლო ცდაში იძლეოდა. ეს იქნებოდა მაჩვენებელი იმის, რომ მას ასიმილაციურად მოქმედი გან-

ტ. პ. №№	ცდები	-	=	+
1	საკონტრ. განწყობ.		5 2	5 8
2	საკონტრ. განწყობ.	1	5 1	5 8
3	საკონტრ. განწყობ.		4 1	6 9
4	საკონტრ. განწყობ.		4	6 10
5	საკონტრ. განწყობ.		3 1	6 9
6	საკონტრ. განწყობ.	1 2	3 8	6
7	საკონტრ. განწყობ.	1 :	3 9	6

ტ. პ. №№	ცდები	-	=	+
1	საკონტრ. განწყობ.		3	7 10
2	საკონტრ. განწყობ.	1	2	7 10
3	საკონტრ. განწყობ.	6	5 3	5 1
4	საკონტრ. განწყობ.	2	4 8	6
5	საკონტრ. განწყობ.	1 5	2 5	7
6	საკონტრ. განწყობ.	1 6	1 1	8 3

წყობა გაუფიქსირდა, რომელმაც ასიმეტრიის მიმართულებით იმოქმედა და თავის მხრივაც გადაფასებები (ე. ი. ასიმილაციური ილუზიები). გააჩინა; თუ, პირიქით. მარჯვნივ გადაფასებები გახშირდებოდა, ეს კონტრასტული განწყობის მაჩვენებელი იქნებოდა, რომელმაც ასიმეტრიას სძლია, მარცხენა კრიტიკული წრე კონტრასტულად „დაპატარავა“ და ცდ. პირს მარჯვენა წრის გადიდების შთაბეჭდილება შეუქმნა; ხოლო თუ გადაფასებები სრულიად აღიკვეთებოდა ან შემცირდებოდა და მათ ხარჯზე ტოლობის შემთხვევები გაიზრდებოდა, ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ განწყობის კონტრასტული მოქმედებით მარცხენა კრიტიკული წრე მხოლოდ იმდენად „დაპატარავდა“. რომ იგი მარჯვენა კრიტიკულს გაუთანაბრდა.

ცხრილი № 13 ბრწყინვალედ ამართლებს ამ ვარაუდს: 1. ოთხმა ცდ. პირმა (№ 1,2,3,4), რომლებსაც საკონტროლო ცდებში 5-6 მარცხნივ გადაფასება ჰქონდათ, განწყობის ცდებში იგი უჩვენეს.

მეტი რაოდენობით (8-10-ჯერ), ე. ი. მათ გაუფიქსირდა ასიმილაციური განწყობა, რომელმაც ასიმეტრიის მიმართულებით იმოქმედა; 2. ერთ ცდ. პირთან (№ 6) განწყობის ცდაში, პირიქით მარცხნივ გადაფასება შემცირდა (საკონტროლო ცდასთან შედარებით). და თავი იჩინა მეტწილად მარჯვნივ გადაფასების შემთხვევებში. რაც იმას ნიშნავს. რომ კონტრასტულმა განწყობამ ასიმეტრიის საწინააღმდეგოდ იმოქმედა; 3. ხოლო ცდ. პირებში № 5 და № 7. რომელთაც საკონტროლო ცდაში ექვსი მარცხნივ გადაფასება ჰქონდათ, განწყობის ცდაში 8-10-ჯერ ტოლობა დაადასტურეს: ე. ი. განწყობამ იმოქმედა კონტრასტულად ანუ ასიმეტრიის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ასიმეტრიის ძალით „გადიდებული“ მარცხენა კრიტიკული წრე მან „დააპატარავა“ მხოლოდ იმდენად, რომ იგი აღქმაში მარჯვენა კრიტიკულს გაუთანაბრდა და ამრიგად ცდ. პირს მათი ტოლობის შთაბეჭდილება შეექმნა. ერთი სიტყვით, აღწერილ შემთხვევებში გადაფასებათა ხარჯზე აღეკვატური აღქმის (ტოლობის) გახშირება, თუ შეიძლება ასე ითქვას, განწყობის და ასიმეტრიის ინტერფერენციული მოქმედების შედეგია.

ამრიგად, პირველ ცდისაგან განსხვავებით მეორე ცდა გვითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა განწყობის ასიმილაციური მოქმედება ასიმეტრიის მიმართულებით ხდება და კონტრასტული კი მის საწინააღმდეგოდ. მაგრამ ორივე შემთხვევაში საქმე ეხება მხოლოდ მარცხნივ გადაფასების ასიმეტრიას, და ახლა საინტერესოა ვნახოთ, დასტურდება თუ არა იგივე „მარჯვნივ ასიმეტრიის“ შემთხვევებშიც.

ცხრილში № 14 წარმოდგენილია მესამე სქემით ჩატარებულ ცდის შედეგები: შვიდ ცდ. პირს, რომელთაც მარჯვნივ გადაფასების ასიმეტრია ჰქონდათ, განწყობა უფიქსირდებოდა დიდი წრის მარჯვნივ მიწოდებით (3—დ განლაგებით). ცხრილიდან ჩანს შემდეგი:

1. ცდ. პირებში (№ 1—5), რომელთაც საკონტროლო ცდაში 5-6-ჯერ „მარჯვნივ გადაფასება“ ჰქონდათ, განწყობის ცდაშიც ამ მიმართულებით გადაფასეს, მაგრამ უფრო მეტი სიხშირით — 8,9,10-ჯერ. მაშასადამე, სრულიად უეჭველია, რომ საგანწყობო ცდამ მათ „მარჯვნივ დიდი წრის აღქმის განწყობა“ გაუფიქსირა, რომელმაც ასიმილაციურად იმოქმედა ასიმეტრიის მიმართულებით და ამის გამო მარჯვნივ გადაფასების შემთხვევებიც გაიზარდა; 2. მაგ-

რამ ორ ცდ. პირთან (№ 6,7) მარჯვნივ გადაფასება სრულიად დაკარგულა და მის ხარჯზე ტოლობას უმატნია. ეს შემთხვევა იგივეა: რაც ორ. ცდ. პირთან წინა ცდაშიც დადასტურდა (იხ. ცხრილი № 13), და ნიშნავს იმას, რომ კონტრასტულად მოქმედი განწყობის წყალობით ასიმეტრიით „გადიდებული“ მარჯვენა კრიტიკული წრე (იხ. სქემა III) აღქმაში პატარავდება და მარცხენა კრიტიკულ წრეს უთანაბრდება.

რაც შეეხება მეოთხე სქემით ჩატარებულ ცდებს, ზემოთქმულის შემდეგ აქ ყველაფერი გასაგებია. ექვს ცდ. პირს, რომელთაც მარჯვნივ გადაფასების ასიმეტრია ჰქონდათ, საგანწყობო ცდა ჩატარდა მარცხნივ დიდი წრის მიწოდებით. ცხრილი (№ 15) გვიჩვენებს შემდეგს:

ა. პირველ ორი ცდ. პირთან განწყობას კონტრასტულად უმოქმედნია ანუ, ამ შემთხვევაში, ასიმეტრიის მიმართულებით, ხოლო მომდევნო ორთან (№ 3,5) — ასიმეტრიულად ანუ ასიმეტრიის საწინააღმდეგოდ;

ბ. ცდ. პირთან (№ 4) იგივე მომხდარა, რაც პირველი სქემით ჩატარებულ ცდაში ორ ინდივიდთან (ცხრილი 12, ცდ. პირები № 4,5): ორი მარცხნივ გადაფასების სახით განწყობას ასიმეტრიულად უმოქმედნია, მაგრამ დანარჩენ 8 კრიტიკულ ექსპოზიციაში რომ სულ ტოლობა გაჩენილა, ეს იმავე დროს ასიმეტრიის მოქმედებასაც ნიშნავს; ე. ი. აქაც მარჯვნივ გადაფასების ასიმეტრიამ მარჯვენა წრე „გაადიდა“ და „ასიმეტრიულად გაზრდილ“ მარცხენა წრეს გაუთანაბრა, რის გამოც ცდ. პირს ტოლობის შთაბეჭდილება გაუჩნდა;

გ. რაც შეეხება ცდ. პირს № 6, მას იგივე უდასტურდება, რაც პირველ ცდაში ორმა ცდ. პირმა (№ 4,5) გვიჩვენა: განწყობამ ასიმეტრიულად იმოქმედა და ექვსი მარცხნივ გადაფასება გამოიწვია, მაგრამ მთლად არც ასიმეტრიამ დათმო და სამი მარჯვნივ გადაფასება გააჩინა; და აქაც საგულისხმო სწორედ ისაა, რომ პირველად მოქმედებს განწყობა და შემდეგ ასიმეტრია (ჯერ ზედიზედ ოთხი მარცხნივ გადაფასება, შემდეგ ტოლობა, ორი მარცხნივ გადაფასება და ბოლოს სამი მარჯვნივ გადაფასება).

ამრიგად, საერთო შედეგი, რომელსაც აღწერილი ცდები იძლევა, ასეთია: 26—25 მმ წრეებით ფიქსირებული განწყობის ასიმეტრიული მოქმედება თავს იჩენს ასიმეტრიის საწინააღმდეგოდ და მისი მიმართულებითაც. პირველ შემთხვევაში იგი თავს იჩენს

სამი სახით: 1. ათი კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ სრულიად ძლევს ასიმეტრიას და გადაფასებებს მხოლოდ თვითონ იწვევს, — 2. ან ძლევს მას მხოლოდ რამდენიმე ექსპოზიციაში, რის შემდეგ თავს იჩენს ასიმეტრია, — ანდა 3. ძლევს მხოლოდ იმდენად, რომ თავის მხარეზე ექსპონირებულ კრიტიკულ წრეს აღქმაში ზრდის, ასიმეტრიით „გადიდებულ“ წრეს უთანაბრებს და ტოლობის შემთხვევებს ახშირებს. მეორე შემთხვევაში კი მისი მოქმედება მუდამ ერთი სახისაა და თავს იჩენს იმაში, რომ ასიმეტრიის მიმართულე-ბით თვითონაც იწვევს გადაფასებებს. იგივე ითქმის კონტრასტული განწყობის შესახებაც. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ, როცა მას მოქმედება ასიმეტრიის საწინააღმდეგო მიმართულებით უხდება, ამას იგი კრიტიკული წრის „დაპატარავების“ გზით ახერხებს.

4. ასიმეტრიის გავლენის შესახებ ჩვენს ცდებში (დასკვნა).— ცდები გვიჩვენებს, რომ ოდნავ განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობის ასიმულიაციური თუ კონტრასტული მოქმედება ძლევს ასიმეტრიას. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაძლეული ასიმეტრია თითქოს სრულიად უეფექტოდ განზე დგება და თავის მხრივ არავითარ გავლენას არ ახდენს განწყობის მოქმედებაზე. ჩვენს ცდებში არის ფაქტები, რომლებიც ამ გავლენის შესახებ მოწმობენ.

1. 27 ასიმეტრიკ ინდივიდიდან, როგორც დავინახეთ, ბევრმა ცდ. პირმა განწყობის ცდაში ათივეჯერ ან მეტწილად ტოლობა უჩვენა. ეს, რა თქმა უნდა, განწყობის გარეშე ვერ მოხდებოდა; მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ აქ ასიმეტრიასაც უთუოდ უმოქმედია, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, მართო განწყობას რომ ემოქმედა, მაშინ მას მხოლოდ გადაფასებები უნდა მოეცა და ტოლობა ერთხელაც არ უნდა გაჩენილიყო.

2. მაგრამ ასიმეტრიის გავლენა არც იმ შემთხვევებშია საესე-ბით გამორიცხული, სადაც განწყობა მის დაძლევას ახერხებს და გადაფასებებს საწინააღმდეგო მიმართულებით იწვევს: ზემოთ გარჩეულ ცხრილებიდან (№ 12—15) გარკვევით ჩანს, რომ ათი კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ განწყობა ასიმეტრიის საწინააღმდეგო გადაფასებებს მხოლოდ უმრავლეს შემთხვევებში აჩენს და არა ათჯერვე, იმ დროს, როცა ასიმეტრიის არმქონე ცდ. პირებთან ამას იგი ახერხებს და არც თუ ისე იშვიათად.

3. ასიმეტრიის გავლენა უჩვენა „ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ფიქსირებულ განწყობათა ცდებშიც“ (იხ. ოქმი № 7). თუმცა კი განწყობის ასიმილაციური მოქმედება ამათუიშ სახით ყველა ცდ. პირს დაუდასტურდა.

4. დასასრულ, ზოგ ცდ. პირთან მას უთუოდ ძირითად ცდებშიც უნდა ჰქონოდა ადგილი. როგორც ვიცით. ეს ცდები წარმოებდა საგანწყობო წრეების დ—პ და პ—დ სივრცითს განლაგებაში ექსპოზიციით, და დადასტურდა შემდეგი (იხ. §5 5.6): ცდ. პირებმა. რომელთაც ცდა ჩაუტარდა საგანწყობო წრეების პ—დ განლაგებით. მარჯვენა კრიტიკული წრის გადაფასება ანუ ასიმილაციური ილუზია უჩვენეს უფრო ნაკლები %-ით, ვიდრე იმათ, რომლებსაც ცდა ჩაუტარდა იმავე წრეების საწინააღმდეგო (დ—პ) განლაგებით. რას უნდა გამოეწვია ეს განსხვავება? — აქ საჭიროა გავიხსენოთ შემდეგი: საკონტროლო ცდებმა (იხ. ოქმი № 6. ცხრილი № 9) ტოლი წრეების 5.000 შეფასებიდან უფრო მეტი სიხშირით უჩვენა მარცხენა წრის გადაფასება, ვიდრე მარჯვენასი. ეს ფაქტი უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანთა მასაში „მარცხნივ ასიმეტრია“ უფრო ხშირია „მარჯვნივ ასიმეტრიაზე“. გამომდინარე ამ ფაქტიდან შეგვიძლია დასმულ საკითხს შემდეგნაირად ვუპასუხოთ.

ინდივიდების ერთ ჯგუფზე ცდა ტარდებოდა საგანწყობო წრეების დ—პ განლაგებაში მიწოდებით. ხოლო მეორე (ახალ) ჯგუფზე — საწინააღმდეგო პ—დ განლაგებით. რაღაც მცირე %-ით ასიმეტრიკები ერივნენ ორივე ჯგუფში. და მამასადამე. ბუნებრივია. რომ ზოგ მათგანში განწყობას უნდა ემოქმედა ასიმეტრიის მიმართულებით და ზოგთან კი საწინააღმდეგოდ. მაგრამ ვინაიდან მარცხნივ ასიმეტრიის მქონენი უფრო ბევრი იქნებოდნენ. ვიდრე მარჯვნივ ასიმეტრიისა, აბიტომ რომელ ცდაშიც კი მარცხნივ ასიმეტრია განწყობის ასიმილაციურ მოქმედებას დაუპირისპირდებოდა. იქ. ცხადია, შესატყვისი გადაფასებებიც (განწყობის ილუზიები) ნაკლები რაოდენობით უნდა გაჩენილიყო, ვიდრე მეორეში; და აი სწორედ ასეთია საგანწყობო წრეების პ—დ განლაგებით ჩატარებული ცდები: მარცხნივ გადაფასების ასიმეტრიას აქ ასიმილაციური განწყობის საწინააღმდეგო მიმართულება აქის და ამიტომ შესატყვისი ილუზი-

ეპიც აქ შედარებით ნაკლებია, ვიდრე დ—პ განლაგებით წარმოებულ ცდებში. ერთი სიტყვით, ასიმეტრიის გავლენა რალაც ზომით ძირითად ცდებშიც შეიმჩნევა⁴⁵.

⁴⁵ რა თქმა უნდა. აღნიშნული განსხვავება დამახასიათებელია არა მხოლოდ ასინილაკიურ განწყობისათვის, არამედ შესატყვისად კონსტრასტულისათვისაც: უკანასკნელის მოქმედების ეფექტი შედარებით ნაკლებია დ—პ განლაგებით ჩატარებულ ცდებში, იმიტომ, რომ კონსტრასტულ განწყობას და მარცხნივ გადაფასების ასიმეტრიას სწორედ ამ ცდებში აქვთ ურთიერთის საწინააღმდეგო მინართულება იმ დროს, როცა პ—დ განლაგებით ჩატარებულ ცდებში ისინი ურთიერთს ემთხვევიან (იხ: ცხრილები 3-7).

V. განწყობის ასიმილაციური მოქმედების ფაქტორები და ფაზური ხასიათი

§ 13. ზღურბლის ფაქტორი

ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობა მხოლოდ იმით განსხვავდება დიდ განსხვავებაზე ფიქსირებულისაგან, რომ უკანასკნელის თავიდანვე მოქმედება უგამონაკლისოდ კონტრასტულია და თითქმის ყველა ცდ. პირს უდასტურდება, იმ დროს, როცა პირველის მოქმედება ასეთ ერთგვაროვან ხასიათს მოკლებულია: იგი ასიმილაციურად მოქმედებს ინდივიდების ერთ ჯგუფთან და კონტრასტულად — მეორესთან. თუმცა კი პირველი ჯგუფი რიცხვობრივი შემადგენლობით მეტია მეორეზე.

ისმის საკითხი: რატომაა მცირე განსხვავებით ფიქსირებული განწყობის მოქმედება ასე ორნაირი? — რატომ არ მოქმედებს იგი ან მხოლოდ ასიმილაციურად ან მხოლოდ კონტრასტულად?

მკითხველს უთუოდ ახსოვს, რომ ძირითადი ცდების განხილვისას, ჩვენ შევხვდით ცდ. პირებს, რომელნიც კრიტიკული წრეებისათვის ექსპოზიციის გასწვრივ ჯერ „+ გადაფასებებს“ ანუ კონტრასტულ ილუზიებს იძლეოდნენ და შემდეგ კი „— გადაფასებებს“ ანუ ასიმილაციურ ილუზიებს. ეს ფაქტი ჩვენ ზღურბლის ცნების დახმარებით გავიგეთ, და უთუოდ ამავე ცნებით ხდება გასაგები ცდ. პირების ორჯგუფიანობაც საერთოდ.

26—25 მმ წრეებს შორის განსხვავება ყველა ცდ. პირისათვის ერთნაირად ოდნავ შესამჩნევი უთუოდ ვერ იქნებოდა: ზოგისათვის იგი მართლაც ოდნავ შესამჩნევი ანუ ზღურბლური შეიძლებოდა ყოფილიყო და ზოგისათვის კი — საკმაოდ მკვეთრი ანუ ზეზღურ-

ბლური; და გასაგებია, რომ ზღურბლის ასეთი ინტერინდივიდუალური ვარიაციის გამო აღნიშნული ზომის წრეებიც ყველა ცდ. პირს ერთნაირად მოქმედ განწყობას ვერ გაუფიქსირებდა. ერთი სიტყვით, ზღურბლის კანონის თანახმად, სწორედ ისე უნდა მომხდარიყო, როგორც ნამდვილად მოხდა: ასიმილაციური განწყობა გაუფიქსირდა იმ ცდ. პირებს, რომელთათვის 26—25 მმ წრეების განსხვავება ზღურბლური იყო. ხოლო კონტრასტული განწყობა — იმათ, რომელთათვის იგი ზეზღურბლური აღმოჩნდა.

ტლანქად განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობა მხოლოდ კონტრასტულად მოქმედებს, იმიტომ, რომ, განსხვავება აქ ყველასათვის ერთნაირად ზეზღურბლურია; მოცემული 26—25 მმ წრეების განსხვავება კი მხოლოდ ზოგისათვისაა ზეზღურბლური და ამიტომ კონტრასტულად მოქმედი განწყობაც მხოლოდ მათ უფიქსირდებათ.

ჩვენ განვიზრახეთ ცდები გვეწარმოებია ისე, რომ ყოველ ინდივიდს საგანწყობოდ მიცემოდა მისივე ზღურბლის შესატყვისი განსხვავებული წრეები და, ამრიგად, შეგვექმნა ისეთი სიტუაცია, როცა მცირე განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობაც ყველა ცდ. პირში უგამონაკლისოდ ასიმილაციურად იმოქმედებდა (ანალოგიურად დიდ განსხვავებაზე შექმნილი განწყობის კონტრასტული მოქმედებისა); მაგრამ დაგვაბრკოლა იმან, რომ ამისათვის საჭირო იყო წრეების მრავალი ისეთი წყვილი გვექონოდა, რომელთა შორის სხვაობა სულ რაღაც მილიმეტრის მეთაფი ნაწილებით იმატებდა. და ასეთი წრეების დახაზვა კი ტექნიკურად შეუძლებელი იყო.

მაგრამ ჩვენ მივმართეთ სხვა გზას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ზღურბლის ზუსტად დადგენის საშუალებას არ იძლევა, მაინც სიმპტომატიური ჩანს და საბოლოო ანგარიშში მაინც ზღურბლის ფაქტორზე უთითებს.

ასიმეტრიის გაზომვის ცდებმა გვიჩვენა (იხ. ცხრილები № 10, 11), რომ ნახევარი მილიმეტრით განსხვავებულ 26—25.5 მილიმეტრიან წრეებს ცდ. პირები მეტწილად ატოლებენ; მაგრამ მცირე %-ით ვხვდებით ისეთებსაც, რომელნიც რამდენიმეჯერ ზედიზედ სწორ შეფასებას იძლევიან (განსხვავებას ახერხებენ). ჩვენ გადაწყვიტეთ საგანგებოდ შეგვერჩია ასეთი ინდივიდები და განწყობის ფიქსაცია გვეწარმოებია იმავე ზომის წრეებით.

როგორც ძირითად ცდებში, ისე აქაც ცდ. პირს საგანწყობო წრეები სწორად უნდა შეედარებია ჯერ ხელში მიცემისას და ორივე სივრცითს განლაგებაში (დ—პ, პ—დ) და შემდეგ ტაქსტოსკოპურადაც — სამჯერ პ—დ განლაგებაში (25,5—26), რის შედეგად წარმოებდა კრიტიკული წრეების (26—26) ათჯერ ექსპოზიცია. ცლა შეეხო 45 ცდ. პირს და შეირჩა მხოლოდ 14 ინდივიდი. რომლებზეც საგანწყობო და კრიტიკული ცდების ჩატარება მოხერხდა.

რა თქმა უნდა, ცდ. პირებმა რომ 0,5 მმ განსხვავება სწორად შეამჩნიეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი „განსხვავების ზღურბლიც“ თითქოს ამ სიდიდისაა, რადგან სათანადოთ დაყენებულ ცდაში (რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ) მათ შეიძლება უფრო მცირე განსხვავებაც შეეძინიათ; მაგრამ, სამაგიეროდ უეჭველია ის, რომ აღნიშნული განსხვავება უფრო ახლოსაა ზღურბლთან და, მაშასადამე, ერთმილიმეტრიან განსხვავებასთან შედარებით უფრო ზღურბლურია, ვიდრე ზეზღურბლური. ამიტომ, თუ აღმოჩნდება, რომ ამ განსხვავების პირობებში ფიქსირებული განწყობის ასიმულაციური მოქმედება უფრო ხშირია, ვიდრე იგი წინა ცდებში იყო, ეს მაჩვენებელი იქნება იმის, რომ მნიშვნელობა ჰქონია საგანწყობო გამლიზიანებლის ზღურბლთან სიახლოვეს და, მაშასადამე, საერთოდ ზღურბლის ფაქტორს.

შედეგები წარმოდგენილია კრებვით ოქმში (№ 8). ამ ოქმიდან ჩანს შემდეგი:

ერთ ცდ. პირს (№ 1) მოუცია ათჯერვე „—გადაფასება“ (ე. ი. დიდად აღუქვამს მარჯვენა კრიტიკული წრე. რომელიც დიდი საგანწყობო წრის ადგილას ექსპონირდებოდა!), ხოლო შვიდ ცდ. პირს — პეტწილად (6—9-ჯერ) „—გადაფასებები“ და აქა-იქ გამორევით სხვა შეფასებებიც (№№ 2—8). ვფიქრობთ. სადაო არაა, რომ აღნიშნულ ცდ. პირებთან 0,5 მმ განსხვავებულ წრეებით ფიქსირებულ განწყობას ასიმულაციურად უმოქმედნია და აქა-იქ გაჩენილი „+ გადაფასებები“ (მარცხნივ კრიტიკული წრის გადაფასება) მხოლოდ შემთხვევით შეცდომებს წარმოადგენენ (ე. ი. არა კონტრასტულ ილუზიებს); მაგრამ არც მომდევნო ორ ცდ. პირთანაა იგი საეჭვო. რადგან ერთ მათგანთან (№ 9) უბრალოდ ისე მომხდარა, რომ განწყობას თავიდანვე ასიმულაციურად უმოქმედნია (ხუთი „—გადაფასება“) და შემდეგ აღკვეთილა (ოთხი ტოლობა და ერთი „თავის შეკავება“). ხოლო მეორესთან (№ 10) კი ჯერ კონტრასტულად უმოქმედნია (სა-

მი „+ გადაფასება“) და შემდეგ. დასუსტების გამო, — ასიმილა-
ციურად (შვიდი „—გადაფასება“).

მკმნი № 8

ც.პ. N N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2	-	?	-	-	-	-	-	-	-	-
3	?	-	-	-	?	-	-	-	?	-
4	-	+	-	-	-	-	-	-	?	-
5	-	+	-	-	+	-	-	-	-	?
6	+	-	-	-	-	-	+	-	-	-
7	=	-	-	-	-	=	+	-	=	-
8	-	-	-	-	-	=	=	-	+	-
9	-	-	-	-	=	=	=	=	?	-
10	+	+	+	-	-	-	-	-	-	-
11	+	+	+	+	-	+	-	+	+	+
12	?	+	+	-	+	+	+	+	+	+
13	+	+	?	?	+	-	+	?	+	+
14	=	+	=	+	+	=	=	=	=	+

მკმნი № 9

ც.პ. N N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	-	-	+	+	-	-	-	-	-	-
2	+	?	+	+	+	-	?	+	+	+
3	+	+	+	+	+	+	-	+	-	+
4	+	-	-	-	+	+	-	-	+	-
5										
6	+	?	+	+	+	+	-	+	+	+
7	+	+	+	+	=	+	-	+	+	+
8	+	+	+	=	-	-	+	=	+	+
9										
10	+	+	-	+	=	?	+	+	+	+
11	+	+	+	?	+	=	+	+	?	+
12	+	+	+	+	+	+	-	+	+	=
13	+	+	+	=	=	=	+	=	+	=
14										

რაც შეეხება დანარჩენი ოთხი ცდ. პირის პასუხებს, აქ მდგომარეობა სხვანაირია: სამ ცდ. პირს (№ 11—13), სრულიად გარკვევით. განწყობის კონტრასტული მოქმედება უდასტურდება (მეტწილად „+ გადაფასება“), მაგრამ ერთთან (№ 14) „+ გადაფასების“ შემთხვევები აქა-იქ გაბნევით უმცირესობაშია და გარკვევით არ ჩანს იმოქმედა თუ არა განწყობამ კონტრასტულად.

ამრიგად, საერთო შედეგი ასეთია: ნახევარი მილიმეტრით განსხვავებული წრეების (25,5—26) სამჯერ ექსპოზიციით ცდ. პირების 71,4%-ს ასიმილაციური განწყობა გაუფიქსირდა და 21,4%-ს — კონტრასტული (ერთ ცდ. პირთან მდგომარეობა გაურკვეველია!). შევადაროთ ახლა ეს მონაცემები ძირითად ცდებში მიღებულ შედეგებს, რომელნიც წარმოდგენილია ცხრილებში №№ 3,4,5,6. განსხვავება თვალსაჩინოა: ძირითად ცდებში ასიმილაციური განწყობის ცდ. პირთა % ყველგან საგრძნობლად მცირეა (50, 53,1, 57,1 56,3). ვიდრე უკანასკნელ ცდაში (71,4%), ხოლო კონტრასტული განწყობის ცდ. პირთა % კი, პირიქით, აქ უფრო მცირეა (21,4%), ვიდრე

ძირითად ცდებში (30, 28,1, 28,6, 25). ეს ფაქტი უთუოდ ზღურბლის მნიშვნელობას მოწმობს: შერჩეულ 14 ცდ. პირისათვის საგანწყობო წრეებს შორის ნახევარმილიმეტრიანი განსხვავება უთუოდ ერთნაირად ზღურბლური იყო — ან ერთნაირად დაახლოვებული ზღურბლთან — და ამიტომ აბსოლუტურ უმრავლესობასაც ასიმილაციურად მოქმედი განწყობა გაუფიქსირდა; ძირითად ცდებში კი წრეების ერთმილიმეტრიანი განსხვავება არ იყო ყველასათვის ასე „ერთნაირად მიახლოვებული ზღურბლთან“: ზოგისათვის იგი ზღურბლური ან ზღურბლთან მიახლოვებული უნდა ყოფილიყო და, როგორც ასეთი, ასიმილაციურ განწყობას გააფიქსირებდა, ხოლო ზოგისათვის კი ზეზღურბლური იქნებოდა და ამიტომ ბევრ ცდ. პირს კონტრასტულ განწყობას შეუქმნიდა. ერთი სიტყვით, დადასტურებული განსხვავება კანონზომიერი მოვლენაა, რომელიც ზღურბლის ინტერინდივიდუალურად განსხვავებულობის ფაქტს ასახავს.

მაგრამ აღნიშნულმა განსხვავებამ ჩვენს წინაშე ახალი საკითხი დააყენა და სხვანაირი ცდის საჭიროებაც დაბადა, სახელდობრ: თუ შერჩეულ ცდ. პირებიდან უმრავლესობამ იმიტომ უჩვენა განწყობის ასიმილაციური მოქმედება, რომ საგანწყობო წრეების ნახევარმილიმეტრიანი განსხვავება მათთვის ზღურბლური იყო, მაშინ ერთმილიმეტრიან განსხვავებას, როგორც ყველასათვის ერთნაირად ზეზღურბლურს, საწინააღმდეგო შედეგი უნდა ეჩვენებინა! ამ ვარაუდით ჩვენ ჩავატარეთ ცდები შერჩეულ 14 ინდივიდიდან 11-ზე (სამ ინდივიდს ვერ მივაკვლიეთ!) დაახლოებით ორი თვის შემდეგ. შედეგები წარმოდგენილია ოქმში № 9 (ცდ. პირების იმავე ნუმერაციით, რაც ოქმში № 8) და, როგორც ვხედავთ, ეფექტი მართლაც საწინააღმდეგოა იმის, რაც პირველმა ცდამ უჩვენა: თუ პირველ ცდაში დიდ უმრავლესობას (71,4%) ასიმილაციური განწყობა დაუდასტურდა, აქ იმავე ცდ. პირებიდან დიდმა უმრავლესობამ (11-დან 9=81,8%), პირიქით, კონტრასტული განწყობა უჩვენა.

ამრიგად, ჩვენი დასკვნა ძალაშია: ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობის ორნაირი მოქმედება (ზოგ ინდივიდთან ასიმილაციური და ზოგთან კონტრასტული), რაც ძირითადად ცდებმა გვიჩვენა, კანონზომიერი მოვლენაა და შედეგია მხოლოდ იმის, რომ აღნიშნული განსხვავება ზოგისათვის ზღურბლურია და ზოგისათვის ზეზღურბლური. და ისე რომ მოხერხებულიყო, რომ ყოველ ინდივიდს განწყობის ცდა სავსებით მისივე

ზღუდბლის შესატყვისი ზომის წრეებით ჩატარებოდა, მაშინ განწყობის ასიმილაციური მოქმედება უთუოდ ისევე უგამონაკლისო იქნებოდა, როგორც დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის კონტრასტული მოქმედება.

§ 14. ასიმილაციური განწყობის ფაზური მოქმედების შესახებ

1. ცდის შედეგები. — განწყობის კლასიკურ ცდებიდან ვიცით, რომ დიდი განსხვავების წრეებით ფიქსირებული განწყობის კონტრასტული მოქმედება თანდათან სუსტდება და დასუსტების პროცესში, ვიდრე აღიკვეთებოდეს, რამდენიმე ფაზას განვლის. ეს ფაქტი სრულიად ბუნებრივი და გასაგები მოვლენაა: ტოლი გამღიზიანებლების კრიტიკული სიტუაცია, რომელშიც ფიქსირებულ განწყობას უხდება მოქმედება, განსხვავდება ამ განწყობის შემქმნელ სიტუაციისაგან, და ესაა მიზეზი იმის, რომ განწყობის კონტრასტული მოქმედება თანდათან სუსტდება და ბოლოს კიდევ აღიკვეთება. მაგრამ აღნიშნულ მიზეზს ადგილი აქვს იქაც, სადაც ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობა ასიმილაციურად მოქმედებს და, მაშასადამე, ფაზური დასუსტება და აღკვეთა ასეთ განწყობისთვისაც უნდა იყოს დამახასიათებელი. ჩავატარეთ შემდეგი ცდა.

ცდ. პირს განწყობას ვუფიქსირებდით ერთი მმ განსხვავებული წრეების სამჯერ ექსპოზიციით 3—დ განლაგებაში (25—26) და შემდეგ, პაუზის შეუცვლელად, ვუჩვენებდით ტოლ (26—26) წრეებს განმეორებით მანამდე, ვიდრე იგი არ დაადასტურებდა სამჯერ ზედოზედ ტოლობას; ხოლო ვისთვისაც ეს შეუძლებელი იყო, ცდას ვწყვეტდით 30-ე ექსპოზიციასზე.

როგორც ძირითად ცდებში, ისე აქაც კრიტიკული ცდა ტარდებოდა მხოლოდ მათზე, ვინც საგანწყობო წრეებს სწორად ანსხვავებდა ხელში მიცემითაც და ტაქისტოსკოპურადაც. 32 ინდივიდიდან ცდის ჩატარება მოხერხდა 25-ზე (შვიდი გაირიცხა). ოქმი № 10 შეიცავს მათ პასუხებს.

ჯერ თვალი მოვაგლოთ პირველი ათეული ექსპოზიციის გასწვრივ მიღებულ შეფასებებს. წინა ცდებისნაირად აქაც ინდივიდების ოთხი ჯგუფი გამოიყოფა.

ც. 3.																														
ნ. ნ.	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	?	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
3	-	-	-	-	-	-	-	+	-	-	+	-	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	+	-	+	-	+	+	
4	-	-	-	-	-	-	-	+	+	+	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	+	-	
5	-	-	-	-	-	+	-	+	+	+	+	+	+	-	-	-	-	-	-	-	+	-	+	-	-	-	+	+	-	
6	-	-	-	+	?	-	-	-	+	+	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	+	+	-	-	+	-	-	-	-	
7	-	-	+	-	-	-	-	-	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
8	-	-	+	-	+	+	-	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	-	+	-	+	
9	-	-	-	+	+	+	-	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	+	+	-	-	-	-	-	-	+	
10	-	+	-	-	-	+	?	-	-	-	+	-	-	-	+	+	?	-	-	-	-	+	-	?	-	-	+	+	-	
11	-	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	
12	-	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
13	-	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
14	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-	+	-	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	
15	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
16	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
17	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
18	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
19	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
20	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
21	-	-	+	-	+	-	+	-	+	-	-	-	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
22	+	-	-	-	+	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
23	-	+	-	-	+	-	+	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
24	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
25	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	

1. პირველ ორ ცდ. პირს ათჯერვე „—გადაფასება“ მოუცია (გადაფასება დიდი საგანწყობო წრის მიმართულებით; „მარჯვნივ დიდ“); მაშასადამე, განწყობის ასიმულაციური მოქმედება მათთან სრულიად უეჭველი ფაქტია. მაგრამ არა ნაკლებ უეჭველია იგი მომდევნო 12 ცდ. პირთანაც, რომელთაც უმეტესად (6—9-ჯერ) მოუციათ „—გადაფასებები“ და მხოლოდ აქა-იქ გამორევით ტოლობა და „+ გადაფასება“⁴⁶;

⁴⁶ საკუთრივ „+ გადაფასების“ შემთხვევათა მისანართით აქ ახალა საინტერესო გარემოებაც ირკვევა! თუ მივიღებთ, რომ ისინი ასიმეტრიით გამოწვეული გადაფასებებია, უნდა მივიღოთ ისიც, რომ მცირე განსხვავებაზე შექმნილი

2. მეორე ჯგუფს ქმნიან ცდ. პირები (№№ 14—20), რომლებთანაც განწყობას კონტრასტულად უმოქმედნია;

3. მომდევნო სამ ცდ. პირთან არც ერთი სახის შეფასების უმეტესობა არ ჩანს და ამიტომ გარკვევით ვერ იტყვი (№№ 21—23), კონტრასტულად იმოქმედა განწყობამ თუ ასიმილაციურად;

4. რაც შეეხება უკანასკნელ ორ ცდ. პირს, მათ განწყობა საერთოდ არ გაფიქსირებიათ.

ამრიგად, დასტურდება იგივე, რაც ზემოთ ძირითადად ცდებმაც გვიჩვენა: ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობა ინდივიდების დიდ ჯგუფთან (13=52%) ასიმილაციურად მოქმედებს და უფრო მცირე შემადგენლობის ჯგუფთან (7=28%) კონტრასტულად. ვნახოთ ახლა, როგორია ამ განწყობის ფაზური მოქმედება აღნიშნულ ჯგუფებში ცალ-ცალკე.

ცხადია, განწყობის კონტრასტულმა მოქმედებამ აქაც იგივე ფაზები უნდა გვიჩვენოს, რაც საერთოდ კლასიკური ცდებითაა ცნობილი: I = კონტრასტული ილუზიების ფაზა, II = ასიმილაციური ილუზიების ფაზა და III = ტოლობის ფაზა. მაგრამ განწყობის ასიმილაციური მოქმედება მხოლოდ ორფაზიანი შეიძლება იყოს: I ფაზა, როცა იგი თავიდანვე რამდენიმე ასიმილაციურ ილუზიას ანუ „—გადაფასებას“ იძლევა. და II ფაზა, როცა ამ ასიმილაციურ ილუზიებთან მონაცვლეობით (აქა-იქ გამორევით!) ტოლობის, „თავის შეკაების“ და „+ გადაფასების“ შემთხვევებიც ჩნდებიან. რაც შეეხება განწყობის აღკვეთას ანუ ჩაქრობას, როგორც ვიცით, კონტრასტული განწყობის შემთხვევაში ამის მაჩვენებლად მიღებულია 3-5-ჯერ ტოლობის დადასტურება, და იგივე უნდა იქნას მიღებული ასიმილაციური განწყობის აღკვეთის მაჩვენებლადაც.

განწყობის ასიმილაციური მოქმედების ფაზურს მიმდინარეობაში ასიმეტრიას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია; მაგალითად: ცდ. პირმა № 4 პირველად ექსპოზიციაში მოგვცა შვიდი ასიმილაციური ილუზია („— გადაფასება“) და შემდეგ ზედიზედ სამი „+ გადაფასება“; თითქოს ამის შემდეგ, რაკი ასიმეტრიამ თავი იჩინა, განწყობას სრულიად აღარ უნდა ემოქმედა, მაგრამ მოხდა სწორედ საწინააღმდეგოდ: მომდევნო 20 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ გაჩნდა 13 „— გადაფასება“ და, აქა-იქ გამორევით, მხოლოდ სამი „+ გადაფასება“ და ოთხი „ტოლობა“, მაშასადამე, მიუხედავად ასიმეტრიის „გამოჩენისა“, ასიმილაციურმა განწყობამ მაინც იმოქმედა. და *mutatis mutandis* იგივე ითქმის სხვა ცდ. პირებზეც. რომელთაც ნეტანაწილად ასიმილაციური ილუზია მოუციათ და აქა-იქ გამორევით „+ გადაფასება“.

თუ პირველ ფაზად ჩავთვლით ყველა ისეთ შემთხვევას, როცა ცდ. პირი თავიდანვე ორს ან მეტ ილუზიას იძლევა, და მეორე ფაზად ისეთს, როცა იგი აქა-იქ გამორევით სხვა შეფასებებსაც გვაძლევს, მაშინ ასიმულაციური განწყობის 13 ინდივიდიდან I-II ფაზიანი მოქმედება თერთმეტს უდასტურდება (№№ 1—9, 11, 12) და თავიდანვე II-ფაზიანი — ორს (№№ 10, 13).

ოქმზე უბრალო თვალის მოვლება გვიჩვენებს, რომ რა შეფასებებიც ცდ. პირთ პირველ ათეულ ექსპოზიციაში მოუციათ, თითქმის იგივე შოუციათ მეორე და მესამე ათეულ ექსპოზიციაშიც. არ ჩქნება ზედმეტი ეს ვითარება რიცხვებშიც იქნას გამოსახული:

პირველი ათი ექსპოზიციის ფარგლებში 13 ცდ. პირის 130 შეფასებიდან „—გადაფასების“ ანუ ასიმულაციური ილუზიის სიხშირეა 97 (74,6%), მეორე ათეულში — 89 (68,5%), ხოლო მესამეში 10 ცდ. პირს 100 შეფასებიდან—68 (68%), ე. ი. კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ განწყობის ასიმულაციური მოქმედება მაინცდამაინც დიდათ არ შესუსტებულა და ცდა რომ გაკვეგრძელებია, შესაძლებელია კიდევ რამდენიმე ათეული ექსპოზიცია იქნებოდა საჭირო იმისათვის, რომ იგი მთლად დასუსტებულიყო და ბოლოს სრულიად აღკვეთილიყო. ფაქტობრივად კი 30 ექსპოზიციის გასწვრივ იგი აღიკვეთა მხოლოდ სამ ინდივიდთან (№№ 11—13), რომლებმაც 21—22 ექსპოზიციიდან მოყოლებული ზედიზედ სამი ტოლობა უჩვენეს. ერთი სიტყვით, განწყობის ასიმულაციური მოქმედება ცდ. პირების დიდ უმრავლესობასთან მტკიცე და „სტატიკური“ აღმოჩნდა (76,9%), ხოლო უმცირესობასთან კი — უფრო სუსტი და დინამიკური (23,1%).

კონტრასტული განწყობის ინდივიდებთან მდგომარეობა საწინააღმდეგოა: რომელიღაც ექსპოზიციის შემდეგ ისინი სამჯერ ტოლობას (სწორ შეფასებას) იძლევიან და, მაშასადამე, ყველას დინამიკური განწყობა უდასტურდება.

შენიშვნა: ცდ. პირს № 17 ჯერ მოუცია ზედიზედ ხუთი კონტრასტული ილუზია, შემდეგ ზედიზედ ექვსი „—გადაფასება“ ანუ ასიმულაციური ილუზია, შემდეგ აქა-იქ გამორევით ტოლობა და იქვე კონტრასტული ილუზია და მე-21 ექსპოზიციიდან კი განწყობია მოქმედება შეწყვეტია. ამ ინდივიდს რომ ცდა წინა ცდებისნაირად ჩატარებოდა.—ე. ი. მხოლოდ ათი კრიტიკული ექსპოზიციით, შედეგი იქნებოდა: ხუთი „+ გადაფასება“ და შედეგ ხუთი „— გადაფასება“.

თუ გავიხსენებთ, წინა ცდებში ასეთ ინდივიდებს ჩვენ მართლაც ვხვდებოდით და ყველას მათ „ასიმულაციური განწყობის“ ცდ. პირთა ჯგუფს“

ვაკეთუნებდით. რადგან ვგულისხმობდით, რომ მათთან ბიკრე განსხვავებაზე ფიქსირებულმა განწყობამ ჯერ კონტრასტულად იმოქმედა და შეაძვგ. დასუსტების გამო, ასიმილაციურად. მაგრამ აქ ასეთ ცდ. პირს ჩვენ „კონსტრასტული განწყობის ინდივიდუალური ვარიანტი“ ვათავსებთ. რატომ? იმიტომ რომ მოციულო — გადაფაქების ანუ ასიმილაციური ილუზიები. სრულიად გარკვევით, კონსტრასტული განწყობის ფაქტორი მოქმედების მარჯვენა ბელია. და უთუოდ საგულისხმო გარემოებაა ისიც, რომ მსგავს შემთხვევას კიდევ ორ სხვა ცდ. პირთანაც (№№ 15, 18) ვხვდებით. ყველა ეს შემთხვევა უპიკვლად ჩვენი წინანდელი ანალიზის სისწოლის ნაჩვენებელია.

აღწერილ შედეგებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ასიმილაციური განწყობის „მეტწილად სტატიკურობის ფაქტი“, რომლებზედაც საგანგებოდ უნდა შევიჩერდეთ.

2. ასიმილაციური განწყობა და „სუსტი განწყობის დებულება“. — როგორც ცნობილია, დ. უზნაძის შეხედულებით კონტრასტული განწყობა ძლიერია, ასიმილაციური კი — სუსტი. პირველის სიძლიერე ისაა, რომ ტოლი წრეების არატოლად აღქმის კონტრასტული ილუზია „დიდია“, ისინი როგორც დიდათ განსხვავებულნი აღიქმებიან, რის გამო ილუზიაც დიდხანს არ ჰქრება და თავს იჩენს მრავალი კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ. ასიმილაციური განწყობის შემთხვევაში კი ილუზია „მცირეა“, ცდ. პირს ტოლი წრეები ოდნავ განსხვავებულად ეჩვენება და ამიტომ ილუზიაც მალე ჰქრება. ერთი სიტყვით, კონტრასტული ილუზია განწყობის სიძლიერის მარჯვენა ბელია. ხოლო ასიმილაციური ილუზია კი — სისუსტის.

სუსტი და ძლიერი განწყობის დებულება საფუძვლად უდევს „განწყობის შეცვლის ძირითად კანონს“. ეს კანონი, როგორც ზემოთაც ითქვა, შემდეგს გულისხმობს: ტლანქ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობა ტოლი წრეების კრიტიკულ სიტუაციას, როგორც შეუფერებელს, ვერ იგუებს ანუ ვერ იასიმილირებს; ამიტომ იგი საწინააღმდეგო განწყობით იცვლება, რომელიც ამ სიტუაციის ასიმილაციას ახერხებს, და ასე ჩნდება კონტრასტული ილუზია. მაგრამ კონტრასტული ილუზიის მრავალჯერ გამოწვევით, ე. ი. მრავალჯერ შეცვლის გამო, პირველადი განწყობა სუსტდება და ამიტომ, ემსგავსება რა მცირე განსხვავებაზე ფიქსირებულ განწყობას, შემდეგ უკვე აღარც იცვლება (საწინააღმდეგო განწყობით) და უშუალოდ თვითონვე მოქმედებს ისე, როგორც ეს საერთოდ მცირე განსხვავებაზე ფიქსირებულ ასიმილაციურ განწყობას შეუძლია, — და ასე ჩნდება ასიმილაციური ილუზიები. ერთი სიტყვით, დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობა კონტრასტულ ილუზიებს აჩენს მანამდე,

სანამ იგი ძლიერია, და ასიმილაციურს — იმ მომენტიდან, როცა იგი დასუსტდა და მცირე განსხვავებაზე ფიქსირებულ განწყობას დაემსგავსა. დ. უზნაძის თეორის თანახმად ასიმილაციური ილუზია სუსტი განწყობის ეფექტია.

ამ გაგების თვალსაზრისით ჩვენი შედეგები თითქოს ძალზე უცნაურად გამოიყურება და არ ეთანხმება იმას, რასაც „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი“ გულისხმობს. მართლაცაა, თუ ასიმილაციურ ილუზიას სუსტი განწყობა იმიტომ აჩენს, რომ იგი „მცირე განსხვავებისადმი განწყობაა“, მაშინ რატომ ისე უნდა მომხდარიყო, რომ ჩვენს ცდებში სპეციალურად ამ მცირე განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედება ინდივიდების აბსოლუტურ უმრავლესობასთან (76.9%) სტატიკური. მყარი ანუ ძლიერი აღმოჩნდა და უმცირესობასთან კი (23.1%) დინამიკური. წარმავალი ანუ სუსტი (30 კრიტიკული ექსპოზიციის ფარგლებში) ? ე. ი. როგორ მოხდა. რომ ოდნავ განსხვავებული წრეებით ფიქსირებულმა განწყობამ, პირიქით, როგორც ძლიერმა იმოქმედა და არა როგორც სუსტმა?!

ჩვენი ცდების უარყოფა არ შეიძლება. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ იგი სხვა ინდივიდებზეც შევამოწმეთ და სავსებით იგივე შედეგი მივიღეთ. მაგრამ, ცხადია, არც განწყობის შეცვლის კანონის უარყოფა შეიძლება, რადგან განწყობის შეცვლაც ფაქტია. ჩვენ ვფიქრობთ, წინააღმდეგობა შეიძლება მოიხსნას, თუ თავიდანვე ორნაირ ასიმილაციურ განწყობას განვასხვავებთ: 1. ასიმილაციურ განწყობას, რომელსაც ცდ. პირში ოდნავ განსხვავებული წრეების მრავალჯერ რეალური ზემოქმედებით ვკმნით და ნებისმიერად ვაფიქსირებთ, და 2. ასიმილაციურ განწყობას, რომელიც დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის ცდებში მბოლოდ კონტრასტული განწყობის შეცვლის შედეგად ჩნდება და რეალურად ფიქსირებულ ასიმილაციურ განწყობას, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს. ასეთი განსხვავებისათვის კი საფუძველიც არსებობს. დაუბრუნდეთ ისევ „განწყობის შეცვლის კანონს“.

კანონი ორ მომენტს გახაზავს. ერთი მომენტი ასეთია: დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობა ტოლი გამდიზიანებლების კრიტიკულ სიტუაციას, როგორც შეუფერებელს, ვერ იასიმილირებს; იმიტომ იგი საწინააღმდეგო განწყობით იცვლება, რომელიც ამ სიტუაციის ასიმილაციას ახერხებს, და ასე ჩნდება კონტრასტული

ილუზია. იგულისხმება, რომ ეს საწინააღმდეგო („შემცვლელი“) განწყობა თავის ბუნებით ასიმილაციურია, მაგრამ იგი არაა საგანგებოდ ფიქსირებული და ასეთია მხოლოდ ის პირველადი განწყობა, რომელსაც იგი ცვლის. შემცვლელი ასიმილაციური განწყობა მხოლოდ პირველადი განწყობის დარღვევის შედეგად ჩნდება და არა, რა თქმა უნდა, ოდნავ განსხვავებული გამლიზიანებლების რეალური ზემოქმედებით, როგორც ეს, მაგალითად, ჩვენს ცდებში ხდებოდა; ამიტომ იგი თუმცა ასიმილაციურია, მაგრამ ფიქსირებულ ასიმილაციურ განწყობას არ წარმოადგენს. ისმის საკითხი: როგორი უნდა იყოს ასეთი არაფიქსაციის გზით წარმოქმნილი ასიმილაციური განწყობა? — ალბათ უფრო სუსტი, ვიდრე მაშინ, რომ იგი საგანგებოდ და იზოლირებულად ყოფილიყო ფიქსირებული; და ჩვენმა ცდებმაც უთუოდ ეს უჩვენა.

მეორე მომენტი ასეთია: დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობა მრავალჯერ შეცვლის შედეგად სუსტდება და ამიტომ, იქცევა რა ასიმილაციურ განწყობად, შემდეგში უკვე აღარ იცვლება და უშუალოდ ასიმილაციურ ილუზიებს აჩენს. მაგრამ ეს ახლად გაჩენილი ასიმილაციური განწყობა იგივე არაა, რაც სპეციალურ ცდებში რეალური გამლიზიანებლებით გაფიქსირებული ასიმილაციური განწყობა, და არც შეიძლება იგივე იყოს იმიტომ, რომ, იგი გამოწვეულია პირველადი კონტრასტული განწყობის დასუსტებით და, როგორც ასეთი, თვითონაც სუსტია.

ამრიგად, „განწყობის შეცვლის კანონში“ უთუოდ სწორია ის, რომ დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული კონტრასტული განწყობა ჯერ საწინააღმდეგო ასიმილაციურ განწყობას აჩენს, და შემდეგ კი დასუსტების გამო პირდაპირ ასიმილაციურ განწყობად იქცევა; და სწორი და გასაგებია ისიც; რომ ორივე შემთხვევაში ეს „წარმოქმნილი“ ასიმილაციური განწყობები სუსტია; მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ ამ სუსტი განწყობებისნაირად საგანგებო ცდებით ფიქსირებულ ასიმილაციურ განწყობასაც სუსტად ჩავთვლიდით, რადგან ასეთი გაგება არც კანონიდან გამომდინარეობს და ფაქტებსაც ეწინააღმდეგება. ასიმილაციური განწყობა, რომელიც ჩვენს ცდებში ოდნავ განსხვავებული გამლიზიანებლების რეალური ზემოქმედებით იქმნება, არაა „ბუნებით სუსტი“, ვინაიდან იგი ფიქსირდება, მტკიცდება და ხანგრძლივ ფაზურ მოქმედებასაც ამჟღავნებს. „ბუნებით სუსტია“ მხოლოდ ის განწყობა, რომელიც კონტრასტული

(პირველადი) განწყობის შეცვლისა და დასუსტების შედეგად ჩნდება და რომლის გაფიქსირება-განმტკიცება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ერთი სიტყვით, როცა ვამბობთ: „სუსტი განწყობა ასიმილაციურ ილუზიას ბადებს“ ან „ასიმილაციური განწყობა სუსტია“, — მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ასე ხდება მხოლოდ განწყობის შეცვლის პირობებში და არა იქაც, სადაც ასიმილაციურ განწყობას დამოუკიდებლად ვაფიქსირებთ.

3. შედეგების ახსნა. — ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეების სამი ექსპოზიციით ფიქსირებულმა განწყობამ ყველა ცდაში ორგვარი მოქმედება გვიჩვენა: ინდივიდების ერთ ჯგუფთან — ასიმილაციური და მეორესთან — კონტრასტული; და როცა მისი ფაზური მიმდინარეობა ვიკვლიეთ, აღმოჩნდა, რომ, კერძოდ, ასიმილაციურად მოქმედი განწყობა უფრო ხშირად სტატიკურია, ვიდრე დინამიკური. (30 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ), იმ დროს როცა დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის კონტრასტული მოქმედება, პირიქით, მეტწილად დინამიკურია და იშვიათად სტატიკური. ზემოთ წარმოებულ ანალიზის შემდეგ ჩვენ ეს ფაქტი კანონზომიერ ფაქტად მიგვაჩნია, რომელიც სინამდვილეს ასახავს და ამიტომ უნდა აიხსნას. ისმის საკითხი: რა უნდა იყოს ამ, პირველი შეხედვით, თითქოს უცნაური ფაქტის მიზეზი? რატომ უნდა იყოს ოდნავ განსხვავებული წრეებით ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედება უფრო მტკიცე და ხანგრძლივი, ვიდრე კონტრასტული მოქმედება დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობისა? გასაღებს იძლევა შემდეგი, ჩვენ მიერ სხვა ცდებში დადასტურებული, ფაქტი.

განწყობის ექსპერიმენტული კვლევის პრაქტიკაში ცნობილია ე. წ. „ნეიტრალური შრიფტის კითხვის მეთოდი“, რომლითაც ცდ. პირს გარკვეულად კითხვის განწყობას ვუფიქსირებთ⁴⁷. ამ განწყობისათვის კონტრასტული ილუზია აბსოლუტურად უცხოა, იგი მხოლოდ ასიმილაციურად მოქმედებს, მხოლოდ ასიმილაციურ ილუზიებს ბადებს. და აი აქ ირკვევა შემდეგი:

1. როცა ცდ. პირს ლათინური შრიფტით კითხვის განწყობას ვუქმნით და შემდეგ, კრიტიკულ ცდაში ნეიტრალური შრიფტით დაწერილ რუსულ სიტყვებს ვუჩვენებთ (*Почва, мор, сушок*,

⁴⁷ ხ. ხოჯაევა, განწყობის სიმტკიცე და ფაზური ხასიათი კითხვის ჩვევის, მოქმედებაში, კრ. ფსიქოლოგია. III, 1945.

почта, кучер და სხვ.), იგი ამ სიტყვებსაც ლათინურად კითხულობს (ე. ი. „მონოპ“, „ციროკ“ და სხვ.), მაგრამ უსასრულოდ კი არა, არამედ: რამდენიმე პირველ სიტყვას კითხულობს ლათინურად და შემდეგ ზოგ სიტყვას — რუსულად, ზოგს — „შერეულად“, ზოგს — კვლავ ლათინურად და ბოლოს ყველა სიტყვას — მხოლოდ რუსულად; ე. ი. წრეებზე ფიქსირებული განწყობისნაირად კითხვის განწყობაც ფაზურად მოქმედებს, თანდათან სუსტდება და ბოლოს სრულიად აღიკვეთება.

2. მაგრამ ლათინურად კითხვის განწყობა უფაზოა, თუ ცდის პირს კრიტიკულ ცდაში რუსული სიტყვების ნაცვლად ნეიტრალური შრიფტით დაწერილ „უაზრო სიტყვებს“ მივაწოდებთ (*Сивец, чивсон, Речун, вумеу* და სხვ.). ასეთ სიტყვებს, რამდენიც უნდა იყოს იგი, ცდ. პირი უსასრულოდ ლათინურად კითხულობს და არასოდეს რუსულად კითხვაზე არ გადადის.

რატომაა პირველ შემთხვევაში კითხვის განწყობის მოქმედება ფაზური და სასრულიანი ანუ დინამიკური და მეორეში უსასრულო ანუ სტატიკური? მიზეზი უთუოდ შემდეგია: პირველ შემთხვევაში კრიტიკული სიტუაცია (ცნობილი რუსული სიტყვები) ლათინურად კითხვის განწყობის არაადეკვატურია; ამიტომ განწყობა თუმცა კი იასიმილირებს ანუ ძლევს ამ არაადეკვატურ სიტუაციას, მაგრამ მრავალჯერ დაძლევით თანდათან სუსტდება და ბოლოს სრულიად აღიკვეთება. ე. ი. აქ განწყობის დინამიკურობის მიზეზია სიტუაციის არაადეკვატურობა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს და კვეცავს მის მოქმედებას. მაგრამ მეორე შემთხვევაში კრიტიკული სიტუაცია, პირიქით, მაქსიმალურად შეესიტყვება ლათინურად კითხვის განწყობას, რადგან ნეიტრალური შრიფტით დაწერილ უაზრო სიტყვებში *Сивец, чивсон* და სხვ.) სრულიად არაფერია ისეთი, რაც მის მოქმედებას წინააღმდეგობას გაუწევდა და დაასუსტებდა; აქ ლათინურად კითხვის განწყობას არაფრის დაძლევა არ უხდება, აქ იგი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „თავის სიტუაციაშია“ და ამიტომ უსასრულოდ მოქმედებს: ე. ი. განწყობის სტატიკურობის მიზეზია კრიტიკული სიტუაციის შესატყვისობა საგანწყობოსთან.

ამრიგად, ცდა სრულიად ნათლად გვიჩვენებს, რომ კითხვის განწყობის სტატიკურობა-დინამიკურობა დამოკიდებულია საგანწყობო და კრიტიკული სიტუაციის შინაარსეულ მსგავსება-განსხვავებაზე. მაგრამ კითხვის განწყობა განწყობაა და ყოველი განწყობა გარკვეულ სიტუაციაში ფიქსირდება და მოქმედებს. მაშასადამე, სა-

განწყობო და კრიტიკული სიტუაციის მსგავსება-განსხვავების მნიშვნელობა ზოგადი კანონია და გაუგებარი იქნებოდა, რომ მას ყოველ სხვა განწყობის მოქმედებაშიც არ ჰქონდა ადგილი და, რა თქმა უნდა, კერძოდ სიდიდეებზე ფიქსირებულშიც; და აი სწორედ ამ კანონის ერთ-ერთი შემთხვევაა ის, რაც წრეების მცირე სხვაობაზე ფიქსირებულმა ასიმილაციურად მოქმედმა განწყობამ, განსხვავებით დიდ სხვაობაზე ფიქსირებულისაგან, „მეტი სტატიკურობისა და ნაკლები დინამიკურობის“ სახით გვიჩვენა.

15 და 30 მილიმეტრიანი წრეებით ფიქსირებული განწყობის მოქმედება კრიტიკულ 15 მილიმეტრიან ტოლ წრეებზე უგამონაკლისოდ კონტრასტულია, ხოლო ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით ფიქსირებულისა კი — მრავალ ცდ. პირთან ასიმილაციური. კონტრასტული ილუზია, რომელიც პირველ ცდაში ჩნდება, რა თქმა უნდა, „უფრო დიდი განსხვავების ილუზიაა“, ვიდრე მეორე ცდის ასიმილაციური ილუზია, და ამიტომ მას თითქოს უფრო დიდხანსაც უნდა გაეძლო; მაგრამ, როგორც დავინახეთ, ასე. არ ხდება და, პირიქით, „მცირე განსხვავების“ ასიმილაციური ილუზია უფრო დიდხანს ძლებს. — რატომ? მიზეზი უთუოდ შემდეგია:

მართალია, დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობა „დიდი განსხვავების ილუზიასაც“ აჩენს, მაგრამ სამაგიეროდ ეს ხდება საგანწყობოსგან ტლანქად განსხვავებულ კრიტიკულ სიტუაციაში, და როცა ეს სიტუაცია მრავალჯერ მეორდება, შეუძლებელია, რომ მან განწყობის აღკვეთა არ დააჩქაროს: ტოლი წრეების დიდი განსხვავება საგანწყობო დიდ წრისაგან (= 30 მმ) და, მაშასადამე, კრიტიკული სიტუაციის ტლანქი შეუფერებლობა შექმნილ განწყობასთან უთუოდ მალე დღის ამ განწყობის მოქმედებას და მალევე ახერხებს მის აღკვეთას მიუხედავად იმისა, რომ პირველი კონტრასტული ილუზიის სიდიდე (განსხვავების სიდიდის ილუზია) ძალიან თვალსაჩინო და საგრძნობია. ანალოგიას რომ მივმართოთ, აქ მდგომარეობა ისეთია, როგორიც იმ ადამიანთან. რომელიც მუშაობას მთელი თავისი ენერგიით იწყებს და ეფექტსაც დიდს იძლევა, მაგრამ სამაგიეროდ მალე იღლება და საბოლოო ანგარიშში შრომის ნაყოფიერებაც ჩვეულებრივზე ნაკლები გამოუდის. ერთი სიტყვით, კრიტიკული სიტუაციის საგანწყობოსაგან ტლანქი განსხვავება განწყობის მოქმედების ხანგრძლიობისათვის უარყოფითი ფაქტორია და გასაგებია, რომ აქ იგი ჩვეულებრივად დინამიკური ანუ წარმავალია და

მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში — სტატისტიკური (რაც უთუოდ ცდ. პირის ტიპოლოგიური თავისებურებით უნდა იყოს გამოწვეული).

მაგრამ სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე ჩვენს ცდებში, სადაც განწყობა ფიქსირდება ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეების ექსპოზიციით. თქმა არ უნდა, ეს განსხვავება ბევრ ცდ. პირისათვის „ზღურბლად მცირეა“ და ვისთვისაც კი იგი ნამდვილად ასეთია, ეს იმას ნიშნავს, რომ საგანწყობო და კრიტიკულ სიტუაციებს შორის ტლანქი განსხვავება აღარ არსებობს: საგანწყობო სიტუაცია მსგავსია კრიტიკულის, რადგან, უკანასკნელი რომ ტოლი წრეების სიტუაციაა, პირველიც — თუ შეიძლება ასე ითქვას — „თითქმის ტოლი წრეების“ სიტუაციას წარმოადგენს. და რა უნდა მოხდეს ასეთ პირობებში? როგორ უნდა იმოქმედოს ამ ზღურბლურად მცირე განსხვავებაზე შემუშავებულმა განწყობამ, თუ იგი ცდ. პირს მართლაც გაუფიქსირდა? განა მხოლოდ ისე, რომ ერთი ან ორი ასიმილაციური ილუზია გააჩინოს და მყისვე აღიკვეთოს?

მართალია, ასიმილაციური ილუზია, რომელსაც ასეთი განწყობა აჩენს, კონტრასტულ ილუზიასთან შედარებით, „მცირე სიდიდის“ ანუ „მცირე სხვაობის ილუზიაა“, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი ქვემდებარე განწყობა სუსტია. აღნიშნული განწყობა ფიქსირებულია როგორც სწორედ „მცირე განსხვავების აღქმის განწყობა“ და, ვინაიდან კრიტიკული სიტუაციაც ტლანქად არ სხვაობს და, პირიქტ, კიდევ ემსგავსება მას, ამიტომ იგი ადვილად ახერხებს მის ასიმილაციას და ამ „სიდიდით მცირე“ ასიმილაციური ილუზიის სახით ხანგრძლივითაც მოქმედებს. ერთი სიტყვით; ერთი მილიმეტრით განსხვავებული წრეებით შემუშავებული განწყობის ასიმილაციური მოქმედება არ ხვდება კრიტიკული სიტუაციის მხრივ ისეთ დიდ წინააღმდეგობას, როგორსაც, ჩვეულებრივ, დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობა ხვდება, და სწორედ ესაა მიზეზი იმის, რომ ცდ. პირთა მასაში იგი უფრო ხშირად ხანგრძლივი და სტატისტიკურია (76,9%) და უფრო იშვიათად დინამიკური (23,1%).

ზემოთქმულის შემდეგ გასაგები ხდება ისიც, რომ იმავე მცირე განსხვავებაზე შემუშავებული განწყობის კონტრასტული მოქმედება ყველა ცდ. პირთან დინამიკური ხასიათის აღმოჩნდა. როგორც ზემოთ გავარკვეეთ, ვინაიდან ჩვენი წრეების ერთმილიმეტრიანი განსხვავება ზოგი ცდ. პირისათვის ზეზღურბლურია და, მაშასადამე,

საკმაოდ დიდი, ამიტომ მათთან იგი კონტრასტულად მოქმედ განწყობას აფიქსირებს; მაგრამ, მეორეს მხრივ, ზეზღურბლურობა“ იმასაც ნიშნავს, რომ კრიტიკული სიტუაცია მკვეთრად სხვაობს საგანწყობოსაგან, და სწორედ ესაა მიზეზი იმის, რომ განწყობის კონტრასტული მოქმედება მალე სუსტდება და აღიკვეთება ანუ დინამიკური ხდება.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ: მცირე განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედების „მეტწილად სტატიკურობა“ და კონტრასტული მოქმედების „მხოლოდ დინამიკურობა“ კანონზომიერი მოვლენაა, რომელსაც საგანწყობო და კრიტიკული სიტუაციების მსგავსება-განსხვავების მეტნაკლებობა აჩენს. ამ ფაქტორის ძალა ჩვენ პირველად „კითხვის განწყობის ცდებმა“ გვიჩვენა და, როგორც ახლა ვხედავთ, იგი სიდიდეებზე ფიქსირებული განწყობის მოქმედებაშიც უეჭველი ფაქტია.

§ 15. ფიქსაციის ხარისხის ფაქტორი განწყობის ასიმილაციურ მოქმედებაში

ოდნავ განსხვავებული წრეების სამი ექსპოზიციით შექმნილი ასიმილაციური განწყობის ფაზური მოქმედება სტატიკური აღმოჩნდა (30 კრიტიკული ექსპოზიციის ფარგლებში) ცდ. პირების უმრავლესობასთან და დინამიკური — უმცირესობასთან, და იყვნენ ისეთნიც, რომელთაც იგი საერთოდ არ შეუმუშავდათ. ისმის საკითხი: როგორი იქნებოდა ამ განწყობის მოქმედება საგანწყობო ექსპოზიციების უფრო ნაკლები და მეტი რაოდენობის პირობებში? რა ცვლილებას მოგვცემდა მისი ფიქსირებულობის ხარისხი? ამ საკითხის გარკვევის მიზნით ჩვენ ჩაატარეთ შემდეგი ორი ცდა:

1. ცდა რვა საგანწყობო ექსპოზიციით 20 ინდივიდზე, რაც. ცხადია, მოსახერხებელი იყო მხოლოდ დიდი შერჩევის შედეგად (ცდა შეეხო 80 ინდივიდს, რომელთაგან მხოლოდ ოცმა შეძლო საგანწყობო წრეების რვაჯერვე სწორად გარჩევა); და 2. ცდა ერთი საგანწყობო ექსპოზიციით აგრეთვე 20 ინდივიდზე. ორივე შემთხვევაში ცდა წარმოებდა სავსებით წინა ცდებისნაირად (საგანწყ. წრეები: 25—26 მმ პ—დ განლაგებით; კრიტიკულნი: 26—26 მმ). ჯერ განვიხილოთ უკანასკნელი ცდის შედეგები, რომელნიც წარმოდგენილია ოქმში, № 11.

ც.ს. N.N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
1	-	-	-	-	=	=	-	-	-	-	+	-	-	=	=	-	-	=	=	=										
2	+	-	-	-	-	-	-	-	+	?	-	-	-	+	-	-	-	+	-	-	-	+	-	+	=	=	=	=		
3	-	-	=	=	=	-	-	-	-	-	=	-	-	+	-	=	=	=												
4	-	-	-	-	-	=	-	-	-	+	-	=	=	=																
5	-	-	-	+	-	=	+	=	=	=																				
6	+	+	+	+	+	=	+	+	+	+	=	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-	+	=	-	+	+	=	=	
7	+	?	+	+	?	-	=	+	+	=	+	-	=	+	=	=	=													
8	+	+	+	+	+	-	+	=	+	+	-	+	=	=	=															
9	=	+	+	+	=	?	-	=	=	=																				
10	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	-	+	=	+	-	=	=													
11	+	=	-	+	-	=	-	+	+	=	-	=	+	=	=															
12	+	?	-	?	+	-	+	-	+	=	=	=	=																	
13	?	+	?	-	+	-	?	+	=	=	=																			
14	+	?	-	=	=	+	-	=	=	=																				
15	-	+	+	-	=	=	=																							
16	=	=	+	=	?	=	=	=																						
17	=	=	-	?	=	=	=																							
18	=	?	=	=	=	=																								
19	=	-	=	=	=																									
20	=	=	=	=																										

როგორც ვხედავთ, აქ სურათი სხვანაირია, ვიდრე წინა ოქმებში, და საკმაოდ „კრელიც“. მაგრამ იმის თქმა, რომ ერთ საგანწყობო ექსპოზიციას სრულიად არაფერი არ გაუკეთებია, უთუოდ შეცდომა იქნებოდა.

ხუთ ცდ. პირზე (№№ 16—20) დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მათ განწყობა საერთოდ არ შექმნიათ; ექვს ცდ. პირთან (№№ 10—15) მდგომარეობა გაურკვეველია, რადგან მათ პასუხებში ორივე სახის გადაფასება თითქმის თანაბარი რაოდენობით გვხვდება და დანამდვილებით ვერ იტყვი, იმოქმედა განწყობამ თუ არა. მაგრამ დანარჩენ ცდ. პირებთან განწყობის მოქმედება სრულიად უეჭველია; მაგალითად: ცდ. პირს (№ 1) ჯერ მოუცია ოთხი „—გადაფასება“, შემდეგ აქა-იქ, გამორევით სხვა შეფასებებიც და ბოლოს სამჯერ ტოლობა (მე-18 ექსპოზიციიდან), ე. ი. მასთან განწყობას

I-II ფაზიანი ასიმილაციური მოქმედება უჩვენებია და შემდეგ აღკვეთილ; და შესატყვისად იგივე ითქმის მომდევნო ოთხ ცდ. პირზეც (№№ 2--5), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სამ მათგანთან განწყობის აღკვეთა უფრო ადრე მომხდარა და ერთთან უფრო გვიან (№ 2). ასევე შექველი ჩანს განწყობის კონტრასტული მოქმედებაც. რომელიც ოთხ ცდ. პირს უდასტურდება და ოთხივესთან I-III ფაზიანია. შევადაროთ ახლა ეს მონაცემები წინა ცდებში მიღებულ შედეგებს.

მთავარი განსხვავება შემდეგია: 1. წინა ცდაში, რომელიც სამი საგანწყობო და 30 კრიტიკული ექსპოზიციით წარმოებდა, განწყობის ასიმილაციური მოქმედება დაუდასტურდა ცდ. პირების 52%-ს და კონტრასტული 28%-ს; ერთი საგანწყობო ექსპოზიციით ჩატარებულ ცდაში კი შესატყვისი პროცენტები მცირეა: 25%—20%; 2. იქ ასიმილაციური განწყობის ფაზური მოქმედება მეტწილად ხანგრძლივი და სტატიკური იყო, აქ კი იგი ყველასთან ხანმოკლე და დინამიკურია; 3. იქ მცირე იყო „უგანწყობო“ ცდ. პირებისა და „გაურკვეველი შემთხვევების“ პროცენტი (8%—12%). აქ კი ეს პროცენტები საგრძნობლად დიდია (25%—30%). ერთი სიტყვით, მცირე განსხვავებაზე შექმნილი განწყობის მოქმედებაში საგანწყობო ექსპოზიციათა რაოდენობის მნიშვნელობა სრულიად უეჭველი ფაქტია: განწყობა — ზოგ ცდ. პირთან ასიმილაციური და ზოგთან კონტრასტული — ერთი საგანწყობო ექსპოზიციითაც იქმნება, მაგრამ არა ისეთი სიხშირით, სიმტკიცით და ხანგრძლივობით. როგორც ეს სამი საგანწყობო ექსპოზიციის შედეგად ხდება.

ენახოთ, ახლა, რას მატებს რვა საგანწყობო ექსპოზიცია. ოქმა (№ 12), რომელშიც ამ ცდის შედეგებია წარმოდგენილი, გვიჩვენებს შემდეგს.

1. წინა ცდებისგან განსხვავებით აქ აღარაა „გაურკვეველი შემთხვევა“. რომლებზეც ვერ იტყოდი, ასიმილაციურად იმოქმედა განწყობამ თუ კონტრასტულად, და აღარ ჩანან „უგანწყობონიც“: განწყობა უგამონაკლისოდ ყველა ცდ. პირს უდასტურდება, ოღონდ „ორჯგუფიანობა“ აქაც ფაქტია; არიან ასიმილაციური განწყობის ცდ. პირები და კონტრასტული განწყობისანიც.

2. თუ სამი საგანწყობო ექსპოზიციით ჩატარებულ ცდებში (იხ. ოქმი № 10) განწყობის ასიმილაციური მოქმედება უმრავლესობასთან (76,9%) სტატიკური იყო და უმცირესობასთან დინამიკური

ს.პ. კ.ვ.	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	+	-	-	-	-	-	-	
2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	-	+	-	+	-	-	-	-	-	-	
3	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	+	-	-	-	-	-	-	
4	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	+	-	-	-	-	-	+	-	+	+	-	-	-	-	+	+
5	-	-	-	-	-	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	-	-	+	-	
6	-	-	-	-	?	-	=	+	-	-	+	+	-	=	-	-	+	+	-	-	+	-	+	-	-	?	?	-	-	
7	-	+	-	-	+	-	-	+	-	+	-	-	-	-	+	-	-	-	-	-	+	+	-	=	+	-	=	+	-	
8	-	+	-	-	-	-	-	+	-	+	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	?	-	+	-	-	-	+	-	+	
9	-	=	-	-	-	+	-	-	+	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	=	+	-	+	=	-	+	-	+	
10	-	-	-	-	-	-	+	-	+	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	=	=	+	+	=	-	-	-	-	
11	+	-	-	-	+	-	-	-	+	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	+	-	-	?	+	+	-	-	+	
12	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-	+	-	+	=	+	-	-	-	+	+	+	-	+	+	=
13	-	?	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-	?	-	-	+	+	?	=	+	-	=	-	+	+	-	+	-	
14	-	+	+	+	+	-	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	+	-	+
15	+	+	?	+	+	+	=	+	-	?	-	?	=	+	-	+	-	?	+	+	=	-	+	+	+	-	+	-	+	
16	+	+	+	+	+	-	-	+	-	+	-	+	-	?	?	+	-	+	+	=	-	+	+	+	=	=	=	=	=	
17	+	+	+	+	-	-	-	?	+	?	?	+	-	-	=	-	+	+	-	?	=	+	=	=	=	=	=	=	=	
18	+	+	?	+	+	+	+	+	+	+	-	=	-	+	+	-	+	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	
19	+	+	+	+	+	+	=	-	+	-	+	-	=	-	+	+	-	+	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	
20	+	+	+	+	-	+	+	=	+	-	+	-	+	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	=	

(23,1%), 8 საგანწყობო ექსპოზიციით ჩატარებულ ცდაში იგი ყველა ცდ. პირთან (ასიმილაციური განწყობის ინდივიდთა ჯგუფში) სტატიკურია.

3. მნიშვნელოვანი გავლენა განუცდია კონტრასტულად მოქმედ განწყობასაც: აქ იგი უფრო ბევრ ცდ. პირს უდასტურდება (45%), ვიდრე წინა ცდაში (28%), ამასთანავე მეტის ხანგრძლიობითაც უმოქმედია და ორ ცდ. პირთან (№№ 12,13) სტატიკურიც კი გამხლარა.

4. საგანწყობო ექსპოზიციათა რაოდენობის ანუ ფიქსირებულობის ხარისხის მნიშვნელობა ნაჩვენები განსხვავებების მიხედვით ნათელია, მაგრამ საგანგებო განმარტებას საჭიროებს შემდეგი განსხვავება.

როგორც ოქმიდან ჩანს, ასიმილაციური განწყობა დაუდასტურდა ცდ. პირების 55%-ს და კონტრასტული — 45%. თუ ამ პროცენტულ მაჩვენებლებს წინა ცდებში მიღებულ მაჩვენებლებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ, კერძოდ, ასიმილაციური განწყობის ცდ.

პირთა % (55%) თითქმის არ მეცვლილა (წინა ცდებში იყო: 50%, 53,1%, 57,1%, 56,3% 52%. იხ. ცხრილები №№ 3,4,5,6 და ოქმი № 10), ხოლო კონტრასტულისა კი საგრძნობლად გაზარდია (30%, 28,1%, 28,6%, 25%, 28%. იხ იგივე ცხრილები და ოქმი). ისმის საკითხი: რით უნდა აიხსნას ან როგორ უნდა გავიგოთ ეს, პირველი შეხედვით, უცნაური ფაქტი? თუ 8 საგანწყობო ექსპოზიციამ, განსხვავებით სამი საგანწყობო ექსპოზიციისაგან, იმდენი შეძლო, რომ განწყობა ყველა ცდ. პირს გაუფიქსირა (ზოგს ასიმილაციური და ზოგს კონტრასტული), რატომ მაინცდამაინც კონტრასტული განწყობის ცდ. პირთა % გაზარდა და არა ასიმილაციური განწყობისა? ან რატომ ორივე არ გაზარდა?

იმის მიხედვით, რაც ზემოთ „ზღურბლის ფაქტორის“ შესახებ ითქვა (§ 13), კაცს შეეძლო ეფიქრა ასე: იმ ცდ. პირებიდან, რომლებზეც ცდა 8 საგანწყობო ექსპოზიციით ჩატარდა, შემთხვევით უფრო ბევრი უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რომელთათვის 26—25 მმ წრეების განსხვავება გამოკვეთილად ზეზღურბლური იყო, და უფრო ცოტანი ისინი, რომელთათვის იგი ზღურბლური იყო; და აი, სწორედ ამიტომ, ამ „უფრო ბევრს“ კონტრასტული განწყობა შემუშავდა და „უფრო ცოტას“ — ასიმილაციური. ეს გაგება არაა უაზრო, მაგრამ ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია შემდეგი: განსხვავება შეიძლება იყოს ზღურბლურად მცირე, მაგრამ. როცა ცდ. პირს წრეები მრავალჯერ განმეორებით ეძლევა და ეს მცირე სხვაობა პირველ ექსპოზიციებშივე ნათლად აღიქმება, შესაძლებელია მოხდეს ისე, რომ, ამ ნათელი აღქმის გავლენით. მომდევნო ექსპოზიციებშივე მას ეს სხვაობა „სუბიექტურად გაუდიდდეს“, უფრო დიდად მოეჩვენოს და, ამრიგად, გაჩნდეს პირობა კონტრასტული განწყობის შემუშავებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმის, რომ 8 საგანწყობო ექსპოზიციით ჩატარებულ ცდაში კონტრასტული განწყობის ინდივიდთა პროცენტი. შედარებით წინა ცდებთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა.

აღნიშნულ გაგებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია გაჩნდეს საკითხი: ხომ არაა შესაძლებელი, რომ ზღურბლურად განსხვავებული წრეების რვაზე უფრო ბევრმა ექსპოზიციამ ყველა ცდ. პირში მხოლოდ კონტრასტულად მოქმედი განწყობა შექმნას? ე. ი. ხომ არაა ასიმილაციური განწყობის შემუშავება დამოკიდებული საგანწყობო ექსპოზიციის რაოდენობრივ სიმცირეზე? ამ საკითხს უარ-

ყოფითად უნდა ვუპასუხოთ. მცირე განსხვავების „უფრო დიდად მოჩვენება“, მისი „სუბიექტურად გადიდება“ მხოლოდ „ინდივიდუალური შემთხვევებია“, თორემ იგი რომ საყოველთაო მოვლენა ყოფილიყო, მაშინ ასიმილაციური განწყობის ცდ. პირთა პროცენტი დიდი რაოდენობით უნდა ეჩვენებია ერთი საგანწყობო ექსპოზიციით ჩატარებულ ცდას, უფრო ნაკლები რაოდენობით — სამი ექსპოზიციით ჩატარებულს და კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობით ან მთლად გამონაკლისი სახით — რვა ექსპოზიციით ჩატარებულს. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ასე არ ხდება. ერთი სიტყვით, ოდნავ განსხვავებული წრეებით შემუშავებული „ასიმილაციური განწყობა“ საგანწყობო ექსპოზიციის რაოდენობრივი მატების კვალობაზე ფიქსირდება, მტკიცდება, და დიდ განსხვავებაზე ფიქსირებულისაგან გამოირჩევა იმით, რომ უმუშავდება მხოლოდ იმათ, ვისთვისაც ეს მცირე განსხვავება ზღურბლურია (ე. ი. არა ყველას), და ამასთანავე უფრო აღრევ აღწევს მაქსიმალურ სიმტკიცეს, ვიდრე დიდ განსხვავებაზე შემუშავებული კონტრასტულად მოქმედი განწყობა.

დასკვნები

ჩვენი გამოკვლევების მიზანი იყო ეჩვენებინა: სწორია თუ არა დ. უზნაძის დებულება, რომ მცირე რაოდენობრივ განსხვავებაზე შემუშავებული განწყობა ასიმილაციური ილუზიებს იწვევს და, მაშასადამე, უშუალოდ ასიმილაციურად მოქმედებს. ცდები, რომლებიც ჩვენ ამ საკითხის გადასაწყვეტად ვაწარმოეთ, უფლებას გვაძლევს შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ:

1. დ. უზნაძის დებულების საწინააღმდეგო მოსაზრება, რომ რაოდენობრივ განსხვავებაზე შემუშავებული განწყობა, განურჩევლად ამ განსხვავების მეტ-ნაკლებობისა, მაინც მხოლოდ კონტრასტულად მოქმედებს და ასიმილაციური ილუზია კი ფიქციაა, — ექსპერიმენტული მონაცემებით არ მართლდება. განწყობის მცირე განსხვავებაზე ფიქსაციის ცდებში კრიტიკული ტოლი წრეებიდან ერთ-ერთის გადაფასება მეტწილად დიდი საგანწყობო წრის მიმართულებით ხდება და, წესისამებრ, დანარჩენ პასუხებზე ხშირია, იმ დროს როცა იმავე ტოლი წრეების „დამოუკიდებელი“ (განწყობის ფიქსაციის გარეშე) შეფასების ცდებში პასუხების განაწილება სიმეტრიულია და ერთი სახის გადაფასება მეორისას არ ჰპარბობს.

2. 25—26 მმ წრეებით ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედება ინდივიდების ერთ ჯგუფთან და კონტრასტული — მეორესთან, ზღურბლის ფაქტორის გამოვლენაა და თვითონ „ასიმილაციური განწყობის“ დამახასიათებელ „გარდუვალ შეზღუდულობას“ არ ნიშნავს; იგი. პირიქით, იმის მაჩვენებელია, რომ თუ სუბიექტს საგანწყობო ცდას მისვე „განსხვავების ზღურბლის“ შესატყვისი გამლიზიანებლებით ჩაუტარებდით, განწყობის მოქმედება უგამონაკლისოდ ასიმილაციური იქნებოდა.

3. არ არსებობს ფაქტი თუ საბუთი, რომელიც გვაიძულებდა სინამდვილედ გვეცნო მხოლოდ კონტრასტულად მოქმედი განწყობა და ასიმილაციურ ილუზიებად ნაგულისხმები შემთხვევები მთლიანად აღქმის ასიმეტრიის ეფექტად მიგვეჩნია.

განწყობის მცირე განსხვავებაზე ფიქსაციის ცდებში, წესისამებრ, გადაფასებას ეძლევა ის „კრიტიკული ობიექტი“. რომელსაც ცდ. პირი დიდი საგანწყობო ობიექტის ადგილზე აღიქვამს — განურჩევლად იმისა, მარცხნივ იქნება იგი მისაგან მოთავსებული თუ მარჯვნივ: გადაფასებას „დიდი ობიექტის აღქმის განწყობა“ საზღვრავს; ამიტომ იგი განწყობის ასიმილაციური ილუზიაა და არა „მხარის ასიმეტრიის“ პროდუქტი.

4. აღქმის ასიმეტრია თავისთავად ფაქტია და განწყობის ცდებშიც უთუოდ მოქმედებს, მაგრამ იგი არაა და არც შეიძლება იყოს ისეთი ფაქტორი, რომელიც ასიმილაციური განწყობის შემუშავებამოქმედებას შეუძლებლად გახდიდა:

ა. ასიმეტრია არ წარმოადგენს საყოველთაოდ გავრცელებულ მოვლენას, იგი საგრძნობლად იშვიათია და ასიმილაციური ილუზიის (resp. ასიმილაციური განწყობის) მაჩვენებელ ინდივიდთა სიხშირეს ვერ აღწევს;

ბ. იგი ძალზე მცირე სიდიდისაა. 26 მმ წრის ფარგლებში ერთ-მილიმეტრიან განსხვავებას ვერ ფარავს და ამიტომ განწყობის ფიქსაციას ვერ აბრკოლებს

გ. დასასრულ. ასიმეტრია არაა აბსოლუტური; იგი ლაბილია, ცალმხრივ გადაფასების სახით არ ჩნდება, თავის გვერდით საწინააღმდეგო გადაფასებებსაც ითმენს და, როგორც ასეთი, საშუალებას იძლევა მცირე განსხვავებაზე ფიქსირებულმა განწყობამ ასიმილაციურად იმოქმედოს არა მარტო მისი მიმართულებით. არამედ საწინააღმდეგოდაც. ასიმეტრიას შეუძლია მხოლოდ შეასუსტოს გან-

წყობის მოქმედება; ზეამციროს მისი ეფექტი, მაგრამ მას არ შეუძლია სრულიად აღკვეთოს იგი.

5. მცირე (ზღურბლურ) განსხვავებაზე შემუშავებული განწყობა, რომელიც თავიდანვე ასიმილაციურ ილუზიებს ბადებს, ყველა იმ ნიშნით ხასიათდება, რა ნიშნებითაც კონტრასტული განწყობა: იგიც ფიქსირდება, მტკიცდება და ფაზურად მოქმედებს.

6. კონტრასტულისაგან განსხვავებით, ასიმილაციური განწყობის ფაზური მოქმედების მეტწილად (ცდ. პირთა უმრავლესობასთან) სტატიკურობა და უფრო იშვიათად დინამიკურობა (30 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ) კანონზომიერი მოვლენაა: იგი შედეგია იმის, რომ ზღურბლურად მცირე განსხვავების გამო, კრიტიკული სიტუაცია მაქსიმალურად ემსგავსება საგანწყობოს და, მოქმედებს რა განწყობა ამ „მზგავს სიტუაციაში“, იგი ადვილად და ხანგრძლივად ახერხებს მის ასიმილაციას.

7. ასიმილაციური განწყობის „მეტი სიმტკიცისა“ და „სტატიკურობის“ ფაქტი არ ეწინააღმდეგება „სუსტი განწყობის დებულებას“, რომელსაც „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი“ გულისხმობს: ასიმილაციური განწყობა სუსტია მხოლოდ მაშინ, როცა იგი ტლანქ (ზეზღურბლურ) განსხვავებაზე ფიქსირებული განწყობის დარღვევის შედეგად ჩნდება, მაგრამ ძლიერი და მტკიცეა, როცა იგი ზღურბლურად განსხვავებული გამლიზიანებლების უშუალო, რეალური ზემოქმედების შედეგადაა შემუშავებული. „განწყობის შეცვლის კანონი“ მხოლოდ პირველ შემთხვევას გულისხმობს და არა საერთოდ ყოველი ასიმილაციური განწყობის სისუსტეს.

8. მცირე განსხვავებაზე შემუშავებული განწყობის პირდაპირი ასიმილაციური მოქმედება, ანუ სიდიდის აღქმისადმი შექმნილი განწყობის „ასიმილაციური ილუზიის“ ფაქტი, ასაბუთებს დ. უზნაძის დებულებას ე. წ. „ასიმილაციური ილუზიის ცალკე ფაზის“ არსებობის შესახებ; იგი გასაგებად ხდის იმას, რომ დიდ განსხვავებაზე ფიქსირებული, კონტრასტულად მოქმედი განწყობა მრავალჯერ დარღვევა-შეცვლის შედეგად სუსტდება და, ემსგავსება რა მცირე განსხვავებაზე ფიქსირებულს, საწინააღმდეგო განწყობით აღარ იცვლება და უშუალოდ ასიმილაციურ ილუზიებს იჩენს.

9. „განწყობის შეცვლის კანონი“ გულისხმობს, რომ კონტრასტული ილუზია ნამდვილად ასიმილაციური ილუზიაა, რომელსაც პირველადი განწყობის შემცვლელი განწყობა აჩენს და რომელიც

კონტრასტულია მხოლოდ ამ პირველადი დარღვეული განწყობის მიმართ. მაგრამ კონტრასტული ილუზიის ასეთი გაგება, — მისი მაინც ასიმილაციურ ილუზიად აღიარება, — კანონიერი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ დამტკიცდებოდა, რომ გარკვეულ პირობებში სიდიდეებზე ფიქსირებული განწყობა უშუალოდ და ყოველგვარი შეცვლის გარეშე ასიმილაციურ ილუზიებს აჩენს. განწყობის მცირე განსხვავებაზე ფიქსაციის ცდები სწორედ ამ ფაქტს ადასტურებს და „განწყობის შეცვლის კანონიც“ ამ ფაქტით საბუთდება.

АССИМИЛЯТИВНАЯ ИЛЛЮЗИЯ И ОСНОВНОЙ ЗАКОН СМЕНЫ УСТАНОВКИ

Выводы

Целью нашего исследования было выяснить: верно ли положение Д. Н. Узнадзе, что установка, выработанная на едва заметное количественное различие раздражителей, вызывает ассимилятивные иллюзии и, следовательно, действует непосредственно ассимилятивно. Опыты, проведенные нами для решения этого вопроса, дают основание сделать следующие выводы:

1. Противоречащее положению Д. Н. Узнадзе соображение, что выработанная на количественное различие установка, независимо от степени различия, действует только контрастно, ассимилятивная же иллюзия является фикцией, — не подтверждается экспериментальными данными: В опытах фиксации установки на малое различие кругов один из «критических» равных кружков большей частью переоценивается в направлении большего установочного кружка; как правило, такие ответы (переоценки) чаще остальных ответов, тогда как в опытах «независимой» оценки (без предварительной фиксации установки) тех же равных кружков распределение ответов симметрично, т. е. нет превалирования переоценки какого-либо одного вида над другим.

2. Ассимилятивное действие установки, (фиксированной 25—26 мм кружками) у одной группы испытуемых, и контрастное — у другой, есть выявление фактора порога и не означает неизбежной ограниченности действия самой «ас-

симбиотической установки»; наоборот, этот факт является показателем того, что если бы установочный опыт над субъектом был бы проведен соответствующими его «ранжированному порогу» раздражителями, действие установки было бы сплошь ассимилятивным.

3. Нет никакого основания, которое принудило бы нас признать за действительность только контрастно действующую установку, а подразумеваемые ассимилятивными иллюзиями случаи — за эффект асимметрии восприятия.

В опытах фиксации установки на малые различия, как правило, переоценивается тот «критический объект», который воспринимается исп-мым на месте большого установочного объекта безразлично, будет ли он расположен влево или вправо от него: переоценка определяется «установкой восприятия большого объекта», поэтому она (переоценка) является ассимилятивной иллюзией, а не продуктом «асимметрии стороны».

4. Асимметрия сама по себе, является фактом и очевидно она действует и в опытах установки, однако она не может являться таким фактором, который мог бы сделать невозможным выработку ассимилятивно действующей установки:

а) Асимметрия — не общераспространенное явление, она выявляется значительно реже и не достигает частоты случаев ассимилятивной иллюзии (resp — ассимилятивной установки);

б) она имеет очень малую величину — в пределах 26 мм-го кружка она не в состоянии перекрыть различие в 1 мм и поэтому не может препятствовать фиксации установки;

в) наконец, асимметрия не абсолютна: она лабильна, выявляется не в виде односторонней переоценки, допускает рядом с собой и противоположную переоценку, и, как таковая, дает возможность фиксированной на малое различие установке действовать ассимилятивно не только в ее (асимметрии) направлении, но и противоположно. Асимметрия может только ослабить действие установки, уменьшить ее эффект, но она не может полностью его пресечь.

5. Выработанная на малое (пороговое) различие установка, сначала же порождающая ассимилятивные иллюзии, характеризуется всеми теми признаками, что и контрастная установка: она так же фиксируется, закрепляется и при затухании, как правило, проходит определенные «фазы действия».

6. В отличие от контрастной установки, в фазовом действии ассимилятивной установки закономерным является статичность (у большинства исп-ых) и гораздо реже динамичность (на протяжении 30 экспозиций). Это является результатом того, что вследствие парового малого различия установочных раздражителей критическая ситуация максимально сходна с установочной, и установке, действующей в этой «сходной ситуации», удается длительно ассимилировать ее.

7. Факт «большой устойчивости» и «статичности» ассимилятивной установки не противоречит «положению о слабой установке», подразумеваемому «основным законом смены установки»; ассимилятивная установка слаба лишь тогда, когда она возникает в результате нарушения установки, фиксированной на резкое (сверхпороговое) различие, но сильна и устойчива, когда она выработана в результате непосредственного, реального воздействия порогово различных раздражителей. «Закон смены установки» подразумевает только первый случай, а не «слабость вообще всякой ассимилятивной установки».

8. Факт прямого ассимилятивного действия установки, выработанной на малое различие раздражителей (факт ассимилятивной иллюзии установки) доказывает истинность положения Д. Н. Узнадзе о существовании т. н. «отдельной фазы ассимилятивной иллюзии»: он делает понятным то, что контрастно действующая установка, фиксированная на большое различие, в результате многократного нарушения и смены, слабеет и уподобляясь установке, фиксированной на малое различие, уже не заменяется противоположной установкой и непосредственно порождает ассимилятивные иллюзии.

9. «Закон смены установки» подразумевает, что контрастная иллюзия в действительности является ассимилятивной, порождаемой установкой, сменяющей первичную установку; она контрастна только по отношению к этой нарушенной первичной установке. Однако, такое понимание контрастной иллюзии, — признание ее все же ассимилятивной, — было бы законным только в том случае, если было бы доказано, что в определенных условиях, фиксированная на величины установка непосредственно и помимо всякой смены порождает ассимилятивные иллюзии. опыты фиксации установки на малое различие величин подтверждают именно этот факт, и этим же фактом доказывается правильность «закона смены установки».

ს ა რ ჩ ე ვ ი

I.	განწყობის შეცვლის კანონი დ. უზნაძის განწყობის თეორიაში	
§ 1.	განწყობის ცნება დ. უზნაძის შრომებში	5
§ 2.	ექსპერიმენტული ფაქტები და განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი	13
II.	განწყობის ასიმილაციური მოქმედების ექსპერიმენტული კვლევის მეთოდის შესახებ	
§ 3.	დ. უზნაძის მეთოდისა და ცდების შესახებ	59
§ 4.	ჩვენი მეთოდი და ცდის პროცედურა	68
III.	განწყობის ფიქსაცია მეტ-ნაკლებად განსხვავებული წრეების ექსპოზიციით	
§ 5.	ცდები ოდნავ განსხვავებული მარცხნივ პატარა და მარჯვნივ დიდი წრის ექსპოზიციით (ძირითადი ცდები)	93
§ 6.	ცდები ოდნავ განსხვავებული მარცხნივ დიდისა და მარჯვნივ პატარა წრის ექსპოზიციით (დ-პ სივრცითი განლაგებით)	93
§ 7.	ცდები 2—4 მილიმეტრით განსხვავებული საგანწყობო წრეების ექსპოზიციით	97
§ 8.	ჩვენი შედეგები დ. უზნაძის შედეგებთან შედარებით	100
IV.	ასიმეტრიის ფაქტორი განწყობის ასიმილაციურ მოქმედებაში.	
§ 9.	საკითხის დასმა	104
§ 10.	ტოლი წრეების შეფასება განწყობის ფიქსაციის გარეშე (საკონტროლო ცდები)	106
§ 11.	ასიმეტრიის ტენდენციის „სილიღე“ წრეების შეფასებაში	118
§ 12.	განწყობის მოქმედების შესაძლებლობანი ასიმეტრიის კონკრეტულ შემთხვევებში	125
V.	განწყობის ასიმილაციური მოქმედების ფაქტორები და და ფაზური ხასიათი:	
§ 13.	ზღურბლის ფაქტორი	147
§ 14.	ასიმილაციური განწყობის ფაზური მოქმედება	152
§ 15.	ფიქსაციის ხარისხის ფაქტორი განწყობის ასიმილაციურ მოქმედებაში	163
	დასკვნები	168

Зосим Илларионович
Ходжава

АССИМИЛЯТИВНАЯ ИЛЛЮЗИЯ И ОСНОВНОЙ
ЗАКОН СМЕНЫ УСТАНОВКИ

(на грузинском яз.).

Издательство «Мецниереба»

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი

გამომცემლობის რედაქტორი ე. კ ო დ უ ა

ტექნორედაქტორი ნ. ჯ ა თ ა რ ი ძ ე

კორექტორი ხ. ა ვ ა ლ ი ა ნ ი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.6.1964; ქალაქის ზომა 60+84,1/16;
ნაბეჭდი თაბახი 15,1; სალარიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.88;
უფ 02725; ტირაჟი 1500; შეკვეთა 1308;
ფასი 74 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе № 3/5